

სეზონი

გილოცავთ ახალ წელს!



1976

მეცხრე ცაზე ბრძანდები

ოფლით, სისხლით, ბრძოლებით და ომებით,
მგლის ლეკვებით, სისხლით ძველი ლომების,
შევერცხლილი ოქტომბრით და ნოემბრით,
ჩვენი დროშით — ჩვენი სარწმუნოებით.

შელოდია შატილიდან ხალდეძე,
კაკეასიონს წითელ ზოლად გასდევდეს.
ამაყეფე, მარაქაში გამრიე,
გაგიმარჯოს, შენი მრავალჭამიერ.

ოფლით, სისხლით, ბრძოლებით და ომებით,
მგლის ლეკვებით, სისხლით ძველი ლომების,
შევერცხლილი ოქტომბრით და ნოემბრით,
ჩვენი დროშით — ჩვენი სარწმუნოებით.

მეცხრე, მეცხრე, მქუხარებენ ზვირთები,
პა, სამშობლო, საახალწლო მზითები.
მეცხრე, მეცხრე, მქუხარებენ ტალღები,
ტალავერთა ტრიუმფალურ თაღებით.

ოფლით, სისხლით, ბრძოლებით და ომებით,
მგლის ლეკვებით, სისხლით ძველი ლომების,
შევერცხლილი ოქტომბრით და ნოემბრით,
ჩვენი დროშით — ჩვენი სარწმუნოებით.

საცა მიველ, ყველგან შენი სუფრაა,
შენი სუფრაც წმინდაა და სუფთაა,
მე თუ ვმდერი, შენ რას გიშლი ძმობილო,
ჩემო მიწავ, ჩემო კეთილშობილო.

ოფლით, სისხლით, ბრძოლებით და ომებით,
მგლის ლეკვებით, სისხლით ძველი ლომების,
შევერცხლილი ოქტომბრით და ნოემბრით,
ჩვენი დროშით — ჩვენი სარწმუნოებით.

მეცხრე, მეცხრე, გუგუნებენ ქარხნები,
რა თქმა უნდა, პოეზიის თანხლებით.
მეცხრე, მეცხრე, მეცხრე ცაზე ბრძანდები,
არა მხოლოდ სიმღერით და ვარდებით,

ოფლით, სისხლით, ბრძოლებით და ომებით,
მგლის ლეკვებით, სისხლით ძველი ლომების,
შევერცხლილი ოქტომბრით და ნოემბრით,
ჩვენი დროშით — ჩვენი სარწმუნოებით.

სესია

224

გამოცემის მდებარეობა წელი

1

იანვარი

1976

თბილისი

სა. კვ ცვ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და გამომცემლობა კავშირის ორგანო

ქ. ბიჭვინთის რაიონის სსრ
საბჭოთა კავშირის
გამომცემლობა

შ ი ნ ა ა რ ს ი

საკვ X XV შრილობის შესახებდრად

- 3. ახალი სიმაღლეების დასამუშავად
- 5. მედია შავლიაშვილი — გაურჩეველი მდინარე
პროზა, კოეზია

- 11. მუხრან ლეგანია — ახალი ლექსები
- 20. ოთარ შილაძე — ყოველმან ჩვენან მკომნელ-
მან... რომანი. დასასრული
- 96. ვახტანგ ზორბანელი — სოფელმა აქამ გაწოვანი.
ლექსი
- 97. ოთარ კუკრაძე — ლექსები

ახალი თარგმანები

- 99. კომაროსი — კომედიკოსული საბალეტოები, ძვე-
ლი ბერძნულიდან თარგმნა ლ. ი. ა. კვიციანი-
ვილიძე
- 103. კორაძის — თარგმნა მარინე იმნაძემ

— 70 —

- 105. კონსტანტინე ლორთქიფანიძე
- 106. გიორგი ავალიანი — საუბრადღებო მოტივი მწე-
რლის შემოქმედებაში

წერილები

- 118. ჯუმაბარ ოდიშელი — ძველური ისტორიული
ქრონოლოგიის ერთი საკითხი
- 126. მამა ბიბილიშვილი — „სულიერი ერთობა“
- 135. მამა ჯოხაძე — სიუჟეტული ელემენტების საფუ-
ძველად

„ცისკრის“ ანკეტი

- 137. რედაქციისათვის
- 138. ლადო ავალიანი, რევაზ ჯაფარიძე, ლია სტუ-
რუბ, მუხრან მამახვარიანი, ლადო ჭრელიშვილი,
ბენიკ ხარაძე, ნოდარ წულუკიანი, ნაზი ჯუ-
სიუთი, რეზო შვიციანი, ალექსი ზოგრა, რევაზ
ინანიშვილი.

შთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ვახუა ამირეჯიბი,
ვახუანიანი ბაქრაძე,
ვახუა გვირგვინიანი,
გივი ვახუაშვილი,
რინოზ ზორბანელი,
გიორგი ვაგალიანი,
ნოდარ ლეგანია,
მედიკ ელიოვიშვილი,
ელდარ მენაბდე,
ოთარ კუკრაძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წყნეთელი,
ტარიელ მანუჩიანი,
რეზო შვიციანი.



ახალი სიმაღლეების დასაქვად

დადგა 1976 წელი, ახალი ხუთწლედის, ხარისხის ხუთწლედის პირველი წელი და მან ჩვენი ხალხის წინაშე ახალი სიმაღლეების დაძლევის ვრცელი პერსპექტივა დასახა.

დღეს, როცა უფრო და უფრო ვუახლოვდებით სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს, ჩვენ შეგვიძლია ერთხელ კიდევ მივხედოთ განვლილ გზას და სიამაყით განვაცხადოთ, რომ ქართველი ხალხი პირნათლად ეგებება ამ მაღალ ფორუმს და ახალ ხუთწლედს, რომ მან ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა კომუნისტური მშენებლობის გზაზე. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ ადებულნი ვალდებულებების შესასრულებლად და მათ სრულ წარმატებას მიაღწიეს.

ყველა ჩვენი მიღწევა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის, ფართოდ გაშლილი საყოველთაო — სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შედეგია. ახალი ძალით გამოჩნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმართველი როლი, მისი მრავალმხრივი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბჭოთა ხალხის დასარაზმავად — ვკითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში XXV ყრილობისათვის. არ შეიძლება სიხარულითა და სიამაყის გრძნობით არ აღგვაგსოს გაცნობამ ამ დოკუმენტისა: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“, სადაც მოცემულია 1971-1975 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები, ხოლო შემდეგ მითითებულია ის გეზი, რომლითაც უნდა წარიმართოს ჩვენი უახლოესი მომავალი. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს ამ პროექტის შექმნისას გათვალისწინებული აქვს საზოგადოებრივი ყოფის ყველა მხარე, იქნება ეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კაპიტალური მშენებლობა, მეცნიერება, სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება და ა. შ.

მათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება.



ხარისხის ხუთწლედ — ასე დაერქვა ახალ ხუთწლედს და ამ სახელწოდებამ კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე... „მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება“ მხოლოდ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას როდი ეხება, იგი სულ სხვა მოთხოვნებს უყენებს კულტურის მოღვაწეებსაც, — ხელოვნებას, მწერლობას, თეატრსა და კინოს... ხარისხის ხუთწლედი მაღალი ოსტატობის, დახვეწილი მხატვრული ქმნილებების, ფორმისა და შინაარსის სრული ერთიანობის მიღწევის ხუთწლედია.

ჩვენ გვყავს კადრები, გვყავს შემოქმედთა მაღალკვალიფიციური რაზმი, რომელთაც არაერთგზის დაუმტკიცებიათ, რომ ყოველგვარი სიძნელის დაძლევა ძალუძთ. მათ დაოსტატების ხანგრძლივი და ძნელი გზა გამოვლეს და ამჯერადაც იღებენ მოწინავე პოზიციებზე, რათა მხარი დაუჭირონ საერთო სახალხო მოძრაობას და მაღალხარისხოვანი იდეურ-ესთეტიკური ქმნილებების შექმნით მისცენ მაგალითი და სტიმული, მიანიჭონ სიამოვნება და აღმაფრენა ჩვენი მეურნეობის ვრცელ ფრონტზე მომუშავე ადამიანებს.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს რა 1971-1975 წლების ყველა მიღწევას, იქვე სრული გულახდილობითა და სიმკაცრით მიუთითებს, რომ „მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო, თუ უფრო სრულად გამოვიყენებდით ჩვენს შესაძლებლობებს, გადაჭრით აღმოვფხრიდით ნაკლოვანებებს“. ეს გაფრთხილებაა და ამის გათვალისწინება ყოველ მოქალაქეს, შემოქმედი იქნება იგი თუ სამეურნეო მუშაკი, მართებს. წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლება დიდ კომპლექსურ შრომას, ძალების დაძაბვას, დაგროვილი გამოცდილების სრულ რეალიზაციას მოითხოვს. ჩვენი სამშობლო განვითარების ახალ ფაზაში შევიდა და ამ ფაზის ეფექტიანობის ხუთწლედით, ხარისხის ხუთწლედით ფორმულირება გაცილებით მეტს მოითხოვს ჩვენგან, მოითხოვს შინაგანი დისციპლინის უფრო ამაღლებას, უფრო მეტ ყურადღებასა და გულისხმიერებას.

მაღალხარისხოვანი შრომა მხოლოდ საწარმოო პროდუქციის ხარისხიანობას არ გულისხმობს, აქ იგულისხმება კულტურული მშენებლობის ყველა ფორმა და დარგი; თვით ყოველი ცალკეული სტრიქონის დახვეწა, აზრის ნათლად გადმოცემა, ყოველი სპექტაკლის მხატვრული დონე, ყველა წიგნის პოლიგრაფიული სახე, ადამიანთა ურთიერთობის სტილი, რაც მთავარია, ჭეშმარიტი პროფესიულობა ყველგან და ყველადღერში. რა თქმა უნდა, ჩვენ შემზადებული ვართ, რომ განვახორციელოთ პარტიის მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა, სრული სიღრმითა გვაქვს შეგნებული ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი და ჩვენს შემოქმედებით მიღწევებს, ყოველდღიურ საქმიანობას განაპირობებს განუხრელი რწმენა იმისა, რომ ლენინური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული პერსპექტივა სრულად იქნება ხორცშესხმული და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკაც სახელოვნად განვლის ახალ ხუთწლედს, დაიპყრობს ახალ სიმაღლეებს.

„საბჭოთა კავშირი ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური და ურდვევი ერთიანობით მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით, განუხრელად ადგას კურსს, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა. მიღწეული წარმატებები შემოქმედებითი ენერჯის მძლავრი წყაროა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, შთაავონებს მათ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში“.

გაურჩეული მდინარე

გინახავთ ადიდებული ენგური?
როცა გეგბა ლოდებს კენჭებით მოათამაშეს, ტალღებს მათრახებით მოატყალაშენებს, ათასი ლომის ღრიალით შემოგარენს აყრებს?

გინახავთ ენგური — ჩამობარებული, ჩამოვაცებული, საყუთარი მცდელობით არტახებუაწუგაწუთი და მაინც ყალყზე შემდგარი ღორბომორეული, დაუნდობელი?

გინახავთ, რა ძალით ეხატუნება ნაბიჯებს, ხიდის ბურჯებს, ყორეყრილის ჯებირებს?

თუ გინახავთ, მისის მიწურულში გენახებობათ, როცა ყველა სხვა მდინარე დადინებულა და დამლორბულა, როცა ბუნებას ზამთრის ძაღსაგან გაღვიძება-გამოფხიზლება რა ხანია დღუმთავრებია, მწვანე სამოსელი ჩაუმტუქებია და ნაყოფის გამოტანაზე ზრუნვასა და ფაქრს შესდგომია. როცა კენწეროდან ჩამოვარდნილი ტყბალი თუთა ბალახებში ბაწაწინა მარგალიტებად გაბნეული დახვდვდრიათ. მაშინ გენახებთ, როცა ზეცა სიწიფეში შესულ გოგოს ემგაგება, უმიზნოდ ტირის თუ იცინის და ყუჟუნა წვიმასა და მზით გაბრწყინება-გამოდარების საოცარი სისწრაფით უნაცვლებს ერთმანეთს.

ახლა კი...

ახლა ვაზაფხულმა ჯერ გუშინ დაირქვა აპრილი. ტყემლებს ჯერ არ დაუბერტყავთ მზრები — თეთრ ბეწვებზე არ დაუფრიალებიათ ნახი ფურცლები. ატმებმა ვარდისფრით ჯერ ახლა მოხატეს აქაურობა. ტირიფებმა ღია მწვანით გადაიღებეს გაიშვიათებული თმები. გამკვირვალე ჰაერმა თვალმისაწიერი გააუარითოვა და თეთრმა, პირისფერმა თუ მწვანე ფერებით შეხამებულ ფონზე აქა-იქ სანთლებით ანთებული ყუთელი მიმოზუბი გამოაჩინა.

ენგურის გააფხვას ჯერ არ უნდა დასდგომოდა ყავლი.

ჯერ მთებში თოვლი წყლად არ უნდა დაწურულიყო, მაღლა ხეებში გაწოლილი ყინული არ უნდა დაცურებულყო, ცა წვიმად არ ჩამოცილიყო.

ასე ანგარიშობდნენ პროექტანტები.

ასე იმედოვნებდნენ მშენებლები.

მშენებლებს ენგურის ადიდებამდე უნდა მოესწროთ მიწის კაშხლის აშენება, ბელახებით უხსლოესი კარიერიდან. მიწის მოტანა, ბულდოზერებით მოსწორება, ტრაქტორებით

დატყენა, წინიდან (ზედა ბიეფის მხრიდან) თიხის ეკრანის ამოყენა-ამოფარება. გამაზღვებულ კაშხალში აქა-იქ ორმოების ამოკრაც უნდა მოესწროთ, მიწის სანოტივე შემომოშებიანთ, კაშხლის ტანი წყალს ხომ არ ატარებდა, ფილტრაცია დადგენილს ხომ არ აჟარებდა, წყალი კენჭებს ხელს ხომ არსად აყოლებდა (რადგან დიდი ნგრევისა და განადგურების ვერავალი ზრახვა ენგურის მიერ სწორედ ენჭების თანდათანობით გამოცლით ხორციელდება).

ზედა ბიეფში მარცხნივ გრძელი დამბის გაკეთებაც უნდა მოესწროთ, ხოლო ქვედა ბიეფში, მარჯვენა სანაპიროზე ქვაყრილის ამოყენა. ეს ქვაყრილის ჯებირი მდინარეს მიმართულებას მისცემდა. წყალი საჭრდენ ქედელს ძირს ველარ გამოულოკავდა, ვერც სამოსახლოებისაგან გამოინავარდებდა, ვეღარც ნამყენებს მოუტანდა ზიანს. რკინის ბადეები მიწაზე უნდა გაეშალათ, ზედ ბელახებით მოზიდული დიდი ქვები წყობისად დაეწყათ, ერთ არშინზე ამოეწუნებინათ, ზევიდანაც რკინის ბადე გადაეფარებინათ, მერე ზედა და ქვედა ბადე ერთმანეთში ჩაეწნათ ისეც ახალი ბადე გაეშალათ და იმეგ წესით გაეკრძელებინათ ჯებირების ავალლება. რკინის ბადეში აზრიგად მოთავსებულ ქვის წყობას წყალი ველარის და აელებდა, ვეღარ ჩამოაშავებდა, რადგან ერთი ქვაც ვერ მოშორდებოდა ადრიდანვე განკუთვნილ ადგალს.

კიდევ...

კიდევ რკინის ფარების მიღება უნდა მოესწროთ ქარხნიდან, სადაც მათი დამზადება იყო დაკეტილი. ის ფარები ადგილზე სასწრაფოდ გადაიზიდათ, ამეე კრანები დემონტაჟებინათ, ფარების კილოებში მორგება და საერთოდ ავკარგაინათა შემოწმებინათ, მერე ჩაეშვით და გასაშვები წყლის რეგულირება ეწარმოებინათ, ხოლო დანარჩენი წყლისათვის ყორეყრილიანი ბეტონის კაშხლის თავზე გადადენის საშუალება მიეცათ.

მშენებლებს გარუდით ყოველივე ამის გაკეთება ორთვენახვევარში — მარტიდან მთისის შუა რიცხებამდე — ენგურის ადიდებამდე კარგა ხნით აღრე იყო გათვალისწინებული. მარტის დასაწყისში მშენებლები მიწის კაშხლისა და მარცხენა დამბის ამოშენებას თადარიგობდნენ—



თუცა დამავიწყდა ის მეკითხა: საერთოდ თუ იცნობდა ენგურჩის სქემას?

სქემისა რა მოგახსენოთ, ისე კი ჩვენში აღარაივნე მეგულეზა, ენგურჩის შესატბორებლად ასაშენებელი კაშხლისათვის თაღოვანი კაშხალი არ ეწოდებანოს. ცოდნით კი ალბათ ნახევარმდე არ იცის, რას ნიშნავს ეს თაღოვანობა.

ვის იცის, რამდენი ასეული წლის განმავლობაში დადიოდა თავის გზით ენგურჩი. შხარასთან სათავედღებულო შუა ზღვას უკლებლოვ აბარებდა თავის ამღერეულ წყალს. ზევით, მთის ორწოხებში ერთი ამბით ბობოქრობდა, ქვევით, კოლხეთის გაშლილ ველზე წარამარა იცვილდა კალპოტს. იქაურობას ხან წალევეით ეშუქრებოდა, ხან დაკაობებოთ სათავედას აქარათავემდე მის სიგრძე ორას კილომეტრს შესაბუნდა, ხოლო ვარდნის სიმაღლე ორნახევარ კილომეტრს აღემატებოდა. მისი წყალუხვობა და ვარდნის დიდი სხვაობა ნახევარ საუუუნეზე მეტია უკეთესი ინჟინრების ყურადღებას იზყრობდა: საბოლოო პროექტის დამუშავება, რომლითაც მისთვის ლავანი უნდა ამოედოთ, ოცი წლის წინათ დაიწყო. ზემაღალი კაშხლის აგება გადაწყუდა ჯვარზუნთან, სადაც მდინარის კალპოტა განსაკუთრებით ღრმა და განსაკუთრებით ვიწროა. კაშხლის დღდამისწავი ჩამორქმული იყო თავის ფორმა აქვს: გეგმაშიაც რკალიეთაა მოხრილი, განივ ჭრილშიაც, ამიტომ კაშხლის ფორმას ორთაღოვანი მრული შეერქვა. სდგურის ამონეექილი ნაწილი ზევით, წყალსაცავისკენა მიმართული, ხოლო ფსკერითა და მხრებით კლდეებს ებჯინება. ასეთი ფორმა იმდენად ადიდებს წინაღობის ძალას, რომ მისი სიგანე (ფსკერთან ოთხმოცი მეტრი, ხოლო შუაწელში დაახლოებით ოცდაათრუმეტრ მეტრი) მის დიდ სიმაღლესთან (ორას სამოცდათრუმეტ ნახევარი მეტრი) მეტისმეტად უმინოვნელოა. ამ ფორმის კაშხალს სიმაღლით ბადლი არა ჰყავს მსოფლიოში.

კაშხლის მიერ შექმნილი წყალსაცავიდან წყალი სადაწყო გვირაბში გადადის. გვირაბის დაღებული ხახა მის დიამეტრს, ცხრანახევარ მეტრს ორჯერ აღემატება, სიგრძე კი თხუთმეტ კილომეტრს უდრის. ექსპლოატაციის დრის გვირაბის აედლების თითოეულმა მეტრმა თექვსმეტი ატმოსფეროს დაწოლას უნდა გადაძლოს. (ეს გვირაბი ენგურჩის სამუდამო დაამლაგ ქვესენელში ისე, რომ მისი ბობოქარი ტოლღებიდან ატყორცნილ ჰავლს მზეზე აელვარება აღარ ეღირსება) გვირაბს წყალი ჯერ მიწისქვეშა გენსადგურში მიჰყავს. (კლდეში გამოთხარბილი დარბაზი, რომლის სიგრძე ასოცდახუთი მეტრია, სიგანე ოცი მეტრი, ხოლო სიმაღლე ორმოცდათი მეტრია), თავის დროზე მარმარბლოთი და სხვა ძვირფასი ქვებით მო-

ბირკეთდება და მრავალი მნახეღის გაოცებულად აღდგროვანებას გამოიწვევს. მაგრამ მაშინ ძნელი წარმოსადგენი იქნება რამდენი დამატებითი გვირაბი და შახტი, რამდენი ამწეს ბაღია და თვითცლელი მანქანა, რამდენი აღამიანის შრომა და ვარჯა დასქირადა ამოდენა და ასეთი სიმაგრის კლდის აუეთქება-გააონგრევის, ამ ნანგრევების გარეთ გამოზიდვას, კედლებების მოსწორებას და მანქანებისა თუ დანადგარების შიგ ჩატანასა და დამონტაჟებას.

მიწისქვეშა გენსადგურიდან წყალი უღაწწო გააყვანი გვირაბით გაღის წყალსაცავში ჩადის. ეს წყალსაცავი შექმნილია მიწის კაშხლითა და დასაშლელი კაშხლით, რომელთანაც მიშენებულა ვარდნილი ჰესი — I. აქაური ტურბინების დატრბილების შემდეგ წყალი ოცდარაკილომეტრიანი არხით შავი ზღვისაკენ მიემართება, მაგრამ გზად კიდევ სამ ელექტროსადგურს ვარდნილ ჰეს — II, ვარდნილ ჰეს — III-სა და ვარდნილ ჰეს IV-ის ტურბინებს დაატრბილებს.

ეს ოთხივე ვარდნილი ჰესები თაღოვან კაშხალთან, გვირაბებთან მიწისქვეშა გენსადგურთან და საერთოდ ენგურჩისს ყველა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პარალელურად უნდა დამთავრებულყო. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ, როცა ჩვენი რესპუბლიკაში ყველა თავის ქეიფზე ირგებოდა, სხვა ნაგებობათა და განსაკუთრებით თაღოვანი კაშხლის მშენებლობის ხარჯზე ამ ჰესების აშენება გადაწყვიტეს, რათა ისინი ექსპლოატაციაში ნაადრევად შეეყვანათ და ხელმძღვანელობისათვის მზა ნაგებობის ჩაბარება ეპატაკებინათ. შესვლით კი შევიდნენ ექსპლოატაციაში, მაგრამ მდინარე ერისწყლის ხარჯი, რომელზედაც დღეს-დღეობით ისინი მუშაობენ, ერთ ყულუბად არა ჰყოფნია. (მდინარე ერისწყალიც შუვი ზღვის შენაკადი იყო. ენგურჩისის პროექტმა მას სადინარბი შეუცვალა და გაღის წყალსაცავის გზას გაუყენა.)

სწორედ ამ ოთხი სადგურის იძლეობითა სიზარმაცემ აიძულა ჰიდროტექნიკოსებ ახალი ვადაწყვეტილება მიეღოთ. სახელოვანი: ვიდრე თაღოვანი კაშხლის მხრებში სამს მეტრზე აზიდულ კლდეებს შეუდღეობდებოდადეს, ვიდრე თხუთმეტკილომეტრიანი გვირაბი თავით ფეხამდე ბეტონით შეიმოსებოდადეს, ვიდრე მიწის ქვეშეთში ჩაკარგული ელექტროსადგური დამთავრებოდადეს და მისი აგრევატბე დამონტაჟდებოდადეს, ვიდრე ეს ყოველივე დასრულდებოდადეს, უკვე ამენებული ოთხი ელექტროსადგური უქმად არ უნდა სცდებოდადეს.

ამ მიზნით ენგურჩის მდინარე ერისწყლის კალპოტში დროებით გადაადგების განჩინება გამოუტანეს. მდინარე ენგურჩის მდინარე ერისწყლის საგაღში გადაადგების პროექტი ინჟინრული თვალ-



საზრისით იმდენად მარტივია, შეიძლება მეტრისმიტად თამადაც კი ჩაითვალოს. სოფელ საბერიოს სიხალოვეს, (იმ ადგილიდან ორიოდ კილომეტრით ზევით, სადაც ერთ ღროს მდინარის გავეხულმა ტალღებმა თარაშ ემხვარი ჩაითრია და დაახრჩია), ახალმა პროექტმა ენგურის სამხარეო კაშხლით ჩაუხერგა გზა და პირი გვერდზე აბრუნებინა.

ფარებიანი კაშხლის (ამ კაშხალმა ფარებით წყლის დონის რეგულირება უნდა აწარმოოს) გასწვრივ აშენდა ყოველილიანი ბეტონის კაშხალი, რომელიც ზედმეტ წყალს საკუთარ თავზე გადაიტარებს, და რომელიც მეორე მხრიდან შეუერთდება ორამეტრის მიწის კაშხალს. ერთ მწკრივში ჩაირეგულირება სხვადასხვა მასალისაგან აშენებული სამი სხვადასხვაგვარი კაშხალი ერთ საქმეს — ენგურის შეტბორვასა და საანგარიშო ხარჯის ასორმოცდაათი კუმბერით წყლის წყალმიმღებში გატარებას ემსახურება. წყალმიმღებიდან წყალი საამისოდ სავანებოდ აშენებულ ნომერ პირველ სადგირავციო არხში ვადლის, შემდეგ ექვსას მეტრისანი გვირაბის გავლით ნომერ ორ არხს მიადგება, ერისწყალს შეუერთდება და გალის წყალსაცავში ჩაიცილება. ამ წყალსაცავის გაწყობლებიანება ოთხივე ელექტროსადგურის სრულ სიმძლავრით აამუშავებს, წელიწადში შეიძლება მილიონ კილოვატსაათს გამოამუშავებინებს და ჩვენს ქვეყანასა თუ მეურნეობას ოცდარვა მილიონი მანეთით გაამდიდრებს. ამ დიდ თანხასთან შედარებით ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ღირებულება, რაც ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე უნდა დაიხარჯოს, იმდენად, მცირეა რომ ეს თამაში პროექტი, ამ ბოლო წლებში აშენებულ ყველა ჰიდროსადგურებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე ადვილ და მომგებიანი ხდება.

მთხზებად მისი ეფექტურობისა, წყალსაცავების მთელ კომპლექსს დროებითი ჰქვია, რადგან თაღოვანი კაშხლის დამთავრების შემდეგ, ენგური, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ჯანაყნთან ჩაიქრება და სადაწნო ხუთმეტრი კილომეტრისანი გვირაბით გემსადგურამდე მივა, საიდანაც ვამყვანი გვირაბი გალის წყალსაცავამდე მიაცილებს. ხოლო მის ძველ კალაოტში (იმ ადგილებში, სადაც ერთ ღროს ენგურის გავეხულმა ტალღებმა თარაშ ემხვარი ჩაითრია და დაახრჩეს) მხოლოდ თაღოვანი კაშხლის თავზე ვადენიებული და ენგურის კასკადისათვის ზედმეტი წყალი ჩაივლის

ასე იყო გათვალისწინებული ნაგებობები. ენგური კი ვადამდე ორი თვით ადრე აღიდა. ისე გაედა, თითქმის საკუთარ დატყვევებას წინ აღუდგა, აჯანყება და წინააღმდეგობის გაწევა გადასწყვიტა, ამ განაჩენის ჩანასახშივე განადგურება მოიწოდინა. ზვედანვე დაიქრე-

ბული წაივინდა. კაშხლის ქვევით აშენებულ საყრდენ კედელს, ბურჯებს, მალეების წინ დადგენილი ბეტონის ვეება კუმბურებს სათამაშოებებით დანგრევა და გატაცება მოუწყვინა. ჯერ კიდევ მარტის ბოლოს დაიჭირა არნახული სიციხეები. სინდიყის წვერი ლამის ოცდაათ გრადუსის სცილდებოდა. ენგურისპირელი დროული კავები ამბობდნენ (რიყის გადაღმა, წარაფებში კოლხური, კობტა ოდები რომ აქვე ჩადგმული) ჩვენი დღე და მოსწრება ამ მდინარეს შევეუბრებთ, ადრე ისიც ყოფილა ზამთარში იმოდენა წყალი მოსულა ორ ბორანს (წყალსაცავებიდან ცოტა მოშორებით, ქვევით მდინარე ორად იტოტებოდა და ზედ ორი ბორანი დადიოდა) სტულობუკერი გადაუყვანათ, მაგრამ ამ ღროს აგრე ვადარეული ჯერ არავის გვიანახავს.

ან როგორ ენახებოდათ. აპრილი ასეთი სიციხეებით ამ უკანასკნელ ას წელიწადში არასოდეს შეიმობრახებულა.

ოთხ აპრილს, ის იყო ისარი რვა საათის დაწყებას აპირებდა, კოლექტორიდან მობრუნებულ გოჯაშვილს (ძალოვანი კვანძის სამმართველოს უფროსი) წყალსაცავებს სათავიდან დაურეკეს, წყალმა აიწიო. მთქმელს სათქმელი არ დამთავრებინა, ტელეფონის მიღებაში ჩხაყუნის ხმა გაისმა.

— ალო, ალო, — ამაოდ უხმობდა წყალსაცავები სამმართველოს. — ქალო, რისთვის ვავთიშე, კაცს საქმეზე ველაპარაკებოდი?! — ხაზის ბოლოში მოლაპარაკე კაცი ტელეფონის ტალს დაეტყა.

— მე როდის ვავთიშეთ, თვითონ დალო ურჩობო.

ყურმილის დადებდან ხუთმეტრე წუთით არ გასულიყო, გოჯაშვილმა ფარებიანი კაშხალთან შეაჩერებინა მანქანა.

ზედა ბიფეს საგანგაშო არაფერი ეტყობოდა რა. გვერდითა დამბებითა და დაუმთავრებელი მიწის კაშხლით შეტბორილო წყალი ვეებერთელა საგებრად ქცეულიყო. მისი თვალუწყვდიელი ზედაპირი მზებზე ნებებობდა, სხივებს მკერდზე იცურებდა, სარკესავით პრალეებდა და თვალს სჭრიდა.

სამმართველოს უფროსმა ხიდის სახელდობელი მთავრიდან ახლა მეორე მხარეს ვადიხება. უფარო მალეში ამობრუნებულ წყალს თვალი ჰკიდა და ელდა ეცა.

გალის კარგში ვაჭედილი ლომებოვით აღრიალებული წყალი საყრდენ კედელსა და ბურჯებს შორი ზაქითა და ხეტქვა-გლეჭით მიემართებოდა. უკანიდან ზღაპრული გოლიათის მიერ ხელნაქრავით შორის ისროდა ნაკადს, ზევით ატყორცნილ შეხვევს ხიდს აცი-

მედეა ზამლიაზვილი
ბატონიკაშვილი მდინარი



ლებდა, შიშალო კლდოდან გადმოვარდნილი ნანჩქერის ძალით მიწას ეხეთქებოდა, ორკუმ-მეტრეიან ბეტონის კუმბურებს მიწაში ფლავდა, აღრმავებდა. ვეებერთელა ორმოებს აჩენდა, მორევივით ბრუნავდა, ტალღას უკან აბრუნებდა, ბურჯებსა და კედლებს ძირს უთხრიდა, აყირავებდა-ამოტრიალებდა მრისხანედ ემუქრებოდა, ძალამიციემული ბობოქრობდა, შფოთავდა, ბუხბუხებდა

სამპარტელოს უფროსმა ტელეფონს მიაშურა.

— მთავარი ინჟინერი მიმოვივთ!

ტელეფონისტმა ერთმანეთს მიყოლებით ოთხ სუბნში ააწყრიბლა ზარი. (სამპარტელო-ში საშუაოს დაწყებას საათზე მეტი უკლდა, მაგრამ ამ დღიაუთენია მთავარ ინჟინრის ძეხნას არავინ გაუკვირებია) ბოლოს მეათე სანკრევში იპოვა.

— სამპარტელოს ყველა ტრანსპორტს გაუკეთეთ სასწრაფო მობილიზაცია. ვალსაც სთხოვეთ დამბარება, ზუგდიდსაც. წყალმა ხიმიანები გაიტაცა, მარჯვენა საყრდენ კედლებს ზურგიდან შემოუარა და ავიარული მდგომარეობა შეექმნა.

რამდენიმე საათის შემდეგ წყალსადების სათავე-ნაგებობა საომარ ფრონტს დამსგავსა. მარცხენა დამბაზე თვითმკლულები ერთმანეთს გზას ცირკში გაწაფული ჯამბაზებივით უგდებდნენ. მძლოლები: გურამ კვარაცხელია, შაქრო ლაჭავაძე, ნუგზარ კოკიაი, დემიანკო და სხვები ქვიშით სავსე მანქანებს კილომეტრებიან დამბაზე დაქაროვებდნენ, ძირებს აყირავებდნენ, ქეშის გორებდა აყოლოვებდნენ. აქ თვითმკლულები გივებოვით დარბოდნენ, მიწის კახალზე კი სახლის ტოლა ბელაზები დარბაის-ქურად იცარიელებდნენ ძარბებს. მერე აქა-იქ დაყროლ ქვიშის გორებს ქვიანველებოვით აფუსფუსებული ბულდოზერები ასწორებდნენ და მძიმე ტრაქტორებს დასატკენად უმზადებდნენ მოედანს.

ღღემ თავეის საზრუნავი პროექტორებით განათებულ ღამეს გაღასცა.

ამ ვეებერთელა მანქანებს ის ბიჭები მართავდნენ, ომი და ფრონტი ეკრანებზე რომ ენახათ ან წიგნებში ამოკითხათ ამაბად, მაგრამ ახლა თვითონ ზუსტად ისე ირჯებოდნენ, როგორც მაშინ მათი კბილა მეომრები.

გამოენიას ტელეფონისტ ქალს ვარდო ფრუიძეს მარცხენა მკლავის გაშლა გაუჭირდა. მთელი ღამე მოხრილ ხელს ყურადან არ მოუშორებია მილი. მთელი ღამე წყალსადების სათავე-ნაგებობიდან მოკლე განკარგულებები გადადიოდა აეტოსატრანსპორტო კანტორაში, მექანიკურ სამაქროში, მექანიზებულ სამპარტელოში, ძალოვანი კვანძის თანაშრომლებსა და ელექტროტექნიკოსების ბინებში.

აქვარი ტელეფონისტებს ვერც ერთი ტექნიკური მღვიანი ან შიკრიკი ვერ შესცვლეს ისედაც მათი მოვალეობის შესრულება არა თანაბდებობს არ შეუძლია მშენებლობაზე. დიდი ხნის მუშაობით შეძენილი გამოცდილებითა და ინტუიციით ყველა ძნელ საქმეში აღვილად ერკვეიან და გარემოებისა მისხდვით ტაქტიანად ირჯებიან. სამპარტელოს უფროსიდან მოყოლებულა, მძლოლამდე ან მექანიკოსამდე, ყველას ადგილ-სამყოფელი იციან და საჭიროების დროს სხვებზე აღრეცენი პოულობენ. პირველები იგებენ და დანიშნულებს მიხედვით ატყობინებენ მიწის-ქვეშა სადგურში სინათლის გამოთქვის გამო უკუნის ჩამოქოლასა თუ გამოსასვლელ გვირაბში ქანების ჩამოშვავებას, მთავარ სამპარტელოში საჭარმოო თათბირის დაწყებასა და კარსტების გამოსარკვევად ჩამოსული გეოფიზიკოსების დაბინავების ამბავს. შეუცდომლად იციან, როდის და როგორ თბექტზე უნდა ეძებონ ძალოვანი კვანძის მთავარი ინჟინერი იფერი მასურამდე ან საცხოვრებელ-კომუნალური განყოფილების გამგე ლენა ფრანკოვილი.

კვირა დალას, გათენიას მარცხენა საყრდენ კედელს ასჯარად შეეცყო ბზარი. შუადღისას ბურჯთან შეუღლების ადგილი გადაიხსნა და ენგურის მძებლობით საძირკველში მიწაგამოკლილა კედელმა დაღლილი კაცივით ჩაიმუხლა.

კარგი თქვით, თორემ ცუდი ამბის გაქორვაგაზვიადებაში უსაქმო ხალხის უძველო ენას წინ რა დაუდებოდა. შუადღისათვის სვირის სანახავად მოსულმა გულგრილმა მაყურებელმა იეაურობა ერთთანად გაავსა. მანქანასა თუ მუშას ერთთავად ფეხებში ედებოდნენ და საქმეს აფერხებდნენ. ერთხანს კი უთმინეს, ეგება ყურებით გული მთიოზონ და თვითონვე გავვეცალენო, მაგრამ რაკი დაატყვეს წასვლას აგვიანებდნენ, მეარმატურებმა და შემდღებლებმა ისე დაუცახანეს, ცხერებოვით გადარეკეს გზის გადაღმა.

მანქანები მარჯვენა ნაპირზე ზედ ფრიალოსთან ამუხრუქებდნენ. ყალყზე შემდგარი ძარბოდან ქვიშით გატენილი ტომარები ვეება სიმალილიდან ერთმანეთის მიყოლებით ტყაბატყუბით ცვიოდა დაბლა. ქვიშის ტომარებით წაქცეული კედლის წინ ზღუდარის ამოშენებას ცდილობდნენ მშენებლები: წყლისათვის საძირკვლის უკანიდან შემოვლის შესაძლებლობის მოსპობას ამედლოვებდნენ.

თურმე ტყუილ-უბრალოდ ირჯებოდნენ. ვინ იცის, რამდენი ასი ტომარა, ქვიშით გატენილი და საგულდაგულოდ თავწყაერილი, ბავშვის ნახშირი ტიკინებოვით ქვევით გაიტაცეს და თამაშ-თამაშით წაიღეს ძალამიციემულმა და გათავზებულმა ტალღებმა.

სანდრო მენაბდემ (პროექტის მთავარი ინჟინერი)

ნერი) ქვიშიანი ტომრები ბეტონის ორკუბმე-
ტრის კუბურებით შეაცვლევინა. ამის გრძე-
ლი მკლავი დაბლა ნება-ნება უშვებდა ევება
კუბურებს და ვანკუთვნილ ადგილზე მორიგე-
ობით ზუსტად აწყობდა. ვავეებული ენგური
კედლისა და კუბურების ვარშემო ტალღებს
მორჩევით ატრიალებდა, დორბლებსა ყრიადა,
მაგრამ დაკლებით ველარას აკლებდა

სამი დღე და სამი ღამე მუხლი არ ჩახე-
რია, ბალიშზე თავი არ მიუღვია, თვალი წაჩი-
თავი არ დაუხუტავს ძალოვანი კვანძის სამპარ-
თველოს უფროსს უშანგე გოჯიშვილს. ყორე-
ყროლიანი კაშხლის წინ ექვსმწკრივად ჩა-
რიგებულ ბეტონის კუბურების ყულუების
შედუღებასაც თვითონა ხელმძღვანელობდა,
ოცდაათონიანი ფარების ჩაშვებასაც თავზე
ედგა, მიწის კაშხლის დატყვინასაც თვალს აღ-
ეკნებდა, დამბის გერანის ამოყვანასაც შორი-
დან უთვალთვალებდა. მისი თვალი და ხე-
ლი ყველაფერს სწვდებოდა, მაგრამ არც სხე-
ბი ისტენდ ვულვადარეფილში.

მთელი სამპართველო ფეხზე იდგა. დასა-
ლებას თითოეულმა მიცხოვრებულმა: ბუღალ-
ტრმა, მხარეთულმა თუ პირის ვაიყილევმა,
ყველა შეუმდარად იცოდა ღამის ორ საათ-
ზე თუ დღის ათ საათზე ჩაველინო წყლის ხა-
რჯის რაოდენობა. გულგახეთქილები შესტყე-
როდნენ ვაგარაკებულ მხეს, რადგან ეს პაპა-
ნაქება მთაში თოვლის დადნობასა და მდინა-
რეში წყლის დონის აწევას იქადნებოდა.

— შენ რაღას ვარუჯულებარ თათარიეთი,
რისი მშველელი ხარ, წყლის ხარჯი პროექტი
ხარჯთაღრიცხვა ხომ არ გეგონა? — სიცოლით
შეკეთხა ვილიცა ინენინერ-ეკონომისტს მიშა
ლომიძეს.

მიშამ ნათქვამი იწყინა.
— მე შინ რა ვაპირებდა, ამოდენა ხალხი
მზეზე იხრტებოდა, ღამის თავში სისხლი ჩა-
ქცეთ. რაკი ინენინერ-ეკონომისტი ვაგებდო,
ალარც ინენინერი ვარ და ალარც საქმეზე უნდა
შემტყოდეს გული?

რალა მიშა ლომიძე და რალა სანდრო მენა-
ბღე, შოთა მეფარიშვილი (მეშა პროექტის
განყოფილების უფროსი) და ნოდარ კუცია
(სამპართველოს ტექნიკური განყოფილების
უფროსი), კვებლ კვიციანი (ავტო-ტრანსპორტის
კანტორის უფროსი) და ალექსანდრე კიანაძე
(მეშა პროექტის ჯგუფის ხელმძღვანელი) და ვინ
იცის კიდევ ვინ ალარ ათენ-ალამებდა წყალსაგ-
დების სათავე ნაგებობასთან. ერთმანეთს ენაცე-
ლებოდნენ, მორიგეობდნენ, კაშხლის ტანის და-
ტყვინას თუ ყორეყროლის ჯგბირის ამოყვანას
თვალყურს ადევნებდნენ, წყლის სიღრმის გასა-
ზომად ჩაშვებულ ლარტყას გაფართოებულ
თვალებით შესტყეროდნენ, ვავეებული ნაყადის
მიერ ბურჯებთან შექმნილ ჰუმბს რეპერტიანი
არმატურის ღებობით ზომავდნენ.

ელექტრონის აწოწილი ბოძები, ზედ ჩამო-
კიდებული ვეებერთელა პროექტორებით, ცალ-
ფეხზე შემდგარი წეროებოვით იდგნენ ზედა ბი-
ვდში. ღამით იქაურობას სინათლესა ჰფენდ-
ნენ, დღისით ნუგეშს იძლეოდნენ. რაკი ისი-
ნი მხნობდნენ, გულს შიში არ უნდა მიკა-
რებოდა თითქოს. პირველ ბოძს ადიდებდნენ
სწორედ კვირის თავზე მოეკვეთა ფეხი. ჯერ
ოდნავ შეტორტმანდა, მერე წინ გადმოიხარა
და მოულოდნელად ვაადინა წყალში ზღირთი-
ნი. ზედ მიბმული მავთულეები სისინითა და
ზრიალით დაწყვიტა, პაერში აასავსავა და
მორევილი სკენდ ვაიყოლა.

მაშინვე დადუმდნენ დენით მკვებავი მიწის-
მთხრელი მანქანები, კალაპოტიდან ამოდებუ-
ლი შლამითა და ღორღით რომ ავაგებდნენ
მარჯვენა ნაპირს. მიწის მთელი ნაგებობანი
წარეხებისა და დანაგვივის რეალური საშობრო-
ების წინაშე აღმოჩნდნენ. აუცილებელი ვახ-
და ამ ვეება ექსკავატორისათვის (ე-2315.
ჩამოს მოცულობა 2,5 კვადრატული მეტრი).
ელექტროენერჯის სასწრაფო და გადაუღებე-
ლი მიწოდება.

ორ ნაპირს შორის ვავეებული მდინარე
ბობოქრობდა. მავთულდაწყვიტოლ ანქებს ჯერ
მორევეთ ატრიალებდა, მერე ქვევით მიქანე-
ბდა. საპაერო კევირით დაირღვა. ტელეფონე-
ბი დადუმდნენ. იქით დარჩენილთა ხელების
ქნევს აქეთურები უმწეო ფართრით პასუხობ-
დნენ, მაგრამ ერთმანეთს ველარაფერს აგე-
ბინებდნენ.

საიდანაც რაკია გაჩნდა.
— არცხენავ, მარცხენავ, მისმენ? მე მარ-
ჯვენა ვარ. კაშხალი და დამბა ჯერ-ჯერობით
ბულღოზერით დატკენნეთ და ვააპარეთ. ელექ-
ტროზომის სასწრაფო აღდგენა ენერგეტიკო-
სებსა და წყალსაგდების სათავეს სამუშაოთა
მწარმოებლებს დაევალათ... ალო... ალო... მარ-
ცხენავ მისმენ?

— მარჯვენავ, მარცხენავ ნაპირი ვისმენს, მა-
რჯენავ...

თორმეტ აპრილს კოკისპირულად წვიმდა. ცხს
საცერი გვერდზე ვადადეთ. პირდაპირ ვედრო-
ებიდან ასხამდა წყალს. ადიდებული ენგური
ყორეყროლიან ბეტონის კაშხალზე ვადადიოდა.
კაშხლის თავზე ვადასული წყლის სიმაღლე
მეტრს აპარებდა. რკინის კიბით სწორედ ამ
კაშხალზე ჩამოდიოდა ერთმანეთზე თოკით ვა-
დაბმული ექვსი კაცი. მოაჟირს ჩაფერენლები
ნელ-ნელა დაბლაურდებოდნენ. პირველს სა-
ფეხურები არ ჩათავებინა, ყინულივით ცივი
წყალი ფეხებს გველივით შემოესალტა. მერე
წელი და მკერდიც მონახა. თოკით ვადაბმუ-
ლთა შორის პირველმა ბეტონზე ვადაინაცლა.

მედაზ შავლიაშვილი
ბასურბიშვილი მდინარი



რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, დნარჩენებს გზა მისცა. გულმოსული წყალი ექვს წყვილ მუხლს ზათქითა და ხათქუნით მიეძალა, წამოაოქებდა და ჩათრევა დაუპირა. თოკის მეორე ბოლო ნაბიჯზე დარჩენილების სიამედო ხელებს ეჭირა. ექვსი ვაგულადებული ბრძნული სიფრთხილით წინ მიიწედა. თითოეულ ნაბიჯს ზომავდა, ერთ ფეხს კარგად იკიდებდა, მეორეს მერე და სწევტდა ადგალს. მებრახან წყალს მკერდით მიაობდა, მკლავებს იშველიებდა, წონასწორობას ძლივსძლივობით ინარჩუნებდა. წუთი საათს უტოლდებოდა, ორასიოდე მებრახი (ყორეყრილიანი ბეტონის კაშხლის სიგრძე) გაუთავებელ მანძილად ეჩვეებოდათ.

მარჯვენა ნაბიჯი წასვლების ზურგს მისჩერებოდა. მარჯვენა მათი სახეების გაცხევენს ცდილობდა. როცა თოკით გადაბმულმა ექვსმა კაცმა მეორე ნაბიჯზე ასასვლელ კიბებს მიადწია შეგუბებულ ოხვრას აღტაცების ვაშა ორივე ნაბიჯმა ერთდროულად მიაცოლა. კაცის კიბეზე ფეხიც არ შეუდგამით. თოკი დეათრეის, ზემოდან ჩამოშვებული მავთულის წვერი ბოლოში გამობებს, ზურგისაკენ შემობრუნდნენ და ისეთივე სიფრთხილით წამოვიდნენ უკან.

იმ დღეს სამჯერ გადალახეს დორბლორეული ენგური. ნაბიჯ-ნაბიჯ ვავიდნენ და გამოვიდნენ, ელექტრო ხაზის სამი წვერი სითათოდ გამოიტანეს, იმ თავსხმავი თავდაუზოგავად იმუშავეს, დაწვეტილი მავთულები დაჭიმეს, ელექტრო ექსკავატორი აამუშავეს, კავშირი დაამყარეს, დაღუმებული ტელეფონი ახამინეს, ხალხი აღფრთოვანეს და ენგურზე გამარჯვების რწმენა განუშტკიცეს. ის, რაც ორი კვირის შემდეგ ბრძანებულ ჩამოყალიბდა, იმ სილამოს გადაწყდა და დადგინდა:

... ა. წ. თორმეტსა და ცამეტ აბრილს წყალსაგდები ობიექტის მარცხენა ნაბიჯის საავარიო სიტუაციის ლიკვიდაციის საქმეში თავგანწირული შრომისათვის მადლობა გამოცხადოთ და ფულადი ჯილდო გადაეცეთ შემდეგ ახსნაგებს:

1. რობაშჩუკ დ. მ. — მთავარ საენერგეტიკო განყოფილების ბრიგადირს.
2. ჩანლიძეს ი. გ. — მთავარ საენერგეტიკო განყოფილების ელექტრიკს.
3. ჩემინოვს ა. კ. — მთავარ საენერგეტიკო განყოფილების ელექტრიკს.
4. შამუგიას ი. გ. — ძილოვანი კვანძის მთავარ ენერგეტიკოსს.
5. გაბინაშვილს ო. ნ. — წყალსაგდების სითავე-ნაგებობათა სამუშაოთა მწარმოებელს.
6. კვარაცხელიას გ. გ. — წყალსაგდები ობი-

ექტის ელექტრიკს. ენგურპის ძილოვანი კვანძის სამმართველოს უფროსი უ. გოჯიაშვილი“.

ათ დღეს ვაგრძელდა ენგურთან გაფორმებული ომი. ათი დღე ფრონტს დამსგავსებულ ამ უბანს არც დღე და არც ღამე მოსვენება არ ღირსებია, სულის მოთქმა არ დასცლებია, ოფლის მოსაწმენდად არ მოუცლია. ოცეუ მებრახი პრაქტიკური დამესაც დღეს ამსგავსებდატელეფონს არც დალა გაეგებოდა, არც საღამო. ერთთავად წყრალი გაჭრინდა. წყალსაგდების საყარაულო კომპი ოჯიაშვილისათვის სამუშაო კაბინეტადაც იქცა, სასადლოდაც, საწოლ ოთახადაც. მთელ უბანს აქედან ხელმძღვანელობდა, მითითებებს იძლეოდა, დაბრკოლებების მიზეზს ირყევდა.

ათმა დღემ ნამდვილ მეომრებად აქცია ეს ხალხი, ოჯხი და ცოლ-შვილი დაიფიყა და ორი თვის საკეთებელი ერთბაშად გააკეთებინა. მიწის კაშხალად საპრაქტიკო ნიშნულამდე აამულურებინა, ზედა ბიეფის დამბაც დაატებინა, ქვედა ბიეფის ყორეყრილის ჭებორიკ ამოაშენებინა, შექცეული კედლის ირგვლოვ კუბურები შემოაწყობინა, ბეტონის კაშხლის წინ ისეთივე კუბურები ერთმანეთზე ოცმილი-მეტრითი არამეტრის ყულფებით გადაამყვინა, პირველ მალში ოცდაათონიანი ფარი ამწყურანით ჩააშენებინა.

სათქმელად ადვილია ამწე მექანიზმების გარეშე „ფარის ჩაშვება“. მხოლოდ საქმეში კარგად ჩახედული მიხვდება რა ძნელი და სახლფართო საქმეა, როცა ორი სხვადასხვაგვარი ამწე ჯიანი ერთდროულად უშვებს ოცდაათონიან რკინის ფარს. უშველელყო კრანებით უშველებელ ფარს ეჭიდები და მესაათისა თუ იუველირის სიზუსტე კი გჭირდება. ფარი კილოში ისე მჭიდროდ უნდა იჯდეს, წყალმა ვერსად იპოვოს სავალი. ჩაშვებისას გვერდების ორიოდ სანტიმეტრით მეტნაკლებად აწევა-დაწევა ფარს აგვერდელაგებს, კილოში შედგას და აღარც ზევით უშვებს, აღარც ქვევით. ამრიგად დაფერდებული წყალს ხომ ატარებს და ატარებს, ზედა ბიეფის დაწოლა კილოსაც გამოწვრევით ემუქრება. სხვადასხვა ამწე კრანების საშუალებით ჩაფრენილი ორი სხვადასხვა კაცი, სხვადასხვაგვარი რეაქტიითა და ნერვიული დაძაბულობით სავსებით ერთდროულად და ერთნაირად უნდა მოქმედებდეს.

მარჯვენა მალში პირველი ფარი იოლად ჩაქდა. მეორემა და მესამემ კი კარგა ხანს აწურებინეს ოფლი მემონტაჟეებს. ვინ იცის, რამდენჯერ დაირბდნენ, საყრდენებად გადებული ორტესებრი კოჭები ჩაღუნეს. კინაღამ კაშხლის კილოები ვაგლიყვნ. აღამიანებმა თავისი ვიტანეს მაინც და გაურჩებელი მდინარე ვახედნილი ცხენივით მათ მიერ გაკვალულ და მიჩნეულ კალაპოტს გაუყენეს!

ახსნა
განსჯა

ნათობენ თუმცა...

მთელს ცაზე შენ ხარ, მაგრამ მერე რა?! —
რაკი ახლოს ხარ, თვალს ატყუებ,
დიდი ჩანხარ,
ჩემო ვენერა!

ათავის დიდნი სამყაროში ნათების ძალით
ოდნავ თუ ბჭუტვენ
ან, სიშორის თვისისა გამო,
ვერ იხილვიან
მოკვდავის თვალთ!

ესრეთ -- პოეტნიც ჭეშმარიტნი!
შორ ვარსკვლავთ ჰგვანან!
ღირსებით თვისით უღირსთ უკან რაკი შორს ღვანან,
ნათობენ თუმცა, — ნაკლებად ჩანან!

• • •
ეთვლიდი ვარსკვლავებს,
ჩემთვის წყნარად ვვლიდი ღრუებით —
საესეა ცა და დედამიწა
მატყუარა სიდიდეებით!

ვიღვიძებ: სარკმლით ტყე მოჩანს,
ჰგავს წვიმა ათას ცხენოსანს,
ათიათასი ცხენოსნის
ჩორთით სოფელში შემოსვლას.
არ გაისვლება რიყეში,
გზებზეც წითელი წებოა,
დღესაც ვზი ამ ჩემს ციხეში,
მაგრამ ბალიშქვეშ რემბოა,
სკამზე ხილია ტყეური,
იქვე, — ხელმარუდის, ნაძრახის, —
წივნი პოეტის დეთიურის,
ხელმოცარული ყაჩაღის:
„მე ვარ ფრანსუა, ჭირს ველი,
ჩემი მზე მალე ჩავა —

ხვალე შეიტყობს კისერი,
რასაც იწონის ვავა...“
ვფურცლავ ფრანსუა ვიიონს,
პოეტი — მილიონია,
ეს ერთი მიჯობს მილიონს —
ჩემი ძმა ვიიონია.
მაგრამ წვიმს, სარკმლით ტყე მოჩანს,
ჰგავს წვიმა ათას ცხენოსანს,
ათიათასი ცხენოსნის
ჩორთით სოფელში შემოსვლას.
წვიმს. ვწევარ. ელავს. წამიც და,
შეჰყეფენ კატაპულტები...
გავებუტები ამინდს და
კედლისკენ გადავბრუნდები.

რ თ ვ ე ლ ი

შენ ფეხებს გბანდნენ,
 შენ თავს გადგა ცოლ-შვილი ლამპით,
 დაცული ჰქონდა,
 ჯერჯერობით, საჩქეფურს ნეშო;
 გაძვალულ ფენის
 დაგჭმუჭვნოდა თითები ჯაფით...
 რა მოწიწებით,
 რა სინაზით, რა დიდის ამბით,
 რა ზარზეიმით
 გამზადებდნენ
 ხაპისთვის, ბესო!!!

შენ ხაპში იდექ!
 ტკბილი სისხლი მოსჩქეფდა ხაპით,
 შენ მოწყენით თქვი:
 — ვერ ვარგიყო ვენახი წელსო!..
 რა მოწიწებით,
 რა სიამით, რა დიდის ამბით
 ყურძენს სრესდი და
 ჩვენ მიგვქონდა ქვეკერისკენ ჩაფით —
 წითელი გქონდა
 ეგ ბებერი
 ფენები, ბესო!!!

. . .
 ლეკი —
 ისე არ ემზადება — ნამაზისათვის,
 ფრანგი —
 ისე არ ემზადება — ლამაზისათვის,
 არცა —
 მავანი და მავანი — ვერცხლის თვლისათვის,
 როგორც —
 ქართველი გლეხი — რთვლისათვის!!!

მთელ საათს გიტრიალა — შენ ფუტკარს არ ერჩი,
 შენ შელლის კითხულობდი, მით უფრო არ ერჩოდი;
 ათასი სურნელი დიოდა ჰაერში,
 ათას შემოდგომის ფერთან ალერსობდი...

ანაზღად დაგნესტრა, შენ ხელი იტაცე,
 მოკკალ უნებურად და წყენით უთხარი:
 — „ღმერთმა გაგვიკითხოს!“ — ძირს ეგდო მიწაზე —
 ეს იყო კრაზანა
 და არა ფუტკარი!

გავზარდოთ ადამიანი!

შეუბრალებლად გავწაღდოთ
ტყისკაცი ცხრათავიანი,
შევიწყნართ და გავრანდოთ,
გავზარდოთ ადამიანი!

შანთით ამოწვავთ ფარული
ქვენაგრძნობანი ტყიური!
დავთრგუნოთ კანიბალური,
ვანთით და ვწვართოთ ღვთიური!

მაგრამ რით, როგორ? არც ჯვარცმით,
ბადრაგით, ანუ დილეგით,
არც როზგით, არცა მათრახით,
და პოეზიით — პირიქით!

ხელმწიფე წუროთვის უნდების,
ვერ იქმს — ძალს ოდენ ჰმონებენ!
მონა არ გაიწურთების,
ვწურთავეთო, ესრეთ ჰგონებენ!

ღის პოეზია უხსოვარ
ღროდან ევფრატით, ნილოსით
და ჟღერს: — ოჰ, ჩანგო, კაცთათვის
უფლისა მიმართ ეილოცოთ!

მაშ, ჩანგით ვშანთით ფარული
ქვენაგრძნობანი ტყიური,
დავთრგუნოთ კანიბალური,
ვანთით და ვწვართოთ ღვთიური!

ადამიანად გავწაღდოთ
ტყისკაცი ცხრათავიანი!
შევიწყალოთ და გავრანდოთ,
გავზარდოთ ადამიანი!

ზამთარია ზღაპრული,
ზამთარია რუსული:
ისმის თოვლის ჭყაპუნნი,
ქარაშოტის გაბმული
ზუზუნნი...

იფურთხება ზამთარი,
მაინც, ჯიში მუშური
მოაბიჯებს ამტანი, —
არ აშინებს აედარი,
არ სჩვევია წუწუნი.

მარტო ყურჩამოყრილი
ცხელ სამხრეთის შეილები
გორკის ქუჩას, მოხრილნი,
ყინვით გულჩაბოლმდნი,
მოჰყევიან გინებით...

ხოლო კრემლი ამაღამ
ჩანჩახებს და არ ცხრება;
რეკს საათი ხმამალა
და გვაუწყებს ამაყად
ათას ცხრაას სამოცდა-
მეთექვსმეტის დაწყებას.

სირცხვილი ჩვენი! — აღარც „რაშოვრა“,
აღარც „ქვედრულა“ მწველი, მდაღველი!
მომარბენინეთ ყურძნის საშოვრად,
მომამათხოვრეთ მთელი თაკვერი!

მე მოვიტანე ყურძენი ტონა,
სახლიკაცები შევერთდით ძმურად,
გავყავით ტოლად, გავყავით სწორად
და უსინდისოდ სხვის ყურძენს ვწურავთ.

გააქვს ჩნრიალი ძველი ხაპიდან
ლენხუმურ ყურძენს რაჭაში ნაწურს.
ძველი დიდება ჩვენი გაფრინდა,
ჩრდილი მოაღვა ხეობებს რაჭულს.

სირცხვილი — ჩვენგნით არგასამხელი!
სირცხვილი — ჩვენი დამამხობელი!
აღარც ვენახი! აღარც ნამყენი!
აღარც მყნობელი! აღარც სოფელი!

აქ სახელები მახსოვს კაცების —
ოლონგრიალა და აზამბურა...
არ მაქვს მიზეზი მე აღტაცების,
დღეს ისევე მოჩანს ხალხი ჭამპურა.

ეს თავმჯდომარე მიყურებს ელმად,
არც ხნავს და არც სხლავს,
არც რამე მოჰყავს,
შვიდი სოფელი გვიქცია ფერმად —
დააკინკილებს ასიოდ ძროხას.

ამ ჩემი ბრძოლით, ამ ჩხუბით, დავით,
ამ ჩემი სოფლით, ამ ჩემი მთებით
მე მოვაძულე ქვეყანას თავი
და დავიღალე ამდენი ყეფით.

მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა
ამ ყრუ ხეობის დაღვება თავზე,
ჩემს წიგნს ჩახედება ბავშვიც პატარა,
მოვა ქართველი და იტყვის ასე:

— ვისი ლეჩხუმი და რისი რაჭა!
რისი სვანურ-ლაჭანურ-მეგრული!
მას საქართველოს ოცნება დარჩა —
უხვის, ძლიერის, მუშტად შეკრულის...

ამას რომ წერდა, ზამთარი იყო,
აგდარი იყო სითბორეული,
მთაში ამინდი წამხდარი იყო —
მართალი იყო, მართალი იყო,
მართალი იყო
ის ცხონებული!

ზ ლ ჰ ა

გეგონება

ეს ზღვა საღლაც მილიოდეს,
გზას ადგეს და
შიში ჰქონდეს ბინდის —
კი არ მიდის,
ადგილს ტკეპნის, მიდი-მოდის,
არცა ღვას და
არცა საით მიდის...

ესრეთ მე ვარ —
ძმა დაბმული სივრცის...
ქშუის, ჰემუის,
რაღაც დიდი სწყენია,
არაფერი
არ გამოვა, იცის,
და, ვეების,
გაჩერება სცხვენია.

ჩვენ რომ ჩანგები გვივარდა,
ჩვენ რომ ჩანგებით ვაგშტერდით,
სუყველა თვალებს მიჰბარდა,
სუყველა წარსულს მიჰბარდა
აღარ წკრიალებს არცერთი...

ვწუხთ, ჩვენს შემდგომად მოსული
ვრმა, მყოობადის სახელით,
მადლობის გომნობით მოცული,
თუ იტყვის მსგავსი ნაღველით:
— აღასრულეთ და წახველით!

დორნიკ-პაემში,

ფრანკფურტის ახლოს,

მე ვიგრძენ უცხად, —

ღმერთი მწყალობდა:

მზემ სხივი სტეორცნა

წყალგაღმა მადლობს,

მწიფდა ბალი და

შაშვი გალობდა...

მე გაეინარე

მაინზე ბლობით,

შორს, შორ უცხოეთს

ბლობას დასწრებით,

გული ამეკსო

უცნაურ გრძნობით

და განვიმსჭვალე

წრფელი აზრებით.

ეთქვი: სძინავს ჯერეთ

ჩემს ზარმაც ოტელს,

პაწია ფერმას

არ სძინავს გაღმა,

იქ კაცი მოჩანს, —

შეერგოს, კქონდეს, —

თვალი მომტაცა

მოვლილმა ბაღმა.

მოვიჩხრიკე და

გავხარჯე მერმე

რაც გერმანული

სიტყვა მებადა:

— გუტენ ტაგ, ბიძავ! —

გავძახე ფერმერს —

ის კაცი მესერს

ცისფრად ღებავდა.

და შემობრუნდა

მონუტი ცქაფად,

უცნოს საღამი

არ გამიწბილა,

„სიდან ვარ, ვინ ვარ?!“ —

მომიძრო შლაპა,

თვალი ჩამიკრა

და გამიცინა.

„ეგ სულ ერთია,

მენდე, ვინცა ვარ,

სხვისი სიკეთე

ჩემს გულს ახარებს,

ვზუთნავ გოეთეს,
სინდისს ვფიცავარ,
არ ვწუნობ თქვენსას
ჭრელ-ჭრულ მანქანებს;

თუმც გადმიხდია
ბრძოლები დიდი,
სისხლში მოეთხერიღვარ
და მიბრძოლია,

მე არ დამიდევს
ლილაკზე თითი,
შენი ფერმისთვის
არ მისრულია“...

ეს, რა თქმა უნდა,
სიტყვით არ მითქვამს,
ჩემთვის, ქართულად,
გულში გავივლევ;

— სალუტ! — შიგ გულში
ბურთი დამირტყა,
— სალუტ! — გამოღმით
მივეყვავილე.

რამ გამახსენა
ამჯერად ბურთი?! —
კაცმა ღიმილით
გზა დამილოცა,

თითქოს ამბობდა:
არ ჩანნარ ცული,
კაი კაცი ხარ,
ვინც ხარ, შევილოსა!

ძმობის, სიკეთის
ამდენ ნერგისგან
ინარა გულმა
და გამახარა.

ჰაიდელბერგისკენ,
ჰაიდელბერგისკენ,
ჰაიდელბერგისკენ
ჰქროლა მანქანა.

სუფევდა ირგვლივ
ყოფნის ეშხი და
ძმურ სიყვარულში
ბევრჯერ ჩავები.

ოქ იყო ჩვენთან
მიშა მესხი და
ოქ იყვნენ ჩვენთან
ჯეჯელავეები.

ვველგან ვაყანი,
ვველგან გნიასი,
(საქმეს ნათელი
მოუფინოთ ბოლოს!),

ჩვენ ვესწრებოდით
გერმანიაში
იმ წელს ფენბურთის
მსოფლიო ფორუმს.
მას შემდეგ წყალმა
იღინა ბევრმა,
რა, რა არ ვნახეთ,
და დღესაც მასსოვს:
ლორნიკ-პაემთან
პაწია ფერმა,
ლორნიკ-პაემი
ფრანკფურტის ახლოს!

აფხაზეთზე
ამ კაცს თვალი უჭირავს —
ეს კაცია,
აღბათ, თურქის თემის...
და მე ვყვირი:
— ჩემს სისხლს დალევს უწინამც! —
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

როსმე „არგო“
(სხვა ხომალდი გუშინაც!)
მოაპობდა
ზეირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი:
— მკვლარსა მნახვენ უწინამც! —
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

ზღვაო პონტის!
რიფებს მაღაე უჩინარს —
ბრაერთის
ზედ მიემსხვრა ვემი...
და მე ვყვირი:
— ოჰ, უწინამც! უწინამც! —
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

რით, რით შენდება ლექსი?

იღებ პაწია სიტყვას,
 ვთქვათ, მაგალითად, „ღღოს“,
 არ გვალოდინებ დიდხანს,
 ზედ მიაართმავ „ხეორს“.
 ღღო — ძნა გახლავს პურის,
 ხეორი — მდინარეა.
 მთები — ნისლეზმა ჰბურეს,
 ტირიფი — მტირალია...
 დახედავ ჯაფით ნაწერს,
 სიტყვის, მუსიკის ძგერას —
 არც რასმე ნათელს აჩენს,
 არცრას გინათებს ბნელას.
 რომც მიაცივდე მთელ ღღეს
 სიტყვის ქარვას და მარჯანს,
 ჰყრია თლილი ქვაც, ხე-ტყვეც,
 შენობად — ქონიც არ ჩანს!
 რით, რით თენდება ბნელი,
 რა ჯადოა რომ ბნელში
 ცის კიბეებით მსვლელი
 უცბად ბრწყინდება ლექსი?!
 არა! არც ოდენ სიტყვით,
 სიტყვის სიტყვასთან მიდგომით!
 არცა მუსიკით ახლით,
 მძაფრი რითმით და რიტმით!
 არა! არც ოდენ აზრით!
 არა! არც ოდენ ბრძნობით!
 ლექსი შენდება არცრით,
 უპირველესად — გრძნობით!
 ან — მწუხარების ზაფრით!
 ან — ხიხარულის ელდით!
 ან — სიყვარულით მძაფრით!
 ან — სიძულვილით მკვეთრით!
 ან — თავგანწირვის რისკით!
 ან — სინანულის ღვენით!
 ბოღმით, ზიზღით და რისხვით —
 გრძნობით, ერთით და ერთით!..
 მასწავლებლებსაც ვკითხვთ
 და ჩვენც ვიკვლიეთ წლობით:
 — გრძნობით! და მერმე სიტყვით!
 გრძნობით!
 გრძნობით და გრძნობით!



ქ. მარჯნ ს. ს. ხ. საქ. სსრ
 სახელმწიფო რ. სტუმბლიც
 ბეჭდვით № 2

ოთარ ჭილაკა

ყოველგან ჩემგან გარეშე...

რთმბნო

12

რა თქმა უნდა, აჯობებდა, არ დახვედროდა, გაესწრო, გაელწია, რაც შეიძლება, შორს გადახვეწილიყო ამ დასაქცევი სახლიდან, როგორც მისი ძმები მოიქცნენ, მაგრამ ისინი ბიჭები იყვნენ, თანაც უფროსები, და უკეთესად აუღეს ალლო ოჯახში დატრიალებულ უბედურებას, ის კი — შეეწირა, ხელში შერჩა, პატარა და სულელი, თანაც ქალი, და ამის მერე ასე იქნებოდა სულ, რაც გუშინ ვერ გაბედა, იმას ვერც ხვალ გაბედავდა, ხვალ უფრო გაუჭირდებოდა, რადგან ხვალამდე უფრო ღრმად ჩაეფლობოდა ქაობში. სარდიონისთვის არ უკოცნია, მაგრამ იმავე დამეს დაესიზმრა, როგორ აკოცა და თვითონაც როგორ ჩამოეწუწა მოწითალო დორბლი ტუჩებზე. ახლავე მოგბანო, ამშვიდებდა ალათია და ვითომ წყაროსკენ მიყავდა იგი. ვითომ წყარო ვითომ ახლოს იყო, ყურებში ედგა მისი ჩხრიალი, მაგრამ ისე გაეღვიძა, ვერ იქნა და ვერ მიაღწია ვითომ წყარომდე და ვითომ დორბლიანი ტუჩები ვითომ მოუბანელი დარჩა. ახლა სხვა რა გზა ჰქონ-

და, უნდა მოეთმინა უჩვეულოდ აცუნდრუკებული და გაყოყორებული მამაც, გალახული ძაღლის თვალეზით რომ გამოხედავდა ხოლმე მოულოდნელად, დოლის გაუთავებელი ბაგაბუგიც და მარად თმადაუვარცხნელი, მარად დასაწოლად გამზადებული დედაკაციც, ნახევრად ბნელ ოთახებში ერთნაირად. ერთ ხმაზე რომ დაატყაბუნებდა ფლოსტებსაც და უკვე სიბერეგამჯდარ ძუძუებს. ცოცხი და აქანდაზი კი არ მიაჩნია იმან ხელში, როგორც ზღაპრებში წერია, გომურში კი არ გაატანინა ლოგინი შეუძლებელის შესრულება კი არ დაავალა, კამფეტი გადააყარა თავზე, იმდენი კამფეტი გადააყარა, ფეხებითა ჰყუღტდნენ და მერე, მთელი კვირა, დანის პირით ფხეკდა ალათია იატაკს; ჩემი შვილი გვობიაო, კი არ უთხრა, როგორც ზღაპრებში ვუბნებიან დედინაცვლები გერებს, ლოყები დაუკოცნა, გულში ჩაიხუტა, მაგრამ შვილზე საყვარელი გერივით კი არა, არასოდეს რომ არ ენახა იქამდე, არამედ — ძველისძველი, დიღისის უნახავი და მონატრებული დობილივით. მესაიდუმლოება შესთავაზა და არა დედაშვილობა. ყველაფერს გაგიგებ და ყველაფერში მოგეხმარებო,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11, 12.

ყურში უთხრა, კოცნის დროს, სხვებსაც რომ არ გაეგოთ, რადგან ყველანი კი არა, მარტო ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეგობრები. სხვაც ბევრი უთხრა, ბევრის თქმა მოასწრო გაცნობისთანავე, მაგრამ ანეტას, ცხადად და საფუძვლიანად, მხოლოდ ტკბილი, გულსამრევად ტკბილი სურნელი დამახსოვრდა, რომლითაც ის უცხო დედაკაცი იყო გაუღწეოთილი. „ყველა ქალი ერთნაირია და ამიტომ ქალებში უფროს-უმცროსობა არ არსებობს“ — უთხრა იმ დედაკაცმა და ბაბუაწვევრას ბუსუსოვანი თავივით, სულის ერთი შეხებრვით გაუქრო ის წმინდა და გულუბრყვილო წარმოდგენა სიყვარულზე, ცოლქმრობაზე, რაც ზღაპრებიდან და დედა-ვადის ნალაპარაკებიდან შეეკოწიწებინა ანეტას. სამაგიეროდ, უსვენდისოდ, უმნიშვნელოდ მოკლე დროში, ისეთ საიდუმლოებს აზიარა, დროთა განმავლობაში, თანდათანობით რომ უნდა ჩაწვდომოდა ანეტა, თუმცა არაფერი დაშავდებოდა, თუკი საერთოდ არ ეცოდინებოდა მათ შესახებ. ქალისა და კაცის ურთიერთობა, რაც იქამდე ისეთივე ბუნებრივი საოცრება იყო ანეტასთვის, როგორც ხის აყვავება და ნაყოფის გამოტანა, არაბუნებრივი აუცილებლობის ციგსა და ამაზრზენ ბურუსში გაეხვია. გრძნობდა, როგორ იბურძგნებოდა მის არსებაში რაღაც უხამსი, ქინიანი, დაუნდობელი, როგორც კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა, და სუნთქვაშეკრული, ზიზღნარევი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, ამოწმებდა, ათვლიერებდა საკუთარ სხეულს, არამედ ცხოვრებისგან გარყვნილი დედაკაცის გამოცდილებებით წაბიწულს. კიდევ კარგი, დამე რომ არსებობდა, დამდამობით მაინც რომ არ იყვნენ ერთად, თუმცა ის დამეებიც ტანჯვის დამეები იყო ანეტასთვის. ჩაბნელებული სახლი დედინაცვლის ვნებიანი ხითხითითა და მამის ხრინწიანი ჩურჩულით ივსებოდა. ის კი, ცხედარვით გამოტილი იწვა სიქალწულის სარეცელზე, დედინაცვლის ხითხითითა და

მამის ხრინწიანი ჩურჩულით გაუბატიურებული, დათრგუნული, მძაფრად, მტკივნეული მღელვარებით განმცდელი ყოველგვარი შეხებისა და ასევე მძაფრად, ასევე მტკივნეული მღელვარებით აღმქველი ჩვეულებრივი, დამეული ზრდილისა თუ ჩქამისა. „იციან, რომ ვიტანჯები... უნდათ, რომ ვიტანჯებოდე“ — ფიქრობდა იგი და როდის-როდის გადათეთრდებოდა ხოლმე სარკველი. „ალათია, ალათია“ — აყვირდებოდა ქაიხოსრო, მერე დოლი აბავუნდებოდა და ანეტაც იძულებული იყო, კიდევ ერთხელ ამდგარიყო, კიდევ ერთხელ ჩაეცვა, კიდევ ერთხელ დაეხანა ხელპირი და კიდევ ერთხელ მიჯდომოდა მაგიდას ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, როგორც მათიანი, მათი მსგავსი, მათი განუყოფელი ნაწილი.

— მოიწმინდე პირი, შე სასიკვდილო. — ყვიროდა დუსა.

მაგრამ იმას კი არ აქცევდა ყურადღებას, შეასრულებდა თუ არა უტვინო სარდიონი მის ბრძანებას, ანეტას შესცქეროდა, შემწყყნარებლად მომდიმარი, როგორც მასწავლებელი მოწაფეს. ანეტა კი, მობუზული იჯდა, შემკრთალი და გადაფითრებული, თითქოს სადაცაა გული უნდა აერიოსო. ანეტა გრძნობდა, რომ იღუპებოდა, იმ სითამამის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, ალათისთან საუბრისას რომ ეუფლებოდა ადრე. ეტყობა, მარტო ალათისთან ჰქონდა დიდი გული, რადგან დარწმუნებული იყო, ალათის უყვარდა იგი და არა მარტო გაუგებდა, არამედ აბატიებდა კიდევ ამ სითამამეს. ახლა ალათისაც ვეღარ ხედავდა წესიერად. მოწითალო დორბლსა და გულისამრევად ტკბილ სუნს ამოეგესო ყველა კუთხე-კუნჭული, სადაც ალათისთან განმარტოება და თავისი გულის წუხილის გაზიარება შეეძლებოდა. ალათია სადღაც, მისი მონუსხული არსების გარეთ დაფარფატებდა და ათასში ერთხელ თუ წააწყდებოდა გაჩენის

ოთარ ბილაძე
ყოველმან ჩიხან აკოვნელმან...



დღიდან ნაცნობსა და საყვარელ სახეს, უსაშველოდ დაბერებულს, უსაშველოდ დაბნეულსა და მიტოვებულს. სამაგიეროდ, დუსა ყველგან იყო, მოშილიფებული, მკერდმოღეღილი, ყელ-კისერდალაქული, დაფორაჯებული ანეტას მამის ვნებით.

— მოასრესინე, გოგო, ვინმეს ძუძუები. როდემდე უნდა იყო ასე, ბიჭვიით. — ეუბნებოდა იგი ანეტას და ანეტას პირი უშრებოდა, ხელ-ფეხი ეთოშებოდა, თითქოს გველი აუცოცდებოდა ტანზე.

მათი ურთიერთობა გამოცდილი და დამწყვები მეძავის ურთიერთობას გავდა, სადაც ანგარებას გაცილებით პატარა ოდგილი უკავია, ვიდრე გაუაზრებელი და განუკითხავი შურისძიების სურვილს. «ესეც უბედურია, — ფიქრობდა ანეტა, — რადგან ამან არ იცის, ასევე რომ შეიძლება, გიყვარდეს ვიღაცა, არ იცნობდე და გიყვარდეს, არ იცნობდე და ენდობოდე, არ იცნობდე და გვეროდეს მისი. ის ან არ მოვა, ან არ მოვა, მაგრამ ეს კი არაა მთავარი, ეს კი არ წყვეტს, იქნები თუ არ იქნები ძუძუნა, მთავარია, როგორ გიყვარს, როგორ ენდობი, როგორ გჯერა და რამდენხანს შეგიძლია ლოდინი, ყოველგვარი თავდებისა და დაპირებების გარეშე». ასე ცხოვრობდა ანეტა, სანამ ჯერ ალათიასი, მერე კი — ქაიხოსროს სიკვდილი (თუმცა დანამდვილებით ისიც ვერ დაადგინეს, რომელი ადრე მოკვდა. უბრალოდ, ჯერ ალათიას გვამი იპოვეს და მერე ქაიხოსროსი), საბოლოოდ არ დაარწმუნებდა, რომ ვეღარ შესძლებდა, ვეღარ გაუძლებდა ასეთ ცხოვრებას. ალათიას გვამი დუსამ იპოვა. რალაცისთვის დილაუთენია ეზოში ჩასული. კვილით ამოვარდა კბეზე და სანამ იტყოდა, რა ნახა, რა შეეშთხვა, ანეტამ უკვე იცოდა, დუსას შეშინებულ თვალებში დაინახა თოვზე ჩამოკონწიალებული ალათია, მაგრამ, ეზოში ჩასულს, კვილი კი არ აუტეხია, დუსასავით. შიშითა და სიბრალულით კი არ შესცქეროდა ჭრელი, ქუსლებგამორღვეული

წინდებით შეფუთვილსა და საყვარელს გამოცლილ ფეხებს, თავისთვის რომ იხეოდნენ პაერში, არამედ — სიამაყითა და პატივისცემით, რასაც სხვისი, მაგრამ მსგავსის მიერ ჩადენილი გმირობა აღძრავს ხოლმე კაცში. ალათია ზუსტად იმ ტოტზე ეკიდა, რომლის ქვეშაც ექიმში ჯანდღერი ეტლს აჩერებდა. ფლოსტები მიწაზე ეყარა, გადაბრუნებული სკამის გვერდით.

ალათიას გვამი გომურში შეიტანეს და გომურიდან გამოდენილი, ადამიანის სიკვდილით ერთხელ კიდევ შეძრწუნებული სახედარი, ბალანაშლილი, თვალგამტერებული იდგა გალაკის კედელთან, დილის მზის სხივებში. ანეტა საფეხურზე იჯდა, როგორც ბავშვობაში იცოდა, და სახედარს უყურებდა. ჯერ ისევე ღამის პერანგის ამარა იყო, მთელ ტანზე ეკალი ეყარა და უნებურად კრუნჩხავდა შიშველი ფეხის თითებს. ცაცხვის ტოტს, რომელზედაც წელიდან ალათია ეკიდა, დანით გადაჭრილი, გაძეძილი თოკის ნაყუწილა შერჩენოდა, მისი გადანაჭერი გომურში იყო, ალათიას კისერზე, გადაბრუნებული სკამი და ფლოსტები ისევე მიწაზე ეყარა. «ეტლი რომ მდგარიყო, ვერ შეძლებდა. ეტლი შეუშლიდაო» — უაზროდ ფიქრობდა ანეტა და სახედარს უყურებდა, სახედარის საცოდაობით უკვენსოდა გული.

— ჩაიცივო, ხალხის მაინც არ გრცხვენია?! — მესამეჯერ დაუძახა პეტრემ.

— რისი უნდა მრცხვენოდეს? — მესამეჯერ უძახუნა ანეტამ, ისე რომ, სახედარისთვის თვალი არ მოუშორებია, არც კი დაინტერესებულა, საიდან ელაპარაკებოდა მამამისი.

— გაანებე თავი. — უთხრა დუსამ პეტრეს.

— შენ მაინც უთხარი, რისი უნდა რცხვენოდეს თქვენგანზე წლის გოგოს, ტიტველი რომ გამოსულა შარაზე. — მიუბრუნდა პეტრე დუსას.

— გაანებე თავი. — გაიმეორა დუსამ.

ანეტა წამოდგა და სახედართან მივიდა. სახედარმა თავი გააბრუნა. ანეტამ

გაფშეკილ, მოკლედ შეკრებილ ფაფარ-ზე ჩამოუსვა ხელი. სასაიძოვნოდ დაესუსხა ხელისგული. სახედრის ბალნიდან მტვერი აიშალა და მზის სხივებში აბრჭყვიალდა. „საცოდავო“ — უთხრა ანეტამ. ის დღე ასე გაატარა, სახედრის ფერებასა და უაზრო წრილში. რალაც უხილავი, გამარინდებული ძალა თუ სული აკავებდა ეზოში, დარტყანიებული ქათამივით დაბორილობდა კიბესა და სახედარს, გომურსა და ცაცხვებს შორის. ან კიბეზე იჯდა, ან სახედარს კოცნიდა თვლებში, ან გომურის კარზე ყურმიდებული, სახეგაფაცოცებული და განაბული უსმენდა რალაცას, ან ცაცხვის ძირას ტრილებდა, თოქშებულ ტოტს ასცქეროდა, სკამს ფეხზე აყენებდა და ზედ დგებოდა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რატომ, რა განზრახვით. შეიძლება, ბავშვური ცნობისმოყვარეობის ბრალი იყო მხოლოდ, ავწვდები თუ ვერა ტოტსაო, და რადგან ტოტიც იქვე იყო და სკამიც, ისიც იკმაყოფილებდა ცნობისმოყვარეობას. ვის რას უშლიდა, ანდა რას აშავებდა ამით? იდგა თავისთვის სკამზე, თავის ეზოში, თავის ხესთან და გრილსა და სლიზინა ტოტს ეფმრებოდა, თითქოს ის ტოტი, ცაცხვის ნაწილი კი არ იყო, არამედ რომელიღაც ცოცხალი არსება და იმია შეჩვევას, იმის ჩამოტყუებას ცდილობდა ამოდ, რადგან იმ უცნაურ არსებას, ვილაცის ტყვეობიდან თავდაღწეულსა და კისერზე თოქშერჩენილს, აღარაფერი ესმოდა აღამიანებისა, ანდა აღარაფერი ჭეროდა მათი. ერთი პირობა, აღათიას ფლოსტებშიც წაპყო ფეხები, მაგრამ მალევე გაიხადა და ისევ ცაცხვის ძირას დაპყარა, სკამიც ისევ გადააყირავა, როგორც აღათიას დეტოვებინა. ვინმეს ჭიბრზე კი არ იქცეოდა ასე, მამისა და დედინაცვლის გაბრაზებას კი არ ცდილობდა, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის თავს. აღათიას გარდა, კიდეც რალაც მომკვდარიყო, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ძნელად დასასახლებელი, მაგრამ საჭირო, აუცილებელი, არა მარტო ანეტასთვის, არამედ საერ-

თოდ სიცოცხლისთვის. მერე პეტრე ჩამოვიდა ეზოში, ანეტასკენ არც გაუხედავს, გომურის უკან გიორგისყული ბარი გაიტანა და ორმოს თხრას შეუღდა.

— აქ უნდა დამარხო? — ჰკითხა ანეტამ, მშვიდი, უშფოთველი ხმით.

— არა, ეკლესიის კედელში. — ჩილდულუნა პეტრემ და ბელტი ამოიღო. შავი, ნესტიანი მიწის ნაფხვენები შიშველ ფეხებზე მიეყარა ანეტას. — არ ეკუთვნის? — ამოხედა ბარზე დახრილმა. — ხომ ხედავ, როგორ გადაგვიხადა ამაგო?

— ქილეტი გაიხადა. გაიოფლები. — უთხრა ანეტამ.

— როდის იყო. მიფრთხილდებოდი. — გაიცინა პეტრემ. — შენ კიდეც გაცივდები, რამდენჯერ უნდა მათქმევინო.

— ხო, უნდა ჩავიცვა. ასე ხომ არ ვიქნები. არ მეგონა, თუ დღესვე... — არ დამთავრა ანეტამ.

— რა არ მეგონა? — პეტრემ ბარზე ჩამოაწყო ხელისგულები.

— დღესვე თუ დამარხავდი. — თქვა ანეტამ.

— აქამდენაც არ გავაჩერებდი, მზისა რომ არ მომრიდებოდა. — უცებ გაცხარდა პეტრე. — მე შენ გეტყვი, გადაყოლილი იყო ჩემს ოჯახზე. მტრებს მიზრდიდა, მტრად გადამიქცა შვილები.

— შენი ნებაა. — თქვა ანეტამ.

— ჰა? — ვერ გაიგო პეტრემ.

— უფროსი შენა ხარ.

პეტრე გაუჭიდა, შვილის ნათქვამს გაუყუჩდა, ესაიძოვნა და დაეგება კიდეც, რადგან მიჩვეული არ იყო შვილებისგან მისი უფროსობის აღიარებას. ანეტაც გამოითიშა, გარინდებული იდგა შავად პირდაღებულ ორმოსთან, საიდანაც ღრჭილით, ხენეშითა და ფაჩუნით ამოდიოდა სამარისებური სიჩუმე. სიჩუმე და წყვდიადი. ისევ აებურძგნა ხორცი და პირველად მაშინ მიხვდა, დღეს დოლის ხმა რომ არ გაეგონა. რა

ოთარ ზილამა
ყოველდღიანი ჩემიანი გარდასახვანი...



იცოდა, დუსამ რომ დაუმალა დოლი სარდიონს. მთელი დღე არ ყოფილა შინ და არც გახსენებია სარდიონის არსებობა. სარდიონი კი მთელი დღე დოლს ეძებდა, კედელ-კედელ მოიარა სახლი, ჩოჩვით, აუჩქარებლად, გაუბედავად მიაყოლებდა ტანს კედელზე მიბჯენილ ხელს, შეუქმნევლად, მაგრამ განუწყვეტლივ ინაცვლებდა ადგილს სივრცეში, კედელზე აკრული, როგორც მუხლუხო კაკლის ფოთოლზე. სლუკუნებდა, ღნოდა და პირის სიმაღლეზე არათანაბარი სისქისა და სიგრძის სველ ხაზებს ატოვებდა კედლის ზედაპირს, თითქოს ლოკოკინების ჯოგი ვადაზოხებულაო. ქაიხოსროს ოთახშიც სცადა შეხვლა, მაგრამ კარი არ დამორჩილდა, შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ქაიხოსროს ოთახის კართან დახვავებულ ჭუჭყიან თეფშებს ფეხი წაჰკრა, ზედ გადაუარა, მაგრამ ისე ნელა და ისე თანდათანობით, თეფშები ლამის უხმაუროდ გაიფანტნენ იატაკზე. ანეტა რომ შინ შევიდა ჩასაცემლად, სარდიონი მის ოთახში იყო, კედელსაგაგრული.

— გადი, გადი, გაეთრეე აქედან. — დაუძახა ანეტამ.

— მინნდაააა. — ამოიღწავლა სარდიონმა.

— აქ არ არის შენი დოლი. აქ რა უნდა შენს დოლს. — ისევ უყვირა ანეტამ.

მერე პირქვე ეგდო საწოლზე. ტირილი უნდოდა და ვერ ტიროდა. გამოშშრალიყო, გამოფიტულიყო, როგორც მზეზე ნაყარი ბურბუშელა. იცოდა, რომ უნდა ამდგარიყო, ჩაეცვა და ისევ ეზოში ჩაბრუნებულიყო, თორემ, შეიძლებოდა, არ დაეცადათ და უიმისოდ დაემარხათ, კი არ დაემარხათ, უიმისოდ ჩაეგდოთ ორმოში ალათია, უსანთლოდ, უსაკმევლოდ, უკუბოგოდ და ყველაფერ ამასთან ერთად — უიმისოდაც; მაგრამ ვერ დგებოდა, აღარ ემორჩილებოდა მოსავათებულის, ფარხმალდაყრილი სხეული, თითქოს ის ცალკე იყო, მისი სხეული კი — ცალკე, და გამწარებუ-

ლი, შეშფოთებული დაპყვიროდა, ღრებოდა, ადგი, ჩაიცივი, უკანასკნელი პატივი მაინც ეცი იმ უბედურსაო. ეგონა, საუკუნე გავიდა მას მერე, რაც ეზოდან ამოვიდა, თუმცა ჯერ კარგად არც მოსალამევეებულიყო. ბინდი, ნელა და გაუბედავად მოიპარებოდა სარკმლიდან; მინდვრებიდან, ბალ-ვენახებიდან მობრუნებული ჩიტები ჭვილხვილით ესეოდნენ ხეებს. უცებ, კედლსაკრული, თვლებდაჰყეტილი და პირდაბჩენილი სარდიონი გაახსენდა და შეშინებული წამოჯდა საწოლზე. „ჩემს ოთახში რა უნდოდა? — ახლა დაინტერესდა პირველად. — ლამითაც რომ შემოვიდეს?!“ — უარესად შეიშინა თავი. რამდენიმე წუთის მერე უკვე ეზოში იყო, დეღისეული შავი კაბა ეცვა და ასკლიბოდოტა გულზე ყავდა მიხუტებული.

პეტრე ჯერ ისევ ორმოს თხრიდა. დუსა ჰკრაქს უნათებდა. დუსამ რაღაცა უთხრა პეტრეს, მაგრამ ანეტას არ გაუგონია, პეტრემ ორმოს თხრა შეწყვიტა და წელამდე ორმოში ჩამდგარი, კიბისკენ შემობრუნდა, რომელზედაც შავ კაბაში გამოწყობილი და თოჯინაატატებული ანეტა ჩამოდიოდა. ანეტამაც მაშინვე დაინახა ისინი და რაღაცანიარად დაფრთხა, ფეხები აუძიგძიგდა, მაგამ არ შეიშინია და მშვიდად, აუღელვებლად ჩაათვა კიბე. ისინი თვალს არ აშორებდნენ, თუმცა ანეტა ორ თეთრ ლაქას ხედავდა მხოლოდ. სახეების ნაცვლად, რომლებზედაც ჰკრაქის შუქით აწრიალებული ჩრდილები კანკალით გადადიოდნენ, „არც ეს გაუქირდებათ. არც ამაზე დაიხვევენ უკან“, — გაიფიქრა ანეტამ. ისინი კი მართლა გავდნენ მკვლელებს, რომლებსაც ერთი მკვლელობა უკვე ჩაედინათ და იმის კვალსა სპობდნენ, საზრიანად, შეხმატკბილებულად, მაგრამ მზად იყვნენ მეორის ჩასადენადაც, თუკი ვინმე, ზედმეტად ცნობისმოყვარე და ენაგრქელი, შემთხვევით წამოადგებოდათ თავზე.

— კარგი, ეყოფა, აღამიანო. — უთხრა დუსამ პეტრეს.

— რა ვიცი, ღორმა არ ამოთხაროს-

მეთქი. — თქვა პეტრემ, — შენი ცოტა გაქვს? — ნიკაპი მიუშვირა კაბაზე ანეტას.

— შავი არც ერთი არა მაქვს, — თქვა ანეტამ.

— რა ჩანს ამ ღამეში, — გაგული-სდა პეტრე.

— გაანებე თავი, — გაუწყრა ღუსა პეტრეს.

მერე ჩუმად იყვნენ. ანეტამ ეზოში თვალი მოატარა და კედელთან გარინდული სახედრის მუქი ლანდი მონახა. სახედარმაც თითქოს იგრძნო ანეტას მზერა და შეინძრა, ანდა, შეიძლება, ანეტა მოატყუა თვალმა, რადგან ძალიან უნდოდა, ამ ორის ვარდა, კიდევ ყოფილიყო ვინმე სულიერი სახლოვეს, თუნდაც სახედარი. პეტრემ ცოტახანს კიდევ თხარა ორმო, მერე ბარი გომურისკენ ისროლა და თვითონაც ამოჰყვა. შარაზე ვიდაცეებმა ჩაიარეს ლაპარაკ-ლაპარაკით. სამივემ მიაყურადა, უნებურად სამივენი დაიძაბნენ და გაქვავებულნი იდგნენ, სანამ არ ჩათავდა ეს ჩვეულგბრივი, ადამიანური ხმები, ყველა სოფლის შარაზე რომ შეგიძლია გაიგონო, მით უფრო — თბილსა და წყნარ საღამოს, ვისთვის შემამაფოთებელი და ვისთვის იმედის მომცემი. ისინიც სამნი იყვნენ, გალავნის გადაღმა შარაზე მიმავალნი. ხუთი კილომეტრი ასე ლაპარაკ-ლაპარაკით გამოველოთ, მთელი დღის ნაჟაფებს, და ხვალ უთენია ისევ წნორში უნდა ყოფილიყვნენ. რკინიგზაზე მუშაობდნენ, მაგრამ მატარებელი ჯერ არც ერთს არ ენახა, ჯერ ლიანდაგი იგებოდა მხოლოდ. ნიჩბის მუშები იყვნენ, მთელი დღე ხრემს ეზიდებოდნენ და ლიანდაგის გასწვრივ ბორცვებად ყრიდნენ. უმთავრესად ორი ლაპარაკობდა, მესამე კი, უსმენდა და თავისთვის ფიქრობდა. „ვითომ წნორი ურუქზე მეტია?“ „რათა, წნორი რა მიგდია, მაგრამ ეტყობა ასე მოითხოვა საქმემ.“ „მოითხოვა და მოითხოვა, მით უკეთესი. დასწყევლოს ეგ ხიფათიანი, ევა“, „ურემი რა, უხიფათოა? ჯერ არავინ მოუკლავს ურემს?“ „ურემი რა მოსატანია.

ერთი სოფლის სახლები ერთმანეთს რომ გადააბა და ბორბლებზე შეაყენო, იმოდენა ყოფილა. ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა“. „მართლა თუ ამოდენაა, რა სძრავს, რითი დადის ნეტაი?“ — გაიფიქრა მესამემ. მიდიოდნენ, შინისკენ მიიჩქაროდნენ, ახლა ცოლ-შვილი რომ გაეოცებინათ წნორში გაგებული ტყუილითა თუ მართალით. ისინიც საქმეში გადიოდნენ, ისინიც უკვე რკინიგზასთან იყვნენ დაკავშირებულნი, რაც, ცოტა არ იყოს, ეამყებოდათ კიდევაც, თუმცა თავიანთ ცოლ-შვილზე მეტი, არც იმათ გაეგებოდათ რკინიგზისა. მოდიოდნენ, მოლაპარაკობდნენ და რას იფიქრებდნენ, ან რატომ უნდა ეფიქრათ, რომ ამ ქვეტიკარის გალავნის გადაღმა ქურდულად, ფაცაფუციტ, ცოფიანი ძაღლის ლეშევიტ, იმარხებოდა მარადიული „უნფხო გოგო“, მარადიული მხევალი და მარადიული გადია, რომელსაც საკუთარი არაფერი ჰქონია, დემერტქალის შესაშური სიყვარულისა და სიყვითის გარდა. სუფთა, გაუზავებელი სიყვარულისა და სიყვითის რძე ედგა მარად ქალწულ ძუძუებში, ღვთაებრივად მსუყვე, ღვთაებრივად ბარაქიანი და, ამიტომაც, დამღუპველი უბრალო მოკვდავისთვის, როგორც თვითონ იყო და როგორებიც მის გამოხუნებულ კალთაში გამოზრდილი ბავშვები იყვნენ, კუტი პურებივით რომ ცვიოდნენ ცხოვრების თონეში, რადგან სიძულვილისა და ბოროტების საფანელი აკლდათ. ეს იყო მისი ცოდვა, უნებლიე, მაგრამ შეუწყნარებელი. სხვა დროს და სხვა ქვეყანაში, შეიძლება, ძეგლი დაედგათ მისთვის, მარადიული გადიის ძეგლი, და მისი სადიდებელი ეგალობათ, მაგრამ აქ და ახლა, ურუქის გაუთავებელ ღამეში, იმასაც არ იმსახურებდა, მის სახელზეც რომ დამწვარიყო თუნდაც ერთი სანთელი. ეს ალბათ თვითონაც იცოდა, როცა კიბეზე სკამი ჩაქონდა, როცა ცაცხვის ძირას იმ სკამზე იდგა და ათრთოლებული ხელე-

ოთარ ბილაძე
 ავთენტური ჩემივე მკვრივად...



ბით ყულფს ისწორებდა კისერზე. სხვა რალაზე უნდა დასწყვეტოდა გული?

მერე დუსამ ჭრაქი მიწის ბორცვზე დადო და ისა და პეტრე გვამის მოსატანად წავიდნენ, „ჭრაქი შეუშლიდათ“ — რატომღაც ვაიფიქრა ანეტამ. შვარშია-შემოვლებული ალი გამალებული პარპალებდა, თითქოს ატატებას იხვეწებოდა, როგორც მხნალი და ჭირვეული ბავშვი. ალის გამოწაშეტი ასკლიპიოდოტას პრიალა ლოყახზე ციმციმებდა. ანეტამ უარესად მიიხუტა თოჯინა. იდგა და ალს უყურებდა. გვამი თითქმის მშინვე მოიტანეს. პეტრემ ძველი, გაქუცული ფარდავით მოაყოლა ხელს, რომელიც ალბათ ქვეშ ეგო გვამს, სანამ გამოჰრში ესვენა.

— ალექსანდრესთვის არ უნდა გავგვებინებინა? — ასე, სხვათაშორის აკითხა ანეტამ.

— ალექსანდრესთვის? ალექსანდრესთვის? — დაიბნა პეტრე, თითქოს ვერ გაიხსენა, ვინ იყო ალექსანდრე. — როდის იყო, ალექსანდრე ჩვენს ამბავს კითხულობდა?!

— რა? — კუბოს უყიდდა?! — თქვა ანეტამ.

— როგორ არა, სარჩულიანს, შავი აბრეშუმის სარჩულიანს. — ღვარძლიანად ჩაიციხა პეტრემ.

— დროზე ქენი, ადამიანო. რა ვაკამათებთ, — თქვა დუსამ, ხმაში ღიმილი გარეოდა. — ახლა ამისთვის სულერთია, მიწაში იწვება თუ ოქროში.

— ჩვენთვისაც? ჩვენთვისაც სულერთია? — იკითხა ანეტამ. საჩხუბრად კი არა, ცნობისმოყვარე ბავშვის სიჯიუტით.

— მიდი. რაღას უყურებ? — შეუძახა დუსამ პეტრეს და გვამს ფეხებში დაწვდა.

— ჯერ თოკი შეხსენით. — თქვა ანეტამ.

— რას შეუშლის, ნეტავი! — აიქნია პეტრემ ხელა.

— ჯერ თოკი შეხსენი, — გაიმეორა ანეტამ, — ახლავე! — დაიყვირა უცებ.

პეტრემ ერთი გამოხედა, რადგან თქმაც დააპირა, ტუჩები აუმოდრავდა კიდეც, მაგრამ გადაიფიქრა, გვამის თავთან ჩაიჩოქა, ყულფი მოაბოშა და ნელ-ნელა გადმოაცოცა სახეზე, თითქოს ფრთხილობდა, უნებლიეთ რამე არ ეტკინა მკვდრისთვის.

გვამი ორმოში ჩაუშვეს და სანამ პეტრე ბარს ეძებდა სიბნელეში, დუსამ ფარდავი წააფარა ზემოდან.

— მოიცადეთ, ჯერ არა. ეს უნდა ჩავაყოლო, — დაიძახა ანეტამ და ორმოსკენ წამოვიდა.

დედისეული კაბა ფეხებში ებლანდებოდა, სიარულს უშლიდა. უფრო დიდი ჩანდა.

— ჩააყოლო? რა უნდა ჩააყოლო? — განცვიფრდა პეტრე.

ანეტამ ორმოს კიდეცთან დაიჩოქა. დედის კაბა კუბრის ტბორივით შემოადგა გარშემო. თოჯინა ფრთხილად დააწვინა ფარდავზე და ხელ-ფეხი გაუსწორა, თითქოს მიეფერა კიდეც.

— ასკლიპიოდოტა. — თქვა ანეტამ. — დავპირდი. ერთად იქნებიან. სულ ერთად იქნებიან.

— მომეცალე, გოგო, შენი თოჯინიანად. — ხმაში სიბრაზე შეეტყო პეტრეს. ბარის პრიალა პირმა წითლად გაიელვა ჭრაქის შუქზე.

— ჩემია და, რასაც მინდა, იმას ვუზამ. — მშვიდად თქვა ანეტამ. ისევ მუხლებზე იდგა შავი ქსოვილის ნაოჭებში.

— ჩემიაო? — გაცხარდა პეტრე. — შენი ჯერ არაფერი არ არის. ქმარმა ვიყიდა თუ მამამთილმა?

— გაანებე თავი. აქ ჯომ არ უნდა გავათენოთ?! — დაუძახა დუსამ.

პეტრემ მთელი ძალით აძგერა ბარი მიწის ფხვიერ ბორცვს.

— დედა... ბებო... — ჩასძახა ანეტამ ორმოს.

სანამ ორმო ამოივსებოდა, დაჩოქილი იდგა. ასკლიპიოდოტას ჯერ სახეზე წაეყარა მიწა, კაბა ოდნავ აეწია და თერთი, მაქმანებიანი საცვალი გამოუჩნდა.

ანეტამ ისიც შეამჩნია, როგორ გაიჩინა მიწამ პატარა, ძაბრისებური ღრმული და როგორ ჩაშვავდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ასკლიპიოდორტას ჩამტვრეული წარბი უნდა ყოფილიყო.

მეორე დღით ქაიხოსროს გვამი იპოვეს და ისიც დუსას წყალობით.

— ყარს. რალაცა ყარს, — თქვა დუსამ და ცხვირი შეიჭმუხნა.

„რახანია, მაგას ვამბობო“ — უნდოდა ეთქვა ანეტას, მაგრამ დაეზარა, აღარაფერი აინტერესებდა ამ სახლში. ისევ დედის კაბა ეცვა და დღის სინათლეზე უფრო თვალში საცემი იყო კაბისა და მისი ჭერ კიდევ ბავშვური სხეულის შეუსაბამობა. თითქოს ხალხის გასაცინებლად ჩაუცვამსო.

— თავვი მოკვდებოდა, — თქვა პეტრემ და თვითონაც შეიყნოსა ჰაერი. ის იყო, საუზმე დემთავრებინა და ჭერ კიდევ ვერ დაქვლია სიგამძღრისგან მოგერილი მოთენთილობა და სიზარბაცე. კბილის ჩიჩქენის, ნაფხვენების მოგროვებისა და ფუყე საუბრის გუნებაზე რომ აყენებს კაცს. — ტყუილად უყურებ არ მუშაობს. — დაუძახა სარდიონს, კარადისხელა საათის ციბერბლატს რომ მიშტერებოდა, მწიფე ლედვივით ღია პირზე დუქიმოდგარი.

— უყუროს, რა გენადლებდა. — უთხრა დუსამ, — მაშ, შენ ამბობ, თავვი მოკვდებოდაო? — გამომცდელად, დამაქვებლად შეხედა, აბა, ჭერ კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხეო.

— ხო... რა ვიცო... გარედან თუ შემოიპარა, თორემ აღათიას შიშით... — ვერ დაამთავრა პეტრემ, რადგან უცებ ცოლის თვალებს წააწყდა და თვითონაც გაირინდა.

დიდხანს, დაჟინებით შესკეტროდნენ ერთმანეთს, თითქოს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდხანს გასძლებს თვალის დაუხანძრებლადო. სინამდვილეში, ახლა თვალებით აგრძელებდნენ საუბარს და გაცილებით უკეთესადაც. თვალებით უზიარებდნენ ერთმანეთს ერთსა და იმავე ეჭვს, რომელიც ლამის ერთ-

დროულად დაებადათ; დუსას ცოტა აღრე, პეტრეს — ცოტა გვიან. „შენ ასე გგონია?“ „შენ? შენ?“ „რატომ აქამდე არ გაგვასხენდა?“ „როდის? სად გვეცალა?“ „ჯანდაბას, ჯანდაბას“. „ახლავე წავალ და შევამოწმებ“.

უცებ ანეტას ხელები გაეოფლა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ დაძაბული, სუნთქვაშეკრული იჭდა და მოუთმენლად მისჩერებოდ თვალებით მოსაუბრე ცოლ-ქმარს. რალაც საშინელება ხდებოდა, რალაც ახალი საშინელება უნდა მომხდარიყო მისთვის, ანდა მისი თანდასწრებით და ამის გაფიქრებისთანავე ისე აიტანა მღელვარებამ, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, თეფში უკანვე მიიჩოჩა და ხელუხლებელი, მაგრამ უკვე გაციებული ფაფის ჭამა დაიწყო.

— ავი არ მინდაო?! — ჩაესმა დუსას ხმა.

— არც მინდა... არც მინდა... — შერცხვა, დაიბნა, ვაბრაზდა ანეტა.

— წავიდე ერთი, პაპაშენსაც მივუტანო. დღეს რალაც ჩუმად არის, ვინ იცის, აღათიას ელოდება, — თქვა დუსამ და მაგიდაზე ხელებდაბჯენილი, ნელა წამოიმართა,

— პაპაჩემი მკვდარია, — შეუღრინა ანეტამ, — რახანია, მკვდარია. მაგრამ მამაჩემი იმასაც ძალღვივთ ხომ ვერ ჩაავდებს ორმოში. იმასაც ფარდავს ხომ ვერ წააფარებს სახეზე. ამდენს ვერ გაბედავს. ვერ გაბედავს. ვერ გაბედავს. — ფაფიანი კოვზი მაგიდაზე დაანარცხა და ოთახიდან გაეარდა.

როცა ანეტა ამას ამბობდა, ქაიხოსრო მართლაც მკვდარი იყო, ორი დღის მკვდარი იყო უკვე, უჩუმრა მომკვდარიყო გამოკეტილ ოთახში, როგორც კიღობანში — თავვი. ორი დღის წინ, სოკვილამდე, ქაიხოსროს დედა გამოეცხადა, მაგრამ ვითომ აქ კი არა, სადაც კვდებოდა, არამედ იქ, თბილისში, ლამაზ აივნიან სახლში, სადაც დაიბადა.

ოთარ ზილბაჰი
სოკვილთან ჩიშვან მკვდარებთან...



— იასე, იასე? — იძახდა აივანზე გადმომდგარი ქალი.

„მე მეძახისო, — გაუხარდა ქაიხოსროს — მაგრამ მე რომ იასე აღარ ვარ?“ — შეშფოთდა მაშინვე.

ქალიშვილად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დედად. ჭიშკანი ცხენივით, ერთდროულად მკაცრი და ხალისიანი თვალებში ჰქონდა, კეხიანი ცხვირი და თხელი, მკინდროდ მომუწული ტუჩები. სიცხისაგან ოდნავ დანამვოდა მკვრივი და ხორბლისფერი ყვრიმალები. ჩიხტაკობის ლეჩაქს ნიავე უფრიალებდა. ქაიხოსროს უყურებდა, მაგრამ აშკარად ვერ ხედავდა. „აღარა ვარ... აღარა ვარ და იმიტომ“ — აწრიალდა ქაიხოსრო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, თუ არ გამოეპასუხებოდა, ქალი ოთახში შებრუნდებოდა და მერე ველარაფერს ვაარკვევდა.

— დედა! — მაინც გაბედა, მაინც დაუძახა.

იმავე წუთას ჩიხტაკობიანი ქალიც გაქრა და ლამაზაივანი სახლიც. ისევ აქ იყო, მკაბელების ფუძეზე, საკუთარი ხელით აშენებულ სახლში, დამდგარი ჰაერით აქოთებულ ოთახში გამოკეტილი.

— ვალიარებ... ვალიარებ... — ამოილულულა დაბნეულმა და ყელში გაჩხერილი ცრემლის გორგალი ჩაყლაპა.

ქაიხოსრო დიდი ოთახის შუაგულში დაასვენეს, ნოხგადაფარებულ ტახტზე, სადაც, ჯერ კიდევ დილით, სასადილო მაგიდა იდგა და სადაც ამ ოჯახისთვის უკეთეს დროს, ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპის შუქზე, ბაბუცას მშვიდი და მთრთოლვარე ხმით წიგნებიდან გამომხობილი გმირები და მზეთუნახავები დაბორთალობდნენ. ახლა ირგვლივ სრული სიციარილე სუფევდა, რასაც უარესად ამძაფრებდა დადუმებული კარადისხელა საათი, რომელიც სიმძიმის გამო ვერ გაიტანეს ოთახიდან, და ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზედაც ქაიხოსროს ცხენდარი ესვენა. ცხენდარა მიაორის მუნდირში იყო გამოწ-

ყობილი, ყბები შავი ნაჭრით ჰქონდასაფარული, თითქოს კბილი ასტიკენიო, და ცულად დახურული პირით ვერცხლის აბაზიანი ეჭირა. ეს იყო და ეს, ამ ვერცხლის აბაზიანის ანაბრა დარჩენილიყო სიკვდილის უსასრულო გზაზე დამდგარი. მერე პეტრე და დუსა შემოვიდნენ და კედლის გასწვრივ ჩარბეგბულ სკამებზე ჩამოსხდნენ ერთმანეთის გვერდით. მალე ანეტაც შემოვიდა და მოპირდაპირე კედელთან დაჯდა, ცალკე, თავისთვის. ჩუმად ისხდნენ, სარდიონი ეზოში იყო. დუსამ მოატყუა, შენი დოლი ეზოში დაემალო და ახლა გალავანს მიუყვებოდა ხელის ცეცებით, აღნავლებული, აკვნესებული, დორბლიანი.

— არ გავაგებინოთ სოფელს? — თქვა პეტრემ.

ანეტამ და დუსამ ერთმანეთს შეხედეს. ანეტას ნირიც არ უცვლია, მშვიდად იმზირებოდა, დედის შავ კაბაში ჩაკარგული, დუსამ ცოტახანს უყურა, მერე ნელა წამოდგა, დაღლილივით, თან თმას იშლიდა, თითქოს დასაწოლად ემზადებო, აივანზე გავიდა და ცივი, გამყინავი ხმით აკივლდა. ანეტას კანი აებურძგნა.

— მამა... მამაჩემო — ამოიზლუქუნა პეტრემ.

ხალხმა დღისითვე დაიწყო დენა. მკაბელების რკინის ალაყაფი ბოლომდე იყო მოღლიავებული. ეზოში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. „რა კეთილი... რა ვაჟკაცი“ — იძახდა გარეგინა, გლენებს მზზე გამოხუნებული პერანგები ეცვათ, თუშური, ასევე გამოხუნებული, ქუდები ეხურათ და შარვლის ტოტები წინდებში ჰქონდათ ჩატანებული. მძიმე, უხეში ხელები ცერა თითებით ჩაემაგრებინათ ქამრებში, როგორც სამეურნეო იარაღები. შვის პირისპირ დგომისაგან ერთნაირად დანაოჭებოდათ პატარა ქორების ქვეშ შეყუჟული შუბლები, ერთნაირად დაშაშვროდათ ხორკლიანი, ჯიუტი ყვრიმალები. ერთი დედამამს შეილებსა ვადნენ.

— ვინ იცის, მთელი სოფლის ქათმები შენს დუქანში არიან ახლა, — თქვა ერთმა, გარეგინას გასაგონსად, ისე რომ გარეგინასკენ არც გაუხედავს.

— არხენად იყავი, მიხედავენ, — უპასუხა გარეგინამ და რატომღაც ეზოს მეორე ბოლოში თვალით დაუწყუო ვიღაცას ძებნა. შეიძლება, უნებლიე მღელვარების დასაფარავად.

— როდის იყო, ქათამი მარილს კენკავდა, — თქვა მეორემ.

— ქათამი ბრმაა, ოქრო რომ დაუყარო, იმასაც აკენკავს, — უპასუხა საუბრის დამწყებმა.

— იცით რას გეტყვით? საქმე ნახეთ. — თქვა გარეგინამ და თვითონვე გაეღიმა, — ამის ღირსი კი, ნამდვილად არ იყო, — ხელი მიუშვირა სარდიონს, — გინახავთ ეგეთი რამე? ჰა? თქვენ გეკითხებით, გინახავთ-მეთქი ეგეთი რამე? არავის არ უპასუხნია, ახლა ყველანი სარდიონს უთვალთვალებდნენ. „მინნნ-ნაა“ — ღნაოდა სარდიონი და გლავნის გასწვრივ მიცოცავდა, თითქოს კედელზე გალურსულა. მზეს მიფიცხებული ჭოჯო დაუნახავს და იმას ეპარებო.

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ურუქიც მალე შეეგუა ქაიხოსროს სიკვდილს. ერთადერთი, ვინც გულით განიცადა ეს სიკვდილი, ალბათ, ზოსიმე მღვდელი იყო. ეზოში რომ შემოვიდა, ურუქელებს გაუჭირდათ მისი ცნობა, უცებ მოტეხილიყო, დაბერებულყო, ძლივს აიტანა ფეხები კიბეზე. „განათლე უფალო. მაგრამ ვინ? — ფიქრობდა იგი. — იყო და, არა იყო რა. ვართ და არცა ვართ. ვართ და არ ვიცით, რომ ვართ. ვართ და არ ვიცით, რა გვქვია“.

— ფიქრობდა იგი.

— საოცარია, საოცარია. — უთხრა ვარში შემოგებებულ პეტრეს.

— რაღა საოცარია. დალოცვილო, ცას ზომ არ გამოეკერებოდა“ — გუნებაში უპასუხა პეტრემ. — როგორ უყვარდით, მამაო... — უთხრა ხმამაღლა.

— მაგრამ, თითქოს ზოსიმე მღვდელს

ენამ უყვილაო, კიდევ ერთი საოცარი ამბავი მოხდა მაკაბელების სახლში. მეორე დილით, ნოხგადაფარებული ტახტი, რომელზედაც ქაიხოსროს ცხედარი ესვენა, ცარიელი დაუხვდათ. სახარჯო აბაზიანი ნოხზე ეგდო, ხოლო შავი ნაქერი, რითაც ყბები ჰქონდა ცხედარს აკრული, კიბეზე იპოვეს. მკვდრის გაცოცხლებასა და გაპარვას უფრო დაიჭრებდნენ, მაგრამ რას იფიქრებდნენ, ვინმე თუ მოპარავდათ მკვდარს.

— ისევ თქვენიანი თუ მოიპარავდა ვინმე. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ძველებურად ააქუქუნა თვალები, თითქოს გაახალისა მეგობრის ახალმა და მოულოდნელმა თავგადასავალმა. დიდი, შესუბუბული ხელები მუხლებზე გადაკიშულ ანაფორაზე ეწყო. ნელ-ნელა უმშვიდდებოდა ჩქარი სიარულისაგან დარღვეული სუნთქვა. — წყალი დამალევინე, შენს გაზრდას. — უთხრა ანეტას. სახე აღანძვოდა და მხოლოდ თმის ძირებში შერჩენოდა ბებრული ჭორღლიანი სიფერმკთაღე, როგორც თოვლი ჩარჩება ხოლმე მზისთვის მიუდგომელ გრილოებში. მოშვებული იჯდა სკამზე და მძიმედ სუნთქავდა. ეს ამბავი რომ გააგებინა პეტრემ (როგორცკი პეტრე დაინახა, გულმა რეჩხი უყო, იგრძნო, რაღაც არაჩვეულებრივს შეიტყობდა ერთი წუთის მერე, და ისიც იგრძნო, გუშინდლიდან ამის მოლოდინში რომ იყო თვითონაც, თითქოს გული წყდებოდა, თითქოს არ შეიძლებოდა, ასე ჩვეულებრივად წასულიყო ამ ქვეყნიდან მისი სიყრმის მეგობარი, ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არა მარტო სიკვდილს, არა მარტო მეორე ადამიანს, არამედ საკუთარ თავსაც ემალებოდა და ალბათ ყველაზე დიდი მისი საწუხარო ის იყო, ადამიანად რომ გააჩინა ღმერთმა), ყმაწვილივით გახალის-

მთარ ზილაძე

სოფელთან ჩამიან მკოცნილთან...

და, ყმაწვილივით აღეგზნო უცებ, თითქოს მეორე ყმაწვილმა მდინარეში მოხანავე ვოგონების სათვალთვალოდ წასვლა შესთავაზაო. პეტრე ძლივს ეწეოდა, ყოყონი სემინარიელივით მი-
აფრიალებდა ჩრჩილით გამოკმულსა და ბირკაკრულ ანაფორას ორღობეში, თუმცა იცოდა, მკრეწელობა რომ იყო მისგან ასეთი სულსწრაფობა, ასეთი მოუთმენლობა. რადგან სასწაულის სა-
ნახავად კი არ მიდიოდა, არამედ, სე-
ირისა. — მაღლობთ. — უთხრა ანეტას და ჭიქა ჩამოართვა. მაღლობთო, ერ-
თხელ კიდევ უთხრა, როცა ჭიქა დაც-
ლა, მშვიდად, ეშმაკურად მომღიმარ-
მა და ჭიქა გვერდით დაიდგა ცარიელ სკამზე. შეორთქლილ ჭიქას მისი მსხვი-
ლი თითების ანაბეჭდები შეჩრჩნოდა. —
თქვენინანი მოიპარავდა. — გაიე-
ორა უშფოთველი ხმით და გულუბრ-
ყვილოდ მიაჩერდა პეტრეს, მუშტს რომ ისრესდა გამალეხული, თითქოს
ეს წუთია, ვიღაცისთვის ანდა რაღაცის-
თვის დაურტყამსო.

— რას ამბობ მამაო, ქურდი რომ მო-
სულიყო, აბაზიანს რატომ დატოვებდა,
შეუშლიდა, დაამძიმებდა თუ აწყენდა?
— გაცხარდა პეტრე.

— აბაზიანსაო? მეტი, გაცილებით
მეტი დაგიჯდება, შვილო ჩემო, მამის
ცხედრის უკანვე დაბრუნება, ხოლო
უფრო ზუსტად ცხედრის ქურდი გეტყ-
ვის თვითონ. ფული ჯიბეზე იქონიე,
ზედმეტად რომ არ გაისარჯო. — თქვა
ზოსიმე მღვდელმა იმავე უშფოთველი
ხმით და ანეტას გაუღიმა, თითქოს მო-
უბოდოდა, მეც იძულებული ვარ, შენი
თანდასწრებით რომ ვლაპარაკობ ასეთ
სისაძაგლესო. ანეტა დაძაბული უსმენ-
და. უფრო მაღალი, უფრო გამხდარი
და უფრო ფერმკრთალი ჩანდა დედის
შავ კაბაში. თავადაც გაუღიმა ზოსიმე
მღვდელს, დაბნეული, წამიერი ღიმი-
ლით, თითქოს დაუდასტურა, აქ რომ
იყო, გულისყურით რომ უსმენდა და,
რაც მთავარია, არაფერში რომ არ
ადანაშაულებდა მას. — ძმასთან აბი-

რებს ალბათ წასვლას და ფული და-
და. — გააგრძელა ზოსიმე მღვდელსა.
ანეტას მიმართავდა. ანეტამ თავი დაუ-
ქნია, ძლივს შესამჩნევად, უნებლიეთ. —
ფულის თხოვნასა და თავის დამცირე-
ბას, ისევ ეს გზა ამგობინა, ტანჯვის
გზა. — ისევ ანეტას მიმართავდა, თი-
თქოს სხვა არცარავინ იყო ოთახში. ან-
ეტაზე ზრუნავდა, ამწვიდებდა, ეხმარე-
ბოდა კიდევ ერთი არაბუნებრივი ტყი-
ვილის ვადატანაში, რადგან ამ პატარა,
სუსტსა და სუფთა არსებას იქამდე არ
გაქრობოდა გავებისა და მიტყვევის
უნარი, სანამ რამეში გაერკვეოდა, სა-
ნამ მისთვისაც ჩვეულებრივობის იერს
მიიღებდა ცხოვრების სიმკაცრე და
დაუნდობლობა. — გამწარებული იყო
ალბათ. არავინ არ იცის, რას მოიმოქმე-
დებს გამწარებული ადამიანი. რამეთუ
რაოდენსა — იგი მამაი იქმს, მას ქე-
ვგრეთვე მსგავსად იქმს.

— ალექსანდრეს წაუღია... გესმის
ქალო? — მხარი წაჰკრა პეტრემ დუ-
სას. — ხო. ალექსანდრეს მოუპარავს.
შენი ლაპარაკიდან ასე გამოდის, მამაო,
არა? — დაიხარა მღვდელისკენ. მუ-
შტი ისევ მეორე ხელის პეშვში ჰქონ-
და მოქცეული. — და თქვენ, ღვთის მსა-
ხური, მზადა ხართ, გაამართლოდ კი-
დეც, რადგან თქვენი აზრით, საამისო
მიზეზიცა ჰქონია. უფულობას გაუმწარე-
ბია, მასსავით დამთხვეული ძმა ჰყოლია
სანახავი ციმიბიში და რაკი უყეთესი
ვერაფერი მოუფიქრებია. პაპის გვამი
მოუპარავს, რათა მერე მამას მიჰყიდოს
და იმაში აღებული ფულით ნორი და
თბილი საცვალი ჩაუტანოს ძმას. თანაც
თვალს წყალი დააღვეინოს, ქვეყანა
ნახოს. მამამისმა კი წელეზე ფეხები
დაიდგას და კაპიცი კაპიკს დააწებოს.
წინასწარ მოიმარავოს დასამარხი ფული
და სიკვდილის წინ ისიც შეილებს მი-
უგდოს, როგორც ხორცის ნაჭერი —
ძაღლებს, რათა დაუკბენავად, დაუგლე-
ჯავად და გაუპამპულეზლად შეასწროს
საფლავეში. ასე არაა? ასე არა ბრძანეთ?

ან იქნებ მე დავეყრუდო, ქალო? — ერთი წამით მიხედა დუსას. — კარგია მე და ჩემმა ღმერთმა, ეკლესიაც თუ მკვლეულსა და ავაზაკს ამართლებს, მეორედ მოსვლა დამდგარა და ეგაა.

— რამეთუ ვითარცა — იგი მამი აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთაი პნებავს, აცხოვნებს. მე კი არ ვამართლებ, ვიცავ. — მშვიდად თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მეცოდნა და ვიცავ. — დაამატა ცოტანის მერე.

— იცავს. გესმის, დედაკაცო? იცავს! — იყვირა პეტრემ.

— ღმერთო, ჩემი ცოდვით სავსე, — ჰერს ახედა დუსამ. — არ მერჩია, ჩემთვის ვგდებულოყავი თელავში?!

მაგრამ ახლა სინანულის დრო არ იყო, ამ ოჯახის რძალი ერქვა და ამ ოჯახის სიგლახეს პირველ რიგში მას დახარალებდა ხალხი, მოვიდა და ყველაფერი აურდაურიაო, იმას კი არ იტყოდნენ, ეს რა ბედდამწვარი ყოფილა, რა ჭოჯობითი ჩაუგდია თავიო, ისევ ამას ვაამტყუნებდნენ, ვინ იცის, რას არ დასწამებდნენ, მაგის შიშით, ცოცხლები კი არა, მკვდრებიც ვეღარ ჩერდებიან დამარხვამდე საკუთარ სახლში და უგზოუგვლოდ ქრებიანო. ახლა კეთილი უნდა ენება და სინანული ცოტახნით გვერდზე გადაედო, ეს სიმწარეც მოეთმინა ღმერთისაგან და ურიის ვალში რომ ჩაეარდნილიყო, როგორმე უკანვე დაებრუნებინა მკვდარი მამამთილი. აბა, ღრეჰვას ხომ არ დაუწყებდა სამძიმარზე მოსულ ხალხს: მობრძანდით, მადლობლები ვართ, მაგრამ მიცვალებული შინ არ ვახლავთო. იმ წუთას ყველაზე ძალიან ქმარი ეჯავრებოდა. ვაწილებული და შეურაცხყოფილი იყო, დაქირავებული მოტირალივით, რომელსაც თმა დაამლევიანეს, ლოყები ჩამოაბღორტინინეს და მერე უთხრეს გეხუმრეთო. არც ხუმრობის დრო იყო ახლა, რადგან უპირველეს ყოვლისა, მისი პატივმოყვარეობა ილახებოდა, პატივმოყვარეობა — მეუღლისა, რძლისა და დიასახლისისა.

სა. მისმა დამწვარმა ქმარმა ქორწილისგან თავი დაიძვრინა, ვითომ დაგვიცინებენ, რაღა დროს ჩვენი ქორწილიაო, და ახლა მამამთილის კუბოსთან ჩამოჯდომის საშუალებასაც უსპობდა, რათა მამამთილის კუბოსთან ჩამომჯდარი მანაც ეღიარებინა ხალხს, როგორც მეუღლე, როგორც რძალი და როგორც დიასახლისი.

— რას კინკლაობ, ადამიანო? — უცებ გაცხარდა დუსა. — წააბრე ფული და წადი. როდემდე ვიყოთ ასე?! თქვენც წაყვეით, მამაო, გემუდარებით. — მოუტრიალდა ზოსიმე მღვდელს — იქნებ თქვენ უფრო მოარიგოთ... არც ერთს აღარ გავვეჩვრება ამ ოჯახში. თქვენ ხომ გესმით? თქვენ ხომ ხედვებით, მამაო? — და ხელეზზე მიეტანა საკოცნელად. შეაკრთო თუ შეაწუნა ქალის უეცარმა აღტყინებამ, ზოსიმე მღვდელი ისეთი ფაიფუცით წამოიღვა, ანაფორის სახელო ჭიქას წამოიღო და სკამიდან ვაღმოავლო. ჭიქა დაიმსხვრა. — ბედნიერებაში... თქვენი ჭირი წაუღია, მამაო. — თქვა დუსამ, ისე რომ, პირი არ მოუშორებია მღვდლის ხელისთვის. — მოგვეხმარეთ... თავს ნუ მოგვეჭრით, მამაო.

ორი საათის მერე პეტრე და ზოსიმე მღვდელი ცხრა კილომეტრით ყვეწენ მოშორებული ურუქს, მონასტრის ეზოში იდგნენ, კიპართსების ძირას და მაროს აბდაუბდა ლაპარაკს უსმენდნენ. შარაზე დროგი ელოდებოდა. წამოსვლას წინ პეტრემ გომურში შეიხედა და სახედარიც რომ არ დაუხვდა ადგილზე, საბოლოოდ ირწმუნა ზოსიმე მღვდლისა, მაშინვე დამორჩილდა ბედს და რაღაცნაირი, გამაოგნებელი და გამომთავი სევდა შემოაწვა გულზე. უცებ ყველაფერი სულერთი გახდა მისთვის. თითქოს ესეც ჩვეულებრივი ამბავი იყო, საკუთარი მამის გვამის შესასყიდად რომ მიდიოდა

ოთარ ზილაძე
 ურეველან ჩემთან მკვნილმან...



საკუთარ შვილთან. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ორივე ხელით დროვის ფიცარს ჩაფრენილი, ჩუმად იჯდა და ჩუმად ინჯღრეოდა. არაფერი ესმოდა, დროვის რახრახის მეტი და ვერაფერს ხედავდა, მღვდლის ანაფორის კალთის გარდა, რომელსაც ნელა და ჯიუტად ედებოდა ნაცრისფერი მტვერი. სამაგიეროდ, ისეთი არავინ შეხვედრიათ გზაზე, მათკენ თავი რომ არ მოეტრიალებინა და კარგახანს არ გაეყოლებინა თვალი. იმათ, ალბათ, დროგზე მჯდარი მღვდელი აოცებდათ, მაგრამ თვითონ მღვდელი, ასევე — პეტრეც. ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ერთის ანაფორისთვის და მეორის სერთუქისთვის რამდენად შესაფერი იქნებოდა, უხეში, გაურანდავი ფიცრებით შეკრული დროგით მოგზაურობა მზისით, მთელი ქვეყნის დასანახად. დროვის ძირი, ვინ იცის, როდინდელი, ფიცრის ბზარებში, ვინ იცის, რამდენჯერ ჩაცვნილი და განუწყვეტელი ბიძგებისგან უკანვე რამდენჯერვე ამოცვენილი ნამჯის ოქროსფერი ხიწვით იყო მოფენილი, მაგრამ უკეთესი უცებ სხვა ვერაფერი იშოვეს, თანაც გვამს დროგი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფატონი. პეტრეს ბოლომდე არ განელება ყველაფრისადმი განუჩრჩველი გულგრილობა. მოწმესავით შეჰყვია ზოსიმე მღვდელს მონასტრის ეზოში და ახლაც მოწმესავით იღვა კიპაროსების ძირას. მაროსაც თითქოს პირველად ხედავდა, თითქოს მარო შემთხვევით გადაჰყროდათ და არაფერი საერთო არ ქონდა ამ ქალთან, არც ადრე და არც ახლა. მაროს ლაპარაკს კი არ უსმენდა. — მაროს ვერც აკავშირებდა იმ საქმესთან, რომლისთვისაც ამოდენა გზა გამოეცლო, ქარიან ამინდში ხის კენწეროზე დასჭტუბებული ყვავივით მოძიგძიგესა და მოყანყალეს, — იღვა და ელოდებოდა, როდის მოიშორებდა ზოსიმე მღვდელი ამ ბრყევსა და ბინძურ დედაკაცს და, საერთოდ, როდის მოამთავრებდა საქმეს. წლების მანძილზე, თანდათანობით გულგრილო-

ბაში გადაზრდილი სიძულვილით ედებოდა, როგორც ბაზარში წამოყოლილი მსახური ელოდება ხოლმე თავის ბატონს, რომელიც ყველა ძაღლსა და მამაძაღლს უჩერდება, ყველა ძაღლსა და მამაძაღლს უმოწყმებს და უწუნებს საქონელს, თუმცა გუნებაში სულ სხვა რამის ყიდვა აქვს გადაწყვეტილი და იმისკენ მიიკვლევს გზას, გზადაგზა და მუქთად იწაფება ვაჭრობაში, რაც იქ უნდა გამოადგეს, მისთვის საჭირო საქონლის შეძენისას.

— რატომ არ მისმენ, შვილო. — უთხრა ზოსიმე მღვდელმა მაროს. — გავიგეთ, რომ ძინავს. გავიგეთ, რომ წუხელ თეთრად გაგათენებინათ ღამე, არც თვითონ მოისვენა და არც თქვენ მოგასვენათ. გავიგეთ, რომ მთელი ღამე პაპამისის ცხედართან ვატირა. მადლი გიქნია, შვილო, და ღმერთი გადაგვიხდის, მაგრამ ახლა ჩვენიც შეისმინე. წაღი, გააღვიძე და უთხარო: მამა გელოდება-თქო, — ხელი პეტრეს მიუშვირა. — მამა, მამა გელოდება-თქო.

— ვიცნობ, განა არ ვიცნობ. მივესალმე კიდევ. — თქვა მარომ და პეტრეს აღმაცერად გახედა.

— ხოდა, თუ იცნობ, შესარულე, რასაც გუბნები. — გაწყრა ზოსიმე მღვდელი.

— თქვენ გააღვიძეთ, თუ კარგია. განა არ ვიცი, მე დამეტაკება ისევ. ისემც მე ვიხარო. — თქვა მარომ. — ხორცები სულ დაჩეჩქვილი მაქვს, იტირე და იტირე, მუჯლუგუნითა მცემდა მთელი ღამე. განა არ მეტირებოდა, ახლაც მეტირება, მაგრამ დავილაღე; ხალხნო. უბედურო ქაიხოსრო, მიწას როგორ უნდა შეაჭამო შენი ოქროს ეპოლეტები — ტირილით დაამთავრა მარომ.

— გაჩუმდი, გაჩუმდი. — გაუწყრა ზოსიმე მღვდელი.

— გული რომ არ ჩუმდება?! — ამოისლუტუნა მარომ. — პირველად ცოცხალი მეგონა. მკვდრის მეტი რა მინახავს, მაგრამ მაინც მოვტყუავდი.

ვირზე იჯდა. იმანაც, სტუმარი მოგიყვანეთო, წამოგვეყარა ლოგინიდან. ვაი, მამი, მოგვეჭრა თავი, ხელმწიფის ტოლა კაცი გვესტუმრა-მეთქი, ვეუბნები მამაჩემს. იმას კი, ისევ ძინავს, ფეხზე დგას და ძინავს, ზეზეულად. დიდხანა მოჭრილი გვაქვს თავი მეცა და შენცაო, არაკუნებს თავისებურად. ჭრავი გავიტანე და რას ვხედავ, მკვდარია, თანაც დიდი ხნისა, ისემც მე ვიხარო. არ ვიცო. წუხანდელი ღამე თუ დამავიწყდება.

— მერე სხვისთვის გამზადებულ კუბოში ჩააწვინეთ და თავითი სანთელი დაუნთეთ. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— მამაჩემმა სხვას ვაუკეთა. ხვალ უნდა მოვიდნენ წასაღებად, წუხელ კი ჩვენი მკვდარი ჩავაწვინეთ შიგ. ცოცხალი მოსულიყო, ლოგინს დავეგებდით, ისემც მე ვიხარო. — თქვა მარომ.

— კარგი, გეყოფა. რამღენჯერ უნდა თქვა ერთი და იგივე. ახლავე თუ არ დაუძახებ ალექსანდრეს... — ზოსიმე მღვდელს თითის დასაქნევად აწეული ხელი ჰაერში გაუჩერდა, რადგან სწორედ იმ დროს ალექსანდრე გამოჩნდა ბილიჯზე.

— ეგე, მობრძანდება. — თქვა პეტრემ და პირველად თავის სიცოცხლეში ააღელვა შვილის დანახვამ.

არაფერი ეტყობოდა გამოძინებული კაცისა, ჩასისხლიანებული თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ყვრიმალეები ულაპლაპებდა, ავად მოაქანებდა ერთადერთ მკლავს, უხეშად ხმელი, უხეშად აწოწილი, უხეშად პირქუში; საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, — უნებურად იფიქრებდა მისი შემხედავი კაცი.

— არ არსებობს, მამაო, ჩემთვის მოტევება. — დაიყვირა შორიდანვე. მოდიოდა და ყვიროდა, — არცა ვთხოულობ. არცა ვნანობ, არც არავის მეშინია. — ჭიქურ მოდიოდა. მაროს ისე წაჰკრა ხელი, ისე ჩამოიშორა გზიდან თითქოს გამშველებელი იყო, წინ უპირებდა ჩადგომას, ანდა თითქოს

ადგილი არ ეყოფოდა და მაინც მაინც მაროს ნადგომზე უნდა დამდგარიყო. „ჯერ კიდევ მთლად ბავშვია, — გაიფიქრა ზოსიმე მღვდელმა. — რცხვენია და ის აწუხებს, რომ რცხვენია“. ახლა ერთმანეთისგან ორ ნაბიჯზე იდგნენ (ალექსანდრეს მამისათვის არც შუხედავს), ერთმანეთის სუნთქვაც ესმოდათ. „მე არ მელოდებოდა. ჩემი დანახვა არ ესამოვნა. უჩემოდ უფრო იოლად გამოჩნახდნენ საერთო ენას. მამამ კი მოწმე მოუყვანა. არასოდეს არ დაუვიწყებს ამას. რაც დრო გავა, უფრო შერცხვება, უფრო დაიტანჯება“. — ფიქრობდა ზოსიმე მღვდელი.

— მე მხოლოდ აღთქმა შევასრულე, მამაო. — თქვა ალექსანდრემ დახეული ხმით, თითქოს ზოსიმე მღვდლის ფიქრი ამოიცინო.

— ჯოჯოხეთში ჩაიგდე, შვილო, თავი. ჯოჯოხეთში. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მაგას გერჩია...

— მე ვიცი, რაც მერჩია, მამაო, — გააწყვეტინა ალექსანდრემ. — არც ჯოჯოხეთის მეშინია! — იყვირა უცებ. — ჩემთვის ყველგან ჯოჯოხეთია. ჯოჯოხეთში გამაჩინა ღმერთმა, თქვენთან ვერად, რადგან სამოთხე ჯერ გასაშენებელი აქვს, ჯერ სამოთხისთვის ვერ მოუტლია. კაცმა რომ თქვას, ვისთვის უნდა გააშენოს სამოთხე? — გაიცინა ალექსანდრემ, დვარძლიანად, გამომწვევად.

— ღმერთს ნუ ცოდავ, ღმერთს, ნუ ცოდავ, — გაუწერა ზოსიმე მღვდელი. — შენ სხვასთან რა ხელი გაქვს? ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც, გააჩნია ვინ რას აირჩევს.

— განა ასეა საქმე? განა არჩევის უფლებაცა გვაქვს? — გაიკვირა ალექსანდრემ.

— გააჩნია, ვინ რას აირჩევს. — გაიმეორა ზოსიმე მღვდელმა, თითქოს

ოთარ ზილაძე
ყოველგან ჩემგან მკვდარს...

უკანვე დაიბრუნა ნათქვამი, რათა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა მისი სისწორე, სანამ სამუდამოდ მოიშორებდა.

— მაშინ... მაშინ, რა გინდათ ჩემგან? მაშინ, არავის არ ჰქონია ჩემი დასჯის უფლება. — თქვა ალექსანდრემ ცხარედ, სიმართლის დადგენის სურვილით შეპყრობილი ბავშვივით. — მაგრამ თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ასე რომ არ არის. — მოეშვა უცებ. ცოტახანს ჩუმად იყვნენ ყველანი, თითქოს კიბაროსის დაბურულ ტოტებში აფიქვივებულ ჩიტებს უსმენდნენ. — აღამიანი იმას კი არ ირჩევს, რაც მას უნდა, — თქვა მშვიდად, ფიქრიანად, — არამედ, იმას თანსმდება, რასაც თავზე ახვევენ... ანდა იღუპება. მეც ვიღუპები, მამაო, დავიღუპე, უფრო ადრე დავიღუპე, ვიდრე გავჩნდებოდი, რადგან არ შემეძლო ამერიჩია, ვისგან გავჩენილიყავი, სად და როდის.

— დაიღუპე, მაგრამ სამარცხვინოდ. — უპასუხა ზოსიმე მღვდელმა. — სრულებითაც არ არის აუცილებელი, სამარცხვინოდ დაიღუპოს აღამიანი.

— მე სხვანაირად არ შემეძლო და ესეც ჩემზე უკეთესად იცით თქვენ, მამაო. — ისევ ვაცხარდა, ისევ აღმგზნო, ისევ ეშმაკთან დამეგათეულს დემსგავსა ალექსანდრე — მე ხომ პირველივე ცელქობისთვის ჭამრით მცემს, რათა არაფერი ჩამედინა ცელქობაზე მეტი; ბავშვობაშივე მომწყვიტეს მკლავი, ღორის გულისთვის, რათა ფიქრშიაც ვერ შემეხედა ღორზე დიდი და ძლიერი არსებისთვის; მე ხომ ძმა წამართვეს, მამაო, რათა არასოდეს არ მცოდნოდა, რა მინდოდა, რა შემეძლო, რას ჩავდიოდი. კი არ წამართვეს, გამარიდეს, როგორც კეთროვანს, რათა შურითა და ტანჯვით მეფიქრა მასზე, ის შემძულებოდა და არა ნამდვილი მტერი. იმას წერილებს წერდნენ, სიყვარულითა და ნატვრით იგონებდნენ, ჩემს დანახვაზე კი საკუთარ დედას ებრიცებოდა ტუჩები. იმით თავი მოსწონდათ, მე კი მხოლოდ

მზრალბდნენ, მიტანდნენ და მინახავდნენ სამადლოდ. ვიღაცა უნდა მომეცლა, ვიღაცა უნდა მომეცლა, დაღუპვას რომ ვადავრჩენილიყავი, მთლად რომ არ ჩავფლულყავი შურისა და სიძულვილის ჭაობში. ვიღაცა კი არა, პაპაჩემში უნდა მომეცლა, რადგან პაპაჩემს ჩამოეყვით ჩვენც საიდანაც. პაპაჩემმა მოგვცა დასაბამი. მაგრამ ვერ შევძელი. მინდოდა, ენატრობდი, მაგრამ ვერ შევძელი, უძმოდ და უმკლავოდ, და ისევ ჭაობში ჩახრჩობა ვამჯობინე. — ვაჟმედა, მარო მოძებნა თვალებით. — ეს შევები კისერზე, როგორც თვითმკვლელი იბავს ხოლმე ქვას, წყალში გადავარდნამდე, ყოველგვარი საშუალება რომ მოისპოს ვადარჩენისა. წუხელ კი, აღთქმა შევასრულე, მამაო, ბავშვობაში დადებული აღთქმა, ლოცვასავით ყოველ ღამე რომ ვიმეორებდი ძილის წინ, მკვდარი ვიბრზე უნდა შეესვა და სოფელ-სოფელ ჩამოვატარო-მეთქი. ვითომ შურს ვიძიებდი ამით, გალახული ბავშვობისთვის, დაკარგული ძმისთვის და მკლავისთვის. სინამდვილეში, კი კიდევ ერთხელ გავიცელები. ეგ იყო და ეგ ვთქვი და შევასრულე. რაში მენაღვლება, სიგიჟეა თუ სიჭკვიანე. ცუდი ისაა, დამით რომ მოხდა ეს ამბავი და ხალხი არ გვიყურებდა. სამაგიეროდ, მე ვიჭერე გული. ოოოხ, როგორ ვიჭერე! რაც მე წუხელ ვისიამოვნე, მამაო, სიცოცხლედა ღირს. ერთი გენახათ, როგორ მიკუნტრუშობდა სახედარი, სახრე არ ჰქონდა, მიირეკავდა თავისით. ხუმრობა საქმეა, მკვდარი მაიორი ეჯდა ზურგზე, მუნდირში გამოწყობილი, ეპოლეტებით მხრებდამშვენებული; მიციმციმებდა მთვარიანში. ის კი, მთვრალივით, ხან კისერზე ვადააწვებოდა. ხან კი — გავაზე.

— გონს მოდი, გონს მოდი, უბედურო. — დაუყვირა ზოსიმე მღვდელმა.

— თქვას თავისი ფასი და გავათაოდ, — მოთმინებიდან გამოვიდა პეტრეც.

— ტყუილმბრალოდ დროს ნუ გვაკარგინებს. მერე აზრიც არა აქვს ჩატანას.

— ფასიო? რისი ფასი მამაჩემო? — ვაკვირებულმა შეხედა მამას ალექსანდრემ, თითქოს პირველად მაშინ დაინახა იგი.

— ისიც მოახსენე, რომ მამაჩემს პატრონი ყავს და არაფერი გასჭირვებია სხვის კუბოში ჩასაწოლი. — თქვა პეტრემ.

— მართალს ამბობს. იმდენი კი დამისახურა უბედურმა ქაინოსრომ, აღამიანურად რომ დაგვემარხა. — ხმა აუთოთოლდა ზოსიმე მღვდელს. — ნუ გვაცინებთ ქვეყანას. შერიგდით... მორიდდით. — ძლიეს ამოთქვა გაბზარული, ნირწამხდარი ხმით, რადგან უკვე მიხვედრილი იყო, რა სისულელე ჩადენა, რა საზარელი ბრალდება გამოეტანა ამ ცალხელა და უბედური კაცისთვის, რომელიც ბრმა შურისძიებლად ექცია ბედის უკუღმართობასა და სისასტიკეს, მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების სურვილით იყო აღგზნებული და იმდენად აინტერესებდა ფული, რამდენადაც მისი ასავალდასავალი აინტერესებდა სხვას, სხვას კი არა, თუნდაც მამამისს. ეს კაცი საკუთარი სიმახინჯისა და უმწეობის წინააღმდეგ იყო ამბობებული, ესენი კი კიდევ უარესად უპირებდნენ დამახინჯებას, უარესი სივერაგით უპირებდნენ დაკნინებასა და გათელვას, რადგან ჰაი-ჰარად, დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად დასწამეს ის, რასაც თვითონ ალბათ გუნებაშიც არ გაივლებდა, გინდაც ათი სიცოცხლე ეცხოვრა, თუნდაც იმით, რომ მას თავისი, განსაკუთრებული ანგარიში ჰქონდა ქვეყანასთან, რომელიც ფულით კი არ სწორდება, არამედ სისხლით. ამ კაცი-სთვის მიტეება არ არსებობდა, როგორც თვითონვე თქვა, გვამის შემგინებელს ვერავინ გაამართლებდა, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის გვამი, მაგრამ არც იმის უფლება ჰქონდა ვინმეს, ბრალდება შეეცვალა მისთვის, სიძუ-

ლელითა და სიგიჟით ჩადენილი ანგარიშამდე დაემდაბლებინა.

— და მე ფასი უნდა დავადო ცხედარს? ცხედარი უნდა მოგყიდოთ? — ისევ ზოსიმე მღვდელს მიუბრუნდა ალექსანდრე.

ზოსიმე მღვდელმა თვალი ვერ გაუსწორა, ისე საბრალოდ, ისე საცოდავად უცახცახებდა ქვედა ტუჩი.

— კარგი, რა ამბავში ხარ! — უნდოდ შეეცადა მის დამშვიდებას. — მამაშენი არაფერ შუაშია. ხომ ვაგიგია, ერთი სახარება მღვდელსაც შეეშლებო.

— გესმის, მარო? — კვიმატურად აუციმიციმდა ალექსანდრეს თვალები. — ეგე, თუ არ არის სიკეთე და დიდსულოვნება იმის მაგივრად, რომ ძალები მოგვიქსიონ, ჩავვქოლონ, თოკზე დაგვიდონ, კიდევ ფულსა გვთავაზობენ. ხომ გინდა ფული? შენც ხომ გიყვარს ფული? ვითომ ვისზე რა ნაკლებია ხარ, ფული რომ არ გიყვარდეს და ფულის ყადრი არ იცოდე. მიდი, ემთხვიე კალთაზე. ჩემს მაგივრადაც არ იფიქრონ, მთლად წყალწაღებულუბი ყოფილანო, მადლობის თქმაც არ სკოდნიათო. ემთხვიე-მეთქი! — უყვო რა მის ზურგს უკან მდგარ მაროს. მარო რწევით წამოვიდა, მაგრამ ალექსანდრემ მაშინვე მკლავით გადაუკეტა გზა. — მოიცადე. მაგასაც მოესწრები. ახლა ჩვენც გვაცალე, მამაო, სიკეთისა და დიდსულოვნების გამომქლავება. — უტიფრად გაუშტერა კვიმატურად აციმიციმებული თვალები ზოსიმე მღვდელს, რომელიც, ცოტა არ იყოს, დამფრთხალი იყურებოდა, მართლა არ მომიქსიოს მაროო. — როდის იყო, ისტატი შეგირდს ფულს უხდიდა? პირიქით, სულ მე უნდა გიხადოთ ფული. თქვენ ისეთი რამე მისწავლეთ, ვერასოდეს ვერ ამოვალ თქვენი ვალიდან. ამის მერე, რამდენ გვამსაც ვაყვიდი, იმდენი წილში მეყოლებით. პაპაჩემი

ოთარ ხალიძე

უკვამლან ჩამან მკვანდლან...



გი, მაჩუქნია, მექთად წაიდეთ, კუბო-
იანდ, სანთლებიანდ... ის კი არა, ვი-
რის ქირაც ჩემზეა ეგრე მოახსენეთ
მამაჩემს. — უცებ უხმო, შემაზრზენი
სიცილი აუვარდა, ერთადერთი მკლავი
კიპაროსის ხეს მიაბჯინა და, სახედა-
მანჭული, მთელი ტანით ძაგდაგებდა,
იკრუნჩხებოდა, თითქოს ძალით ირევე-
და გულს. — შენ მაინც რატომ არ და-
მინდე, მამაო? შენთვის ხომ არაფერი
ღამიშავებია? — ამოაყოლა სიცილს.

— არცაღა მამაი სჯის არავის, არა-
მედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა. —
თქვა ზოსიმე მღვდელმა, როცა მედრო-
ვემ ცხენები ურუქისაკენ მოატრიალა.

ქაიხოსროს ქელეხში სარდიონმა იმდე-
ნი ჭამა, ყველას მადა დაუქარგა თვი-
თონ კი, დოღზე გავარჯიშებულ ხელებს
გასისინებულ მუცელზე იტყაბუნებდა
და უფროსებისგან დარიგებული, გა-
იძახოდა: იფ, როგორა გავძეხი, ნეტავი
მამაჩემიც მალე მოკვდებოდესო.

— სარდი, აქეთ მოიხედე, ბიჭო. კარ-
გი ყოფილა ქელეხი? — ექილიკავე-
ბოდნენ საკმელზე გულმარეზილი და
ღვინოს დაწაფებული მექელეხეები.

— კარგი ყოფილა ქელეხი. — იძახ-
და სარდიონიც და მერე ამატებდა: ნე-
ტავი მამაჩემიც მალე მოკვდებოდესო.

— ნუ აძალებ, ცოდოა, დამბლა მო-
უვა. — ეხვეწებოდა დუსა ხალხს.

მაგრამ შეზარხოშებული მექელეხე-
ები მაინც სარდიონის ჭამში ცლიდნენ
თავიანთ თევშებს და ისიც, ძალღური
ფაცაფუტით, ღრენითა და კბილთა
ღრქილით თქვლევდა ერთმანეთში
აზელილ ხაშლამასა და შილაფლავს,
ლობიოსა და ღანძილს. დედამისი რომ
დაუძახებდა, გეყოფა, შე სასიკვდილეო,
ერთი წამით წამოყოფდა მხოლოდ
თავს, როგორც წუწკმა და მხდალმა
ძაღლმა იცის ჭამისას და მხოლოდ ერ-
თი წამით გაირინდებოდა უზაროდ
მომღიმარა და ხორცის ნახარშით გულ-
მკერდჩამოწულული. ნიკაბი ქონისაგან
უბზინავდა და ზედ ბრინჯის გასრესი-
ლი მარცვალი აჰკვროდა. „მიდი, სარ-
დი, მიდი“. — აქეზებდნენ აქეთ-

იქიდან პეტრე მაკაბელის ახლად შემე-
ნილ მემკვიდრეს, რომლის პირუტყვ-
ლი მადა, ყველას ლაზღანდარობისა და
პამპულაობის ხასიათზე აყენებდა.

— თქვენ არხეინად იყავით, ეს უფ-
რო გამომადგება, ეს მაინც ივლის ჩემს
კუპაზე — იძახდა შეზარხოშებული
პეტრე.

რაცაღანიარად ატაცნილი იყო, ხალი-
სიანი, თითქოს მამა კი არ დაუმარხავს,
მძიმე ტვირთი მოუხსნია მხრებიდანო.
ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და ხან
ვის გადაემხოზოდა ბეჭებზე და ხან
ვის: როგორ მიდის საქმე, ხომ არაფერი
გაკლიათო.

— შენი ამბავი რომ ვიცი, მაგ ქალს
ერთზე არ გააჩერებ. გამრავლოს და
გადდებრძელოს ღმერთმა. — ამოხედა
გარეგინამ და თვალი ჩაუქრა. დახვე-
ული და მარილზე დაწებული მწვანელი
პირთან ჰქონდა მიტანილი.

— აღარ მოესწრება, თორემ ვინ
ოხერი... — გაიცინა პეტრემ. მერე უფ-
რო გადაიხარა სუფრისკენ და მარტო
გარეგინას კი არა, ახლომახლო მსხდომ-
თაც რომ გავგოთ, გააგრძელა: ხანდახან
ისიც მაგიწყდება, რისთვის შევიხსენი
ხვანჯარიო.

სიცილმა რომ იფეთქა, პეტრე მაშინ-
ვე გაეცალა იმ ადგილს, მომღიმარა,
ხალისიანი, დაუზარელი და ყურადღე-
ბიანი მასპინძელი.

სარდიონს დამბლა არ დასცემია,
მაგრამ არც ბევრი დაჰკლებია. ის და-
მე სახლის უკან ეგდო მიწაზე, საკუთარ
ნარწყევში და მისი კვნესა და გმინვა
გათენებამდე აყევებდა ურუქის ძაღ-
ლებს. არც დედამისს გაუხდია იმ დამეს,
კაბიანად, ფეხსაცმელიანად შეწოლი-
ლიყო საბნის ქვეშ, თითქოს სხვისას
იყო თავშეფარებული და არ იცოდა,
რა წუთას მოუწევდა ადგომა. ამოდ
უტრიალა გადატანილითა და ღვინით
აღზნებულმა პეტრემ მეუღლეს, დუსა
ცივი და პირქუში იყო, როგორც ალყა-
შემორტყმული ციხე, რომლის ქონგუ-
რებიდანაც მოულოდნელად დაიქუხებს
ხოლმე ზარბაზანი, დანებებულად ანდა



მიტოვებულად რომ არ ჩათვალოს იგი მტერმა.

— მიეწიე, მამაშენს. — მოულოდნელად შეაზრიალებდა სარკმლის მინებს დუსას ბოხი ხმა.

— ბარემ ისიც უთხარი, რომელს? ოთხად ხომ არ გაიჭრება ეგ უბედურო.

— ეძახდა ოთახის ხან ერთი და ხან მეორე კუთხიდან, გაწვილებული, აღრენილი და თეთრ მოჩვენებასავით აბორიალებული პეტრე.

მაგრამ დუსას იმ ღამეს პეტრესთვის არ ეცალა. მარტო მან იცოდა, ზვალადან ერთადერთი ქალი რომ იქნებოდა ამ ოჯახში. მარტო მას უთხრა ანეტამ, მივდივარო, როცა სასაფლაოდან მობრუნდნენ, და იმის მერე, ვერ იქნა და ვერ ამოიგდო თავიდან ანეტაზე ფიქრი. სინდისის ქენჯნა კი არ აწუხებდა, ანეტა კი არ ეცოდებოდა, ბრახობდა, ხელიდან რომ დაუსხლტა, გაუფრინდა, დაჭერილი ჩიტივით.

— მივდივარ. — უთხრა ანეტამ დუსას.

ისინი კიბესთან იდგნენ. ნახირივით ზანტად და ზღაზვნით შემოდირდა ეზოში სასაფლაოდან მობრუნებული ხალხი.

— შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ, ჯერ ნუ იტყვი, ჯერ ნუ ვააგებინებ მამაჩემს. ზვალამდე მაინც. — უთხრა ანეტამ დუსას.

დუსას არც ახლა უპასუხია. სახტად დარჩენილი, დაბნეული და დაეჭვებული შესცქეროდა სახეში. უცებ ანეტამ ლოყაზე აკოცა, მადლობელი ვარო, ჩასჩურჩულა ყურში და გაერია, ხალხში გაერია. თვალგაცეცებული მიიკვლევდა ხალხში გზას და წარამარა ერთნაირ, ერთნაირად მოღუშულსა და დაღლილ სახეებს აწყდებოდა. „აქ არ არის. არც სასაფლაოზე ყოფილა. არც სასაფლაოზე დამინახავს“. — ფიქრობდა ფაცაფუციით. დარწმუნებული არ იყო, მართლა რომ მოვიდა საგზაო ინჟინერი პაპაშისის დაკრძალვაზე, თუმცა საკუთარი თვალთი იხილა და საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ უთხრა პი-

რადად მას: მოზიარე ვარ თქვენი მშუხარებისაო. ისიც ცხადად ახსოვდა, როგორ აღრიალდა, როგორ დაპაღუპით წამოთუვიდა თვალებიდან იქამდე გამშრალი თუ გაქვავებული ცრემლი, როგორცკი საგზაო ინჟინერი შემოვიდა ოთახში. იქამდე ტირილი არ შეეძლო და არც ცდილობდა. უცხოსავით იჯდა პაპის კუბოსთან, ვიღაც შაოსან დედაბრებში ჩაკარგული, გამშრალი და ვაკერპებული. დუსა ტიროდა. ის კი — არა. დუსა ხმით ტიროდა, არ მაცალე რომ მომეარნა, შევიღობა რომ გამეწია შენთვისო, დაპყვიროდა პაპაშისის და დედაბრებიც ვიშვიშებდნენ, დუსას საქციელი მოსწონდათ, ამისი კი — არა. ამას აღმაცერად უყურებდნენ, ბრახიანად, ბებრული, აწრიალებული თვალბითა კიცხავდნენ. მაგრამ, საგზაო ინჟინერი რომ შემოვიდა, ანეტამ ისეთი ღრიალი ასტეხა, დუსასაც ხმა ჩააწყვეტინა და გოაცებისაგან დედაბრებსაც დააღებინათ უკბილო პირები. ასე, დაკარგული, უცხო ხალხში მოხვედრილი ბავშვი შესტირებს ხოლმე მოულოდნელად გამოჩენილ მშობელს, ტირილში გადაეზრდება მოულოდნელი სიხარული, თუმცა სატირლად იქამდე ჰქონდა საქმე, სანამ მშობელი იპოვინდა და წასაყვანად მოაკითხავდა. ცხადი იყო თუ მოჩვენება, ახლა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ საგზაო ინჟინერი არსებობდა, თანაც აქვე, აქედან ხუთ კილომეტრზე, და თუ იმან არ მოაკითხა ანეტას, ანეტა თვითონ მიაკითხავდა მას, რადგან სხვა აღარავინ ეგულებოდა უფრო ახლობელი, სხვა აღარავინ ეგულებოდა მისი მწუხარების მოზიარე. ეზოდან რომ გადავიდა, შარავზის ცხელი და ფაფუკი მტვერი რომ იგრძნო ფეხქვეშ, უფრო გათამამდა, უფრო დარწმუნდა, სწორედ რომ იქცეოდა. „მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების, მოზიარე ვარ თქვენი მწუხარების“ — ცდილობდა საგზაო ინჟი-

ოთარ ზილამა
ყოველწლიან ჩემთან მკონდალთან...



ნერის ხმისთვის მიებაძა გუნებაში და ხალისიანად, იმედიანად მიაბიჯებდა წნორისკენ, სადაც ის უნდა დახვედროდა, ძმების მაგიერი, მისი მწუხარების გამგები და მოზიარე. ფიქრსა და ოცნებაში იმდენჯერ ჰქონდა ეს გზა გავლილი, არც ახლა შეეშლებოდა. სულ ასე უნდა ევლო, სულ პირდაპირ, სანამ წყვილი კაკალი და პატარა ნასაყდრალი შემოხვდებოდა. მერე ბილიკზე გადავიდოდა, მინდორს გადაივლიდა და უკვე წნორში იქნებოდა. პირველსავე სახლში შეეძლო ეკითხა საგზაო ინჟინერი, რადგან წნორში ყველგან რკინიგზის მუშები ცხოვრობდნენ და ყველა მისაწავლიდა გზას. საღამოვდებოდა, სქლად დადებული, ფაფუკი და ჭერ კიდევ ცხელი მტვერი ფეხის ხმას ახშობდა. მუხლებამდე თეთრად შეფიფქვლად დედისეული კაბა. აკაციის ხეზე ჩიტი უსტვენდა. პირველად იღვა დიდ გზაზე, მაგრამ გზისთვის ის არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ვერც იმის სიმძიმეს გრძნობდა და ვერც იმის შავ ლანდს ამჩნევდა, იწვა, ვერაგულად ვატრუნული ფეხქვეშ, უკან, წინ, თეთრი და უსასრულო, მტვრის მდინარე, ჩავლილი, ჩათავებული, ჩამკვდარი ნაბიჯების სასაფლაო. ის კი, ხალისიანად მიდიოდა, თანდათანობით იძირებოდა გზის სითეთრეში, გზის დუმლში, გზის სიღრმეებში, და ჭერ ისევ ბავშვი იყო, რადგან მშობლიური სახლის ჯიბრზე მისწრაფოდა უცხო და იღუმალი ქვეყნისაკენ, რომელსაც ასე იოლად ვეღარ დააღწევდა თავს. საღამოვდებოდა.

რკინიგზა ნელა, მაგრამ ჭიუტად მოიწვედა წინ. აფეთქებების ხმა ახლა აღარავის ეშლებოდა ელიას ეტლის გრუხუნში. უკვე ყველამ იცოდა, რომელ სოფლებზე გაივლიდა იგი და რომელს მოითოვებდა გვერდზე. ურუქი გვერდზე რჩებოდა, ესეც უკვე დანადვილებით იცოდნენ, მაგრამ იმდენი კი არ გაეკებოდათ, გახარებოდათ თუ გუ-

ლი დაწყვეტოდათ. ხალხს თუ დაეჭვებოდა, თითქოს რკინიგზა მხოლოდ იმ სოფლებზე გაყავდათ, სადაც თავადები და მდიდრები ცხოვრობდნენ. მაგრამ რკინიგზამ ბევრი ისეთი სოფელი გამოიყვანა სამზეოზე, იქამდე არც იცოდნენ, საერთოდ თუ არსებობდა. ურუქს ხომ ვერც გაუტოლდებოდნენ, ვერც ადგილმდებარეობითა და ვერც სიდიდით. ურუქში რომ ხალხი ცხოვრობდა, ერთ ქალაქს ვაყვებოდა. ადრე, როგორც წინაპრებიდან იცოდნენ, თავდაც ქალაქი ყოფილა, მისი ნებართვის გაერეშე ვერც ჯარი ჩაივლიდა თურმე გზაზე და ვერც ქარაფანი, მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია, ურუქს რომ შერჩენიოდა, და ისიც თანდათანობით სოფლად გადაქცეულა. მაგრამ წნორსა და სხვა მისნაირ, სახელდახელოდ გამოჩეკილ სოფლებს მაინც ჯობდა, ქალაქი ერქვა თუ სოფელი, ისევ მთავარ გზაზე იღვა და ვერც მტერი აუვლიდა გვერდს და ვერც მოყვარე. ურუქელი მოხუცები იმასაც ამბობდნენ, ჩვენი სოფელი ადამის გაშენებულიაო, თამარ დედოფალი მარტო აქაურ წყალსა სვამდაო, წყალს აქედან უზიდავდნენ სახედრებთ თბილისშიო, მაგრამ რაც არ უნდა ეცრუათ და ეტრახანათ ურუქელ მოხუცებს, წნორი კოლოების საბუღარო იყო მხოლოდ, როცა ურუქს ერთი ცხოვრება მოთავებული ჰქონდა. ყველაზე ხნიერი მოხუციც ვერ იტყვის, როდის აშენდა ურუქში ბოლო სახლი, ხოლო წნორში პირველი სახლები ახლა შენდება და თუკი ფიცრისაგან სახელდახელოდ შეკოწიწებულ ხუხულებს სათვალავში არ ჩავადებთ, ნამდვილი სახლი, ჩვენებური, ქვეთიკრისა, ჭერ არცა დგას. გარდა ამისა, ურუქს თავადიცა ყავს (ვისზე რა ნაკლები გვარიშვილები არიან ვითომ მაკაბელები), მღვდელიცა და ვაჭარიც, მაგრამ რკინიგზამ მაინც წნორი დააყენა წინ. „ნუ დაავდებ ძველსა გზასო“ — თავს იმშვიდებდნენ ურუქელები, მაგრამ გუმანითა გრძნობდნენ, გარიყვას რომ უპირებდათ ახალი ცხოვრება. მოკლედ

დიდი მითქმა-მოთქმა იყო, არა მარტო ურუქში, არამედ მთელს კახეთში. მატარებელი ჯერ მხოლოდ გურჯაანამდე დადიოდა, მაგრამ გურჯაანს შემოთავაზებდა, ვისთვის ვენახი მოეშალა და ვისთვის სახლი, ვისი ძროხა გაეტანა და ვისი ცხენი. რკინიგზა კი, წინ მოიწვევდა, მოიკლაკნებოდა და მიიმედა, მტკიცეულებად მკვიდრდებოდა ბაღ-ვენახებში ტრიალს, ურემსა და სახედარს მიჩვეული კაცის შეგნებაში. რკინის ურჩხულივით იწვა ხრეშის დატყეპნილ ბორცვზე, ავად გალურსული, ავად მზინაივი, ვანუწყვეტილვ მზარდი და, ამიტომაც გამოუცდელი თვალისთვის უძრავი, უცვლელი, ერთფეროვანი. იჩენებოდა ტყე, იხეოდა მიწა, იპობოდა ქედო, რადგან მაინც ვეღარაფერი შეაჩერებდა ამ უსახო, უკიდურებო არსებას, რომელსაც აზრი კი არ წარმართავდა, არამედ — ზნე. ბუნება სახეს იცვლიდა. ახლა, ტყიანი ფერდობების ნაცვლად, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ვატყავებული ხორცისფერი ფლატეები, გამოკაფული, გამომჟვანარი ქალები, კუდმოკვეცილი მინდვრები და სახელდახელოდ, გამომპალი ფიცრებითა და ქანვიანი თუნუქის ნაკრებით შეკოწიწებული ქობახები, ფარდულები, ჯიხურები... რკინიგზას მიჩერებულნი მბუქტავი, ძონძებრამოფარებული ფანჯრებით, რკინიგზას მოყოლილნი და რკინიგზას მიტმანნილნი, როგორც ლეკვები დიდის მუცელს. მახუთის გუბებზე, ქვანახშირის ბორცვებსა, გვერდშეწყულეტილ კასრებსა და დანჯღრეულ ურჩიებს შორის ახალი სიცოცხლე იკადებდა ფეხს, ვზადავა ჩასახული, ვზადავა გაჩენილი და ვაზრდილი, რკინასავით სახეგადაპრიალებული, რკინასავით ცივი და უტყვი. რკინის ურდო მოდიოდა, ქალებიანად, ბავშვებიანად, ბარგიბარხანიანად. არც ღმერთი ვერა და არც კაცი მათ გაჩენაში, რკინიგზის საშოდან დაბადებულნი, რკინიგზის ანაბარა დარჩენილიყვნენ, მაგრამ უიმათოდ ვერც რკინიგზა მოიცვლიდა ფეხს, იმათი დაგებული იყო ამოდენა ხე და

რკინა, იმათი მოზიდული იყო ხრეშისა და ქვანახშირის ზვინები. მათ არცოჯახი ჰქონიათ როდისმე და არც სამშობლო, არც აღურიცხავს და არც სათვალავში ჩაუვლია ისინი ვინმეს. მხოლოდ და მხოლოდ რკინიგზა იყო მათი თჯახიცა და სამშობლოც; უფრო მეტიც, დროსა და სივრცეში ისინი ამ რკინის ვიწრო და უსასრულო ზოლის მეშვეობით ინარჩუნებდნენ არსებობის უფლებას და სრულებითაც არ ადარდებდათ, რომელ ცისქვეშ დაძინებულნი, რომელ ცისქვეშ გაახლდნენ თვალს. ისინი ყველგან შინ იყვნენ, თუკი ფეხქვეშ ლიანდაგის სიმტკიცეს გრძნობდნენ და ლიანდაგის სუნი სცემდათ ცხვირში. თავადაც ამ სუნით გაქლენთილნი, ამ სუნის განუყოფელი ნაწილნი, უფესვონი და უწარსულონი — ბრმად, უსაზღვრო ნდობით მიჰყვებოდნენ რკინის ნაკარნახევ გეზს, რადგან არც დრო ჰქონდათ და არც უნარი უკან შემობრუნებისა, თუშეცა უკანაც ის იყო, რაც წინ: რკინის ტყუბი ზოდი და ამ ზოდებს შორის მოქცეული, ნაცრისფერი, უნაყოფო მიწა. მათ არსებობას რკინა და ვანუწყვეტილი მოძრაობა ედო საფუძვლად და, ამიტომაც, თავისებური, უფრო სწორედ, ნაჩქარავი, დაუზუსტებელი წარმოდგენა ჰქონდათ დანარჩენ სამყაროზე, რომელიც აქეთ-იქიდან ემიჯნებოდა მათ უსასრულოდ გაწევილ სამშობლოს. მატარებლის სარკმლიდან მოწყვეტილი ფოთოლი საკმარისი არ იყო ბუნების საიდუმლოებათა ამოსაცნობად, მაგრამ საკმარისზე მეტი იყო სევდისა და შურის აღსაქრელად, რკინისა და ხრეშის ტყვეობაში მოქცეული კაცისათვის; მატარებლის სარკმლიდან დანახული ვენახი თუ ხეხილის ბაღი, თითქმის არ განსხვავდებოდა ველური ჭალისაგან და ისიც, მატარებლის ბინადარი, მომიჯნავე ბუნებას გაუთავებელი გვირაბის მწვანედ გადაღებილი კედელივით აღიქვამდა და დიდ ნადირზე

ოთარ ზილაძე
სოკოლმან ჩიშან მკოვნილმან...

გამარჯვებული ველურის ყიჟინა აღ-
მობნდებოდა ხოლმე, ქროლვისაგან
თვალდაბრმავებულს, ალტკინებულს,
თუკი ფანჯარაში გადაკიდული, ალალ-
ბედზე რამეს წააწყვეტდა, რამეს წა-
აგლეჯდა მას: ფოთოლი იქნებოდა, მკვა-
ხე ხალი თუ თითებზე მიგლეხილი ყვა-
ვილი. ნათქვამია, სადაც მიხვალ, იქა-
ური ქუდი უნდა დაიხურო, მაგრამ
მათ ქუდის გამოცვლაც არ ჰირდებო-
დათ, რადგან ყველგან სამშობლოიანად
მიდიოდნენ, ყველგან რკინაზე ედგათ
ფეხი, რაც უცხოობის გრძნობას კი
უქარწყლებდათ, მაგრამ ახლის შემჩნე-
ვისა და შეთვისების უნარსაც უსაბო-
ნადათ. აქაც ისე ცხოვრობდნენ და იქ-
ცოდნენ, როგორც ასეული, ათასეული
კილომეტრების იქით, რადგან, საკუთარ
დროსა და სივრცეს მოწყვეტილნი, გუ-
მანითა გრძნობდნენ, მხოლოდ ამგვა-
რად რომ შეინარჩუნებდნენ წონასწო-
რობას, სხვათა დროებსა და სივრ-
ცეებში შეჭრილნი. მათთვის მთავარი
დღევანდელი დღე იყო, გუშინდელი არ
ჰქონდათ, ანდა არ ახსოვდათ, ზვალინ-
დელისა კი არ ჯეროდათ, და დღეს უნ-
და მიეღოთ, რისი მიღებაც შეიძლებო-
და მარად ბორბლებზე შემდგარი ცხოვ-
რებისგან. ამიტომაც, ათვისებას მით-
ვისება ერჩიათ. მითვისებას დროც ნაკ-
ლები ჰირდებოდა და ცოდნაც. მარტო
ძალაც საკმარისი იყო საამისოდ. მოდი-
ოდა, მოდანდგარებდა, მოგუგუნებდა
ახალი ცხოვრება. საწყალობლად იმზი-
რებოდნენ მთებზე გადმომდგარი, უომ-
რად წამხდარი, განუწყვეტელი ბიძგე-
ბისაგან საძირკველშერყეული ციხე-
კოშკები, გუმბათადაზარული ტაძრები,
საიდანაც სამუდამოდ გადახვეწილიყვ-
ნენ ქვეყნის მფარველი წმინდანები და
ანგელოზები, და ახლა მარადიული ცის
მხოლოდ ნარჩენებიდა იყუებოდნენ
თალებში, ბუდემორღვეული მერცხლე-
ბივით: ღვთის გლახბივით. დარცხვენ-
ნილნი და ხელგაშვერილნი იდგნენ
კედლებზე მიხატული მეფეები. დიდ-
ბულები და გმირები, აწ გადაშლილი
ქვეყნის მამები. ქვეყანა სოლჩასობილი

ძორივით იბობოდა და ბზარს აგერ უყ-
ვე წნორამდე მოედწია. წნორის ტაღუნ-
ბი ბარაკებით იყო მოფენილი. ხრემის
ბორცვზე დაკონკილი, ფერმკრთალი
ბავშვები ისხდნენ და ჩამავალ მხეს
შესცქეროდნენ. ზვინებდალ ეყარა ირგ-
ვლივ ნაჭაფი, დასახიჩრებული ბარ-
ნიჩაბი, ძალაყინი თუ წერაქვი. მაღალი,
პირხმელი, მკლავებშიშველი ქალი მუ-
ყაოს ნაჭრით აღვივებდა ცეცხლს. ბა-
რაკებს შორის გაბმულ თოკებზე სი-
ლისფერი სარეცხი შრებოდა. ბარაკე-
ბის წინ, აფხაზი მწყემსის სადგომივით,
პატარა ბუდრუგანა იდგა. ერთადერთ
ვიწრო სარკმელში თუნუქის ღუმელს
გამოეყო გაჰვარტლული მილი. ეტყო-
ბა, მის ბინადარს აქ გამოეზამთრა და
მომავალ ზამთრამდეც აქ აპირებდა დარ-
ჩენას. ბუდრუგანაში, გაურანდავი
ფიცრის ნარზე იავორა იწვა გულადმა
და, ქერსმიშტერებული, ფიქრობდა. კი
არ ფიქრობდა, ჩვეულებისამებრ თავ-
ბედს იწყევლიდა. კიბეზე ბრაზობდა, მაინცდა-
მაინც მის ფეხს რომ ისხლეტდა, სხვა-
თა ფეხებით გადაგლეხილი.
იავორა მაროს კი არ გაეჭვა, რო-
გორც მაროს ეგონა, არამედ საკუთარ
ბედს, რომელიც ძალღალაც არ აგდებ-
და იავორას, არც ეხმარებოდა და არც
ნებას აძლევდა, თავი დაეღწია მაროს-
ნაირებით დასახლებული ქვეყნიდან.
საითაც გაიქცა, იქით წაიქცა, ქვა აღ-
მართში დაეწია და ისევ უკან ჩამოაბ-
რუნა, ისევ ტალახში, ისევ სიბინძურე-
ში, ისევ სილატაკეში. რაღა არ სცადა,
მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაიმართა წელ-
ში. ეტყობა, მამამისს უკეთესი ბედი
შეხვდა და იავორა ვერასოდეს ვერ
ელირსებოდა იმას, რასაც მამამისი
ელირსა, თუკი, რაღა თქმა უნდა, ნახე-
ვარი მაინც მართალი იყო, რასაც მამა-
მისზე ყვებოდნენ. ბედი ღუპავდა იავო-
რას, თორემ არც ჯანით ჩამოუვარდებო-
და მამას და არც მონდომებით, ხოლო
თმის ფერი თუ რამეს ნიშნავდა, იავო-
რაც ისეთივე მწითლური იყო, როგორც
მამამისი, შეიძლება, უფრო მეტადაც,



ცეცხლივით უბრალებდა თავ-კისერი. ბედმა უმუხთლა იაგორას, ბედი შეხვდა გულდრძო და უბირი, და ვერაფერი რომ ვერ გააწყო მასთან ჭიდილით, მესაფლაობას მიჰყო ხელი, რათა ბედისაგან ცოცხლად დამარხულს, სხვათა დამარხვით მაინც მოეოხებინა გული. იოხებდა კიდევ, მით უფრო, როცა ლამაზი და მდიდრულად ჩაცმული ჭირისუფლები მოჰყვებოდნენ ხოლმე მკვდარს. თუმცა ღარიბსაც მარხავდა, მაგრამ ხელის გასვრად არ უღირდა ღარიბი მიცვალებული და, რაც მთავარია, არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მის მიმართ, არაფერი აკავშირებდა მასთან, არც ოცნება და არც სიძულვილი და, მაროსი არ იყოს, ისიც იმდენხანს ახსოვდა, რამდენი ხანიც კუბოს საფლავში ჩაშვებდასა და საფლავის მიწით ამოვსებდას ჭირდებოდა. ღარიბ მიცვალებულზე მეტად, არც ღარიბი მიცვალებულის ჭირისუფლები აინტერესებდა, არც იმათი დატოვებული ღანძილი უნდოდა და არც იმათი ძმარღვინო, არც იმათ ნალაპარაკებს უსმენდა, რადგან ფეხებზე ეკიდა, რა გაეყიდათ, ვის ვალში ჩაცვენილიყვნენ. რათა კიდევ ერთი მატლი ქრისტიანული წესით მიეპარებინათ მიწისთვის. ღარიბი ხომ თვითონაც იყო, რას იტყოდნენ იმისთანას. ეს რომ გაეკვირვებინათ. ანდა ამას რომ არ ცოდნოდა. ესენი, მათ შორის იაგორაც, ცხოვრების მანანხალები იყვნენ, ხალხში არც ითვლებოდნენ და ისევე უჩუმრად იპარებოდნენ ამ ქვეყნიდან, როგორც მოსულაყვნენ. ხალხი მდიდრებს ერქვა. ქვეყანაც მდიდრებისა იყო, რადგან ზარზეიმით ჩნდებოდნენ და ზარზეიმით იმარხებოდნენ. ყოველი მდიდრის დამარხვა დაუფიწყარი, განუმეორებელი მოვლენა იყო იაგორასთვის. მდიდრის ცხედართან იაგორას ორი უმთავრესი გრძნობა აკავშირებდა: სიყვარული და სიძულვილი. უყვარდა, რადგან მდიდარი იყო იგი, და ძულდა, რადგან თვითონაც არ იყო მდიდარი, იმისნაირი. მდიდარი მკვდრის ჭირისუფლები ვერც ამჩნევდნენ იაგო-

რას, მაგრამ რა იცოდნენ, რა არაადამიანურ შეგებასა და ნეტარებას განიცდიდა მათი შემყურე, მათში გარეულო, მიწის ფხვიერ ბორცვზე შემდგარი, თოქმომარჯვებული და წითლად აბრიალებული მესაფლავე. ღვთაებრივი სიმშვიდე და მედიდურობა ეუფლებოდა იაგორას, როცა ვაი-ვიშით ეხვეოდნენ აზიზმაზიზი ჭირისუფლები მის შიშველ ფეხებთან დასვენებულ ცხედარს. შორიდან რომ შეგხედათ. სამსხვერპლო ცეცხლი გეგონებოდათ იაგორა, რომლის ორგველივც მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებდნენ წარმართები. იაგორა არა მარტო მდიდარ ცხედარს, არამედ ყველა მის ჭირისუფალსაც იმახსოვრებდა, ჩაცმულობაც კი ახსოვდა მათი და მორიგი საფლავის ფსკერზე დასასვენებლად მიწოლილი, მათზე ფიქრობდა: ვნებიანად, შურთანად, უთმედოდ და ტანჯვით. ხოლო, როცა მაროს გამურული სახეც ამოტივტივდებოდა საიდანღაც, მოულოდნელად, როგორც ნიჩაბს ამოყოლილი ძვალი, მართოც იმ ლამაზი და სუფთა ქალების ჟინს იკლავდა, კუბოს გარშემო ატეხილი ჩოჩქოლის დროს, უნებურად რომ ეხებოდნენ მას, ანდა მღელვარებისა და დაბნეულობისაგან მის ბინძურ მხარზე რომ ჩამოასვენებდნენ ხოლმე ნაზსა და სურნელოვან ხელს. ერთ ასეთ ქალს შავი აბრეშუმის კიდევებშემოქარგული ცვირსახოცი დაუვარდა საფლავთან და იაგორა იმ ცვირსახოცს სათუთად ინახავდა, როგორც ღედის დანატოვარს, ანდა სატრფოს ნაჩუქარს და რამდენს დახვდავდა, შურითა და სიამაყით გაიფიქრებდა: ალბათ. ამისთანა ცვირსახოცი ჰქონდა მამაჩემის საყვარელსაცო. ძველი გაზეთის ნაგლეჯში გახვეული, უბეში ედო. დასვენების ყამს სახეზე იფარებდა და ხარბად იყნოსავდა ნელსაცხებლებისა და უცხო ქალის სურნელს. დღითადღე რომ სუსტდებოდა, დღითადღე რომ ითქვიფებოდა იაგორას ოფ-

ოთარ ზილაძე
 ყოველმან ჩემთან მოგველაზნა...

ლის სუნში, მაგრამ იაგორა ამას ვერ ამჩნევდა. რადგან ნესტოებით ახსოვდა იგი და როგორც კი ნაზი, სიფრთხილი ქსოვილი დაეფინებოდა სახეზე, ისეთი სევდა დაეუფლებოდა, ისე აუყმუღლდებოდა გული, დედამისი ალბათ, ცოდვით იწვოდა საფლავში, თვითონ კი, გიჟივით წამოვარდებოდა ხოლმე ფეხზე, ამ დაუნდობელ სევდას რომ არ დანებებოდა, ფარხმალი რომ არ დაეყარა და სამუდამოდ არ ჩარჩენილიყო სხვისთვის გათხრილ სამარეში. უცნობი ქალის ნაზი ცხვირსახოცი იაგორას იმ ქვეყნის სიმკაცრესა და მიუღღსომლობას ახსენებდა, რომლისკენაც ბავშვობიდან ილტვოდა იგი, იმ დღიდან, როცა მისი არსებობა შეიტყო, შეუღწეველი, ამაფორიაქებული საიდუმლოებით მოცული, ისევე როგორც მამის სიკვდილი. იმ დღიდან მოყოლებული იმ ქვეყანას შეჰკმუოდა იაგორას უიმედოდ და სამუდამოდ შეყვარებული გული, მაგრამ ის ქვეყანა, უფროსი ქალივით, ახლოს არ იკარებდა, კარს არ უღებდა, თუმცა მეორე, იაგორასთვის უხილავ კართან საყვარლების რიგი ეყენა. იაგორას იმას მიუგდებდა ხოლმე, რაც უკვე მოეხმარა, გაეცვიოთა და რასაც მხოლოდ დამარხვად ჭირდებოდა. არც ეს იყო ცოტა, ამითაც გაიტანდა აკცი თავს, არც იაგორა თაკილობდა ამგვარ წყალობას, მაგრამ მადლიერების გრძნობა კი არ უჩნდებოდა, სიძულვილის გრძნობა უღრმავდებოდა უფრო, როგორც უიმედოდ შეყვარებულ ყმაწვილს, რომელსაც მდგომარეობითაც და ასაკითაც შეუფერებელი ქალი მამაკაცური ძინით უყვარს, ქალი კი ისე ექცევა, როგორც ღარიბსა და შორეულ ნათესავს. იაგორას ბედის უკუღმართობა, ბედის სიბეცე ხეთქავდა გულზე. მტკივნეულად გრძნობდა, სუფრის ბოლოში რომ მიეჩინა ბედს მისთვის ადგილი და იმამდე უკვე გაციებული, ქონწყინული კერძი, კერძი კი არა, ნაკერძალი აღწევდა მხოლოდ. ისიც იკმეოდა, სიმშრის ისიც უკლავდა, სამყოფიც იყო, მაგრამ იაგორას მაინც სუფრის თავისკენ გაუ-

რბოდა თვალი, საიდანაც კერძის ჩამორიგება იწყებოდა, სადაც ბედისგან ულნი ისხდნენ და, რაც მთავარია, ოდესღაც მამამისიც მკდარა, ზორბა, ღაბაბიან კაცებსა და ჰაეროვან მანდილოსნებს შორის, რომლებიც მაროსავით კაბის კალთით კი არ იზოცავდნენ ცხვირს, აბრეშუმის კიდეებშემოქარგულ ცხვირსახოცებს ხმარობდნენ, და იმდენი ჰქონდათ, მიწაზე რომ დაეარდნოდათ, არც კი დაიხრებოდნენ მის ასაღებად; მუჟუჟსა და ხაშლამას კი არ თქველფავდნენ, ვარდის მურაბას მიირთმევდნენ და თან სულ იმის შიშში იყვნენ, ზედმეტი არ მოსვლოდათ ისიც, რადგან ვარდის ერთი ფურცელიც საკმარისი იქნებოდა. მუცელი რომ დატყობოდათ. მამამისს ასეთ მუცელზე თავმიდებულს სძინებია, იაგორას კი, ნახვაც არ აღირსა ბედმა. იმ ქალებს სასაფლაოს გარეთ რომ დაენახათ იგი, შიშისაგან ალბათ, გულები წაუვიდოდათ, რადგან იაგორაც სასაფლაოს ნაწილი იყო მათთვის და ის მერე ჭირდებოდათ, როცა დაიხრებოდნენ და ყროლის სუნს აუშვებდნენ. მკვდარი ზომ ყველა ერთნაირად ყარს, გინდა მდიდარი იყოს და გინდა ღარიბი. იქნება, მდიდარი მეტადაც ყარდეს, რადგან ღარიბს სანახევროდ ცარიელი აქვს მუცელი. მკვდრები იაგორას ქვეშევრდომები ხდებოდნენ, ძღვენივით მოართმევდნენ ხოლმე ოფლგადამსკდარი ჭირისუფლები მუხის კუბოში გამოტილ კენინას თუ სოვდაგარს, თავადიშვილსა თუ პრისტავს, ფულსაც ბლომად უკუჰავდნენ. სასმელ-საჭმელსაც ბლომად უტოვებდნენ, კალათიანად, და ელაქუცებოდნენ კიდევაც. აბა შენ იცი, როგორ მიგვიხედავ ჩვენს მკვდარსაო. იმას კი არ ეუბნებოდნენ, რაღა ეს მოკვდა, რაღა ადგილი განთავისუფლდა, წამოდი, ახლა შენ იყავი ჩვენთანო. ვერ შეიშნოვებდა, თუ არ მოუხდებოდა?! მაგრამ ბედს არ უნდოდა, ბედი ედგა კრიჭაში, თითქოს არ შეიძლებოდა, შვილისთვისაც გაემართლებინა, რაკი მამას გაუმართლა. რა ფეხებად უნდოდა ამდენი მკვდარი, სა-



ფლავებს შორის კიტრის დათესვის ნება მაინც რომ მიეცათ, კაცი იქნებოდა ისიც, ტყავის მსუქანი საფულე ედებოდა ჯიბეში და ერთხელ მაინც ჩაწვებოდა სუფთა ლოგინში, სუფთა საცვლებიან ქალთან ერთად. ტყუილუმბრალოდ კარგავდა დროს იაგორა და თავსაც ტყუილუმბრალოდ იტყუებდა, მკვდრების მარხვით ვითომ გულს იოხებდა, მაგრამ ყველას მაინც ვერ დამარხავდა. არც დრო ეყოფოდა და არც ჯანი, ერთ მკვდარს ასი და ათასი ცოცხალი მოყვებოდა ხოლმე და იაგორას მეცადინეობით არაფერი აკლდებოდა ცხოვრებას, თავისი გზით მიდიოდა, იაგორა კი, გვერდზე რჩებოდა, მხარზე გადადებულნი, მიწიანი, ვაძენძილი თოკითა და მისი სიძულვილივით აპრიალეზული ბარით. სხვა გზა უნდა გამოენახა, სხვანაირად უნდა ეომა, ცხოვრებაში შეღწევის თუ აპირებდა, თორემ ისე არაფერს მოუცლიდა ადგილს. სხვისი რა იმედი უნდა ჰქონოდა, როცა მამამაც არაფერი დაუტოვა. ამიტომაც იყო, თოკი და ბარი სანახევროდ გათხრილ საფლავში რომ ჩაჰყარა და უკანმოუხედავად მიატოვა იქაურობა, როგორც კი რკინიგზის მშენებლობის ამბავი გაივო. რკინიგზა და მატარებელი იქამდეც იცოდა, მამამისი ფოთის რკინიგზაზეც იყო ნამუშევარი, მაგრამ მან თავიდანვე აიკრძალა მამის კვალზე სიარული და თუმცა მამას ეჯიბრებოდა, მამის გამოხანცვალ საქმეს ხელს არ მოკიდებდა, თითქოს აღარაფერი გამოდნებოდა იქიდან, რაკი მამამისს ერთხელ უკვე მოესინჯა. მამამისს საქმე არ ეზარებოდა, მაგრამ არც ტყუილუმბრალოდ შეაკლავდა თავს, წასაღებს წაიღებდა და გაეცლებოდა, რადგან, როგორც თვითონვე ამბობდა, ფულის შოვნის იმდენი საშუალება გაეჩინა ღმერთს კაცისთვის, რამდენი თმის ღერიც ეჩუქებიანა. „ერთის მხრივ კარგია, უმიწოდ რომ დარჩა გლეხი, — ეუბნებოდა მამა. — იმას მაინც გაიგებს, რა შეუძლია, მიწის ჩიჩქენის მეტი. ახლა ცხოვრება იმისია, ვისაც შნო და მარიფათი აქვსო“.

სათაილო საქმე რომ არ არსებობდა, ესეც მამამისგან იცოდა, რადგან წლიდან წლამდე ოჯახს მოწყვეტილი კაცი, თავადაც არაფერს თაკილობდა, ხან ცხვარს კრეჭდა, ხან ტყეს აცურებდა, ხან მტვირთავი იყო, ხან ჩალვადარი, ერთხანს რაჭველებსაც დაყვებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ბოლოს ბათუმში გაუმართლა ბედმა და იქვე ამოსდგრა სული. მისმა ოჯახმა წესიერად ისიც ვერ გაიგო, მოკლეს თუ თავისით მოკვდა, ჭორი იყო თუ მართალი, რასაც მასზე ყვებოდა მსავით ოჯახს მომწყვდარი, საშოვარზე დაძრული ხალხი. მამის სიკვდილის ამბავი ერთმა, ავაზაკივით სიტყვაძვირმა კაცმა ჩამოუტანათ. იაგორას დედამ ძლივს მოუყარა თავი ქმრის სიკვდილის ცნობას, თითქოს ის კაცი ოჯახისთვის ამბის გადასაცემად კი არ იყო მოსული, დასაკითხად მოყვანათ ძალით. „ვის უკვირს ახლა კაცის სიკვდილი, — თქვა წასვლისას. — აქედან რომ გავალ, შეიძლება, მეც მოკვალა, ან მე მომკლას ვიღაცამო“. მამის სიკვდილმა კი არ შესძრა იაგორა, არამედ ჭორმა, რომელიც მამამისმა თავის მაგივრად გამოგზავნა მშობლიურ სოფელში. კონტრაბანდისა და საეკულაციისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ჭორი მაინც მეტს ამბობდა, უფრო საინტერესო იყო და, რაც მთავარია, უფრო აახლოვებდა მამასთან, რომელიც სულ რამდენჯერმე ყავდა ნანახი და რომელიც წელიწადში თუ ორ წელიწადში ერთხელ, მხოლოდ იმიტომ ბრუნდებოდა შინ, მეორე დღესვე კარი რომ გაეჩახუნებინა, ერთხელ კიდევ რომ დარწმუნებულყო, რა უცხო და შეუფერებელი იყო მისთვის აქაურობა. იაგორა მერე მიხვდა ამას, როცა ჭორმა მამის ამბავი უამბო. იმასაც მიხვდა, ისა და დედამისი მთელი სიცოცხლე ზედმეტ ტვირთად რომ აწვნენ, თურმე, კისერზე კაცს, რომელსაც თითქოს არავინ უნდა ყოლოდა მათზე უკეთესი.

ოთარ ზილამი
ყოველგან ჩამან მოკვნილან...



მაგრამ სინამდვილეში უკეთესი იქნებოდა, საერთოდ რომ არ ყოფილიყო ესენი. იავორა არ გაბრაზებულია მამაზე, პირიქით, მაშინვე გაუგო და აპატიო კიდევაც, რადგან გულის სიღრმეში მაშინვე ისიც აღიარა, რომ მამამისის ადგილას, თვითონ აღარცკი მოიკითხავდა ტილიან ცოლ-შვილს, თუკი მამამისოვით ბათუმის ყველაზე ძვირფას სასტუმროში ბერძენ მოცეკვავე ქალს ხასად დაისვამდა, საკუთარი ფაეტონი სასტუმროს წინ ეყოლებოდა გაჩერებული და რესტორანში შესვლისას — სად მიძვრებიო — კი არ ეტყოდნენ შვეიცარები, აქეთ მობრძანდით, ბატონო. ის ბერძენი მოცეკვავე ქალი ისეთი ლამაზი ყოფილა, ვერც ერთი პოლიციელი ვერ უბედავდა გაჩხრეკვას, ის კი, აკრძალულ საქონელს ისეთ ადგილებში მალავდა თურმე, კაცს სათქმელადაც რომ გაუჭირდებდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, მამამისმა ის ბერძენი მოცეკვავე ქალი სასტუმროს ფანჯრიდან გადმოაგდო და თვითონაც თავი მოიკლა, თუ იმ ბერძენი მოცეკვავე ქალის მეორე საყვარელმა ორიგენი ერთად ამოჟუჟა ლოგინში? მთავარი ის იყო, რომ მამამისმა, ყმის ნათესლარმა, მაინც შესძლო, თუნდაც ცოტახნით ხალხში გარევა და იმის დამტკიცება, ღვთის გაჩენილი ერთნაირი რომაა ყველა, ერთნაირად რომ **ორსულდება** მდიდრისაც და ღარიბის დედაც, და სიმდიდრე და სიღარიბე ბრმა შემთხვევასა და გამართლებაზე რომ კიღია მხოლოდ. იმ დღის მერე იავორა მამას აღმერთებდა და ბაძავდა, არაფერს თაკილობდა, საიდანაც რამეს გამოადნობდა, უფრო წინ წასაწევად. უფრო მაღლა ასაძრომად, მაგრამ, ეტყობა, სურამს აქეთ სხვა ბედის ფრინველი დაფრინავდა, სურამს იქით კი — სხვა. მაგრამ იავორას მაინც აქ, სურამს აქეთ უნდა მიედწია იმისათვის, რასაც მამამისმა სურამს იქით მიადწია, რადგან დარწმუნებული იყო, მამამისი იქ არაფერს დატოვებდა საამისოდ, თანაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შვილსაც იქ გაუმართლებდა, სადაც მამას.

ისე გამოდიოდა, თითქოს საქართველო იავორასა და მამამისს ერთმანეთში ჰქონდათ გაყოფილი, როგორც ერეკლესა და მის შვილიშვილს, და ვისაც რა შეეძლო, მაინცდამაინც თავის პატარა ასპარეზზე, თავის მოედანზე უნდა გამოეჩინა, თითქოს უარეს დღეში ჩაცვივდებოდნენ, საერთო, მაგრამ უფრო დიდი მოედანი რომ ჰქონოდათ. ამიტომაც იყო, იავორამ მხოლოდ მაშინ რომ მიამუშრა რკინიგზას, როცა იგი სურამის ქედს გადმოცდა. მაგრამ რკინიგზამაც არ გაუმართლა; თბილისში ჩასული, ისევ უკან შემობრუნდა, როგორც დინებამ — ცული მოცურავე. თუმცა ერთი ნაბიჯით მაინც წაიწია წინ, მაინც უკეთესობისაკენ შეიცვალა მისი ცხოვრება. სხვას რომ თავი გვაწვდებოთ, ბარი აღარ ეჭირა ზელში და თუკი აღრე მართლ მკვდრები ყავდა ქვეშევრდომებად, ახლა ასამდე მუშისა და მათი ოჯახების ბედს განაგებდა. მართალია, ადმინისტრაციისაგან — სამუშაოს მეთვალყურეობა, სამუშაო იარაღის მოვლა-დაბინავება და კვირაში ერთხელ მუშებისთვის ხელფასის დარიგება ევალებოდა მხოლოდ, მაგრამ მუშების თვალში ყველაზე დიდი კაცი ის იყო, ღმერთის ტოლი, ღმერთივით მკაცრი და სამართლიანი, რომელმაც ყოველთვის ზუსტად იცოდა, ვინ რას ჰამდა, ვინ რას სვამდა და ვის ვისთან ეძინა. ის უმოწყობდათ და უფასებდათ ნამუშევარს და ფულსაც იმის ხელიდან იღებდნენ, საძალღეს ხელა ბუღრუგანას წინ რიგში ჩამდგრები.

— შენ, ბიძა, მთელი კვირა ლოთობას რომ გადაყვედი და აბაზის საქმეც არ გაგიკეთებია, ახლა ორი მანეთი რომ მოგცე არაფერში, მთლად გაირყენები, მუქთად ნაშოვნი ფული უარესად წაგახდენს და მშვიერი ცოლ-შვილი კი არა, მამაშვიტიერაც ვეღარ ავალბინებს ნიჩაბს ხელში. ასე არაა? — ამბობდა ბუღრუგანას კარში ჩამჯდარი, მუხლებზე დაეთარგადაშლილი იავორა.

— ქეშმარიტებას ბრძანებთ, — ეთანხმებოდნენ მისი გამჭირაზობითა და სა-



მართლიანობით დათრგუნული მუშები.
 — შენ, ბიჭო, ბარის ტარი რომ გატეხე, რა მოვარგოთ მაგიერი? იმის იმედი თუ გაქვს, როგორც შენი ქალი ამბობს, დიდხანს მოგვიწვეს ლოდინი. საქმემ კი, მოცდა არ იცის. ასე რომ, ორსა და ათ შაურს კი არ მიიღებ, არამედ მანეთსა და თოთხმეტ კაპიქს, ასე არაა? — ამბობდა იაგორა.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, — ეთანხმებოდნენ მუშები, რადგან არც იმათ ჰქონდათ სხვა გზა.

ცოტა იყო თუ ბევრი, რასაც იღებდნენ, იაგორასგან იღებდნენ, იაგორას ხელშენაველებსა და გამომეტებულს. ეგონათ, იაგორა რომ არ ყოფილიყო, მთლად უღლუკმაპუროდ დარჩებოდნენ. ამიტომ ეშინოდათ და ჯეროდან მისი. სადაც იაგორას მწითური, ცეცხლივით აბრიალებული თავი გამოჩნდებოდა, შიშის, თაყვანისცემისა და მოწიწების დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე. თანდათანობით იაგორა მათი ოჯახური ცხოვრებისთვისაც აუცილებელი გახდა, ყველაფერს უყვებოდნენ, რა სჭირდათ, რაზე ჩხუბობდნენ, რატომ ეჯავრებოდით, ანდა რატომ უყვარდათ ერთმანეთი. იაგორა უსმენდა, ჰკუთას არიგებდა, კიცხავდა და სჯიდა კიდევ, რასაც ისინი უღრტვინებლად და სიტყვის შეუბრუნებლად ითმენდნენ. ერთი იყო მხოლოდ, ეჭვის თვალით რომ უყურებდა იაგორას და ჩუმჩუმად სხვებსაც აფრთხილებდა. აგერ ნახავთ, ეგ კაცი სუყველას თუ არ დაგვლუპავს ბოლოსო. მაგრამ სხვები არ უჯერებდნენ, უფრო სწორედ, არ უჯერებდოდნენ იმის ნათქვამს, არც საამისო დრო ჰქონდათ და არც ხალიხი, იაგორას გადაკიდებას ყველაფერი ერთიანად. იაგორამაც იცოდა, ერთი მოწინააღმდეგე რომ ყავდა ბარაკში, მაგრამ ჯერ თვალს ხეჰავდა, თავს არ უყადრებდა, ან იქნებ, ეშინოდა კიდევ რადგან არც იმის ქალი დაყავდა საშოვარზე თელავის სასტუმროში და ხელფასაც კაპი-კაპი უნაგარიშებდა ხოლმე. მოკლედ, იაგორას უნებართვოდ თავ-

ვი ვერ გაფაჩუნდებოდა ბარაკში. ის კი არა, ქალები ქმრებზე აღრე იაგორას ეკითხებოდნენ, მუცელი შეენარჩუნებო-ნათ თუ არა.

— რასაც მეტს დაყრიო, უკეთესია. — ეუბნებოდა იაგორა ქალებს. მზემოკიდებულ ყბებზე გამხმარი სისხლივით აპკვროდა აქა-იქ უღალი, ბინძური წვერი და ვერ გაიგებდით ზიზღით უღელავლა მწვანე თვალები თუ თანაგრძნობით, გობრალედათ თუ დაგცინოდათ. — ჩვენი ძალა სიმრავლეშია. რაც უფრო მეტნი ვიქნებით, მით უფრო მეტ ფულს გამოვძალავთ მდიდრებს და თანდათანობით ჩვენ თვითონვე გავხდებით მდიდრები. — ქადაგებდა სააღსარებოდ მოსულ ქალებში ჩამჯდარი. — მით უკეთესი, თუ თქვენს ქმრებს არ უნდათ, ანდა აღარ შეუძლიათ. დაუწყებთ პირველსავე შემხვედრს, რადგან ყველა ნაბიჯვარი, გულის სიღრმეში, მდიდრისა და კეთილშობილის ნაშვირად თვლის თავს და მეტი უფლებაცა აქვს, მიითვისოს წარმოდგენილი მამის ქონება. თქვენი ვალია, გაამრავლოთ ისინი მერე იმათ იციან თვითონ.

კი არ ამაბულეებდა ამ უვიცსა და უბედურ ქალებს, ცხოვრების გასაბამებულეზლად ჰირდებოდა ისინი. ზედამხედველის თანამდებობამ, უბარველეს ყოვლისა, საბრძოლველად განაწყო იგი და თვითონაც ვერ შეამჩნია, როდის დაიბადა მის არსებებაში მეორე, მეორე კი არა, ახალი, განახლებული იაგორა, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა იმ ცხოვრებას, რომელსაც ძველი იაგორა თრთოლვითა და კანკალით შესტრფოდა და რომელსაც არც ძველი და არც ახალი იაგორა არაფრის დიდებით არ უნდოდა ჩაეთვალა თავის ღირსად, არაფრის დიდებით არ უგდებდა თოკის კიბეს ბროლის კოშკის საკმლიდან, სადაც თავად მოკალათებულყო, ნელსაცხებელნაპკურები, აბრეშუმის, ატლასისა და ფარჩის ქაფში

მოთარ ზელაძე
 ყოველმან ჩემან მკოვნელმან...

ჩაწოლილი. ამიტომ, აუცილებელი იყო, როგორც ახალი იაგორა ამბობდა, თავად ცხოვრება დაკნინებულიყო ძველსა და ახალ იაგორამდე, თავად ცხოვრება გამზღარიყო ძველი და ახალი იაგორას ღირსია. ის დღე იყო და ის დღე, ახალმა იაგორამ საბოლოოდ გადაიბირა ძველი იაგორა და ისევ ერთ იაგორად იქცა. მაგრამ უფრო ჯიუტ, უფრო ძლიერ, უფრო ვერაგ და უფრო დაუნდობელ იაგორად, რომლისთვისაც ყველანიარა საშუალება ერთნიარად სუფთა და მისაღები იყო, თუკი ბრძოლაში წაადგებოდა.

— თქვენი ქალები მე დროსსატარებლად კი არ დამყავს თელავში, — ეუბნებოდა იგი მუშებს, ბუდრუჯუნას კარში ჩამჯდარი. — არამედ საომრად. ყველაზე მეტად ქალს შეუძლია, წაშლოს განსხვავება ჩვენსა და მდიდრებს შორის. თვითონაც ვერ გაიგებენ, ისე განდებიან ჩვენი ძმები, ჩვენნიარები, რადგან ჩვენ სიმდიდრე გადაგვედება ქალების მეშვეობით, იმათ კი — სიღატაკე. ჩვენ ფულებს წამოვიღებთ, იმათ კი, სენი და სიბინძურე შერჩებათ ხელში. ასე არაა?

— ქეშმარიტებას ბრძანებთ. — ეთანხმებოდნენ მუშები.

იაგორა არც კაცებთან ტყუოდა. მართალია, იმ ყასბებს, იმ დახლიდარებს, იმ მიკიტნებსა თუ სასტუმროში ჩამომხტარ დარბაისელ სოფდარებს, მხოლოდ და მხოლოდ დროსსატარებლად ჭირდებოდათ იაგორას მოყვანილი ქალები, მაგრამ იაგორა ამასაც წმინდა ბრძოლად თვლიდა, ცხოვრების დასამახინჯებლად, ცხოვრების წასაბღწად და წოდებრივი თუ ქონებრივი განსხვავებების გადასაშლელად წამოწყებულ ბრძოლად. თვითონ ასე ჯეროდა და სხვებსაც აჯერებდა, მით უფრო რომ, „საბრძოლველად“ წასულ ქალებს „ნადავლიც“ მოჰქონდათ, შეიძლება, იმდენი არა, რამდენსაც იმსახურებდნენ, მაგრამ მაინც საკმარისი იმისათვის, ერთი საღამო ქმარ-შვილში რომ მოეღხინათ. ქალებიც, თავიანთი ქმრებისა თუ მამე-

ბის მსგავსად, იაგორასაგან იღებდნენ ხელფასს. ფულის თაობაზე მუშტარს იაგორა ურიგდებოდა და ქალები ვალდებულნი იყვნენ (მაინც ვერ დამალავდნენ, იაგორა აუცილებლად გაჩხრეკდა), ისიც იაგორასათვის ჩაებარებინათ, რასაც თავისგანაც დასტყუებდნენ ხოლმე მთვრალსა თუ ზედმეტად გულუხვ მუშტარს. მერე კი, ყველანი თანხაარ წილს იღებდნენ საერთო თანხიდან, და რაღა თქმა უნდა, არც იაგორას ღვაწლი და დამსახურება ავიწყდებოდათ. ასე რომ, თუ იმ ერთ კაცს არ ჩავთვლით, ბარაკებში სრული თანხმობა და მორჩილება სუფევდა, იაგორას ღვათებრივი სიმკაცრისა და სამართლიანობის წყალობით. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისეთი რა ხდებოდა, რაც წნორის ამშორებულ ბარაკებში კი არა, მრავალ სახელგანთქმულ ქალაქსა და ქვეყანაში არ მომხდარიყოს და რაც იაგორას კი არა, ღამის მართლა ღმერთთვით განსწავლულ ხალხს არ მიეჩინოს საჭირო და, თქვენ წარმოიდგინეთ, საპატიო საქმედაც. მაგრამ ის ერთი კაცი მაინც აუჯანყდა იაგორას. რაკი სხვა ვერავინ გადაიბირა, ერთ დღეს უგონოდ გამოთვრა და ქადაგებით გართულ იაგორას ცული ჩაართვა თავში, მაგრამ ამით იაგორას ვერაფერი დააკლო, დააკლო კი არა, უარესად აამაღლა ხალხის თვალში, უარესად დაარწმუნა ხალხი მის ზებუნებრივობასა და ყოვლისშემძლეობაში, რადგან რაც ხალხმა იმ საღამოს საკუთარი თვლით იხილა, ყოველგვარ სასწაულს აღემატებოდა. ვინმეს რომ მოეყოლა მათთვის, ასე და ასე მოხდაო, მოკვდებოდნენ და არ დაჯერებდნენ, მაგრამ ასევე მოკვდებოდნენ და ველარ უარყოფდნენ იმას, რისი მოწმენიც გახდნენ ერთ ჩვეულებრივ საღამოს. იაგორა ხრეშის ბორცვზე იჯდა და იქიდან ელაპარაკებოდა მუშებს მდიდრული ცხოვრების სიამტკბილობაზე. მისი ლაპარაკიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ფრანგული ღვინოებით გამოვსებული სარდაფები, ვარაყიანი, ოქროვადავლებული სახლები. ბროლისა და ფაიფურის ჭურჭელი,

ყვავილებით დატვირთული ეტლები და ფაეტონები, აბლაბუდასავით გამჭვირვალე კაბებში გამოწყობილი მზეთუნახავები — უპატრონოდ იყვნენ მიყრილი და იმის მოლოდინში ამოსდიოდნენ სულს, ეს ერთნაირად დაკონკილი, ერთნაირად გალახული, ტალახსა და მიწითი ერთნაირად ამოგანგული ასი კაცი, როდის მოველინებოდა ბატონ-პატრონად.

— მთავარია, გინდოდეთ, მთავარია, გჭეროდეთ და თუ თვითონ არ შერება სიკეთს, ძალით დაასკლინტონოთ ბედის ფრინველს მაგ გამოტიალებულ გოგრებზე. — ამბობდა იაგორა.

ისეთი გულისყურით უსმენდნენ, ისე მოსწონდათ მისი ლაპარაკი, ვერაგინ შეამჩნია, როდის მიეპარა უკნიდან მთვრალი მემამოხე, სმენადქცეულებს, ხრეშის ჩხრიალიც არ გაუგიათ, მაგრამ ყველამ (იაგორას გარდა) ერთდროულად დაინახა, როგორ ამოაძვრინა იმან შარვალზე გადმოშვებული პერანგის ქვეშ დამალული ცული და მთელი ძალით, როგორ ჩაჰკრა იაგორას თავში, რომელიც ჰერ ისევ ლაპარაკობდა და ვერ მოასწრო ამოეკითხა მისი შეწყურე ხალხის სახეებზე, რა განსაცდელი ელოდებოდა ერთი წამის შემდეგ. ან იქნებ ამოეკითხა, იქნებ წინასწარაც იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ არც შეინებია და არც გაქცევა უფაქრია, რადგან არც შესაშინებლად ჰქონდა საქმე და არც გასაქცევად. პირიქით, სასწაული აჩვენა ხალხს და ამით თავისი ხელშეუვალობაც დაუმტკიცათ. იაგორას თავმა მთელი ძალით მოქნეული ცული აისხლიტა და მხოლოდ ნაპერწკლები გაყარა, როგორც ქვაფენილმა ცხენის ფლოქვის ქვეშ. მთვრალს თვალები შუბლზე აუცივავდა. უცებ გამოფიზილდა, თითქოს თავის სიცოცხლეში დედის რძის მეტე არაფერი ჩასვლია პირში. ისევ მთვრალი რომ ყოფილიყო, ასე არ შეეშინდებოდა, ცული კი არ დააგდო. დაუფარდა, დაჩოქება კი არ უნდოდა, მუხლი მოეკეთა, მაგრამ ფეხქვეშ ხრეშში მოუშვავდა და პირქვე წამხობილი ჩახრიალდა ბორცვიდან. იაგორა არ გა-

ხმრეულა, ხელიც არ მოუსვია თავს. პირგამეხებული იჭდა, როგორც განწყენებული ღმერთი ცოდვილი მრევლის წინაშე. უცებ ხალხმა იხუვლა და ფეხით შესდგა ხრეშის ქვეშ მოყოლილ მემამოხეს, მემამოხეს კი არა, მსხვერპლს, უკვე გამოფიზილებულს და უკვე მიხვედრილს დალუპვის გარდუვალობას. არც მაშინ განძრეულა იაგორა. „მოკალით, ისიც მოკალითო“, ღრიალებდა მემამოხე, იმუქრებოდა, იხვეწებოდა, ხრეშს იფურთხებოდა, ხალხი კი, ფეხებით ტკეპნიდა, უარესად ტკეპნიდა ხრეშში. მერე ვიღაცის ხელში ძალაყინმა იეღვა, მერე ბარის პირებმაც ჩაფხრიწყეს აფუტფუტებული ხრეშში. არც ახლა განძრეულა იაგორა, ისევ ისე იჭდა ბორცვის მეორე ნახევარზე, თითქოს არ იცოდა და არც აანტერესებდა, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. მსხვერპლი აღარ ყვიროდა, აღარც ინძრეოდა, მაგრამ ხალხი ისევ უხმოდ, ისევ ჭიუტად ტკეპნიდა და ნაყავდა იმ ადგილს, სადაც მისი ტანი უნდა ყოფილიყო. თითქოს კაცს კი არ კლავდნენ, შრომობდნენ; მერე ყველაფერი ნაწყუნარდა, მაგრამ არ დამთავრებულა. იდგნენ და იციდინდნენ, რადგან არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ან რა სასაჩუქლს იმსახურებდნენ ერთობლივი, სტიქიური მკვლელობისთვის.

— ახლა დაიშალეთ და კარგად დაო მახსოვრეთ, რაც ჩაიღინეთ. — უთხრა ხალხს იაგორამ.

ადმინისტრაციას არაფერი გაუგია იმ ამბისა. ის კაცი ძველებურად ირიცხებოდა მუშად და ხელფასიც ძველებურად იწერებოდა მის სახელზე, რომელსაც კეთილსინდისიერად იყოფდნენ მისი ქვრივი და იაგორა. დრო გადიოდა; ბუნებას ახალი კანი ამოსდიოდა, ახალი თმით იმოსებოდა და თანდათანობით იფერებდა, ინმატკბილებდა, ეგუებოდა რკინიგზას, როგორც დედაშვილების ნაჩუქარს, მაგრამ მისი ასაკისთვის და ჩაცმულობისთვის შეუფე-

ოთარ ზილაძე
ყოველგან ჩემგან მაცნობლან...



რებელ სამკაულს. ხოლო იავორას ქა-
დაგებები უეცარი გამდიდრების გზებ-
სა და შესაძლებლობებზე, ქადაგებებად
რჩებოდა, რომელსაც ბევრი მოძღვრე-
ბის მსგავსად, ის უცნაური თვისება
ჰქონდა, რომ გპირდებოდა და არ გაძ-
ლევდა, გამხედრებდა და ამავე დროს
მორჩილებისა და მოლოდინის ბურანში
გზვევდა უარესად. ხალხი კვლავინდ-
ბურად იღვა და ისმენდა უკვე ათასჯერ
მოსმენილს, მაგრამ ძველი ყურადღები-
სა და ცნობისმოყვარეობისა ცოტადა
შერჩენოდა, უნდობლობა თუ არა, გულ-
გრილობა აშკარად ჩამდგარიყო მოძღვ-
რსა და მრევლს შორის „ხალხი კი არა,
ხვასტაგია, — ფიქრობდა იავორა. —
ამათთან ერთ გზაზე სიარული მე არ
გამომადგება. ამათ ოლონდ ვინმე ჩაატ-
კვნიენ მიწაში და სულერთია, მე ვიქ-
ნები თუ სხვა“. იმ საზარელი მკვლელო-
ბის შემდეგ იავორამაც აიცრუა ვული
თავის ქვეშევრდომებზე, მათმა მონურ-
მა, უანგარო სიძვარეობა და დაუნდობ-
ლობამ დააფრთხო, მაგრამ იმასაც
გრძნობდა, შიშის გამომჟღავნება და მი-
სი დაღუპვა ერთი და იგივე რომ იქნე-
ბოდა. რა არ გადახდენოდა თავს, რანაი-
რი ტალახი არ ეზოლა, რომელ ყუნწში
არ გამძვრალიყო, მაგრამ მსგავსიც არა-
ფერი ენახა იქამდე. მთავარი, რამაც
ყველაზე ძალიან შეაძრწუნა და დააბ-
ნია კიდევ, ის იყო, რომ ამ ხალხს არა-
ფერი არ უნდოდა, თითქოს ბალახივით
ამოსულიყო მიწიდან და ბალახივით
სულერთი იყო მისთვისაც, ვინ გადა-
თელავდა, ვინ მოძოვდა თუ მოთიბავ-
და. თავისუფლება და სიმდიდრე ისევე
აინტერესებდათ, როგორც იავორას —
მათი მეთვალყურეობა და, ალბათ, უფ-
რო ნაკლებადაც. იმიტომ კი არ უსმენ-
დნენ იავორას, მისი ნალაპარაკევი რომ
მოწონდათ და გაეგებოდათ, უბრალოდ-
თავს ვალდებულად თვლიდნენ, მოესმი-
ნათ, უფრო სწორედ, მაშინაც ერთად
ყოფილიყვნენ, ვიდაცის, მათზე მაღლა
მდგომის ხმით მოქუჩებულნი, როგორც
საქონელი — შოლტი. გუმანითა
გრძნობდნენ, აუცილებელი რომ იყო

მათი ერთად ყოფნა, რადგან არც ერთ
მათვანს საკუთარი არაფერი გააჩნდა.
არც სახე, არც ხმა, არც სურვილი და
არც ოცნება. ცალ-ცალკე ბუზს ვერ მო-
კლავდნენ, ერთად კი, ყოველნიარ და-
ნაშაულს ჩაიდნენ დაუფიქრებლად,
რადგან იმავე გუმანით იმასაც გრძნო-
ბდნენ, მხოლოდ და მხოლოდ, საერთო
დანაშაულის ჩადენის უნარი რომ ამარ-
თლებდა მათ არსებობას, საერთო დანა-
შაულის ჩადენის უნარი და მძაფრი,
მტკივნეული, სიციხემდე მისული ქინი
მონანიებისა. ასე რომ, ვისაც ამ ხალ-
ხის ზედამხედველობას დააკისრებდა ძი-
რავარდნილი ბედი, ხელფასის დარი-
გებაზე მეტად, იმაზე უნდა ეზრუნა, და-
ნაშაულის ჩადენისა და მონანიების სა-
შუალება რომ მიეცა მათთვის. სამა-
გიეროდ, სხვას ყველაფერს მოითმენდ-
ნენ, განურჩევლად, უსასრულოდ, ხე-
ლფასის გადაღუნვისაც გააბტიებდნენ
და მათი ცოლებითა თუ ქალიშვილე-
ბით ეაჭრობასაც, რადგან, მათი აზრით,
ესეც საერთო მონანიებაში შედიოდა.
„აბა, სხვას რას გამორჩება ამათ კაცი,
— ფიქრობდა იავორა. — ეს ის არ არის
რაც მე მინდა, მაგრამ იმას მაინც ჯო-
ბია, რაცა მქონდა“. შეიძლება, მართლა
მეტის ღირსი იყო იავორა, მაგრამ თავ-
ხედობა იქნებოდა, ბედისაგან მთლად
განწირულად რომ ჩათვალა თავი. შე-
მოსავალიც ჰქონდა და ძალაუფლე-
ბაც. მართალია, შემოსავლის დიდ ნა-
წილს ადმინისტრაციის ლაბირინთში
უშვებდა უკანვე, მაგრამ იმ ლაბირინ-
თიდან სამაგიეროდ მისი ძალაუფლება
გამოდიოდა. აქ არავინ ყავდა უფროსი.
ათასში ერთხელ ინსპექტორი ანდა წი-
თელი ჯვრის წარმომადგენელი თუ შე-
მოიჭრებოდა მის სამფლობელოში, რა-
თა თითოოროლა მანეთი იმთავაც წაე-
გლიჯათ. ერთი ყასილად გადაუფურც-
ლავდა დავთრებს, მეორე ჰაიპარად
მოასხურებდა კირწყალს ნავის გორებ-
ზე და ამით ამოიწურებოდა მთელი მა-
თი საქმიანობა.

— ქოლერა მძვინვარებს ქვეყანაში,
ჩემო კარგო, ქოლერა. ოცდასამი შემ-

თხვევა იყო გუშინდელ მოამბეში, — იძინა წითელი ჯვრის წარმომადგენელი და, ინსპექტორთან ერთად, ახლა სხვა მხარეს გარბოდა, ქვეყნის სიბინძურეზე ხელის მოსათბობად.

ის კი თავის პატარა ქვეყანაში რჩებოდა. თავის პატარა სამეფოში, რომელსაც ჯერ იმდენი ძალა არ შესწევდა, მომიჯნავე ქვეყნები რომ დაეპყრო, მაგრამ მომიჯნავე ქვეყნები მინც ანგარიშს უწევდნენ, აღიარებდნენ და ვაჭრობდნენ კიდევ მასთან. მართალია, მამამისივით, ბათუმის სასტუმროში ბერძენი მოცეკვავე ქალი არ ეჯდა ხასად, მაგრამ თელავის სასტუმრო ზარზეიმით ეგებებოდა ხოლმე, როცა უკანა, მარტო შინაურებისთვის ღია კარს მიადგებოდა თავისი გოგოებიანათ. მაგრამ ერთი წუთითაც არ უფიქრია, ეს რომ იყო ზღვარი მისი შესაძლებლობებისა, ერთი წუთითაც არ აუღია ხელი ბედის გინებაზე, რათა ბედს დაკმაყოფილებულად არ ჩეთვალა იგი და მთლად არ გადაერეცხა გულიდან. უკვე იმ ქვეყანას ეკუთვნოდა, რომლისკენაც მიიღებოდა სულ, მაგრამ იმდენად ეკუთვნოდა ჯერ, რამდენადც თავი ეკუთვნის ადამიანს და იმდენი ადგილი და უფლება ჰქონდა იქ. რამდენი ადგილიცა და უფლებაც თავსა აქვს ადამიანის ბინაში. თითქოს არც ეს იყო ცოტა, ახლა უფრო მკვეთრად ესმოდა იმ ცხოვრების ჟრიაშული, უფრო მძაფრად სცემდა იმ ცხოვრების სურნელი, მაგრამ ახლა უფრო ძნელი ასატანი იყო უიმისობა, როგორც თავისთვის — ჩაბნელებული, ჩაწყნარებული და ღვთაებრივი კერძების სუნით გაჟღენთილი სამზარეულოს სიხლოველამდამობით ისიც იპარებოდა იმ ცხოვრებაში, მაგრამ დღისით სოროში იყო შეყუჟული, თავივით. ხოლო ცხოვრება მის თავზე დაბაკუნებდა, თამამი, მხიარული, უზრუნველი, რადგან ბევრს ვერაფერს აკლებდა მისი ღამეული ლაშქრობები, ვერც კი ამჩნევდა მის გზიღულ ნაფშვევებს, ან მის ნაკბილარს თუ შეამჩნევდა რამეზე, დაუნებლად და ზიზღით მოისროდა ხოლმე

სანაგვეზე. ეს ხეთქავდა გულზე, ეს ტანჯავდა, ეს ამწარებდა, მაგრამ თავის უტყუარი ალღოთი გრძნობდა, მალე სოროში დარჩენა უფრო სახიფათო რომ იქნებოდა, ვიდრე გამოჩენა, გემბანზე განავარდება, რომელიც ჯერჯერობით ცხოვრებისთვის იატაკი იყო, მისთვის კი — სახურავი. იაგორას მართლაც მოუხდა ამ სოროს მიტოვება, თანაც უფრო ადრე, ვიდრე ფიქრობდა, მაგრამ არა გემბანზე გასანავარდებლად, არამედ უფრო ღრმა და საიმედო სოროს მოსაძებნად. იმ საღამოსაც გაურანდავი ფიცრების ნარზე იწვა გულაღმა, ჩვეულებისამებრ, და ოცნებებში წასული, ბედის მაგინებელი და მძიებელი, თვალებითა ჭამდა წვიმებისგან დაღაქავებულ ჰერს.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება. — შემოესმა ქალის ხმა.

ხმა ეცნაურა, იმ ქვეყნიური იყო, იმ ცხოვრებისა: ნაზი, მოალერსე და მომთხოვნი. ნარიდან ისე წამოვარდა, როგორც ახალბედა მემომარი საბრძოლო ნალარის ხმაზე. ბულრუგანას კართან შოსანი ქალი იდგა. ახლა შეამჩნია, რომ დაღამებულიყო. ბოლის სუნი ეცა ცხვირში. ერთმანეთს გადაბმოდნენ, ერთმანეთს მიტმასნოდნენ ბარაკების გალურსული ლანდები.

— ვინა ხარ? რა გინდა? — უყვირა ქალს, თითქოს მოჩვენებას დაფრთხობას უპირებსო.

— მაკაბელებისა ვარ. ურუქიდან. საგზაო ინჟინერი მინდოდა, — თქვა ქალმა და მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღაცა ეგულებოდა და გაუკვირდა, იქ რომ არ დაუხვდა. — თქვენზე მომასწავლეს, იმას ეცოდინებო, — თითქოს მოუბოდიშა იაგორას და ისევ მიპყრო მომლოდინე, მავედრებელი მზერა.

მაგრამ იაგორა ვერ ხედავდა ქალის სახეს, ისიც ბინდს ვადეშალა. „ჩემთან გამოგზავნეს და ახლა ელოდებიან,

ოთარ ზილაძე
ყოველგან ჩემთან მოვხვედებიან...



როგორ მოვიქცევი. კუჭრუტანებიდან მითვალთვალებენ. ბნელში სხედან" —
— გაიფიქრა იაგორამ.

— მაკაბელებისაო? აბა, მაკაბელები?
— თქვა ხმამაღლა.

ქალის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც შეამჩნია, როგორ დააბნია ქალი ამ უბრალო შეკითხვამ. ბნელში იღვა და ყოყმანობდა, თითქოს ახლა იგონებდა თავისიანების ვინაობას.

— მამაჩემი ღვინით ვაჭრობს. აი, საგზაო ინჟინერი ნამყოფია ჩვენთან. იცნობს ჩვენებს. — ძლივს ამოღებდა ქალმა. — ზამთარში იყო ჩვენთან. მგონი დღესაც იყო პაპაჩემის დაკრძალვაზე. — დაამატა სხაპასხუბით.

„ან ტყუის, ან სულელია“. — გაიფიქრა იაგორამ.

— მაშ, ვაჭრები ყოფილხართ მაკაბელები. — თქვა ხმამაღლა.

— არა. — თითქმის შეჰყვირა ქალმა. თითქოს თუკადრისა, თითქოს ეწყინა კიდევ. — ჩვენ თავადები ვართ. — თქვა ათრთოლებული ხმით. — ვაქარი მარტო მამაჩემია. პაპა მაიორი იყო. ჩემი ერთი ძმა რუსეთში სწავლობს. მეორე კი, დადის, დაქეიფობს. — გაიცინა ნაძალადევად და არც ამის შემჩნევა გასჭირვებია იაგორას.

„იციანს. შე დამიცინის“. — გაიფიქრა იაგორამ.

— მოიცა, ლამპას ავანთებ. ერთი დავანახო, რა კნენია ბრძანდები. — თქვა ხმამაღლა.

— მე საგზაო ინჟინერი მინდა. იქნებ, გზა მიმასწავლოთ. — თქვა ქალმა და ახლა აღელვება დაეტყო ხმაში.

— „მიგასწავლი, ყველაფერს მიგასწავლი. რაღა შენი ფეხით მოხვედი“. გაიფიქრა იაგორამ და ბუდრუგანაში შებზრუნდა, გაითქვიფა ბუდრუგანის წყვილიადში.

— შენ რომელი ინჟინერი გინდა? ინჟინერი ბევრია. — გამოსძახა წყვილიადიდან.

ქალმა იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული. ახლა გაახსენდა პირველად, სა-

ხელიც რომ არ იცოდა კაცისა, ზღაპრის იმედითაც მიეტოვებინა მშობლიური სახლი. შიში მიწიდან ამოიზარდა, კაბის ქვეშ შეუძვრა და ფეხებზე შემოხვია ლორწოვანი და ღონიერი საცეცები. კარის ჭრილი ნელ-ნელა განათდა, ნელ-ნელა ამოივსო ბისიფერი სინათლით და ქალმა გარკვევით დაინახა მისკენ მოპყრობილი კაცის სახე, კაცის კი არა, ეშმაკისა, რადგან ზუსტად ასეთად ყავდა წარმოდგენილი ეშმაკი, დედისა და გადიის მონაყოლებიდან. კაცი ორივე ხელით დაყრდნობოდა მაგიდას, წინ ანთებული ლამპა ედგა და თითქოს ნიკაპი ლამპის შუშაზე ჰქონდა ჩამოდებული, უკეთესად რომ დაენახვებინა ქალისათვის უწამამო ქუთუთოებში შეყუჟული, მწვანედ მოელვარე თვალები, ქორფლიანი, ჩამოგრძელებული ყვრიბალები, მეჩხერი, გაფშეკილი წვერი და აღსიფერი თმა.

— შინ შემობრძანდით, ქალბატონო. — მოესმა კაცის ხმა.

„არ შეიძლება... არ უნდა შევიდე“. — გაიფიქრა და ბუდრუგანაში შევიდა. ფეხებზე შემოქლობილი შიშის ღონიერი და ლორწოვანი საცეცებიც თან შეიყოლა. გრძნობდა, რაღაც რომ უნდა მომხდარიყო, უჩვეულო, მაგრამ გარდაუვალი, აუცილებელი, დამსახურებელი. თავის დაღწევას კი არ ცდილობდა, თავისი ბრიყვეული საქციელისა რცხენოდა. მართლაც, რა გამოდიოდა? უცხო ადამიანს დაადგა თავზე, შეაწუხა, ვინ იცის, ძილიც დაუფრთხო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, სულელური გამოცანა რომ ეთქვა მისთვის: მე არ ვიცი, ვის ვეძებ და აბა, შენ თუ გამოიცინობ, ვინ არისო.

— ნიკო ჰქვია. — თქვა უცებ. — მგონი, ნიკო ჰქვია. ჩემს ძმასავით. — ცალი ფეხი უკვე ბუდრუგანას იატაკზე ედგა.

— ნიკო? — შუბლი შეიკმუხნა კაცმა. — მე მიტო ვიცი. ჩვენს უბანზე ის დადის ხოლმე. თელავში დგას, ყაზარმაში.

— ეგ იქნება... ალბათ, მე შეემეშალა.
 — გაუხარდა ქალს, მთლად მატყუარა რომ არ გამოვიდა და მართლა არსებობდა ვიღაც საგზაო ინჟინერი, რომელსაც მიტოვებდა. „მიტო“ — გაიმეორა გუნებაში. უკვე ბუდრუგანაში იდგა, ღია კარში. ბუდრუგანას ერთ კედელს ვიწრო ნარი გასდევდა მთელს სივრცეზე. ნარის ერთ ბოლოში ისეთივე ფიცრისაგან შეკოწიწებული მაგიდა იდგა, მეორეში კი — თუნუქის ღუმელი. იმდენი ადგილია რჩებოდა, კაცი რომ მობრუნებულიყო მაგიდასა და ღუმელს შორის. მეორე ადამიანი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ზედმეტი იქნებოდა აქ, მხოლოდ ხელის შემშლელი, რადგან პაერიც, ალბათ, ერთი კაცის სამყოფი ეტეოდა. კაცი თვალს არ აშორებდა. ისევ ისე იდგა, მაგიდაზე ხელუბნებულად. „ხე, ხე“ — მოკლედ ჩაიციხა უცებ, თითქოს ნახველი ჩაიწმინდა. ზურგს უკან ღამე იყო, ბნელი, ცარიელი, გატრუნული. ერთი ნაბიჯიც რომ დაეხია უკან, იმ ღამეში აღმოჩნდებოდა, ჩაიკარგებოდა, დაემალებოდა კაცის მწვანედ აბრიალებულ თვალებს.

— თქვენს სახლს კარი არა აქვს? — უთხრა კაცმა ღიმილგარეული ხმით.

— უი, უკაცრავად. — შეწუხდა ქალი და ბუდრუგანას კარი შემოიკეტა.

მაშინვე სიციხისა და სივიწროვისგან თავბრუ დაეხვა. ერთადერთი უკან დასახევი გზა თავისივე ხელით მოიკეტა და შემობრუნებული, ღამის ზედ გადაწყდა კაცს. დაძაბული იდგა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქოდა. იმდენად ახლოს იყო ამ უცხო კაცთან, სუნთქვისაც ვერ იტეოდა, თავად კი, ხვითქვით გადასდიოდა სახეზე იმ კაცის ცივ-ციხელი ამონასუნთქი, სუნიანი, წებოვანი, მძიმე.

— მობრძანდით, დაბრძანდით, სტუმარი ღვთისაა. — თქვა კაცმა, სხვა, შემზარავად დაბოხილი ხმით.

მკლავში ხელი ჩაავლო და თითქმის ძალით დასვა ნარზე.

— დედისეულია, მიყვარს. — საცო-

დავად გაიღიმა ქალმა და მხართან მოჩაჩული კაბა გაისწორა.

კაცი გვერდით მიუჯდა. დიდი, წითლად მოეღვარე ხელები ახლა ბარძაყებზე ეწყო.

— მე რა, ინჟინრებზე ნაკლები ვარ?! — თქვა და ისევ ჩაიციხა, მოკლედ, უსიამოდ. — ვიწროდ კი ვართ, მაგრამ აქაც შეიძლება მოსვენება.

— რას ბრძანებთ. ისედაც შეგაწუხეთ... — წამოდგომა სცადა ქალმა, მაგრამ კაცმა მხარზე ხელი ჩამოადო, ცხელი, მძიმე, სახიფათო. — დღესვე უნდა ვნახო... გადაუღებელი საქმე მაქვს. — გაიბრძოლა უმწეოდ.

— ხვალამდე მაინც უნდა გადადო შენი საქმეები. — უთხრა კაცმა. ხელი ისევ მის მხარზე ედო. — ახლა კი, სიმართლე მოყვე, ვინა ხარ და რას ეძებ ამ ყოიამეთში? ქმარმა გამოგადლო თუ შენით გამოექცი? ნუ გეშინია, ჩემთან ყველაფრის მოყოლა შეიძლება. — ქალმა გაკვირვებულმა შეხედა, ერთი წამით. — იმას კი, სახელიც არ ჰკითხე, ისე ანაცვალე ქმარი? ხე, ხე. ქალი ვარო, შენ უნდა თქვა.

ქალი მობუზული იჯდა, თითქოს არ ესმოდა კაცის ლაპარაკი. ის ადგილი, სადაც კაცის მძიმე და ცხელი ხელი ედო, ოფლით ექვინებოდა და ახლა ამისიც რცხვენოდა, ხელი დაუსველდებო, წუხდა დაბნეული. თითქოს კაცმა იგრძნო მისი წუხილი და ხელი მოაშორა, მაგრამ შორს არ წაუღია, ახლა მკლავზე შემოაქლო და თავისკენ მიიზიდა. „ნუ გეშინია... ნუ გეშინია“ — ჩანჩურჩული ყურში. დახეული, დამფრთხალი ხმით. კაცს ფეხი უძაგდაგებდა, აქეთ-იქით დაუხტოდა იატაკზე, თითქოს ფეხი მარტო, უიმისოდ აპირებდა სადღაც გაქცევას. „მიშველე, ოღონდ ახლა მიშველე“ — ვიღაცას შეევედრა ქალი გუნებაში.

ოთარ ზილამა
 ყოველმან ჩემთან გამოვნახა...



— ვერაფერს ვერ გრძნობ, არა? ძალ-
ლადაც არ მაგდებ, არა? — დაიღრია-
ლა უცებ კაცმა და ნარზე გადააწვინა.

გუნებაში ჰქონდა, მაგრამ ჯერ არ აპი-
რებდა ქალის დამორჩილებას. იმასაც
ფიქრობდა ყველაფერი თავისთავად მო-
ხდებოდა, მაგრამ ქალის გულგრილობამ
და სიმშვიდემ გააცოფა, თავი ისე ეჭი-
რა, თითქოს ეს ვერც უნდა მიმხვდარი-
ყო, რა ბნელ საქმეებზე იყო გამოსული
შინიდან, რა დაწინააღმდეგებდა ამ შულა-
მისას, მარტის კატასავით; თითქოს ეს
იმ კაცებში არ ითვლებოდა, რომლებთანაც
მარტო დარჩენისა თუ არ ეშინიათ
ქალებს, ერიდებათ მაინც; თითქოს ეს
ყურბოკრილი მონა იყო მისი და უთქ-
მელადაც უნდა გაეგო, ვისი მოძებნა და
მოყვანა ვფალებოდა. „კარგად გიც-
ნობთ... ჩემს სახელსაც დაივიწყებ. ვერ
გაამქლავნებ. შეგერცხვება. რადგან ამას
არც ქმარი გაბატოებს და არც საყვარე-
ლი“. — ფიქრობდა ბრაზიანად, თუმცა
ერთი პირობა, მაინც შეაყოვნა რაღაცამ,
რაღაცას გადააწყდა, შემადგერხებელს,
გამაფრთხილებელს, მაგრამ აღარც უკან
დახევა შეეძლო. დედისეული კაბის
ქვეშ სულისშემძვრელად სუსტი, ჯერ
კიდევ ჩამოუყალიბებელი გოგოს სხეუ-
ლი აღმოჩნდა. გოგოს არ დაუყვირია,
მაგრამ იაგორა ცალი ხელის პეშუს
მაინც პირზე აფარებდა, თუმცა, შეიძ-
ლებდა, ამას თვითონაც ვერ ამჩნევდა და
უნებურად იქცეოდა ასე.

— ვიცოდი, რომ სისხლი დაიღვრე-
ბოდა. ვიცოდი, რომ უსისხლოდ არ და-
მთავრდებოდა ჩვენი შეხვედრა. — თქვა
ცოტანის მერე.

ჯერ ისევ მიმედ სუნთქავდა, მაგრამ
უკვე მუხლებზე იდგა და ზემოდან დას-
ცქეროდა ნიკაპამდე კაბააჩაჩულ გო-
გოს. გოგო უძრავად იწვა, თვალგაშე-
შებული, ცივი და უგრძობელი, რო-
გორც თოჯინა.

— რატომ არ გამაფრთხილე, ჰა? —
ჩასძახა იაგორამ.

გოგოს ლამბის შუქი ეცემოდა სა-
ხეზე და ცარიელი, გაშეშებული თვალე-

ბი შუშის ნამტვრევებით უბრჭყვინ-
ლებდა. იაგორამ უნებურად თვალი
აარიდა. ხომ არ მოკვდაო, ერთი კი
გაიფიქრა, და აფორიაქებული გადმო-
ვიდა ტახტიდან.

— შენ თავს დააბრალე. — თქვა ნი-
რწამხდარმა. ზურგშექცეული იდგა და
შარვალს იკრავდა. — ჩემთვის გინდო-
და არა ყველაფრის გადმობრალება! —
ჩაიცინა ნაძალადევა, მაგრამ სახეზე
არაფერი შესტყობია სიცილისა, თით-
ქოს მეორე სახე ჰქონდა და ის უცინო-
და, თიხის ნიღაბივით უხეში და უტყვი
სახის ქვეშ ამოფარებული. — შენი არ
ვიცი და, მე მომშივდა. — შემობრუნ-
და გოგოსკენ. — მე რას მეტუტობი, ნე-
ტავი... ეს ყოფილა შენი ზედი: — ისევ
სცადა გაცინება — ჩამოიწიე კაბა! —
— დაუყვირა უცებ. გოგო არ განძრე-
ულა. იაგორა დაიხარა და ძალით ჩამო-
უწია კაბა არც ახლა განძრეულა გო-
გო; ცხედარივით იწვა. შიშველი ხორ-
ცი მოუჩანდა თეძოდან მუხლის მოსახ-
რელამდე. — შენ თუ მიტოს ეძებ, დი-
ლაზე აქ იქნება. უნდა იყოს. ასე დაი-
ბარა — თქვა და ისევ შეაქცია გოგოს
ზურგი. — მთლად დალაგებული ვერ
უნდა იყოს შენი მიტო. — ჩაიცინა. —
ხეების გადასარჩენად წავიდა. ორი ქე-
ციანი ჭადრის გულისთვის რკინიგზა გა-
ვამრუდოთო. ვინ დანებებს?! — ისევ
ჩაიცინა. — ხეს კი არა, კაცს აღარა აქვს
ფასი.

კარგახნით დუმილი ჩამოვარდა. საღ-
ლაც, ძალიან შორს ძაღლები ყეფდნენ,
გოგო ნარზე იწვა. იაგორა კი მაგიდას-
თან საქმიანობდა, თითქოს არაფერი მო-
მხდარიყო, თითქოს ეს უცხო გოგო ყო-
ველ საღამოს ასე ცხედარივით იყო გა-
შოტილი მის ბუდრუგანაში. მის ნარზე,
ფიცრის ყუთიდან, რომელსაც მსხვილი,
მაგრამ გაუგებარი ასოებით რაღაც ეწე-
რა, წარწერის ზემოთ კი, გადაჯვარდე-
ნებული ძვლები და თავის ქალა ჰქონდა
მიხატული, თანამიმდევრულად ამოალა-
გა კიტი და პამიდორი, პირმომტვრეუ-
ლი, ცუდად დაფშვნილი მარილით სავ-
სე ქიქა, ტილოს ბინძურ ნაჭერში გახვე-



ული პური, კვარტიანი და ხის ტარიანი, პირჩაშავებულნი დანა. პამიდორი თუნუქის ღუმელზე შემოდგმულ ტანტში ამორეცხა, კიტრები კი სათითაოდ გათალა. ფრთხილად აუჩქარებლად თლიდა, თითქოს თითის გაჭრისა ემინოდა. — ეს არის რაც არის. ადექი და ეჭვით. — მიუბრუნებლად უთხრა გოგოს. — იმის მაგივრად, რომ შენ ტრიალებდე... — ჩაიცინა. — არაყიცა მაქვს ცოტა. ისეთია, მკვდარს გააცოცხლებს — სველი ხელი მკერდზე შეიმშრალა და მაროლი მუჭით მოაყარა თიხის ჯამში ჩათლილ კიტრსა და პამიდორს. მეორე ხელით კვარტიანს დასწვდა, საცობი კბილებით მოაძრო და დასუნა. ცალი თვალი მოქუტა და სახე გვერდზე წაუვიდა. მერე საცობი გადმოაფურთხა და ბოთლი მიიყუდა. კარგახელა ყლუბი ხმაურით ჩაყლაპა. — ის მინც გეტქვა, რა გქვია. თუ შენი სახელიც საიდუმლოა? — ისევ მოიყუდა ბოთლი, ამჯერად უფრო ხანგრძლივად. — მე იაგორა მქვია — ამოასლოცინა და მჯილი დაირტყა გულზე. — იაგორა — გაიმეორა ბრაზიანად და არყით დასუსხულ ტუჩებზე ბოთლიანი ხელი გადაისვა ბუდრუგანაში არყის მძაფრი სუნე დატრიალდა. შორს, ძალიან შორს ისევ ყეფდნენ ძაღლები. ანეტას ერთი წუთითაც არ დაუპარგავს გონება. უფრო მეტიც, ერთადერთი ადგილი, სადაც თავის შეფარება შესძლო, გონება აღმოჩნდა როგორც კი კაცმა ნარზე გადააწვინა, იმავე წამს უარი თქვა საკუთარ სხეულზე და გონებაში შეიხიზნა, როგორც ომიანობის ქაშის ციხე-კოშკებში შეიხიზნება ხოლმე მოსახლეობა, რათა უმწეო სინანულითა და უმწეო სიძულვილით უთვალთვალოს იქიდან, როგორ არბევს და აოხრებს მტერი უპატრონოდ დაგდებულ ქვეყანას. გონებას უნარი არ შესწევდა, დაეცვა და გადაერჩინა სხეული, მაგრამ სარკის სიფხიზლითა და კეთილსინდისიერებით აღიჭვამდა და აღნუსხავდა ყველაფერს, რაც მისი თვალთახედვის არეში ხდებოდა. „ალათიამ იცოდა, ეს რომ მოხდებოდა. იცოდა“. — ფიქრობდა

გონებაში შეიხიზნული ანეტა და ზიზღითა და სიბრალულით დასცქეროდა საკუთარ სხეულს. არასოდეს არ ენახა იგი ასეთი შიშველი, ასეთი დაუცველი და ასეთი ამაზრუნე, მაგრამ მინც ახლობელი, მინც მისი სისხლი და ხორცი, როგორც დედისეული კაბის შავი ნოტივებიდან, ახლახანს, მის თვალწინ მკვდრად მოხილი და. მკვდარი დედის კაბამ მკვდარი და გაუჩინა და არაფერი იყო ამაში გასაკვირი. ახლა, გინდაც ამ კაცს გაეშვა, გაეშვა კი არა, გაეგლო, მინც არ წაივიდოდა აქედან, აქ იყო მისი ადგილი, დის ცხედართან, რომელიც ამ კაცმა დედისეული კაბიდან ამოთხარა, როგორც საფლავიდან, და ისევ დედისეულ კაბაში ჩამარხა, როგორც საფლავში. ის ლოდივით უნდა დებულყოფი აქ, საფლავის ლოდივით, დის საფლავის გამოსაცნობი ლოდივით. კაცზე არ ბრაზობდა, არც მისი აქ ყოფნა უშლიდა ხელს, როგორც მკვდარს არ უშლის სასაფლაოზე მობალახე ძროხა. კაცმა თიხის ჯამი პურის ქერქით ამოწმინდა, ბუტიას წილი ტკბილიყო, თქვა და ერთხელ კიდევ მოიყუდა არყიანი ბოთლი. ანეტამ ისიც კი დაინახა, როგორ აულ-ჩაუდიოდა ყელზე ადამის ვაშლი, სანამ არაყს სვამდა. მერე კაცი ბუდრუგანიდან გავიდა და კარი ღია დატოვა. ბუდრუგანაში ჭრიჭინების ხმა და ღამის სიგრილე შემოიჭრა. ანეტამ იჯრძნო, როგორ აებურძგნა კანი ნარზე გამოტილ ცხედარს. უცებ სიზმარი გაახსენდა, ორი სიზმარი გაახსენდა ერთმანეთში არეული: ვითომ ისა და ალათიამ ვითომ წყაროზე მიდიოდნენ ვითომ სარდიონის დორბლის ვითომ ჩამოსაბანად, თან ფერფლის წყაროსთან მარტო იდგა და პეშვიდან ეს კაცი ალევინებდა წყალს, ახლახან რომ გავიდა ბუდრუგანიდან. „ალათიამ იცოდა. ალათიამ იცოდა“. — გაიფიქრა ანეტამ ჭირვეულად. მერე კაცი შემობრუნდა და კარი შემოიკეტა.

ოთარ ზილამა
 ყოველმან ჩემთან გამოწამიან...



ცობანს შეყოვნდა კართან, თითქოს რაღაცას მიაყურადა. მერე მაგიდასთან მივიდა, ლამპის შუშას ცალი მხრიდან პეშვი მოათარა და ღონიერად ჩაპბერა. შუქი მაშინვე ჩაქრა, მაგრამ აბოლებულ პატრუქზე კიდევ დიდხანს დახტოდნენ პაწაწინა, ბრჭყვიალა ნაპერწკლები. ანეტა მაინც ხედავდა, როგორ თხრიდა კაცი საფლავს, ტურის სიმხდალითა და მოუთმენლობით მერე მკვდარი დის ფეხებს გველივით ცივი ხელი შეააცოცდა...

მერე საგზაო ინჟინერი და პაპამისი შემოვიდნენ ბუდრუჯანაში. პაპამისი მუნდირში იყო გამოწყობილი და ყბები შავი ნაჭრით ჰქონდა აკრული. „კი მაგრამ, წინააღმდეგობა რატომ არ გაუწიე?“ — უთხრა პაპამ. „ახლა ამის დრო არ არის“. — თქვა საგზაო ინჟინერმა აბუელებული კრაზანა გამწარებული ასკდებოდა ბუდრუჯანას კედელს. ანეტას სახეზე მზე დასდგომოდა, გაოფლილიყო, როგორც აკვანში ჩაქრული ჩვილი. მერე კამფეტის სუნი ეცა და ღუსა დაინახა „ნაშენში უნდა მოგეპირა, შე სულელო, ხომ ვასწავლე“. — თქვა ღუსამ და კამფეტი ჩაუღო პირში. ანეტას კამფეტის გადმოფურთხება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ძალა არ ყოფნიდა, ღუსა კი, უკანვე ატენიდა თათით. „მამაშენს დამბლა თუ არ მოუვიდოდა, არ მეგონა“ — ამბობდა ღუსა. „ახლა ამის დრო არ არის... ახლა ამის დრო არ არის. ახლა ამის დრო არ არის“. — გაიძაბოდა საგზაო ინჟინერი საღდაც, ღუსას იქით. — „საქმე მაინც უნდა შედგეს“. — პასუხობდა პაპამისი. „ხომ ყოფილა? ხომ მოვიდა? ხომ მაინც მოვიდა?“ — ფიქრობდა ანეტა და კამფეტს ენით აწვევბოდა. ცდილობდა როგორმე გადმოეგდო პირიდან, ბრმად, ინსტინქტურად, როგორც ახლადგამოჩეკილი ვუგულის ბარტყი ავდებს დედობილის კანონიერ ბარტყს ბუდიდან. „ჩემი ჯიბრით, ჩემი ჯიბრით. მე რომ ვაგემწარებინე“. — ამბობდა ღუსა. მერე პაპამისთან, საგზაო ინჟინერთან და დედასთან ერთად ეტლში იჯდა და თავბრუ ეხვეოდა, თვა-

ლი უჭრელდებოდა, სული ეკვრებოდა თითქოს საქანელაზე იდგა და საცაა მოწყდებოდა საქანელას, გაფრინდებოდა, სამუდამოდ ჩაიკარგებოდა აბრჭყვიალებულ სივრცეში. ვერ ვაეგო, უხაროდა თუ ეშინოდა. თან იმასაც გრძნობდა, ეტლში რომ იჯდა, ღუსასა და საგზაო ინჟინერს შუა, ღონემიხდილი და უმწეო, ყინწმოწყვეტილი. წინ მკვდარი პაპა ეჯდა, დაბლვერილი, გამწყვრალი, სახეწამონთებული. ეტლი მსუბუქად მიორწეოდა ფაფუკ მტვერში. ცხენები შეთანხმებულად მიბაკუნობდნენ, მიფრუტუნობდნენ, მიბუებუყობდნენ შორეულ წარსულში, ანეტას ბავშვობაში, თითქოს ჯერ კიდევ ის დღე იყო, როცა ალექსანდრე მოყავდათ საავადმყოფოდან, თითქოს ჯერ კიდევ ის შიში, სობრალული და სევდა გრძელდებოდა, დამახინჯებული ძმის დანახვისას რომ დაეუფლა ანეტას. ეტლი მშვიდად მიირწეოდა. თითქოს ეტლიც იგივე იყო, წამლებისა და საავადმყოფოს სუნივ გაყენითილი, სიხარულისა და მწუხარების, ბედნიერებისა და უბედურების, სილამაზისა და სიმამინჯის თანაბრად დამტევი და მზიდველი. გზაც იგივე იყო, თეთრად აბრჭყვიალებული, დაბურული, ზანტად მოქანავე ტოტებით დაჩრდიალული, ათასნაირად დაკლავილი სიხარულისა და მწუხარების, უბედურებისა და ბედნიერების, სილამაზისა და სიმამინჯის შუა. იგივე სანახები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, იგივე ფლატეები, იგივე ქალები, იგივე სოფლები, იგივე ყორეები და ღობეები. თითქოს სახედარიც იგივე იყო შორს, ტრიალ მინდორში გაჩინდული. გვალვისაგან დაზარულ მიწას ჩაშტერებული. ეტლი მიირწეოდა და კიდევ ერთ სიცოცხლეს ედებოდა მარადიული ვზის ცხელი და ფაფუკი მტვერი. სხვა არაფერი.

მერე ცაცხვების ძირას იჯდა, შალით ფეხებშეფუთენილი და აქაც ყველაფერი ნაცნობი იყო, ორსართულიანი სახლიც, ვაშლიც, გალავანიც, რკინის ალაყაფიც და დოლის გაუთავებელი ბაგაბუციც. ეზო საესე იყო მისთვის ძვი-

რფასი ჩვენებებით ისინიც გალავანს შიგნით დარჩენილიყვნენ სამუდამოდ, სიკვდილის მერეც ვერ გაედწიათ აქედან და გარეგარე უვლიდნენ ცაცხვის ძირას თოჯინასავით დასკვებულ ანეტას. გარეგარე უვლიდა სამი ქალისკ — დედის, ბებუისა და გადის, — ახრდილი და, თუმცა სამივეს მისი წაყვანა უნდოდა, ახლო მოსვლას მაინც ვერ ბედავდნენ, ანდა არ შეეძლოთ, თითქოს უხილავ თოკებზე ეკიდნენ და ჰაერი ამოძრავებდათ თავის ნებაზე. შენ მოდი ჩვენთანო, ხელს დაუქნევდნენ ხოლმე, მაგრამ არც ამას შეეძლო მოსვლა, ფეხები ჰქონდა წართმეული და სხვა რომ ვერაფერს ახერხებდა, აქედან უღიმოდათ, შემარჩევბლად, დამამშვიდებლად, ვითომ ღიმილით ეუბნებოდით, მეტი რაღა მოვიდე, ისედაც ხომ თქვენთან ვარო. ამ ეზოში მისი ძმები ისევ პატარები იყვნენ და ხან, ცაცხვის კენწეროზე გასულები, ცას ეპოტინებოდნენ, ხან კი, ექიმი ჩანდიერის ეტლის გაჰქნებას ცდილობდნენ ამოდ ანეტას კი, ვერ ამჩნევდნენ, ახლაც ვერ ამჩნევდნენ, ისე იყვნენ გართულნი თამაშით. სამაგიეროდ, მათი მაგიერი ხშირად მოდიოდა მათი დის დასახედოდ. „ოლონდ გამოკეთდი, ოლონდ გამობრუნდი, ოლონდ მაპატიეო“ — ევედრებოდა თვალებით, როგორც მლოცველი ხატს. ანეტას საიპოვნებდა მისი დანახვა და იმასაც შემარჩევბლად, იმასაც დამამშვიდებლად უღიმოდა, როგორც ძველსა და გაწილებულ ოცნებას. ასე გადიოდა დრო. დუსასა და პეტრეს ყოველი დილით, თუ ცუდი ამინდ არ იყო, სკამიანად ჩამოყავდათ იგი ეზოში და სანამ წასაყვანად მოაკითხავდნენ, იჯდა ასე, ცაცხვების ძირას, წყნარი და დამჯერი ბავშვივით. „ჩაგსეამდი ბალიშებში და იყავი შენთვის. ფეხს არ მოიცვლიდი. გინდაც დამვიწყებოდი“. ეუბნებოდა აღათიას ახრდილი და ანეტა სრულებითაც არ ბრაზობდა, როგორც ამ სამიოდე თვის წინად, როცა ცოცხალი აღათია ეუბნებოდა ამას, რადგან მაშინ თვითონაც ცოცხალი იყო და, როგორც

ყველა მოზარდს, ის ენათობებოდა. აღიზიანებდა და იმის მიჩქმალვას ცდილობდა, რაც თანდაყოლილი და მთავარი თვისება იყო მისი არსებობისთვის, საერთოდ მისი ბუნებისთვის. მაგრამ ეს რომ ერწმუნა, ჯერ მისი უკანასკნელი მეთვალყურეც უნდა კომპეკდარიყო, თვითონ კი უმეთვალყურეოდ დარჩენილი. პირველსავე გასვლაზე, ცხოვრების ეტლს უნდა ჩაეარდნოდა ბორბლებში, თოვლით ტანდაზველილ ოცნებასა და კვიცებივით მოუსვენარ ფეხებს აყოლილი. გალავანს იქით დარჩენილი ცხოვრება კი, თავისი გზით მიდიოდა და სრულებითაც არ აღადრებდა, მისი სიტლანქისა და სიბრძნის წყალობით, თოჯინად ქცეული გოგოს ბედი. მიდიოდა, მიირწეოდა უკიდევანო კალაპოტში. მღორე და ტალახისფერი მდინარე. ამ თოჯინის ერთი ძმა ყინულის საკანში ბორკილებს დააქლარუნებდა, ხოლო მეორე, მამა-პაპის ჯიბრზე, მამა-პაპის უარყოფელი, საკუთარ სახლს იშენებდა საავადმყოფოდ გადაკეთებული მონასტრის გვერდით. არც თავს იზოგავდა და არც მაროსა და მეკუბოვეს ზოგავდა, რომელთანაც ისევ და ისევ მამა-პაპის ჯიბრზე დაეკავშირებინა თავისი ცხოვრება. ვირებივით შრომობდნენ სამივენი. ალექსანდრე საძირკვლის ორმოებს თხრიდა, ხოლო მარო და მამამისი ხევიდან რიყის ქვას ეზიდებოდნენ გოდრებში.

— გიყია, ისემც მე ვიხარო. — ეუბნებოდა მარო მამამისს.

— გიყიც გიყსა ჰქვია. — პასუხობდა მამა. მტვერში ამოგანჯღული, აცაბაცად მომავალი გოდრის სიმძიმის ქვეშ ქვას დღეღამამე ეზიდებოდნენ და მამასაც და შვილსაც სიკვდილის გზასავით ეზიზღებოდათ მარად გრილი, მარად მოჩხრიალე ხევი. ხევში ოთხად დატოტვილი პატარა მდინარე მოედინებოდა. ოთხი ტიტლიკანა დობილი, ადამიანებისთვის გაუგებარ ენაზე რომ მოქლუ-

ოთარ მილამპ
ყოველმან ჩემან მკონილმან...

რტულობდნენ რაღაცას, თავშესაქცევსა და სასაცილოს. ხანდახან ბუჩქნარიდან კაპკაპი ამობდრიალდებოდა ხოლმე და კარგახნით ახარხარებდა ხევს. მაგრამ ისინი არც ნაკადულების ქღურტულსა და არც კაპკაპის ხარხარს აქცევდნენ ყურადღებას, როგორც მხალღი და უნდლილი ბავშვები — დაცინვასა და გამოწვევას. ნაკადულების დაწმენდილი, გამჭორვალე, მარად ქალწული ზვირთებიდან კრიალა კენჭები იჭყიტებოდნენ, როგორც კიშკები — აბეზარი და დაუნდობელი გოგოს პირიდან, რომელიც თითქოს მხოლოდ კვიმატი სიტყვის სათქმელადაა შექმნილი. ისინი კი, ქვით და ტვირთთუნნი, ბოდმისაგან და დადლილობისგან, გამოუტყვავი მუწუქებივით, სახე აბრიალებულნი, პირქუშად მოუყვებოდნენ ხევს და ფეხები უკან რჩებოდათ, რადგან ისევ უკან უნდა მობრუნებულყვენ და ეშმაკმა იცის, კიდევ რამდენჯერ, სანამ ღონემახდილნი არ დაცვივდებოდნენ ცალხელა გიჟის ფეხებთან, რომელიც ერთადერთი ხელით ისე მარდად და ოსტატურად ხმარობდა ნიჩაბს, გაკვირვებასა და აღტაცებას კი არ იწვევდა მნახველში, არამედ შიშისა და შორიდების გრძნობას. ღამით უფრო ჭირდა ხევში სიარული. წარამარა ფეხი უტრიალდებოდათ ოდრო-ჩოდრო ქვიშაში, გაუჩინარებულ წყალში მოტობავდნენ და ღვთის ანაბარა მოიკვლევდნენ გზას. ღამით ეშინოდათ კიდევ წყვდიადით ამოვსებული ხევისა და რაღა არ ეჩვენებოდათ, რანაირ სახეს არ იღებდნენ, მათთან ერთად, ნოტიო წყვდიადში ცოცხლად ჩამარბული, ჩახშული და გაუცხოვებული ხმები.

— ხომ არ გეშინია, გო? — განგებ ხმამაღლა ამბობდა მეკუბოვე, რადგან თავად მას ეშინოდა და მაროზე უარესადაც. — ჩვენთან ვის რა ხელი აქვს. არ ვჩანვართ, თორემ ეშმაკაც დავაფეთებდით აი, მე და შენ. — იცინოდა ნაძალადევად, უფრო ვიღაცის, არარსებულის, წარმოდგენილის გასაგონად, ტყუილუბრალოდ რომ არ ჩასაფრებოდათ ის, წინასწარვე გაეგო, ხელის გასასვ-

რელადაც რომ არ ღირდნენ ესენი, ნამ ახლოს მიუშვებდათ და სანამ თვითონ დარწმუნდებოდა ამაში.

— არაეიზე ნაკლები არა ვარ, ისემც მე ვიხარო. — თქვა ერთ დღეს მარომ. ის-ის იყო, გოდორი მოეხსნა და თავსაფარს ბერტყავდა. მამამისი გოდრიანად ჩაძვარიყო მათივე მოზიდული ქვის გროვასთან და მიძიმედ სუნთქავდა. მტერისგან ტუჩები გასთეთრებოდა, წარბებიც თეთრად ჰქონდა გადაპენტილი, მეწისქვილესავით. — ისემც მე ვიხარო — გაიმეორა მარომ. აღექსანდრე ორმოში იდგა, გამაღებული მუშაობდა და ორმოს გასწვრივ გაწოლულ ბორცვს განუწყვეტლივ ემატებოდა ჭერ კიდევ გრილი და შავი მიწა. — შენ გეუბნები, აღამიანო. არაეიზე ნაკლები არა ვარმეთქი, მონად რომ გამიხადე. — ჩასახარმოს მარომ.

— არ ამომიყვანო. — თავის აუღებლად თქვა ალექსანდრემ.

— ვითომ რითი ვარ შენს დაზე უარესი?! — არ მოიშალა მარომ. — განა ჩემად რომ ვარ, არც არაფერი გავმეგება?! — მარომ მამას გახედა, თითქოს მოწმე დაიგულა.

მამამისი ისევ ისე იჯდა, გვერდებოდათ ქვის ყორზე მთუბამთო. შეიღს ქვემოდან ამოჰყურებდა გამოცარიელებული თვალებით. თუმცა არა, შიშის ძლივს შესამჩნევი ლანდი დაფარფატებდა მის თვალბში, როგორც ცარიელ საყდარში დამურა, მტვრით გადათეთრებულ ტუჩებზე ენის გადანასვამი ეტყობოდა. ბინძური და ვაჩეჩილი თმიდან ოფლს გამოეყონა.

— რა გაიგე? რა გავეგება? — დაიძახა ალექსანდრემ.

ნიჩაბი გააჩერა, მაგრამ თავი მაინც არ მოუბრუნებია მაროსკენ, ოდნავ წელში მოხრილი იდგა ორმოში, ორმოს ფსკერს ჩაშტერებული, თითქოს ოქროთი საცხე ქოთანს გადასწყლონია და ჭერ თვალს არ უჭვრებს, ჭერ კიდევ აკვირდებაო.

— რა გავიგე და ის გავიგე, რასაც ქვეყანა ლაპარაკობს. — ფქვა მარომ და გაფერთხილი თავსაფრით ყელ-კისერა მოიხოცა.

— რას ლაპარაკობს, ქალო, ქვეყანა! — მთელი ტანით შემობრუნდა ორმოში მოთმინებიდან გამოსული ალექსანდრე.

— ნუ უსმენ, კაცო. ხომ იცი, სულელია. — დაუძახა მეკუბოვემ. — რამდენჯერ გითხარი, ენას კბილი დააჭირე-მეთქი. — თვალები შვილზე გადაიტანა — აუცილებლად უნდა ამოგვლიჯონ?! იქამდე ვერ მოისვენებ?! — ძლივს, უნდლილად ლაპარაკობდა. ისე დადლილიყო, მკლავის გამოღებაც დაზარებოდა თუ დავიწყნოდა გოდრის სახელურიდან.

— მე არ ვეტყვი, სხვა ეტყვის, — თქვა მარომ. — ახლა იმაზე მომდებს წარს, თუ იცოდი, რატომ დამიძალეოისმეც მე ვიხარო.

ალექსანდრე ორმოდან ამოვიდა, კი არ ამოვიდა, ავმა წინათგრძნობამ ამოაგდო, ამოისროლა, როგორც ნიჩაბმა ქვანიჩაბი რომ აღარ ეჭირა, ესეც მერე შეამჩნია, მიწაზე. განათავისუფლებული ხელი ეჩოთირა. ხან მაროს შეაეჭქრდებოდა სახეში და ხან მაროს მამას, ცუდად მომღიმარი, თქმით კი, არაფერს ამბობდა, არც იმათ აძალეუბდათ თქმას, თითქოს გრძნობდა, მზად რომ არ იყო იმის მოსასმენად, რასაც მალე მოისმენდა, რაც უკვე ენაზე უტრიალებდა მის ერთგულ ამხანაგსა და თანამგზავს. აი, ახლა გააღებდა თავის უშნო პირს და მერე აღარაფერი ეშველებოდა, ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა იმ გესლსა და შხამს, რომელსაც მაროს ბნელი წიადლან დაძრული სიტყვა ამოიყოლებდა თან. სხვას რომ თავი გავანებოთ, ალექსანდრე ერთდროულად ორივე ყურსაც ვერ დაიცობდა, ხელი არ ეყოფოდა. „იქნებ მართლა ჯობია, რომ არ ვა-თქმევიინო, არ გავიგო, იქამდე ამოვგლიჯო ენა, სანამ იტყოდეს? — ფიქრობდა ჩქარა, ფაცაფუციით, როგორც განსაცდელში ჩაუარდნილი და დროშეზღულელი კაცი. — იმიტომ, რომ მეშინია...

იმიტომ, რომ ლაჩარი ვარ... კეთილი ლაჩარი“. — გაიბრაზა თავი.

— კარგს რას იტყვის შენი ენა ბარემ თქვი და გაათავე, კიდევ ვის გამოუყვანეთ წირვა შენ და მამაშენმა, კიდევ ვის ესროლეთ ტალახი. — თქვა ალექსანდრემ, ისევ ისე მომღიმარმა, მაგრამ თავ-ფეხიანად დაძაბულმა, საკუთარ ხმას მიუყურადებულმა, ხმას რომ არ გაეთქვა, ხმაზე რომ არ შესტყობოდა შიში და მღელვარება.

— გესმის, მამი? — თავი მიაბრუნა მარომ. — ისევ ჩვენ გვისერია ტალახი. რა პირით გვლანძღავ, შენი დის პატრონი?! — მოუტრიალდა ალექსანდრეს — შარაზე გადი და პირველივე შემხვედრი გეტყვის იმის კარგ ქალობას. მთელი წნორი დაუძლია, ისემც მე ვიხსა... — ვერ დაამთავრა მარომ, რადგან უცებ, ხელნის ბლაგვი თავივით დაეძგერა კბილებში ალექსანდრეს მუშტი.

მარო მოცელილივით დავარდა მიწაზე. „ტყუი! ტყუი! ტყუი!“ — დაჰყვიროდა ალექსანდრე და ახლა ფეხებით სცემდა, ფეხებით მიაჩოჩებდა, ფეხებით მიათრევდა, ფეხებით მიაგორებდა პირლია ორმოსკენ, საიდანაც ეს წუთთა თითონ ამოსულიყო.

— ჩვენი რა ბრალია... ჩვენ რათა გვცემ... ჩვენ რა დავიშავეთ. — იძახდა მეკუბოვე და პატარა მუშტებს მკერდზე იცემდა, სხვას ვერაფერს ახერხებდა, ქვით თავმობმული გოდორი ისევ ზურგზე ჰქონდა მოკიდებული, ფეხზე კი წამომდგარიყო, მაგრამ გამძვინვარებულ ალექსანდრესთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

მარო ორმოში ჩავარდა. „ტყუილია, ტყუილია, ტყუილი“ — ახლა ორმოს ჩაჰყვიროდა ალექსანდრე და თან მიწას ყრიდა შიგ ფეხებით, რადგან ნიჩაბიც ორმოში იყო, მაროსთან ერთად. ფეხებით აყრიდა მიწას თავის ერთადერთ მეგობარს, თითქოს ქვეყანას უმაღავდა, როგორც მელა — თავისსავე განავალს.

ოთარ ბილაძე

პროფესორი ჩიხიან გარედიან...



მარო ხმას არ იღებდა, ჩუმად იწევა ორ-
მოს ფსკერზე, როგორც დიდი ნადირი-
სგან თავდაღწეული პატარა ნადირი —
სორთში, და, შეიძლება, უხაროდა კი-
დეც, მიწა რომ ეყრებოდა ზემოდან;
რაც მეტი მიწა დაეყრებოდა, უფრო ვა-
დარჩენილი იქნებოდა, უფრო კარგად
დაემალებოდა განრისხებულ მტერს.

მერე ალექსანდრე შარაზე მიაბიჯებ-
და, მამისეული სახლისკენ მიდიოდა, და-
უოკებელი და დაუნდობელი, თითქოს
შურისძიების წყურვილით აღზნებული
ორი ბიბლიური ძმა შერწყმილიყო მის
არსებაში, თითქოს ერთდროულად სფი-
მინიც იყო და ლევიც, რომლებიც გა-
შისვლებული მახვილებით თავიანთი
დის შემარცხვენილი ქალაქისკენ მიის-
წრაფოდნენ.

ანეტა ცაცხვის ძირას იჯდა, ფეხები
შალით ჰქონდა შეფუთვნილი და საგ-
ზათ ინჟინრის ხმას უსმენდა. საგზათ
ინჟინერი რომ მოვიდა, დუსამ იმასაც
ჩამოუტანა სკამი და თან თავისი გაკე-
თებული კამფეტებით სავესე თეფშიც
გამოაყოლა ხელს (გათხვეების შემდეგ
დუსა, რაღა თქმა უნდა, ტბილეულით
აღარ ვაჭრობდა, მაგრამ კანფეტებს
მანაც აზნადებდა ოჯახისთვის, როგორც
სხვა დისახლისები წინისა თუ მურა-
ბას). თეფში ინჟინრისთვის განკუთვნილ
სკამზე იდო, ინჟინერი კი, ფეხზე იდგა
და იდაყვებით დაყრდნობოდა სკამის
ზურგს. დუსა თავისი ოთახის სარკმ-
ლიდან უთვალთვალებდა ცაცხვების
ჩრდილში განმარტობულ წყვილს, ფა-
რდას ამოფარებული, სუნთქვაშეკრული,
სულწაქლი. ინჟინრის ხმა აქამდე არ
აღწევდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმ-
ნებოდა, თითქოს ჯადოქარს შეყვარე-
ბული ქალ-გაიფ გაუქვავებია და სხვა
გოგო-ბიჭების ჰკუთის სასწავლებლად,
ქეგლად დაუდგამს მაკაბელების ეზო-
ში.

— მერე თბილისში წაგიყვან, დეი-
დაჩემთან. ექიმებს დაგახვევ. აი, ნახავ,
ყველაფერი კარგად იქნება. ოღონდ...
ოღონდ მშაბიტი. მე ხომ არ ვიცოდი. —
ამბობდა საგზათ ინჟინერი.

„მიტო, მიტო, მიტო“ — იმეორებდა
გუნებაში ანეტა და ილიმეზოდა, რო-
გორც ოცნებას უღმის კაცი, რომე-
ლიც წინასწარვეა დარწმუნებული, ეს
ოცნება ოცნებადვე რომ დარჩება,
ხორცშესხმა რომ არ უწერია, იმდენად
მაუღწვეველი და გაყურია იგი, მაგრამ,
შეიძლება სწორედ ამიტომაც, განსაკუ-
თრებულად სიამოვნებს მის ტყვეობაში
ყოფნა, მისი კიდევ უფრო გაზანგძლი-
ვება და ვადრმავეება, თითქოს იმის
ვასაგებად, აქვს თუ არა საერთოდ სა-
ზღვარი ამ უსხეულო და ქარაფუშტა
არსების მომაჯადოებელ ცრუბენტელო-
ბას.

— მიყვარხარ, გესმის? კი არ მეცო-
დები, მიყვარხარ. — ეუბნებოდა სა-
გზათ ინჟინერი.

„აი, თურმე რა ყოფილა ჩემი ჯვარი“
— ფიქრობდა იგი. ბავშვობიდან იცო-
და, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ
ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუ-
თვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა
იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე
სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამ-
სახურებული, მაგრამ უკვე სხვათა სა-
კუთრება. მამისაგან იცოდა ეს, მამამ
შთაგონა, მაგრამ მამა ისე გარდაიცვა-
ლა, ვერ გაიგო, რა ჯვარს ეზიდებოდა
იგი, მოიპოვა თუ არა, მეორე, ქვეყნი-
სათვის სასარგებლო ცხოვრების უფ-
ლება. მამამისი კანცელარიის უბრალო
მოხელე იყო, მთელი სიცოცხლე არზე-
ბითა და ბრძანებებით ჰქონდა თავი
გამოტენილი და ნათესავებიცა და ნა-
ცნობებიც ერთ უფხო, ხელმოცარულ
კაცად თვლიდნენ. მიტომ ესეც ბავ-
შვობიდანვე იცოდა და ბავშვობიდანვე
იტანჯებოდა, რადგან მამას აღმერთებ-
და, მაგრამ ამავე დროს, სხვა გიმნაზიე-
ლებივით, არ შეეძლო, თავი მოეწონე-
ბინა მამით. მათი ოჯახიც, ერთი შეხედ-
ვით, ოჯახად ითვლებოდა, ოდესღაც მდი-
დარი და სახელოვანი, გვაიშვილობით
სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლებები არ იყ-
ვნენ, მაგრამ როცა სხვა ოჯახებში აულა-
გებლად იყო სუფრა გაშლილი და სტუმ-

რების განუწყვეტელი ყრიაშული იდგა, ამათ ოჯახში უპირველად მოხვედრილ კაცს, მოსალოდნელი ანდა უკვე გადატანილი უბედურების მძაფრი შეგრძნება ეუფლებოდა. ასე ეგონა მიტოს, რადგან უპირველეს ყოვლისა თვითონ იყო ამ შეგრძნებით შეპყრობილი, იმასაც ხვდებოდა, მისი მშობლები უმწუხონი რომ იყვნენ. ამ შეგრძნებისგან გაენთავისუფლებინათ იგი და დაშინებული თუ ბედს შეგუებული ადამიანების შემადრწუნებელი მორჩილებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. იმის მაგივრად, რომ რამე ეღონათ, მრავალრიცხოვანი და ვაგლენიანი ნათესავებისათვის დახმარება ეთხოვათ, დაუნანებლად, დაუფიქრებლად ყიდდნენ, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, რათა შვილისათვის არ მოეკლოთ არაფერი, მათ შვილსაც კეთილშობილთა გიმნაზიაში ესწავლა და არ გამოკლებოდა ტოლამხანაგებს. მიტომ იცოდა, რა უჯდებოდა მშობლებს მისი სწავლა-განათლება. რის ფასად უნარჩუნებდნენ ისინი შვილს ხალხში ტრიალის შესაძლებლობას და ყოველთვის ზედმეტად აღზნებული და დაძაბული, თავგანწირულად სწავლობდა, დღედაღამეს ასწორებდა, წიგნების მტკირთა ჰქონდა პირი გამოვსებული, მარტო იმიტომ კი არა, სხვებზე მეტი რომ ცოდნოდა, სხვებისათვის რომ ეჯობნა ცხოვრებაში, არამედ — თავისი ოჯახის უბედურების მიზეზს რომ ჩაწვდენოდა და დროულად ამოეცნო, რომელი ჯვრის მტკირთველი უნდა ყოფილიყო თავად, რომელ გოლგოთაზე უნდა აეტანა თავისი ჯვარი. „არავინ შეიჯავრო, შეილო, სიძულვილი გაგანადგურებსო“ — ეუბნებოდა დედა, თითქოს ხვდებოდა, მათ ოჯახში დაბადებული ბავშვი სიძულვილისათვის რომ უფრო იქნებოდა განწყობილი, ვიდრე სიყვარულისთვის. „ყველა საქმე ქვეყნისათვის საკეთილდღეო საქმეა, თუკი ვიყვარს და თუკი კეთილსინდისიერად ემსახურებიო“ — ეუბნებოდა მამა,

როცა თვითონ კალმისაგან ბებერებზე ჰქონდა თითებზე ვაჩენილი, ყოვლად უსარგებლო და უაზრო შრომისაგან, რადგან სხვებსაც, მასზე ახალგაზრდა მოხელეებს, მასზე სწრაფად შეეძლოთ არზემისა და უწყებების გადათვორება, მაგრამ მამამისს ლამაზი ხელი ჰქონდა და ამის გამო ითმუნდნენ ალბათ სამახურშიც. კანცელარიიდან რომ მობრუნდებოდა, ახლა სახლში მიუჯდებოდა მაგიდას და ისევ წერდა. ქუჩაში არასოდეს არ გამოდიოდა თითქმის. ათასში ერთხელ ბაზარში თუ წავიდოდა, ანდა — დუქანში, ქალაქის მარაგის შესავსებად. რას წერდა, არავინ იცოდა. ცოლს ღიმილით იშორებდა, რა გინდა, თავს ვიქცევო და შულამემდე წერდა. ცოლი არასოდეს საყვედურობდა, თუმცა სანამ მისი მეუღლე „თავს იქცევდა“, მათი ბიძაშვილ-მამიდაშვილები შეუფერხებლად მალდებოდნენ ცხოვრების კიბეზე, ჩინმენდლებით იტვირთებოდნენ და დღითიდღე იმატებდნენ გავლენასა და პატივს. ეს კი, წერდა, თავაულებლად, დაუხარებლად, გიჟტად, თაბახს თაბახზე აესებდა, სანამ სარკმელი არ გადათვორდებოდა ხოლმე. მერე ნაწერს უჯრასი ჩაკეტავდა, სისწრაფით გადაიწერდა პირჯვარს, ხატისაკენ თვალგაქცეული, ლამპას ჩააქრობდა და წებებოდა, ერთი-ორი საათის მერე ისევ კანცელარიის მაგიდას რომ მიჯდომოდა და თავისი ლამაზი ხელით უსასრულოდ და კეთილსინდისიერად ეთეთრებინა ოქმები და ბრძანებები.

— რასაც შენ აკეთებ, ისიც საქვეყნო საქმეა? — ვერ მოითმინა ერთ დღეს მიტომ, მაგრამ ამით ახალი სატანჯველი და ახალი სანანებელი მიიძაბა მხოლოდ.

მისმა შეკითხვამ მამამისი შეაკრთო, ოდნავ აუთრთოლდა კალმისანი ხელი, თქმით კი, არაფერი უთქვამს, დარცხვენოდა თუ დამნაშავედ ვაუღიმა შვილს

ოთარ ბილაძე
 ყოვლადან ჩამან მკრძნელად...



და წერა გააგრძელა. მერე მიტოვდა ოდესაში წავიდა, ახლა იქ ჩაეფლო წიგნებში და ერთფეროვნად გაიჭიმნენ უნივერსიტეტის ნაცრისფერ კედლებში სანახევროდ მშვიერი სტუდენტობის წლები. „არაფერი გამომიგზავნოთ. მე კარგადა ვარ, თავს მიხედეთო“ — წერდა იქედან მშობლებს, რადგან ძილის წინ, ერთი წამით რომ წარმოიდგენდა, რამხელა ტვირთად აწვა თავის ხელმოკლე ოჯახს, სიმწარისა და სიბრაზისაგან ლამის გული გასკდომოდა. მერე, მშობლების სიკვდილის მერე მიხვდა მიტოვ, რომელი ჯვარი ამოერჩია მამამისს, რომელ ჯვარს უზიდებოდა ეს ჩუმი და შეუმიჩნეველი კაცი, რომელსაც დამწყებები მოწაფესავით, მთელი სიცოცხლე მეღანით ქონდა თითები მოთხუპნული და რომელსაც ნათესავეებიც ამადლოდნენ სალამს. როცა ოდესიდან დაბრუნებულმა მიტომ მღელვარებისგან ათრთოლებული ხელით გახსნა მამის უჯრა და მისი ნაწერები ამოიღო, პირველად გაცეცხისგან პირი დააღო, მერე ნაწერის სილამაზემ, სისუფთავემ და სისადავემ ააფორიაქა და დიდხანს იდგა ასე, მამისეულ მაგიდასთან. ერთ ხელში სტამბურად გამოცემული „ქილილა და დამანა“ ეჭირა, მეორეში კი, იგივე წიგნი, ოღონდ მამის ხელით გადაწერილი.

ახლაც, მაკაბელების ცაცხვების ძირას გაჩერებულს, რატომღაც მამის ნაწერი დაუდგა თვალწინ და ეს პატარა გოგო, ტლანქი ვენებით გადათელილი, დაკნინებული და დადამბლავებული, მართლაც ვაგდა რალაცით მამამისის ლამაზი ხელით გამოყვანილ ქართულ ასოებს, რალაცით კი არა, სისადავით, სიმსუბუქითა და სინათლით, და უკვე მტკიცედ იცოდა, ეს რომ იყო მისი ჯვარი, შალით ფეხებზეფუფუნელი და შემარჩევებლად მომდიმარი გოგო. სხვას თუ ვერაფერს უშველიდა, ბორბლებიან სავარძელში უნდა ჩაეხვა და იმასთან ერთად შესდგომოდა მხოლოდ და მხოლოდ მისთვის განკუთვნილი გოლგოთასაკენ მიმავალ გზას. ეს იყო მისი მოვა-

ლეთმა, თუკი ვერ გადაარჩინა, ახლა აღარ უნდა მიეტოვებინა იგი და მოეწვლო და ეპატრონა, როგორც მამამისი უვლოდა და პატრონობდა ქართულ კალიგრაფიას, როცა სხვას აღარავის ეცალა საამისოდ.

— ვერც ხეები გადავარჩინე, და ვერც... — დიწყო მიტომ, უნდოდა ეთქვა, ვერც შენო, მაგრამ სწორედ ამდროს, მათგან მომავალი ალექსანდრე დაინახა.

დუსამ ყველაზე ბოლოს შეამჩნია ალექსანდრე: საგზაო ინჟინერი მოულოდნელად რომ შემობრუნდა ალაყაფისკენ, ძალაულებურად იმანაც იქითკენ გაიხედა და, თუმცა არასოდეს არ ენახა იქამდე, ინჟინრისა არ იყოს, იმანაც მაშინვე იცნო თავისი კიდევ ერთი ვერი.

— ეს კი მგონი, ალექსანდრეა. — თქვა მიტომ.

— მე კი ვარ ალექსანდრე, მაგრამ შენ ვინა ხარ, ან რას აკეთებ აქ! — სიარულში თქვა ალექსანდრემ და უცხო კაცი გზიდან ისე ჩამოიშორა ერთადერთი მკლავით, თითქოს, მწყურვალი, ტბისკენ მისწრაფოდა და ლერწამი გადასწია, ტბა რომ დაენახა. იმავე წუთას ერთდროულად აირეკლა დის ორივე თვალში: აწოწილი, ავი, პირქუში.

— ვინ არის? მართალია, რასაც ამბობენ? — ჩასძახა მისი ხილვით ვაცისკროვნებულ თვალებს.

თვალები უცებ დაიორთქლა, როგორც დასუნთქული მინა. მერე ყველაფერი აირია, თვითონაც ვერ იგრძნო, როდის ჩაავლო საყელოში ხელი. დის სიშისვლე ცივი წყალივით მიეშხეფა სახეში და ერთი წამით გამოფხიზლდა, რათა საკუთარი საქციელისგან უარესად დასცემოდა თავზარი. ისეთი სუსტი, ისეთი ნაზი და სუფთა იყო დის გაშიშვლებული მხარი, ცრემლის ეკლიანი გორგალი მოებჯინა ყელში. ჩამოხეული საყელო უსიცოცხლოდ ეკიდა დის მკერდზე, როგორც მოკლული ფრინველის ფრთა.



ანეტას თვალები მართლა დაეო-
რთქლა, დაებინდა და კარგახანს ვერ
ვაერკვა, რა ხდებოდა. მხედველობა
რომ დაუბრუნდა, სკამი, რომელზედაც
კამფეტებიანი თევში იდო, მიწაზე
ეგდო, როგორც იმ დღით, როცა
ალათიამ თავი ჩამოიხრჩო. მთელი ეზო
კამფეტებით იყო მოფენილი, ალექსან-
დრეს კი, ცხვირიდან სისხლი მოსდი-
ოდა. ერთადერთი, ვინც თავიდან ბო-
ლომდე, მისხალ-მისხალ უყურა ცაცხვე-
ბის ძირას დატრიალებულ ვენბათა
ლელვას, დუსა იყო. დუსას მთელი
ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი
და როდის-როდის იგრძნო, გადატანი-
ლი მღელვარებისა და დაძაბულობი-
სგან, როგორ უცახცახებდა სხეული
და, შეშინებულ კატასავით, როგორ
ებღაუჭებოდა ჩამოსაწყდომად გამზა-
დებულ ფარდას.

ექვსი თვის მერე ალექსანდრე ისე
შორს იყო მამისეული სახლიდან, ფიქ-
რშიაც რომ ვერ წარმოიდგენდა და,
შეიძლება, ფიქრშიაც ვერ გაებედა,
თუ არა საგზაო ინჟინერი (საგზაო
ინჟინერი რომ იყო იგი, ესეც მერე
შეიტყუო, როცა დაცხრა, როცა ცხვირი-
დან წამსკდარმა სისხლმა გონება დაუ-
წმინდა და განსჯის უნარი დაუბრუნა),
მისი დის ქომაგი, ძმებისაგან დავიწ-
ყებული გოგოს მოსარჩლე, რომელმაც
ერთი დარტყმით დაუმსხვრია შუ-
რისა და ღვარძლის, თავიერძობისა და
პატივმოყვარეობის ნაჭუჭი და ბევრ
რამეს მიახვედრა ერთბაშად. მართლაც,
როდის იკითხა დის ამბავი, როდის
გაუწია ძმობა, ახლა რომ მოეწეა კლდი,
ახლა რომ დაიწყო მამლაყინწობა?
თუმცა ახლაც საკუთარი თავმოყვარე-
ობის შებღალვა უფრო აწუხებდა, ვი-
დრე დის უბედურება, და ესეც საგ-
ზაო ინჟინერმა მიახვედრა, კი არ მია-
ხვედრა, ესეც მუსტივიტ მიახალა
ცხვირპირში. მუსტი კი, იცოცხლე,
მწარე და დაუნდობელი ჰქონდა და

კაოგადაც სმარობდა. „ჩვენ პატიება
უნდა ვითხოვოთ მხოლოდ, თუკი შეე-
ძლება ამის პატიება“. — უთხრა საგ-
ზაო ინჟინერმა. „ის მაინც მითხარი,
ვინ არის?“ — შეევედრა ალექსანდრე სა-
გზაო ინჟინერმა გაიცინა, როგორც ბავ-
შვის სისულელეზე იცინიან ხოლმე, და
შენა ხარო, მიუშვირა ხელი. „მითრე-
ბულ ეკლესიას აუცილებლად ეშმაკი
დაეპატრონება, მაგრამ ეს არც ეკლესიის
ბრალია და არც ეშმაკისა. დამნაშავე
ისაა, ვინც ეკლესია მიატოვა, შენ, მამა-
შენი, შენი ძმა და თუ გენბავს, მეც,
თქვენთან ერთად“. — უთხრა საგზაო
ინჟინერმა. ეს ექვსი თვის წინად იყო,
მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების
ძირას. ალექსანდრეს ცხვირიდან სის-
ხლი სდიოდა და ტუჩნიკაპზე ახმე-
ბოდა. ვილაც უცხო ქალმა („მამაჩემის
ცოლი“ — გაიფიქრა ალექსანდრემ)
წყალი და პირსახოცი გამოუტანა შინი-
დან. ცალ ხელში თუნგი ეჭირა, მეო-
რეზე კი პირსახოცი ჰქონდა გადაკო-
დული და დაბნეული, დამფრთხალი
შემოსტკეპროდა. ალექსანდრეს გუნე-
ბაში გაედომა, რაღაც გაახსენდა, თვი-
თონ კი არ გაახსენდა, ცხვირიდან
გამოჟონილ სისხლს ახსოვდა რაღაცა,
ამის მაგვარი, იძულებითი სიკეთე,
იძულებითი ყურადღება, სიბრალუ-
ლისა და ზიზღის აღმძვრელი. ესეც
ექვსი თვის წინად იყო, მაგრამ იმ
დღის მერე სხვა არშინით იზომებოდა
ალექსანდრესთვის დრო და მანძილი,
კაცის კი არა, ქაჯის არშინით. მიდი-
ოდა, გრძნობდა, რომ მიდოდა, ილღე-
ბოდა, გრძნობდა, რომ ილღებოდა, გზას
კი არაფერი აკლდებოდა, იმასაც ვერ
იგებდა, როდის ეძინა და როდის ეღვი-
ძა, ცას არც გათენება ეტყობოდა, არც
დაღამება. ერთნაირი იყო სულ, ნაცრის-
ფერი, დაბალი, გაუმჭირვალე. სოფლე-
ბიც და ქალაქებიც ერთმანეთს გაე-
დნენ, თითქოს ერთსა და იმავე ქალაქს
ერთი და იგივე სოფელი ენაცვლებოდა

ოთარ ზილამი
ყოველმან ჩივანს მარველმან...



განუწყვეტლივ. ხალხიც ერთი და იგივე ხედვებოდა ყველგან, ეჭვიანი და გულღებყვილო. სადაც შევიდოდა ყველგან ქურქის ცარიელ სახელოს უსინჯავდნენ, თითქოს ჯერ არ ენახათ ცალხელა კაცი. ალექსანდრეც ყველას ერთსა და იმავეს უმეორებდა: ტიუმენი... კატორღა... ძმა. და ბოლობოლო იწამა, რომ ვერასოდეს დააღწევდა თავს ამ მოჯადოებულ წრიდან. „რატომ მომიკალი ქმარი, ა? აბა შემომხედე, შეიძლება ჩემისთანა ქალის დაქვრივება?“ — ესმოდა ქალის ხმა, მოსაყვედურე კი არა, თბილი, მოალერსე. ქალს თეთრი, უმკლავებო პერანგი და გრძელი, დანაოჭებული ქვედაკაბა ეცვა, იდაყვებამდე დაწითლებულ მკლავებზე შიშინით აშრებოდა საპნის ქაფი. „ყურს ნუ უგდებ. თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს... სულელი დედაკაცი“. ეუბნებოდა ცარიელი მაგიდის თავში დამჯდარი კაცი, უსაქმურობისგან მოწყენილი, გაღიზიანებული, შინ გამოკეტილი გაუთავებელი და აუღლებელი თოვლით, მაგრამ უფრო შემკრთალი, ვიდრე გახარებული, უფრო დაეკვებულა, ვიდრე დაინტერესებული ამ უცხო აღამიანის გამოცხადებით. ჭრელი ჩითის ხალათი ეცვა, შარვალზე გადმოშვებული. დაკოყრილი, ნაჭაფი ხელის მტვენები წინ დაეწყო, მაგიდანე, როგორც ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილი პური. მისთვის სულერთი იყო, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა და ვის ეძებდა მის ქოხში შემთხვევით შემოსებებული მგზავრი. მას თავისი სადარდელი ჰქონდა, მყარი, შეუვალი ფეხმოუცვლელი და ამ სადარდელში იყო შეყუყული, როგორც მისი წყლცხფერი თვლები მოღუშულ წარბებში. მგზავრი წავიდოდა, ის კი დარჩებოდა, რადგან მგზავრს ჰერი არ ჰქონდა და ეს აიძულებდა სხვების შეწუხებას, მას კი, წასასვლელი არ ჰქონდა არსად და ეს აიძულებდა საკუთარ ქოხში დარჩენას. ენის ტარტალსა და ზედმეტ გულახდილობას აზრი არ ჰქონდა, ამით არც მგზავრის დარდს მოაკლდებოდა რამე

და არც მისას, ვერც მგზავრი დატოვებდა თავის დარდს ამ ქოხში, ვერცხლის მანეთიანივით, და ვერც ამის დარდს წაიყოლებდა თან, ღუმელის სითბოსავით, წყლისა და პურის გემოსავით. ერთი, როგორც მოვიდა, ისევე უნდა წასულიყო, მეორე კი — დარჩენილიყო და როგორც აქამდე უტდიოდა, ისევე დაეცადა, როდის ვადაინდიდა მიწათოვლის საფარველს და როდის მიუშვებდა სიახლოვეს, რათა მის თბილსა და ორთქლიან ხნულში კიდევ ერთხელ ჩაესახა საკუთარი სიცოცხლე, არსებობა, კიდევ ერთი ზამთრისათვის სამყოფი პური, წყალი და ცეცხლი. „მკლავი ვინ მოგათალა? შვედმა? გერმანელმა? ფრანგმა? თუ თურქმა? — ეძახდნენ ალექსანდრეს გომურისხელა დამელის თავზე შეყუყული ბავშვები და ისევ ცარიელი მაგიდის თავში დამჯდარი კაცი ევლინებოდა მსხნელად. „ყურს ნუ უგდებ. ბავშვობით მოსდით. — ეუბნებოდა იგი ალექსანდრეს. — ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ ახლავე თოვლში გაგყრით სუყველას“. — უყვიროდა ბავშვებს. მაგრამ ალექსანდრემ აღარ იცოდა, როდის და რომელ ქოხში ნახა ის ქალი, სარეცხის რეცხვისაგან იდაყვებამდე დაწითლებული და აშიშინებული მკლავები რომ ჰქონდა, ან ის მოღუშული, ჭრელხალათიანი კაცი, რომელიც ლაპარაკისას ან გვერდზე იყურებოდა, ან საკუთარ ხელებს დასცქეროდა, ანდა გომურისხელა ღუმელის თავზე ბედურებივით აბურძენული და აქიციციებული ბავშვები. ყველა ქოხში იყო თითო ასეთი ქალი, თითო ასეთი კაცი და თითო ასეთი ღუმელი, თუ არადა, სამუდამოდ გზაბნეული, ქაჯის ხელში ჩაეარდნილი ალექსანდრე. ყოველთვის ერთსა და იმავე ქოხში წამოუყოფდა ხოლმე თავს თოვლიდან, მოულოდნელად წამომართებოდა ხოლმე მის წინ, როგორც უცხო და სეჰვეო ხმებით ძილგამკრთალი ნადირი. საგზაო ინჟინერმა კი გააფრთხილა, გრძელი და ძნელი გზა გელოდებოდა, მაგრამ

გრძელი კი არ იყო გზა, არ არსებობდა საერთოდ, არც არსად იწყებოდა და არც არსად მთავრდებოდა, და არც მხელი იყო იმდენად, რამდენადაც გამაბითურებელი. წინ ერთი და იგივე სივრცე იყო გადაშლილი, უპორიზონტო, უიმედო, მაგრამ სადღაც, მის სიღრმეში მძა ეგულებოდა ალექსანდრეს და ეს იყო, მშვიდი მგელივით რომ მიერეკებოდა წინ, ეს აიძულებდა, კიდევ ერთხელ ამოფოფებულყო თოვლის ორბოდან, რადგან მაშინვე მეორეში ჩავარდნილიყო წელამდე. ქუჩის ცარიელი სახელო, ყინვისაგან გაშეშებული, ტოტივით ჰქონდა გაშვებული და თითქოს ის აჩვენებდა გზას, თითქოს ნამკლავამრა იცოდა, სად იყო მისი შემცვლელის ადგილსამყოფელი და ალექსანდრესაც იქითკენ ეწეოდა, სულწაყლი, ადგზნებული, ისევე მკლავაღქცევის იმედით. ესეც საგზაო ინჟინრის ბრალი იყო, იმან უთხრა, მარჯვენამ უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარცხენაო, და როცა ალექსანდრემ უნებურად მორიდა დაპატარავებული მხარი, ვაგრაძელი: მე ძმაზე ვეუბნები, რადგან ძმაა შენი მეორე მკლავიო. მიდიოდა, მიძუნქულებდა მგელივით, ძმის კვალზე დამდვარი, ძმის სუნსაკრავი ალექსანდრე და მართლაც იყო რაღაცა, სულისშემძვრელად ნაცნობი და ახლობელი ამ უსაშველოდ უცხო გარემოში; ალექსანდრე დიდხანს გრძნობდა ამას, დიდხანს ტანჯავდა და აწვალებდა ამის შეგრძნება, სანამ აზრად არ გამოიკვეთა, სანამ საბოლოოდ არ დაიხადა და შევების ნაკადად არ ჩაიდვარა ალექსანდრეს გათოშილ არსებაში: აქ ჩემს ძმას ვაუვლია. „აქ ჩემს ძმას ვაუვლიაო“. — ფიქრობდა ალექსანდრე. ყურები უბზუოდა, თვალები უბრჭყვიალებდა და მიდიოდა. ირგვლივ ჭიუტად, მყარად დღუდა ყველაფერი, ერთნაირი, ერთი სიმაღლის ხეებიც, ხორკლიანი, ვადალურჯებული თოვლიცა და მინასავით გამკვრივებული ჰაერიც. ნიკოსაც ჩაველო აქ, ამ თოვლზე, ამ ჰაერში, ამ ტყის გასწვრივ,

მაგრამ არც თოვლია, არც მარჯვენა არც ტყემ ეს არ იცოდა, რადგან მათთვის ყველა ერთნაირი იყო, ვისაც ბორკილი ეკეთა, ვინც ვერ შეიშნოვა უკეთეს ქვეყანაში ცხოვრება და მობუზული, თავჩაქინდრული შედიოდა მათ სამფლობელოში, როგორც სამუდამო სასუფეველში, რადგან ჩაველილი ბევრი ენახათ, ამოვლილი კი — არავინ. შეიძლება, ალექსანდრეს დანახვა უკვირდა და ვაკვირვებისაგან ჰქონდა ენა ჩავარდნილი ბუნებას? ალექსანდრეს არც ბორკილი ედო და არც არავინ მოდენდა, თვითონვე მიდოდა, თითონვე დასდგომოდა ამ ცალმხრივ გზას. კი არ მოდიოდა, მოისწრაფოდა, იქიდან გამოქცეულიყო, თავისი ნებით დაეთმო იქაურობა, როგორც თვითმკვლელს სიცოცხლე. „აქ ჩემს ძმას ვაუვლია“ — შესძახა ალექსანდრემ გარინდულ ტყეს. ვალუშბულ ტოტს. თოვლის ბოლქვი მოსწყდა და ყრუდ ჩაეფლო უფრო დიდ თოვლში, დედათოვლს დაუბრუნდა, ხის სიმაღლით შეშინებული, დედას ჩაუეარდა კალთაში. საიდანღაც ყვავი წამოფრინდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიფრინავდა ტყის გასწვრივ, მღორედ და უხალისოდ, თითქოს ჰაერი არ უშვებდა წინ, ის კი ვერ მიმხვდარიყო და ვინ იცის, ეგონა ცხრა მთას გადაცვდი უკვეო. ალექსანდრეც ამ დღეში იყო: მიდიოდა, მიდიოდა, გზა კი არ მთავრდებოდა, არც იცვლებოდა, ის მაინც რომ სკოდნოდა დანამდვილებით, მართლა რომ მიდიოდა და ერთ ადგილას არ იტკეპნებოდა. ყვავივით პატარა და უმნიშვნელო იყო ისიც და არც მის არსებას შეეძლო, თუნდაც განუწყვეტელი მოძრაობითა და ვადაადგილებით, ოდნავ მაინც შეეცვალა, რამე კვალი დაემჩნია ამ უკიდევანო სივრცისთვის. ყვავი მიფრინავდა, ის კი — მიდიოდა. განსხვავება ეს იყო მხოლოდ. სამაგიეროდ თვითონ იცვლებოდა. ბუნების გულგრილობითა

ითარა ბილაძე
პროფესორი ჩხვიანი მკვლევარი...

და სიყრუით დაბნეული, დღითიდღე კარგავდა რწმენას საყოთარი თავისადმი, დღითიდღე უჭარწყლდებოდა უპირატესობის შეგრძნება, თუნდაც ყვავის მიმართ. „იქნება გამაბრძოლველი იქნებ თავიდან მომიშორა, მარტო რომ დარჩენილიყო ჩემს დასთან“—მტკივნეულად გაჰკრავდა ხოლმე ეჭვი და შემკრთალი იყურებოდა უკან, თითქოს ეჭვი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, ფეხაკრევით, ვერაფერად, როგორც ტურა — ზურგწამსდარსა და დავრდომილ ცხენს, რომლის მოკვლაც პატრონს დანაწიბია, ვერც უკისრია და ბედის ანაბარა გაუშვია ტყე-ღრეში. დარწმუნებული იყო, საგზაო იწყინერი უნდობლობას რომ არ იმსახურებდა მისგან, მაგრამ მისი დაღლილი და გამწარებული გონება ბრმად, ალაღბედზე დაექებდა დამნაშავეს, მისი არსების გარეთ, რადგან ცხოველური ალღოთი გრძნობდა, საკუთარი უძლეურობისა და ურწმუნობის აღიარება უფრო დამლუპველი რომ იქნებოდა მისთვის, ვიდრე სხვა, გარეშე კაცის არსებობა, რომლის მიზეზითაც ჩავარდნილიყო ამ დღეში. მტერი ჭირდებოდა, რათა გაეღწია, არ დანებებოდა განუწყვეტელ რინდას და თვლემას, მტრის ჯიბრზე. „სადღა მიდიხარ? რით ვერ გაიგე, რომ მოგატყუეს? დაწევი და გათავდება ყველაფერი. მე შენ გეტყვი, გაგაღვიძებს ვინმე.“—მოსძახოდა ეჭვი ყვავი კი, ტყის გასწვრივ მიფრინავდა, მღორედ, უნდოდა. ასევე მღორედ და უნდოდად მიცოცავდა თოვლზე ყვავის გაბაცებული ჩრდილი. ყვავისა და ყვავის ჩრდილს შუა მიაბიჯებდა და ქურქის ცარიელი სახელო წინ ჰქონდა გაშვებული, თუნუქის ღუმელის მიღვივით. „არც ისეთი ცივი ვარ, შენ რომ გგონივარ. მოდი, მოისვენე“. — ეუბნებოდა თოვლი ქონში ნანახი ქალის ხმით, საპნის ქაფივით ქათქათა და დასვრეტილი. ქალს უზურგო სკამზე საპნის ქაფით პირმობმული ტაშტი ედგა და მკლავები შიგ ჩაეწყო იდაყვებამდე. ჩამოშლილი თმა უფარავდა სახეს და მარტო

ემთავურად მომღიმარი ტუჩები მოუჭმუნდა, აბა, მიცნობს თუ ვერაო. ალექსანდრეს გამალებით უცემდა ვული. მერე ქალი, თავის ტაშტიანად, რალაცამ წამოიღო, როგორც ქაჩმა — მუყაოს ნაკერი, და ალექსანდრეს ცხელი, შეკუმშული ჰაერი დაეგერა სახეში. „უცხო კაცთან რატომ ჩამომახიე კაბა?“ — უთხრა ქალმა, მკლავები იდაყვებით მხრებზე დააწყო და ტუჩებში აყოცა, ცხარედ, ხანგრძლივად, არადაძურად. კოცნას გრძნობდა, ქალის სხეულს კი ვერა, იმასაც გრძნობდა, აღზნებული გონება საზარელ ცოდვაში რომ ხვევდა წარმოდგენილი ქალის მეშვეობით. რადგან ეს ის ქალი არ იყო, წედან რომ მოეჩვენა. ტაშტზე დახრილი, ყველა ქონის ბინადარი, ყველა ომის ქვრივი, უბოროტოდ სევდიანი, გულუბრყვილოდ მხიარული, უსაფუძვლოდ იმედიანი, ქვეყნის საწყისიც და დასასრულიც, და ამიტომაც, უბრალო და თვალშისაცემი, როგორც სასაზღვრე სვეტი ყოფნა-არყოფნას შუა. ალექსანდრემ თავი დაიქნია ცხენივით და ძალით მოიშორა წარმოდგენილი კოცნა, წარმოდგენილი, მაგრამ მიუტევებელი ცოდვა. მერე თოვლში იჭდა და თოვლით ისრესდა სახეს, რათა მთლიანად გამოედევნა აღზნებული გონებიდან სახიფათო ჩვენება: საყულო ჩამოხეული კაბიდან გამოჰყვებილი დის სიშიშველი! „არ ავდგები, აღარ ავდგები“ — გაუჯიუტდა ვიდაცას. ყვავამ რამდენჯერმე დაიხსავლა. ის ისევ ტყის გასწვრივ მიფრინავდა, მისი ჩრდილი კი, ალექსანდრეს გვერდით ფართხალებდა თოვლზე. „სწორე ხარ, — უთხრა ეჭვმა. — ისიც იქვე ორ ნაბიჯზე ჩაცუტულს იყო და მომლოდინე, მოუთმენელი თვალებით შემოსცქეროდა. — აღარა ღირს ფაფხურო. თუ გინდა, რომ სიკეთე ქნა, აქ უნდა დაიმარხო შენი ცოდვებიანად. თუკი ადგილი გეყოფა. (ჩაიცინა ეჭვმა). სხვას რომ დაუმალო, ჩემთან ხომ ვერ უარყოფ, მე ხომ ვიცი, რა ბინძურიცა ხარ? ან ძმას როგორ უნდა შეხედო თვალე-



ბში?“ „მეც არ ვიცი, მეც არ ვიცი“. — თქვა ალექსანდრემ. „მაგითმაც მოგიშორეს თავიდან, — უფრო ახლოს მიუჩოჩდა ეჭვი. — მოგიშორეს, გესმის? ცოდვას გაგარიდეს. შეეშინდათ შენი. არ გეგხარ სიკეთის ჩამდენს. თანაც მარტო სურვილი არ კმარა სიკეთის ჩასადენად. სიკეთე უნდა მოგდევდეს, როგორც სიყვ და სიმახინჯე მოგდევს შენ, გაჩენის დღიდან“. „რატომ? რატომ? რაღა მე გამოვედი ასეთი?“ — ჩაჰყვირა თოვლს ალექსანდრემ. „რატომ? — ისევე ჩაიციხა ეჭვმა. — გინდა, გულახდილად გითხრა? — ალექსანდრემ ისევე მობღუჯა თოვლი და სახეზე გადაიგლისა. წარბებზე პატარა, ბრჭყვილა ლოლუები შეეყინა. — შენ თვითონ ვახდი ასეთი. იმდენი ვეჟაკობა არ გეყო, ძმისთვის გადარჩენა რომ გეპატიებანა. გულიდან ამოირეცხე, აღარ ვაიკარე, რადგან ერთმა და იმავე სისულელემ შენ მკლავი მოგავლიჯა, ის კი — დაინდო, წარბიც კი არ შეუტრუსა იმას. იმის მაგივრად, რომ ვაგხარებოდა, დიბოლმე, ნალველი ჩაიქციე შიგანში და იმან გამოგწვა, იმან ვაგაშტერა, იმან ვადაგირეცხა, რაკვი რამე წმინდა და ძვირფასი იყო შენში: დედის საფლავიც, დის სახელიც და უბირველეს ყოვლისა, ძმის სიყვარულიც. ხომ ასეა? აქ მაინც გამოტყდი, აქ მაინც აღიარე, ასე ახლოს და ასე მარტო, შეიძლება, ვეღარ აღმოჩნდე ღმერთთან. აბა, მიიხედ-მოიხედე. კიდევ. კიდევ. დარწმუნდი? შენ და ღმერთი ხართ მარტო. შენ და არაფერი. ანდა ღმერთი და არაფერი“. „მე და ყველა დავგრჩით ამ ქვეყანაზე, — ვაიფიქრა ალექსანდრემ. — მაგრამ არც ჩვენ ვარსებობთ ერთმანეთისთვის. მე და არაფერი. ანდა ყვავი და არაფერი. ნეტავ, მიფრინავს თუ ამდენხანს ჰაერშია გაჩერებული?“

ყვავი ნელა, უხალსოდ მიფრინავდა გარინდული ტყის გასწვრივ, ხოლო რამდენიმე კილომეტრის იქით, თედო სხირელი და ევგენი მიქაძე

ბირდაბირით მორს ხერხავდნენ, მერს აქა-იქლა შერჩენოდა დამპალი, ყინვანაგან გამკვრივებული მერქანი. ხერხი ღმულოდა, ხროტივებდა, წელში იბრიცებოდა და მორის ქვეშ ნელ-ნელა იზრდებოდა ოქროსფერი და ნესტიანი ნახერხის ბორცვი.

— შევიდეთ ახლა, თორემ ვერც გავიგებთ, ისე დაგვეცივა ცხვირები. — უთხრა ევგენი თედოს.

— ახლა არ გამოველით, შე კაცო! უპასუხა თედომ.

ქონის ორ ნაბიჯზე იდგა, თოვლის ზეინს ამოფარებული. ქონის თავზე ღრუბლისფერი ბოლის ფთილა გაშეშებულიყო. თვალის საწიერზე კიდევ რამდენსამე ასეთ ფთილას შეამჩნევდა დაკვირვებული კაცი, რაც თოვლში ჩაკარგული ქოხების არსებობას ადასტურებდა, თორემ ისე, უკაცურსა გავდა აქაურობა. ქონში თბილოდა ღუმელის თავზე ლადო ტუღუში იწვა. ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ იმდენად ავად არ იყო, რამდენადაც ეშინოდა ავად გახდომისა. სკამზე მუხლუბით შემდგარი და მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი გოგო ვალეული ფანქრით ჩიტებსა და ყვავილებს ხატავდა გამოყვითლებულ ქაღალდზე. გოგო ეჭვსი წლისა იყო. სახელად მართა ერქვა.

— სლმნ, ასეთია მერცხალი? — დაუძახა მართამ ლადოს.

— აბა? — თავი წამოწია ლადომ. მართამ ფურცელი მალლა ასწია.

— რას დავინახავ აქედან. — უთხრა ლადომ.

მართა სკამიდან ჩამოვიდა ფურცლიანად, ღუმელთან მივიდა და ნახატი ლადოს ააწოდა, ლადომ წაფარებული ქურქიდან ხელი გამოაძვრინა და ნახატი ჩამოართვა. დიდხანას შესტკეროდა ფურცელს. მართა მოთმინებით ელოდებოდა, თავაწეული, ცხვირშეჭმუნხილი. ცალი ხელით დაკავებული ფურც-

ოთარ ზილაძე
 ყოველგან ჩემთან მყოფი...

ლი წელში იბრციებოდა და ლადო სუ-
ლის შებერვით ასწორებდა ფურცელს,
ეზარებოდა ქურქიდან მეორე ხელის
ამოღება.

— ასეთია.—თქვა ბოლოს.—ოღონდ,
ნისკარტი ქორისა გამოგსვლია.

— აბა, მერცხალს როგორი ნისკარ-
ტი აქვს? — ჰკითხა მართამ.

— პაატარა. შენსავით პატარა. —
თქვა ლადომ და ფურცელს ისევ შეუ-
ბერა.

— მომეცი. — უთხრა მართამ.

— ქორმა წიწილი წაიღო... როგორ
არის ეს ლექსი? ვითომ შენ წიწილი
ხარ, ეს კიდევ ქორი. — თქვა ლადომ
და ფურცელი თავზე გადაუფრიალა ნა-
რთას. მართა ფურცელს წაეტანა, მაგ-
რამ ვერ მისწვდა. — იძახდა წიაგ-წიაგ-
სა. — ისევ გადაუფრიალა ფურცელი.—
წიწილის თეთრი ბუმბული ველად გაპ-
ქონდა ნიავსა.

— მომეცი. — გაბრაზდა მართა.

ლადომ ფურცელი მისცა და ხელი
ისევ ქურქში შეიკურა.

— ყველანი წიწილები ვართ. დრონი
მეფობენ და არა მეფენი. — უთხრა
ქერს.

ისევ ნოიწყინა, ისევ გაუყურდა უგუ-
ნებობას.

მართა მაგიდასთან დაბრუნდა, მუხ-
ლებით შედგა სკამზე, ფურცელი სუფ-
თა მხრიდან დაიდო წინ და ტანქრის
წვერი ენით დაასველა.

— რას დავხატავ და... ახლა დავხატავ
ბიძაჩემს. — თქვა თავისთვის.

— ხმალი დააჭერინე ხელში. — თქვა
ლადომ.

— შენ მაინც არ გაჩვენებ. — გაებუ-
ტა მართა.

გარედან ხერხის ხროტინი ისმოდა.
ღუმელი ყრუდ გუგუნებდა. მართა ცალ-
ხელა კაცს ხატავდა. ლადო ტულუში,
როგორც ყოველთვის, დღესაც უგუნე-
ბოდ იყო. კაეშანი ჰქირდა, კაეშნით იყო
ავად. აგერ უკვე მეოთხე წელი იწურე-
ბოდა გადასახლებაში, მაგრამ ვერაფ-
რით შეჰგუებოდა, ვერაფრით მოენე-

ლებინა ეს ამბავი. როცა საბოლოოდ
დარწმუნდა, მწყერის მაგივრად თვითონ
რომ ვახვეულიყო ბადეში და მისი სი-
ტყეა აღარც ღმერთს ჯეროდა და აღარც
ადამიანს, ერთბაშად მოტყდა, ერთბა-
შად აუცრუვდა გული ღმერთზეც და
ადაშიანზეც. ვიტარასაც სხვა ხმაზე უკ-
რავდა ახლა. ატირებდა, აკვნესებდა,
აწუწუნებდა, სანამ თედო ან ევგენი არ
შეუწურებოდა, კარგი, გეყოფა, შეგვი-
ცოდეთ. ერთი კი იყო, გადასახლებაში-
დეც და გადასახლებაშიც ყოველთვის
ისეთი ხალხი ეხვია ირგვლივ, თვალში
რომ ჩავარდნოდით, ხელს არ ამოისვამ-
დნენ. ყველანი ლადიკოს ეძახდნენ და
ყველანი რატომღაც ვალდებულად
თვლიდნენ თავს, გაფრთხილებოდნენ,
შეენახათ, მოეთმინათ და, რაც მთავა-
რია, ყვარებოდით იგი. ანაში, რა თქმა
უნდა, მოხდენილი ხმა და გარეგნობაც
უწყობდა ხელს. ადრე, „კაი დროს“, ვი-
ტარის სიმებზე რომ მოაფათურებდა
გრძელსა და ფერმკრთალ თითებს, გიმ-
ნაზიელი გოგონები ბარძაყებს იჩქმეტ-
დნენ, ამოიხვრა და ამოკივლება რომ
შეეკავებინათ. ისეთი სადღეგრძელოე-
ბის თქმა იცოდა, შეზარხოშებული ბი-
ჭები მზად იყვნენ, ცეცხლში გადაცვე-
ნილიყვნენ მისი გულისთვის. მაგრამ
ბოლოს ისე სულელურად გაიფუჭა თა-
ვი, სხვისი რომ გავეო, სიცილით მოკვ-
დებოდა, სუფრა-სუფრა ანეკდოტად
მოყვებოდა და სხვებსაც დახოცავდა
სიცილით. შეულამაზებლადაც რომ მო-
ეყოლა, სიცილისგან თვალეზარებულ-
ბული, პირზე ხელებფარებული გოგონე-
ბი მაინც იტყოდნენ, რა არის, რომ ამან
არ მოიგონოს, რა არის, რომ ამის ენამ
არა თქვასო. ლადო ტულუში მწყერის
გულისთვის დაიპირეს, დიახ, მწყერის
გულისთვის გამოაციმიბირეს და ეშმაკმა
იცის, რამდენი ხნით მოაშორეს ტყემ-
ლისა და აღუბლის ყვავილით გადა-
პენტლი ქუთაისს. იმ დაწყევლილ დღეს,
ფეხი რომ მოსტეხოდა და თავის ქუ-
თაისში დარჩენილიყო, ახლაც სუფრის
თავში იჯდებოდა, თამადად. დაჭერით

ბათუმში დაიჭირეს, ყველაზე ლამაზი ბათუმელი გოგოს დღეობაზე სტუმრად ჩასული, თავის ფანრიანად გამოათრის გალუმბული ბუჩქებიდან და იმპერიის ღალატი დასწამეს. მისმა დამცველმა, მამამისის უახლოესმა მეგობარმა და მთელს საქართველოში სახელგანთქმულმა ვეჭილმა, რომ დაატყო, საქმე წაგებულაო, მოაჯირზე, რომლის იქითაც ლადო იჯდა ორ ზონზროხა და მტკაველაულვაშებიან ქანდაკს შორის, ხელი დაურტყა და უთხრა: რომელი დიოგენი მყავდა, შეილო, ფანრით რომ დანიწყე ქუჩა-ქუჩა წანწალიო. უბედურება ის იყო, თვითონაც რომ ვეღარ გაარკვია, ცილს წამებდნენ, თუ მისდა უნებურად მართლა იყო გარეული იმპერატორის საწინააღმდეგო საქმეში. შეიძლება, როგორც ვეჭილი იფიცებოდა, ამხანაგებმა მართლა ისარგებლეს ნისი სიმთვრალით და ბრმა იარაღად გამოიყენეს, მაგრამ არც ის ამხანაგები ამბობდნენ იმაზე მეტს, რაც მან იცოდა. არც ის ახსოვდა არავის, ვინ აიჩემა მწყერზე ნადირობა და თავსხმაში, შუალამისას ვინ წამოშალა სუფრა, რომელსაც მწყერი კი არა, ჩიტის რძეც არ აკლდა. შეიძლება, თვითონვე წამოიწყო, თვითონვე გამოიგონა ეს რამეული ნადირობა, ბათუმელ ლამაზმანებთან თავის მოსაწონებლად, როგორც ადრე სხვა ათასი ამგვარი სისულელე გამოუგონებია, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, ისევ თავისი სიყოჩაღისა და ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, სხვებისაგან გაბრიყვებული რომ იქნეოდა ფანარს და რაღაცას ანიშნებდა თურქებს. მერე რაც მოხდა, ყველაფერი ცხადად ახსოვს, რადგან წვიმამ და სიცივემ მაშინვე გამოაფხიჭლა. ცხადად ახსოვს, ფანარი რომ ეჭირა ხელში და მოჩვენებასავით დაბორილობდა ბათუმის ბულვარში. ახალ, საგანგებოდ ამ დღეობისთვის შეკერილ ფხსაცმელებში ჩასული წყალი ჭყაპაჭყუბით ამოსდიოდა უკანვე. დაუნდობლად, მწარედ უტყლამუნებდა სახეში გალუმბული

ტოტი წყვილიადში გაუჩინარებულ ბუჩქისა. თავფეხიანად გასაწური იყო, მაგრამ თავს თუ არ ანებებდა ამ ბრიყვულ გართობას, ახლა თავმოყვარეობის ბრალი იყო მხოლოდ. აქა-იქ, მოულოდნელად, სხვისი ფანრის მობუზული, უღონო შუქიც გაიღვებდა ხოლმე და ისიც უნებურად აგრძელებდა გაყინულ ბალახში ჩამოვარდნილი მწყერის ძებნას, სხვა თუ ერთს დაიჭერდა, ამას ორი უნდა დაეჭირა, რადგან ეს ლადიკო ტულეში ვახლდათ და არაეის არ უნდა ეჯობნა მისთვის. ის დამე ცემენტის იატაკზე გაათენა საკანში, წყლის გუბეში ჩანჯდარმა. წყალი წურწურით გასდიოდა და კბილს კბილზე აცემინებდა, ბუჩქის საკრევი მაკრატელივით.

— რით ვერ ისწავლეთ ჭკუა, თქვე შტერებო. — უყვირა გამოძიებელმა დილით. — დავავიწყდათ, რა გიყოთ თურქეთმა?!

— მე ქუთაისელი ვარ, ბატონო. სტუმრად ვარ ბათუმში. — სცადა სტუმრის უფლებების გამოყენება, ჯერ კიდევ დარწმუნებულმა თავის უდანაშაულობაში.

— ჩუმად! — ხმა ჩააწყვეტინა გამოძიებელმა.

მერე ყველაფერი აირია და წესიერად გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე ამოჰყო თავი ციმიბრში. „ეს მხოლოდ მოდაა, ბატონებო, მოდას არიან აყოლილი. რა გაეგებათ ამ ღლაპებს რევოლუციისაო“. — ამოდ გაჰყვიროდა სამართლოს დარბაზში სახელგანთქმული ვეჭილი და თამადა, მამამისის საყრდის მეგობარი კიტა ჭყონია.

რევოლუციონერი კატორღაში გახდა, უფრო სწორედ, კატორღაში შეიგნო პირველად, რომ ცალკე, დამოუკიდებლად არ არსებობდა ლამაზი და მხიარული ბიჭი ლადიკო ტულეში და სანამ მის დამონებულ, მაგრამ დაუმორჩილებელ ქვეყანას სული ედგმებოდა, იმპერიის გუშაგებისთვის ყოველთვის დამა-

ოთარ ზილაძე
ყოველგან ჩემგან მაკვიფლან...

ექვებელი და შემაშფოთებელი იქნებოდა მისი ყოველნაირი საქციელი, ყველა ნაბიჯი, თუნდაც გიტარაზე სიმღერა (მართლაც, რა ემღერებოდა, ამ დღეში თუ იყო!), ანდა შუალამისას მწყერზე ნადირობა. „იმპერიისთვის უღანაშაულო კაცი არ არსებობს, — ეუბნებოდნენ ახალი ამხანაგები. — რადგან არც კაცად ჩაითვლება ის, ვისაც გუნებაში მაინც არ უნდა იმპერიის დანგრევად“.

— დაანგრეთ. რაც გინდათ, ის უყავით. მე კი, თავი გამანებეთ. ეს ჩემი საქმე არ არის. როგორც უჩემოდ გიბრძოლიათ აქამდე, ახლაც უჩემოდ გააგრძელეთ. მე ჩემი საქმე ნაქვს. სხვა თუ არაფერი, დედა მემლოდება. ჯერ არც უთქვამთ ჩემი ამბავი დედაჩემისთვის. ახლაც დღეობაში ვვინივარ. — ჯერ კიდევ ცდილობდა ლადო, ლადიკო ტულუშის გასაკუთრებულობისა და დამოუკიდებლობის დაცვას. — თქვენ რა გენაღვლებათ, ზოგი მესამედა ხართ აქ, ზოგი კი ცოლ-შვილიანად.

ერთის მხრივ მართალი იყო ლადო (შეიძლება, ამის გამოც უფრთხილდებოდნენ განსაკუთრებულად მისი ახალი მეგობრები: ევგენი მიქაძე, თედო სხირელი და მართას დედ-მამა, ლიზიკო და ნიკო მაკაბელები), ევგენი და თედო უკვე ძველი, გამოცდილი და გამობრძნედილი კატორღელები იყვნენ, თმა და კბილი დასცვენოდან, ლადოს კი, ჯერ კიდევ მაგარი და კრიალა კბილებით ჰქონდა ამოვსებული პირი და სავარცხელი ებრიცებოდა ხელში, როცა ხშირსა და ჯიუტ ქოჩორს ივარცხნიდა. ნიკო მაკაბელი მასავით პირველად იყო გადასახლებებაში. მაინცდამაინც არც მასზე უფროსი იყო, მაგრამ ცოლ-შვილი ყავდა გვერდით და ცალკე ქოხში ცხოვრობდა თავისთვის, როცა ლადოს, ცოლ-შვილი კი არა, ჯერ წესიერად არც ეკოცნა გოგოსთვის. ჯერ კოცნის გემო არც თვითონ იცოდა წესიერად და არც იმ რანდენიმე გოგომ, შემთხვევაპ, ფანტმა ან ღვინით მოგვრილმა სითამამემ რომ გადაჰყარა ჭეშმარიტი ქალის-

კენ მიმავალ გზაზე. იმ გოგოებს მოგვარებისა და სიმორცხვისგან გამკვირვებული, გათოშილი ტუჩები ჰქონდათ და ისე სწრაფად ქრებოდნენ, მათზე არანაკლებ აღელვებული და დამფრთხალი ლადო, სანახევროდ ჰაერს კოცნიდა, ჰაერსა და სიქალწულის თავბრუდამხვევ სურნელს, რასაც ისინი წამიერი შეყოვნებისას სტოვებდნენ ჰაერში. ნიკოც, ევგენისა და თედოს მსგავსად, ტერორისტობისთვის იჭდა, თუმცა ევგენისა და თედოს თქმით, უნალ ვირი გავიდოდა ხეზე, ვიდრე ნიკოსგან ტერორისტი გამოვიდოდა. ამას, რა თქმა უნდა, ნიკოს გასაბრაზებლად არ ამბობდნენ, ისე, ხუმრობდნენ ხოლმე, საღამოობით ღუმელთან შეკრებილნი, და არც ნიკოს წყინდა. „დავაშავე. ვალიარებ, რომ დავაშავე; მაგრამ შემეცოდეთ“. — იმახდა ნიკო. გარეთ კი, ქარბუქი ღრიალებდა და მგლები ყმუოდნენ.

— მტერი არ უნდა შეიცოდო. აბა, შეხედე. — მოუბრუნდებოდა ხოლმე ევგენი ლადოს და ქვედა ტუჩს თითით ჩამოიწვედა. — შეიძლება ამის პატიება?

ლადო უნებურად თვალს არიდებდა უკბილო და მოტიტვლებულ ღრძილებს, რაღაც თეთრი, რთვილის მგვარი რომ გადაჰკვროდათ ამაზრხენად.

როგორც მათი ლაპარაკიდან გაარკვია ლადომ, ნიკოს ვიღაც გენერლის მოკვლა ჰქონია დავალებული, ჩასაფრებია კიდევ მიყრუებულ ქუჩაზე, შინაკეთი ყუმბართ, მაგრამ ბოლო წუთას, იმის მაგივრად, რომ ეტლი აეფეთქებინა, რომლითაც ის გენერალი ბრუნდებოდა შინ, ყუმბარა კედლისთვის უსვრია და თავად დაშავებულა. აფეთქების ტალღით დარეტიანებულს, ციხეში გაუხელია თვალი.

— ნოხუცი იყო, თოვლივით ქათქათა თმა-წვერი ჰქონდა, გულმა უგრძნო თუ რა იყო, მე რომ დამინახა, ხესთან ატუხული, ეტლში წამოდგა და ღვთის გუ-

ლისათვისო, დამიძახა. ხელი უცახცახებდა. — ყვებოდა ნიკო.

მაგრამ ლადოს უფრო მეტად. მაინც ნიკოს ცოლის, ლიზიკოს საქციელი უკვირდა, ვერც აესხნა და ვერც გაემართლებინა, რადგან ჯერ არც სიყვარულისა გაეგებოდა ინაზე მეტი, რაც სასიმღერო ლექსებიდან იცოდა. მისი აზრით, ლიზიკომ უკანონო შვილის გაჩენასა და შერცხვენას, ისევე ცოცხლად დამარხვა ამჯობინა, ანდა იმ დროს იმდენად სულელი და გამოუცდელი იყო, არ იცოდა, რა ელოდებოდა წინ და თავის გამოჩენის სურვილმა გადასძლია. რომელ გოგოს არ შემუშრებია წიგნებში აღწერილი უბედური სიყვარული, მაგრამ სხვა გოგოებისგან განსხვავებით, ლიზიკოს დააეიწყა, უბედური სიყვარული მართო წიგნში რომაა საინტერესო და არა ცხოვრებაში. პირველ ხანებში ლადო დასცინოდა კიდევ ლიზიკოს, სანამ თვალი არ აეხილებოდა, სანამ არ მიხვდებოდა, უფრო ძლიერისა და უფრო უბედურისა სიყვარულის მოწმე რომ გამხდარიყო უნებურად, ვიდრე წიგნებში ეყურა. სხვათაშორის, როგორც მერე გამოირკვა, ლიზიკო შორეულ ნათესავადაც ეკუთვნოდა ლადოს. მაგრამ არც იმდენად შორეულად, მისი ოჯახის არსებობა მაინც რომ არ სცოდნოდა და ქართული ადათ-წესების გამო, დასანახად მაინც რომ არ მიეტანა გულთან მისი ავი თუ კარგი. თანდათანობით, ლაპარაკ-ლაპარაკში ისიც გაიხსენა ლადომ, რაც ლიზიკოს ოჯახისა იცოდა იქამდე, თავისი უთვალავი დიდებების, დეიდებისა და მამიდების წყალობით. ლიზიკოს ოჯახი ერთ-ერთ კეთილშობილ და ცნობილ ოჯახად ითვლებოდა თბილისში. მამისის სათავადაზნაურო პანკში რომელიდაც დიდი ადგილი ეკირა, მგონი დირექტორიც იყო, დედა კი, ნინო წმინდის სახელობის ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლობდა და ერთდროულად რამდენიმე საქველმოქმედო კომისიის წევრიც გახლდათ.

— ყველაზე ძალიან დედის მეშინო-

და. ბავშვობიდანვე. ლაპარაკისას თვალვერ ვუსწორებდი ხოლმე. — ყვებოდა ცეცხლს მიშტერებული, დაბნეულად მომღიმარი ლიზიკო და თან მის კალთაში ჩაძინებულ მართას ეფერებოდა ფუტკრისფერ თავზე. — მეგონა, აუცილებლად შენიშვნას მონიკემდა, დამტუქსავდა, რამე არ მოეწონებოდა ჩემი. არ მახსოვს, რომ გამწყრომოდეს, მაგრამ დიდხანს მეგონა ასე.

— ხოდა, ანისთაა ადამიანმა, შენი ამბავი რომ შეიტყო, შუბლზე გემთხვია, გზა დაგილოცა და თვითონ სხვათა ქალიშვილების აღსაზრდელად გაეშურა, არა? — ექილიკავებოდა ლადო.

— ხო, დამილოცინხარო. — ბურანში წასულივით პასუხობდა ლიზიკო. — ისე დავიბენი, ისე გამიზარდა და იმდენი ვიტირე, ცოტას მორჩა, მატარებელზე დამაგვიანდა..—კი არ ყვებოდა, ხამამალა ფიქრობდა ლიზიკო და ცეცხლში უღიმოდა დედის მკაცრსა და ამყ სახეს.

— წიგნში რომ წამეკითხა, არ დავიჯერებდი, — დამცინავად იკვირებდა ლადო. — რალა თქვენ და რალა ნესტანი და ტარიელი, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნესატნმა მიაკითხა ტარიელს ქაჯეთის ციხეში და არა ტარიელმა ნესტანს, რაც უფრო ბუნებრივად მაჩანდა ჩვენს ცხოვრებულ შოთას. თუმცა, თქვენი ამბის დასასრულიც ბუნებრივია. ტყუილად კი არაა ნათქვამი, ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი ვაჰყვა ამხანაგსაო. პოეტები რომ ვიყო, ერთს გავლექსავდი თქვენს ამბავს და აბა, მერე გენახათ ჩვენი სულელი გოგოების ღნავილი. არა, თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ. რას ნახეთ და რას გაიგებთ უკეთესს?! კეთილშობილსა და შეძლებულ ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს რევოლუციონერი უყვარდება, ტერორისტი, ქვეყნის დამაქცევარი, ლექციების მაგივრად საიდუმლო კრებებზე რომ დადის და წიგნის მაგივრად შინაქეთი, გაზეთში ვახვეული ყუმბარა რომ ამოუჩრია იდლი-

ოთარ შილაძე
ყოველმან ჩემთან ვაკონვილმან..

აში. კეთილშობილ ქალიშვილს ჯერა, მსსნელად რომ მოვლენია ქვეყანას მისი გულის რაინდი და ბედნიერებისაგან იმ უბრალო წესის დაცვაც ავიწყდება, რისი დაცვაც ქორწილამდე თანაბრად სავალდებულოა ყველა ქალიშვილისათვის, ნასწავლი იქნება თუ უნასწაველი. მერე მის რაინდს ეანდარმის დანახვაზე შიშისაგან ყუმბარა ხელიდან უვარდება, თვითონ კი ცაში მიფრინავს, ტოროლასავით, ნათელი მომავლის მზეს რომ შეეგებოს. კეთილშობილ ქალიშვილს ისღა დარჩენია, თვითონაც უკან მიჰყვეს. არა, იმიტომ კი არა, სირცხვილად რომ თვლის უკანონოდ გამობერილი მუცლით ხალხში გამოჩენას, იმიტომ რომ უყვარს ტოროლა, უმისოდ არ შეუძლია სიცოცხლე და მზადაა, უკეთეს მომავლისკენ კი არა, თუნდაც ჯოჯოხეთში ჩაყვეს თავის გულისწორს, როგორც ორფეოსი ევრიდიკეს. დააკვირდით, აქაც პირიქითაა ყველაფერი, აქაც შეცვლილია როლები. არ შეიძლება არ აღფრთოვანდეს, რამდენად თამამები არიან ჩვენი ქალები თავიანთ ბებებთან შედარებით. თქვენ არა გაქვთ უფლება მომამოროთ ჩემი შვილის მამას, — უყვირის კეთილშობილი ქალიშვილი ეანდარმერიის უფროსს და ლამის მავიდაზე უდებს უკვე საკმარად გამოკვეთილსა და დამრგვალებულ მუცელს, ისიც თვითნაკეთებ ყუმბარას რომ გავს და მზადაა გასკდეს, ცაში აიტანოს მთელი ეანდარმერია, თუკი დროულად არ დააკმაყოფილებს მისი გიჟური, უკაცრავად, მისი კეთილშობილური მოთხოვნა. მერე ესა და მისი რჩეული სატუსაღოს ეკლესიის დამპალ იატაკზე დგანან დაჩოქილნი და ბედნიერებისაგან ტირიან, თითქოს ოდესღაც, თავიანთი სისულელის გამო დაკარგულ სამოთხეში ბრუნდებიან და არა სამუდამო კატორღაში. მათი საქციელით, უფრო სწორედ, მათი ახალი სისულელით გამტკრებულმა მღვდელმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს, დალოცოს თუ შეაჩვენოს ისინი. ისინი კი, ბედნიერები არიან. გესმით? ბედნიერება.

— მღვდელმა სამაგიეროდ ალმასის თვლიანი ქინძისთავი გამოართვა ლიზიკოს. თქვენზე ვილოცებო. — აწყვეტინებდა ნიკო და ისიც ცეცხლს უღიჟოდა, ლიზიკოსავით.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, არ დამიმთავრებია. — ყვიროდა საკუთარი ნალაპარაკევით აღგზნებული ლადო. — ბედნიერები არიან-მეთქი, რადგან სიყვარულმა აამაღლათ, რადგან სიყვარულს ანაცვალეს ყველაფერი. ხომ გაგიგონიათ, სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ მონებდესო. მაგრამ ესენი უფრო შორს წაივინდნენ, უფრო შორს და უფრო ღრმად. არა მარტო თვითონ დაემოინენ სიყვარულს, მათივე სიყვარულის ნაყოფი, ყოვლად უმწიკლო და ყოვლად უდანაშაულო არსებაც მიართვის მსხვერპლად. ჩასახვისთანავე ბორკილები დაადეს და ჩასახვისთანავე მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. ეგვეც შენი სიყვარული! სიკეთისა და სათნოების გაღია!

— მართა ბედნიერი იქნება. მართა ბედნიერი უნდა იყოს. კარგია, რომ ნახავს ამ საშინელებას, ჩვენზე მეტად ეყვარება თავისუფლება და ჩვენზე ძნელად შეეღეგვა მას, თუკი წყალში არ ჩაგვეყარა ამდენი ტანჯვა-წვალება. — ამბობდა ლიზიკო და მის კალთაში გატრუნულ მართას ფრთხილად ეფერებოდა ფუტკრისფერ თავზე.

— წყალში კი არ იყრება, დენთად გროვდება იმპერიის საძირკველში. — ლიზიკოს დასამშვიდებლად, გასამხნეველად იტყოდა ხოლმე ევგენი, ანდა თედო.

— გაეცემა ხართ თქვენ, გიყვები! — ყვიროდა მოთმინებიდან გამოსულა ლადო.

მერე ლიზიკო მოკვდა. სიკვდილმაც ვერ მოაშორა პირიდან წყნარი, დაბნეული ღიმილი. „აბა, თქვენ იცით აბა თქვენ იცით. თავს გაუფრთხილდითა“.

— ჩურჩულებდა სიკვდილის წინ, სიცხისაგან გამოფიტული ტუჩებით. ყველამ იცოდა, რომ მოკვდებოდა, მაგრამ ისიც იცოდნენ, უმწეონი რომ იყვნენ

სიკვდილთან საბრძოლველად. სიკვდილი სიკვდილად, და ლადოს თავზარი დასცა კატორღელთა სიმრავლემ. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ერთნაირად მოღუშულნი, ერთნაირად გაფითრებულინი, ერთნაირად წვერმოშვებულნი თავს იყრიდნენ მომაკვდავის ქოხთან. ლადოს ისეთა გრძნობა ჰქონდა, თითქოს მიცვალებულთა სულები ამოსულიყვნენ საფლავებიდან და მოთმინებით ელოდებოდნენ, როდის დაუთმობდნენ ცოცხლები ლიზიკოს სულს. აქ სიკვდილიც სხეანაირი იყო: შიშველი, მკაცრი, საერთო. ლიზიკო მარტო ქმარ-შვილს კი არა, მთელ ქვეყანას უკვდებოდა თათქოს. მოდიოდნენ და მოდიოდნენ თეთრი იმპერიის ხალხები, მოისწრაფოდნენ თოვლის ზეინებში ჩაგარგული ქოხისკენ, როგორც ოდესღაც მოგვები — ბავშვი შობილი ყრმის სახილველად. რუსმა ექიმი დაუხუჭა თვალები, პოლონელმა მღვდელმა თავის ენაზე აუგო წირვა, ფინელებმა კუბო მთართვეს, ჯერ კიდევ ნედლი, ჯერ კიდევ სურნელოვანი ფიჭვის ფიჭვებისგან შეკრული. ვიღაცა ქოხის სახურავზე გავიდა და საკვამუშის დროშის ტარი თოკით მოაბა. დროშა ფრთასავეთ გაიშალა, აგუგუნდა, ატკაცუნდა, და მისმა წითელმა გამონაშუქმა ტალღებად გადაირბინა მოღუშულ სახეებზე. თათქოს კოცონთან იდგნენ, თათქოს კოცონს შესცქეროდნენ. ქოხის ზემოდ ვარსკვლავი ციმციმებდა, დიდი, ცრემლჩამდგარი თვალივით კრიალა და ნათელი.

ლიზიკო რომ მოკვდებოდა, ლადომ ადრეც იცოდა. ნიკომ გადასდო ცოლს თუ ცოლმა — ნიკოს, ორივენი ჭლექით იყვნენ ავად და თავიანთ სენზეც ისე უბრალოდ და თავისუფლად ლაპარაკობდნენ, როგორც თავიანთ სიყვარულზე. „მე და ნიკოს ავადმყოფობაც საერთო გაქვსო“ — ღიმილით იტყუოდა ხოლმე ლიზიკო, ლადოს კი, ტანი ებურტყენებოდა. რუსი ექიმიც ხშირი სტუმარი იყო მაკაბელების ქოხისა, რადგან ხან ნიკოს აუწევდა სიცხე და ხან ლიზიკოს, მა-

გრამ არც ექიმი ამბობდა რამე სანუგეშოს. ყოველ შემთხვევაში, ექიმის ნალაპარაკევი ლადოს ძილს უფრთხობდა და ღამეებს საზარელ კოშმარებში ატარებდა. „ჭლექო საუკუნის სენია. კატორღაში კი არა, აღის-აბებაში იხოცება ჭლექით ხალხით“ — ამბობდა რუსი ექიმი და მოუსვენარ თითებს მაგიდაზე აკაყუნებდა, როგორც ავადმყოფის გულისფაცარზე, თითქოს მაგიდაც ავად იყო. თათქოს კი არა, მაგიდაც ავად იყო, ქონას კედლებიც, ჰაერიც, თოვლიცა და ღუმელში მოგუგუნე ცეცხლიც. ამას მერე, თანდათანობით მიხვდა ლადო, თანდათანობით ირწმუნა, რომ ამ დამალსა და დასნეულებულ სამყაროში ერთადერთი წამალი სიმართლის თქმა იყო, სიმართლისთვის თვალის გასწორება, რასაც კატორღელ ექიმი თავის კატორღელ პაციენტებს აიძულებდა. ესეც დაუნდობელი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საშუალება იყო, რომელიც გააძლეებულნი, ყელში ამოსული სიცოცხლის ერთი-ორი დღით გახანგრძლივებას კი არ გულისხმობდა, არამედ სრულიად ახალი სიცოცხლის ჩასახვას. „დარწმუნებული ვარ, ადამიანს ოდესღაც მართლა რომ ჰქონდა უკვდავების წამალი, მაგრამ თვითონვე გაანადგურა იგი, რადგან ვერ ჩაწვდა უკვდავების აზრს. უფრო სწორედ, იმის წარმოდგენამ შეზარა, მარადიული მოწმე რომ იქნებოდა საკუთარი თუ სხვისი მონობისა. მაგრამ მაინც ვერ შეეღია უკვდავებას და ღმერთი მოიგონა. კი არ მოიგონა, უკვდავებაზე სინანულმა გაუჩინა ღმერთი, უკანონო შვილივით, რადგან ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა — სინდისის ქენჯნა, მოწმისათვის განკუთვნილი სასჯელი, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, მოიშოროს მონობისკენ მიდრეკილება. ხოლო სანამ ადამიანი მონაა, სულერთია, ჭლექი მოკლავს იმას თუ ღორბუცელობა“. — ამბობდა რუსი ექიმი.

ოთარ ბილაძე
ყოველგან ჩამიან მკონველვან...

უთავბოლო, გაუთავებელსა და საზარელ სიზმარს გავდა ყველაფერი, რაც ლადოს ვარშემო ხდებოდა. არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ სიზმართან, არაფრით არ იყო გამართლებული, რომ მიანცდამიანც მას დასიზმრებოდა იგი. მთავარი უბედურება კი ის იყო, გამოღვიძება რომ არ შეეძლო. ვრძობდა, როგორ იღუპებოდა, როგორ ახრჩობდა, როგორ ანადგურებდა სიზმარი. „კიდევ ერთი დღე რომ დავრჩე აქ, აღარაფერი მიშველის“ — ტკიოდა ტვინში ჩაჭედილი, ყინულის ლოლუასავით ცივი და წვეტიანი ფიქრი. რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, თავი უნდა დაეღწია ამ სიზმრისგან, უნდა გამოედევინა როგორმე. ჩაბნელებოდა თუ არა ქოხი, დახუჭავდა თუ არა თვალს, სისხლგარეული ნახველი ელანდებოდა, სიიდანაც ჩიუტად, ზედმედ, ერთმანეთის მიყოლებით ამოდიოდნენ ქლეკის ბაცილები, როგორც ქაანჭველები დანგრეული ბუდიდან, და აბურძგულ ტანზე აცოცდებოდნენ, უცვიოდნენ პირში, ნესტოებში, ყურებში, ფაჩუნით, სისინით, წრიბინით, დაუნდობლები, დაუღვევლნი, ახალი ბუდის მაძიებლნი. მერე ვითომ ჩამოცვნილი კბილებით ევსებოდა პირი და ამაოდ წვალობდა, ამაოდ ცდილობდა, უკანვე ჩაებრუნებინა ისინი რთვალმოდებულ ღრძილებში. „გავიქცევი. თქვენ, როგორც გატყობთ, სიკვდილი გდომებიათ, მე კი, ჯერ არაფერი მინახავს ცხოვრებაში. — ეუბნებოდა დილით ნიკოს, ევგენისა და თედოს. — ან რატომ უნდა ვიყო თქვენთან? მე სომ გენერლებზე არ მიწადირობა თქვენსავით? მე მწყერზე ვნადირობდი მხოლოდ, ისიც ერთხელ, ერთხელ გამიწყრა ღმერთი... რატომ უნდა ვისჯებოდეთ ერთნაირად მწყერისა და გენერლის გულისთვის?“. „დაშვიდდი. კარგი. გეყოფა. — შეუწყვირებდა ევგენი ანდა თედო. — გაქცევა რომ შეიძლება, ამდენ ხალხს რა გააჩერებდა აქ. გაქცევა დათმობაა, თვითმკვლელობაა, ჩვენ კი, ვიბრძვით. კატორღაც ამის

დადასტურებაა მხოლოდ. კატორღაც მამინ დიცილება, როცა გავიმარჯვებთ, ანდა როცა ხელს ავიღებთ ბრძოლაზე. შენ რომ წახვიდე, ჩვენ არ გავიშვებთ, რადგან შენც უკვე ჩვენი ხარ. თოკით შეგკრავთ და არ გავიშვებთ. შენზე მაგარი ბიჭები ვაქცეულან, მაგრამ მგლის მუცელში ჩამპალან ბოლოს“. „ჩაველებ. მგელმა შემჭამოს მირჩვენია, ვიდრე... ვიდრე...“ — მღელვარებისაგან ენა ებმოდა ლადოს, ეერ ამბობდა, ვიდრე ქლეკი შემეყაროსო, ნიკოსი ეხათრებოდა. მერე საწოლზე პირქვე დამხობილი, შეცდენილი და მიტოვებული ქალივით ზღუტუნებდა. ეს ხალხი რომ არ შეხვედროდა, მართლა დაიღუპებოდა. თვითონაც არ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს. ხან საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილის მოჭრის სურვილი წამოუვლიდა, ხან რაიმე, მკვრივი და უხეში საგნის ჩაყლაპვისა. ვინ იცის, რამდენჯერ გაავადგინეს ხელიდან დანა, რამდენჯერ აავლიჯეს მაგიდის ფეხს კბილებით ჩაფრენილი და რამდენჯერ ამოუღეს ხახიდან სანახევროდ ჩაყლაპული კოვზი თუ ფანქარი. კიდევ კარგი ესენი ყავდა გვერდით. ითმენდნენ. პატრონობდნენ. ხანდახან შემოპკრავდნენ კიდევც, დასცინოდნენ მის ვიჟურ სურვილებს და ნელ-ნელა მოყავდათ ქუჩაზე. ერთხელ შუალამისს გამოიბარა ქოხიდან, ნიფხავ-პერანგი ტანზე შემოიხია და დედიშობილა ჩაწვა თოვლის ზვინში. „თუ ბიჭები ხართ, ახლა მიპოვეთო“ — ფიქრობდა გაცხარებული, აღგზნებული და უფრო და უფრო მიჭვრებოდა თოვლში, მაგრამ მამინ სიმღერამ გადაარჩინა, თვითონაც ვერ გაიგო, როდის წამოიწყო სიმღერა, დედის ღმერთმა აამღერა, თორემ მართლა ქაჩიც ვეღარ იპოვიდა. ხმაზე მიავნეს და ფიცარივით გაშეშებული ამოთხარეს თოვლიდან. ერთ მშვენიერ დღეს კი, ყველას გასაკვირად განაცხადა: აქამდე გატყუებდით, კიდევ მქონდა თავის დაძვრების იმედი, მაგრამ ახლა იცოდეთ, რომ იმ დამეს მართლა მწყერებს კი არ დავდევი ბათუმის

ბულვარში, და მართლა ლადო ტულუ-
ში კი არა ვარ, როგორც ჩემს საქმეში
წერია, არამედ ჩემი მეფობის დაწყე-
ბის ნიშანს ვაძლევდი თურქებს, რად-
გან სინამდვილეში, სოლომონ მეორის
შვილიშვილი და უკანასკნელი ბაგრატი-
ონი გახლავართო.

— ჩემმა ვითომ მშობლებმა, რომ-
ლებთანაც აღსაზრდელად დამტოვეს
ჩემმა ნამდვილმა მშობლებმა, მითხრეს:
მეფობისთვის თავს მომზადებულად
რომ იგრძნობ, ბათუნში ჩადი და ღამით
ზღვის პირას ფანარი იქნეო, ასე და-
ვიბარა მამაშენმაო. ამ ნიშანზე თურქე-
თი დიდი ჯარით უნდა წამოსულიყო და
ტახტი უნდა დაებრუნებინა ჩემთვის.
მაგრამ ვილაცამ მიმტრო, ჩემი მეფობა
შეშურდა ვილაცას, როგორც საერთოდ
გვიგვევა ქართველებს, და იმის მაგიფ-
რად რომ ტახტზე აესულიყავი და
თქვენც დამეხსენით ამ უბედურებისა-
გან, თქვენთან ერთად ვლპები უღმერ-
თოდ და უგვირგვინოდ — თქვა ლადომ
და ქოხიდან გავიდა, აუჩქარებლად, მე-
ფურად წელგაპართული და მედიდურა.

როცა მისი მსმენელები გონს მოე-
გნენ და გახედეს, ის უკვე შარვალს
იკრავდა, ხოლო თოვლზე დიდი, აცაბა-
ცა და ჩაყვითლებული ასოებით მისი
მეფური სახელი ეწერა, ხმოვნების
გამოტოვებით, როგორც ძველ სიგლე-
ბზე, მეღნისა თუ ადგილის დაზოგვის
მიზნით. „სლომ“—ეწერა თოვლზე. ამის
მერე ლადოსაც ეძახდნენ და სლომსაც.
გააჩნია, როგორ განწყობილებაზე
იყენენ თვითონ და როგორ ეჭირა ლა-
დოს თავი. ლადოც ხან ლადო იყო ხან
კი სოლომონ მესამე. ხან უდანაშაულო
კატორღელი, საზარელი შეცდომის
მსხვერპლი, ხან კი — ნალაატევი,
უგვირგვინოდ დარჩენილი მცფე. თუმ-
ცა თვითონ ვერც ამჩნევდა საკუთარი
არსების გაორებას, რადგან ერთდრო-
ულად არასოდეს არ იყო ორივე: მე-
ფეც და კატორღელიც. მეფე და კა-
ტორღელი ერთმანეთს ვერცკი ხვდე-
ბოდნენ და თვითონაც ვერ იგებდნენ.
როდის უთმობდნენ ერთმანეთს აღ-

გელს. მაგალითად, ნიკოს დაკრძალვაზე
(ნიკომ ლიზიკოს მერე წელიწადნახევა-
რი იცოცხლა მხოლოდ) სოლომონ მე-
სამედ გამოცხადდა, სიტყვით მიმართა
საფლავზე შეგროვილ ხალხს, მაგრამ
იქიდან დაბრუნებული, აცოცდა თუ
არა ღუმელზე, ისევ კატორღულად, ლა-
დო ტულუშად იქცა და ფიქრებს მიცე-
მული, სევდიანი, ბედისაგან გაბრძო-
ბული და გალახული, მარად მზიანსა
და ყვავილოვან ქუთაისში გადასახლდა.
აღარც კი ახსოვდა, ხუთიოდე წუთის
წინად ეგვენიმ და თედომ ძლივს რომ
გამოსტაცეს ხელიდან გამძვინვარებულ
კატორღელებს. ხუთიოდე წუთის
წინ ის სოლომონ მესამის სახელით
ბაგრატიონთა ტახტის განმტკიცებისა
და ერთგულებისკენ მოუწოდებდა
ხალხს, ხოლო რევოლუციონერის და-
კრძალვაზე მოსული კატორღელები წი-
თელ დროშას აფრიალებდნენ, მუშ-
ტებს უღერებდნენ და ღრიალებდნენ:
ძირს მეფე, ძირს თვითმპყრობლობაო.
მაგრამ ლადო იყო თუ სოლომონი, მა-
რთას ყოველთვის ცნობდა. არა მარ-
ტო ცნობდა, სიტყვის შეუბრუნებლად
ასრულებდა მის ყოველნიარ სურვილსა
თუ მოთხოვნას. ნიკოს სიკვდილის მე-
რე მართა მათ ქოხში ცხოვრობდა და
სამი კაცი ისე შესცივინებდა, ისე
უფრთხილდებოდა ამ პატარა გოგოს,
როგორც ჭურღმულის ბინადრები ასა-
ნთის უკანასკნელ ღერს. ადრე, სანამ
ღედ-მამა ცოცხალი ყავდა, მართა ჩვე-
ულებრივი ბავშვი იყო მათთვის, ჩვე-
ულებრივად საყვარელი, ჩვეულებრი-
ვად გასაფრთხილებელი, მაგრამ როცა
ხელმეორედ დაიბადა იგი, როცა საყუ-
თარი თვალით იხილეს, როგორ დააბა-
და ახალი, უღედმამო მართა ორ სა-
ფლავს შორის, ჯერ კიდევ სველი, მზე-
მიშუქებული მიწის ორთქლიდან, ნა-
აღრვევი ყვავილივით ნაზი და ფერ-
მკრთალი, მაგრამ ამავე დროს, სიწმინ-
დის, სინათლისა და სიკეთის ღვთაება-

ოთარ შილაძე
ყოველგან ჩვენს მარჯვენაზე...

სავით მშვიდი და ჰკვიანი, რომელსაც თითქოს მხოლოდ იმიტომ მიეღო ბავშვის სახე, რათა გონება დაბნეულ, გულგაციებულსა და საკუთარი ხორცის მჭამელ ქვეყანას, თუ არ ჩამოუვარდებოდა, ათრთოლებოდა მაინც მის დასამხობად აღმართული ხელი, სამივემ ერთდროულად იგრძნო, თავიდანვე ამ პატარა არსების გადასარჩენად რომ გამოსულიყო შინიდან, ეს პატარა არსება რომ ამართლებდა მხოლოდ და მხოლოდ მათ გზაბნეულ ცხოვრებას, უსასილოდობას, უოჯახობას, დაუშახტურებელსა თუ დაშახტურებულ ტყვეობას. მართა თანდათან იმედის, რწმენის, მიზნისა და ოცნების განსახიერებად იქცა მათთვის და თვითონაც ვერ ამჩნევდნენ, როგორ ცდილობდნენ, გადაეცათ მისთვის, მოექუჩებინათ მის პატარა არსებაში, თუკი რამე შემორჩენილად ადამიანური, შეუბღალავი, აღუდგრეველი ასე უპატრონოდ დარჩენილი მოხუცები დასამარხ ფულს აგროვებენ ყულბაში, კაპიკ-კაპიკ, ნელ-ნელა, ხელის კანკალითა და ნეტარი მღელვარებით, იმის შეგრძნების გამო, რომ ამ ყულბის წყალობით დაუმარხავები არ დარჩებიან, მათაც მიწა მიეყრებათ, მაგრამ ამ ყულბას კი არ მალავენ უცხო თვალისაგან, პირიქით, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას უდგათ, რადგან არა მარტო ეიმედებათ იგი, არამედ ეამაყებათ კიდევ. ისინი ბედნიერები იყვნენ, მართა რომ ყავდათ. პატივს სცემდნენ, როგორც შვილები დედას, ანებივრებდნენ, როგორც ძმები ერთადერთ დას და ემორჩილებოდნენ, როგორც სტუმრები დიასახლისს?!

— ვითომ მართლა ეშველება რამე ჩვენს ქვეყანას? — ჩამოსახებდა ხოლმე ღუმელიდან გასოლოთონებული ლადო.

— ეშველება. — მოკლედ პასუხობდა, წიგნების თვალყურებით, ხატვითა თუ ძია თედოს გაკეოებული თოჯინის მორთვა-მოკაზმვით ვართული მართა.

— რა იცი, გოგო, რა იცი? — წუხდა სლმნი.

— ვიცი. — მტკიცედ, ჯიუტად პასუხობდა მართა.

მან უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა. მან იცოდა, რომ სადღაც, ცხრა მთის იქით, ორსართულიანი, გალავანეშპოვლებული სახლი იდგა და იმ სახლში მისთვის ყველაზე ახლობელი ხალხი ცხოვრობდა; ეზოში ცაცხვები შრიალებდნენ, აივნის სვეტებს ჰკვილით ეხვეოდნენ გულთეთრა და კუდმაკრატელა მერცხლები; გომურთან ვირი იქცირებოდა, კრიალა, გიშრისფერი თვლებით; იმ ვირით მამიდა-მისი დაყავდათ ძმებს სკოლაში; სალა-მობობით ფაიფურის დიდმუცლანი ლამპის გარშემო იკრიბებოდნენ სახლის ბანადრები და მართას ბებია, დიდი, ყდამოვარაყებული წიგნებიდან, ისეთ საოცარ ამბებს კითხულობდა, უსასრულოდ შეეძლო ესმინა კაცს, მაგრამ კარადისხელა საათი დაძინების დროს რომ აუწყებდათ, მკაცრი გადია. მართას მამა-ბიძისა და მამიდის გამზრდელი აღათაა, ძალით მილაღვდა ბავშვებს საწოლებსაკენ და ატყდებოდა ხოლმე ერთი აურზაური. (მართას ყოველთვის ელიმებოდა ამ სურათის წარმოდგენისას). მართამ იცოდა, რომ ის სახლი მისი სახლიც იყო და სადაც არ უნდა წაეყვანა ბედს, არასოდეს არ უნდა დაეწყებოდა იმ სახლის არსებობა, სახე და გული ყოველთვის იმ სახლისაკენ უნდა ჰქონოდა მიბრუნებული. მართამ ისიც იცოდა, რომ მისა ბიძა ალექსანდრე, ყველაზე ღონიერი, ყველაზე გამბედავი და ყველაზე კეთილი კაცი იყო მთელ ქვეყანაზე და მართა თუ ვერ იპოვიდა საკუთარი სახლის გზას, ალექსანდრე თვითონ მონახავდა მართას, ქვას გახეთქავდა და მონახავდა, ქვესენელში ჩავიღოდა და მონახავდა, ცას შესწვდებოდა და მონახავდა. მართალია, ცალხელა იყო, მაგრამ მტრიისას, ვინმე თუ გადაუდგებოდა გზაზე, ვინმე თუ გაბედავდა მართას დაჩაგრას. იმდენი რამ ჰქონდა მამისაგან მოსმენილი თავის ბიძაზე, ვინდაც შორიდან დაენახა, მაშინვე იცნო-

ბდა; იმდენჯერ ყავდა დახატული ცალ-
ხელა ბიძა, ცოტა გაუყვირდებოდა კი-
დეც, ისეთი რომ არ აღმოჩენილიყო.
მართა ახლაც ბიძამის ხატავდა. ქოხში
მორეცხილი იატაკის სუნი იდგა. ღუმე-
ლი მშვიდად ღუმუნებდა, ღუმელზე
ლადო — სმინი იწვა, ვარდნან ხერხის
ბროტინი ისმოდა და მართამ არ იცო-
და, ვერაფრით წარმოდგენდა, რომ
ორიოდე წუთის მერე საკუთარი თვა-
ლით იხილავდა საკუთარ ბიძას, და-
ხატულს კი არა, ნამდვილს. ქოხის სარ-
კმელში რომ გაეხედა, შორს უკვე დაი-
ნახავდა შავ წერტილს, თუმცა მაშინაც
ვერ იფიქრებდა, ეს შავი წერტილი,
ჯიუტად რომ მოიწვევდა წინ, ბიძამისი
აღექსანდრე აღმოჩნდებოდა ბოლოს.
მართა ცოტა გამწყრალი იყო, მისი
მერცხალი ქორს რომ შეადარეს და,
ლადო-სმინის ჯიბრზე, ახლა ცალხე-
ლა კაცს კი არა, ცალხელა გოლიათს
ხატავდა. ხერხის ბროტინი უცებ შე-
წყდა, მაგრამ არც მართასა და არც
ლადოს არ მიუქცევია ამისათვის ყურა-
დღეა. ბოლოს და ბოლოს, როდისმე
ხომ უნდა შეწყვეტილიყო ხერხის ბრო-
ტინი?!

— აბა, ერთი გაიხედე. მეჩვენება,
თუ მართლა მოდის ვიღაც. — უთხრა
თედომ ევგენის.

შეტრიალდა თუ არა ევგენი, მაშინ-
ვე დაინახა იმანაც მათკენ მომავალი
უცხო კაცი. დიდხინს მკვდარი, მერ-
ქანშეყინული მორი მოულოდნელად
ხელგაშეებული ბირდაბირის ზუზუნა
ბოლოებს ფრთებივით არხევდა, თან-
დათან უფრო ნელა და ნელა, თითქოს
ხელმეორედ კვდებოდა.

ყავი კუბრის შხეფის სიმდროით
მიფრინავდა ტყის ვასწერივ. „კი არ
მიფრინავს, მე მიტრიალებს. — გაიფი-
ქრა ალექსანდრემ. — იგრძნო, რომ
ეკვდები... სიკვდილის სუნი ეცა და ის
აწრიალებს, იმიტომ არ გეშვება. არც
მომეშვება, სანამ ჩემს თვალებს არ ჩა-
ითვის... არ ჩაიხრიალებს ჩინახში.
ჰეი, ყრანტალა! შენ გგონია, მე ვაცო-
დი, რას ჩავდარი? ბრმად გავჩნდი და

ბრმად ვიცხოვრე. ასე არ გინდოდა, შე
ზოსიმე, შენა? შენ თუ გგონია, რომ
პირს ჩაიტკბარუნებ ჩემი თვალებით,
ძალიან გეშვება. მწარე იქნება, შხამი-
ანი... ისმევ შენ ისარო. არაფერი არ
უნახავთ სიმახინჯისა და სიბინძურის
მეტი. გინდაც ორი ნაღვლის ბუშტო
ჩავიყლაპავს და გინდაც ჩემი თვალები.
მაგრამ მაინც უნდა ჩაყლაპო, მაინც
უნდა მოინელო, რადგან იმათ ჩემი დის
შეგინებული სიმიშველც იხილეს. კი-
დეც... კიდეც შენ ვაყურებენ ახლა, შე
ფეთხუმო შენა, შე ჩემზე მახინჯო შე-
ნა. რა შორიშორს მიტრიალებ, მოდი,
ნუ გეშინია. მადლობელიც ვიქნები, მა-
რთლა თუ ამომკორტნი, რაც მინახავს
და დამიმახსოვრებია. მოდი, თორემ ყვე-
ლას ვეტყვი, რანაირი უშნო და ბინძუ-
რი ყოფილხარ. მე სიკვდილის კი არ მე-
შინია, შე სულელი, არამედ სიცო-
ცლისა. ჩემი თუ გრცხვენია, აბა, აღარ
შეგხედავ — თვალებზე ხელი აიფარა,
თვალები ტყიოდა, ყრუდ, სასიამოვნოდ,
განუწყვეტლად. უცებ ჩამოვარდნილი
წყვდიადი წითელი, ფეთიანი ნაპერ-
წკლებით იყო სავსე. — სულელი, სუ-
ლელი. — რამდენჯერმე თქვა ხმამაღლა.
არც არავის მიმართავდა, არც არავის
გულისხმობდა, თითქოს სიტყვა მოეწო-
ნა და იმიტომ იმეორებდა. ხელი ისევ
თვალებზე ჰქონდა აფარებული. მიდი-
ოდა, მიაჩხრიალებდა ლოლუებზე-
ყინული ქურქის გაფშევილ კალთებს.
მაგრამ თვითონ ვერ გრძნობდა, რომ მი-
დიოდა, ვერ გრძნობდა, რომ ფიქრობდა,
ვერ გრძნობდა, რომ ხელი თვალებზე
ჰქონდა აფარებული. — ანეტას ინჟი-
ნერმა იცოდა, ვისთვის უნდა გაერთყა,
მე კი, ესეც არ ვიცი, არც არასოდეს
მცოდნია. — ხელი სახიდან მოიშორა და
ზედ დაიხედა, სწორედ ისევე, როგორც
ამ ექვსი თვის წინად, მამისეული სახ-
ლის ეზოში, ცაცხვების ძირას. წითელი
და ფეთიანი ნაპერწკლები ახლა მის ხე-
ლისგულზე დახტუნავენენ. — ფუჰ,

მთარ ზილაძე
ყოველმან ჩემან მკომნოლმან...

წყველი და უვარგისი სისხლი. — თქვა და ხელი ტანზე შეიხოცა, თითქოს მართლა სისხლში ჰქონდა ამოსვრილი.

მას უკვე ხედავდნენ. დასახერხ მორთან გაჩერებული ორი კატორღელი უკვე ხედავდა მას. ორივემ უკვე გაარკვია გუნებაში, რომ შეშა კი არ ამოუჩრია მათკენ მომავალ კაცს ილიაში, არამედ ქურჭის გაფშევილი სახელო აქვს გამოშვებული. ორივემ უკვე ეპყვად იცის მისი ვინაობა, მაგრამ თუ კი ერთმანეთსაც არ უმხელენ ჯერ, იმიტომ, რომ ემსინათ არ გაწბილდნენ, მცდარი არ აღმოჩნდეს მათი ვარაუდი, რადგან ძალიან უნდათ, ძალიან მოუნდათ უცებ, სწორედ ის აღმოჩნდეს მათკენ მომავალი კაცი, ვისაც მიაძგავს, ვინც, მხოლოდ და მხოლოდ, ასეთი უნდა იყოს მათი წარმოდგენით. უყურებენ, როგორ მოარღვევს იგი თოვლს და ენაზე უტრიალებთ მისი სახელი, თუმცა არასოდეს უნახავთ ადრე, ერთად არაფერი გადახდომიათ თავს, არც კარგი და არც ცუდი, მაგრამ ერთადერთი ის იყო მაინც, ვისაც ელოდებოდნენ, ვინც აუცილებლად უნდა მოსულიყო იმ ქვეყნიდან, თუკი კიდევ არსებობდა ის ქვეყანა და თუკი კიდევ არსებობდა ძმობა. ისინი კატორღელები იყვნენ და სჯეროდათ, პურზე, წყალსა და ცეცხლზე გაცილებით მეტს ნიშნავდა მათთვის იმის რწმენა, რომ ძმას ძმის ამბავი ცხრა მთას იქითაც მიუვა, ცხრა მთის იქითაც არ მოასვენებს, ლუკმას გაუმწარებს, სასათუმაღს გაუქვავებს და იმდენს იზამს, სანამ შეუძლებელს არ შეაძლებინებს. კიდევ ერთი წუთი და თეოდ იტყოდა: მეც მოვიჭრი მკლავს, ეს თუ ჩვენი ნიკოს ძმა, ალექსანდრე არ იყოსო. იტყოდა დაბნეული, გახარებული და შეწუხებული, რადგან ეს თუ მართალი აღმოჩნდებოდა, რწმენა კი განუმტკიცდებოდათ, მაგრამ მართას უნდა შელოდნენ, რადგან მართას ერთ დღესაც აღარ გააჩერებდა აქ ბიძამასი. ისინი უკვე ამზავდაც ფიქრობდნენ. აბნეულად, გაურკვეველი შიშითა და ასევე გაურკვეველი სიხა-

რულით, როგორც საერთოდ მომლოდინე ხალხსა სჩვევიათ, მოლოდინის უკანასკნელ წუთს რომ გაახსენდებათ მაინცდამაინც ათასი „იქნებ“ და „ვაითუ“.

— მეც მკლავს მოვიჭრი, ეს თუ ჩვენი ნიკოს ძმა, ალექსანდრე არ იყოს. — თქვა თედომ.

ეგგენიმ გაცივრებულმა გამოხედა, თითქოს თვითონაც ასე არ ფიქრობდა.

ალექსანდრე ჯერ ვერავის ხედავდა, ყვავის გარდა, და იმაშიაც არ იყო დარწმუნებული, მართლა თუ მიდიოდა, მართლა თუ შორდებოდა და უახლოვდებოდა რამეს. ქოხის წინ გაჩერებული კატორღელებისკენ მისი გათიშული, გამოფიტული სხეული მიქონდათ მხოლოდ ფეხებს, ლოლუების ჩხრიალი ესმოდა მხოლოდ და შორეულ ბავშვობაში გადასახლებულს. ეგონა, ნიკოსთან ერთად კაცის ჩონჩხი მიჰქონდა სკოლისაკენ, კაცის ჩონჩხი, რომელიც ერთი კვირის წინ წამოიღეს ასაწყობად, საკლასო ოთახის კუთხეში მოქუჩებული. მთელი კვირა აწყობდნენ და აკოწიწებდნენ ისა და ნიკო ჩონჩხს. მათი ოთახის იატაკი ადამიანის ძვლებით იყო მოფენილი. აღარც ჰამა ახსოვდათ და აღარც თამაში. არც ანეტას უღებდნენ კარს და არც ალათიას, ამოდ რომ იმუქრებოდა და იხვეწებოდა, დამენახვით მაინც, რას აკეთებთო. ჩონჩხი ნელ-ნელა იზრდებოდა, გასაველები ჩურჩხელებივით კონწილობდნენ ძაფზე ასხმული ძვლები. მხოლოდ კისრის ერთი მალა ისე დაფშვნილიყო, იძულებულნი ვახდნენ, ხისგან გამოეჩორკნათ მავიერი, რის გამოც ჩონჩხს ოდნავ გადაბრეცილი ჰქონებიაო. თითქოს ზეზეულად ჩამოსძინებიაო, ოთახიდან რომ გამოიტანეს, ალათიას გასამშრალანბელი თევში ხელიდან ვაუვარდა და პირჯვრის წყრით დაემხო მუხლებზე. მაგრამ ამით ყურადღებაც არ მიუტკევიათ, მართო იმას ცდილობდნენ, რამეს არ წამოდებოდნენ, არაფერი შემთხვეოდა მათ აწყობილ ჩონჩხს. არც პაპისთვის შეუხედავთ, სანახევროდ კიბეზე ამოსული,

უკანვე რომ ჩაბრუნდა, გზა რომ უტია მისი შვილიშვილების ხელებზე ატორტმანებულსა და აჩხრიალებულ ჩონჩხს, როგორც სამეფო ღრმასა. ახლაც ის დღე იყო თითქოს, თითქოს ურუქის ორღობეში იმასა და ნიკოს ჩონჩხი მიჰქონდათ, ამაყებსა და ბედნიერებს თავიანთი ნამოღვაწარით. ჩონჩხი ირწეოდა, ჩხრიალებდა, ოღნავ გვერდზე გადაბრევილ თავს იქნევდა, თითქოს ესალმებოდა და თან ამოწმებდა, გვერდულად უყურებდა დიდხინს უნახავ ქვეყანას, ხელმეორედ მოვლენილი, საფლავიდან ამოსული, აღდგენილი.

ჩონჩხი ჩხრიალებს, მიირწევა. ალექსანდრე გრძნობს მის ფუტურო სიმძიმეს, თანაც განახევრებულს, რადგან ნიკოსაც უჭირავს იგი. ნიკოს ვერ ხედავს, ჩონჩხია მათ შორის ასვეტილი, მაგრამ ნიკოსაც გრძნობს, გრძნობს, რომ ნიკოც მასავით ბედნიერია და ამაყი. ძმები სკოლისაკენ მიაბიჯებენ. „დასწყევლოს ღმერთმა“ — ესმით გზისკენ მაცქერალი დედაბრების ბუტბუტი. ძაღლებს ენა ჩაეარდნიათ და გაკვირვებულნი აყოლებენ თვალს. ყველას ეშინია მათი, მთელ სოფელს, რადგან ამათ სიკვდილისაც არ ეშინიათ, არც მომავლისა, რომელიც, ადრე თუ გვიან, ამათაც ჩონჩხებად აქცევს. თავიანთი საქციელითა და სითამამით აღზნებული ძმები ალექსანდრეს გონებაში მიაბიჯებენ, ალექსანდრეს გათოშილ სხეულში, ალექსანდრეს დამდორებულ სისხლში, იმ სისხლის ჭურღმულეებში, რომელიც ამ ექვსი თვის წინ, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას, სიცილივით წასკდა ცხვირიდან ალექსანდრეს, სიმწრის სიცილივით. ის ძმები ამ სისხლში არსებობენ მხოლოდ, სინამდვილეში აღარ არიან. გზაბნეული ობლებივით დაბორილობენ წარსულის უღრან ტყეში, სახლის გზას დაეძებენ, მაგრამ ვერ ხედეზიან, რადგან არასოდეს არ ჰქონიათ სახლი. გონიათ, შინიდან გამოსულები სკოლისაკენ მიაბიჯებენ, რადგან არ იციან, რომ არ არსებობს ისეთი სკოლა, სადაც მათი წარმოშობის

საიდუმლოს შეიტყობენ. მათ ისიც არ იციან, ასეთი საიდუმლო თუ არსებობს. მათ ისიც კი არ იციან, რომ ვიღაცის ჩონჩხი კი არ ააწყვეს, არამედ თავიანთი ნამდვილი გვარის გარკვევა და აღდგენა სცადეს უნებურად. მათ იმდენივე გაეგებოდათ საკუთარი წარსულისა, რამდენიც ბრძმასა და ყრუს გაეგება გარე სამყაროსი, მაგრამ განა ბრძმები არ ხედავენ? განა ყრუებს არ ესმით? ხედავენ და ესმით, მაგრამ ეს სხვა სმენა და მხედველობაა, სისხლისმიერი და, ამიტომაც ღვთაებრივი, უკიდევანო, რომელიც არსებულ საგნებსა და ხმებში კი არ დაეძებს წარმოდგენილ სულს, არამედ ქვემარტი სული ეხმარება, წარმოდგინოს მისთვის არარსებული საგნებიცა და ხმებიც. სინამდვილეში ალექსანდრე მარტო იყო და, დათვლილი ტყის გასწვრივ მიმავალი, გრძნობდა, მონაწილე თუ არა, მოწმე რომ გამხდარიყო, რადაც დიდისა და მნიშვნელოვანის სიკვდილისა. სისხლი მსუოდა, სისინებდა, ბუყბუყებდა და მისი ღრმა, იღუმალი წილიდან ამოდიოდა წარმოდგენილი ჩონჩხი, გამხმარი და ხენგში, როგორც მათი საგვარეულო ხე, ძირფესვიანად მოგლეჯილი, რომელიც ვითომ მასსა და ნიკოს მიქონდათ ორღობეში, ურუქის სამრევლო სკოლისკენ. გადაშენებული გვარის ჩონჩხი ამოდიოდა ალექსანდრეს სისხლიდან და გადაწითლებული, თვალთა ღრმულეებში შლამჩაღქეილი, უხორცო და აჩხრიალებული ხელებით ეტანებოდა ალექსანდრეს სულსა და გონებას, აქეთ-იქით რომ გარბოდნენ, როგორც ტყეში დაკარგული ობლები თვალებბრიალა ჭოტის დანახვაზე. სულმა და გონებამ არ იცოდა, ვისი ჩონჩხი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს, მაგრამ გრძნობდნენ, აუცილებელი რომ იყო მათთვის ამის ცოდნა, თუნდაც იმიტომ, ერთმანეთიც რომ არ დაეკარგათ ამ უღრან ტყეში, ერთად მიინც რომ ყოფილიყვნენ ქვე-

ოთარ ზილამე
ყოველგან ჩამან გარგნელგან...

უნას მოწყვეტილები. იმასაც გრძნობდნენ, ჩონჩხი მათ დასაფრთხობად კი არ იქნევა ჩხრიალა მკლავებს, არამედ შესაკაებლად, დასაბრუნებლად, რაღაცის, მათთვის მნიშვნელოვანისა და აუცილებელის განსამარტავად, მაგრამ შიში სძლევდა ცნობისწადილს და ვერცერთი ვერ ბედავდა ანდა ვერ ახერხებდა, უფრო ახლოს მისულიყო, ჩაეხედა ბნელსა და ცარიელ ხვრელებში, თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ, მხოლოდ იქ რომ ამოიკითხავდნენ მათი გაჩენის, მათი სიბოლისა და მათი დეკარგვის საიდუმლოს. ჩონჩხი თანდათან იზრდებოდა და ახლა ნიკოსა და ალექსანდრეს კი არ მოჰქონდათ იგი, თავისით მოდიოდა, ხოლო ნიკო და ალექსანდრე მისი ძვლების ნასვრეტებში ერთმანეთს დაეძებდნენ, უაზროდ და უთავბოლოდ დაძრწოდნენ, როგორც თავგები — ძველი და მიტოვებული სახლის გაუქაცურებულ დერეფნებში თეთრად, თვალისმომჭრელად ელავდა ჩონჩხი ზამთრის უღონო მზის სხივებზე და ალექსანდრე ამოდ ცდილობდა ვასცლოდა მის უნაყოფო სივრცეებს, მის მარადიულ ღუმელსა და სიცივეს. არა, აღარ ცდილობდა, რაღაცნაირად შეჩვეოდა უკვე, ოღონდ ვერ გაეგო, თვითონ რა კავშირში იყო ამ ჩონჩხთან, სად მოეთავსებინა თავისი უმნიშვნელო, თავზარდამცემად პატარა არსება ამ უშნოსა და უზარმაზარ ხუხულაში, რომელიც თავისი ტლანქი, შეუვალი უგრძობელობითა და სიცარიელით უფროდაუფრო იზიდავდა, იწოვდა, ისრუტავდა, მასზე ვაცილებით ძლიერი და უფლებამოსილიც. არ იცოდა, ამ ჩონჩხის უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელი ნაწილი რომ იყო თვითონაც, თუნდაც როგორც კისრის მალა, ურომლისოდაც თავის ქალა სწორედ ვერ გაჩერდებოდა და გვერდზე იქნებოდა ვადაბრეცილი. მან კიდევ ბევრი რამე არ იცოდა ჯერ. მან ისიც არ იცოდა, რომ მიდიოდა, კიდევ რომ არსებობდა, შესაძლებელი რომ იყო მისი დანახვა, თუმცა უკვე ხედავდნენ და არა მარტო ხედავდნენ, ეჭვად

იცოდნენ კიდევ მისი ვინაობა; არ იცოდა, უკვე რომ მოედწია, უკვე კატორლის ზონაში რომ იმყოფებოდა და ძმა, რომელსაც საგვარეულო ჩონჩხის გამოცარიელებულ ძვლებში დაეძებდა, მისგან სულ ორიოდ ნაბიჯზე განისვენებდა მიწაში, ღრმად დარწმუნებული, ღრმად დაიმედებული, რომ მის ობოლს პატრონი ყავდა და რომელმაც სიკვდილის წინ მის სახელზე დაწერილი ბართი დაუტოვა შეილს მემკვიდრეობად, რადგან სხვა არაფერი გააჩნდა. „ყოველთვის მწამდი და მემამაყებოდი. მარად შენი ძმა ნიკო“. — წაიკითხავდა იგი სულ რამდენიმე წუთის მერე და ამ სიტყვების სიდიადე, უბრალოება და სიმძიმე მუხლებს მოკვეთდა, მაგრამ ამავე დროს გააბედნიერებდა კიდევ, რადგან ამ სიტყვებში ამოიკითხავდა საკუთარი არსებობის აზრსაც და გამართლებასაც. მაგრამ მან ჯერ იმ წერილის არსებობაც არ იცოდა. ისიც არ იცოდა, როდისმე ვინმეს თუ მოუვიდოდა აზრად, მისთვისაც მიეწერა წერილი, როგორც დედამისი წერდა ნიკოს, ანდა ნიკო — დედამისს. ასევე არ იცოდა, რომ ის ერთადერთი წერილი, მის სახელზე დაწერილი, სიკვდილამდე გულის ჭიბეში ექნებოდა ჩაკერებული, როგორც მსტოვარს — საიდუმლო ცნობა, რომელზედაც ქვეყნის ბედია დამოკიდებული. „აი, თურმე როგორები ყოფილან ნიკოს ამხანაგები“ — იტყოდა იგი რამდენიმე საათის მერე, მაგრამ ჯერ ისევ ისეთივე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა ძმის ამხანაგებზე, როგორიც გზისპირა ღუქანში შეექმნა მისი და მაროს ვიკტორი ქორწილის დღეს. მან არც ის იცის ჯერ, უნებლიედ რამხელა ტკივილს მიაყენებს ნიკოს ნამდვილ ამხანაგებს, როცა მართას სამუდამოდ წამოიყვანს აქედან, როცა სათუთი ტვირთივით სავულდაგულოდ შეფუთვნილ ვოგოს გამოაპარებს კატორღელების ქოხიდან, სადაც ამ ვოგოს სამი პირქუში კატორღელი, იმპერიისთვის განსაკუთრებულად საშიში სამი კაცი, ისე შესციცინებს და ისე უფრთხილდ-

ბა, როგორც ჭურღმულის ბინადრები ასანთის უქანასკნელ ღერს, ანდა უღაბნოს ბინადრები — ჭას. მაგრამ მან ჯერ ისიც არ იცის, ის ვოვო რომ არსებობს, მართა რომ ჰქვია, ექვსი წლის რომაა უკვე და მონობაში შობილი, იმის მერე, რაც ფანქრის დაქერა ისწავლა, ყვავილებსა და მერცხლებს ხატავს მხოლოდ და კიდევ ცალხელა რაინდს, რადგან მის ბავშვურ წარმოდგენებში, სადღაც, ცხრა მთას იქით დარჩენილი სამშობლო, ყვავილები და მერცხლებია მხოლოდ, რომლებსაც ცალხელა რაინდი ყარაულობს. მან ჯერ ისიც არ იცის, ის უსასრულო, უსახო და უწყალო სივრცე, რომელიც მან ბრმად და ალაღბებულზე გამოიარა, ბავშვურად მეოცნებე კატორღელებით რომაა დასახლებული, ყველას თავისი ყვავილი და მერცხალი რომ ახატია გულზე და მზად არიან აიტანონ ყველანაირი საშინელება, ყველანაირი ტკივილი და დამცირება, იმ ყვავილისა და მერცხლის გადასარჩენად. „ტყუილუბრალოდ თქვენ ახოცებით, თავისუფლები, უფრო სწორედ, თავისუფლები რომ გგონიათ თავი, რადგან ჭეშმარიტი თავისუფლებისა გეშინიათ, ანდა გერიდებით, როგორც ჯერ კიდევ მკვახე ყმაწვილს — ქალთან მარტო დარჩენისა“ — იმავე საღამოს ეტყვიან მას ნიკოს ამხანაგები, მის სანახავად შეკრებილები თუთუნის ბოლითა და სითბონაკრავი ტყაბუჭების ომხივართი ჩამობურთულ ქოხში, საშიშნი და ამაზრუნენი, ადამიანის სიცოცხლისათვის შეუფერებელ დროსა და სივრცეში მოხვედრილნი და ამიტომაც ნადრევად დაბერებულნი, დამახინჯებულნი, უპილო პირებით მოჩიფჩიფენი, მაგრამ მაინც ბავშვურად სუფთები და აღვზნებულები, ყვავილისა და მერცხლის მორწმუნენი. ამ საფლავებიდან ზეღახლა უნდა დაიბადოს საქართველო, — ეტყვიან ისინი ნიკოსა და ლიზიკოს საფლავებთან დაჩოქილ ალექსანდრეს. — ახალი საქართველო, მართასავით ნორჩი, მართასავით ჭკვიანი და ძლიერი. — იტყვიან ისინი, დაბრძენებულ-

ნი და, ცოტა არ იყოს, დაბნეულნი, სანდო ფლავის ორი, საქორწილო სარეცელივით თეთრი და სპეტაკი ბორცვის წინ დამხობილი კაცის ხილვით. ხოლო როცა გავიხსენებულები, თავგამოცარიელებული ალექსანდრე, ქურქის ჯიბიდან ბოთლს ამოიღებს და ურუქში გამოხდილ არაყს ძმისა და რძლის საფლავებზე მოაპირქვავებს, ისინი ხელიდან გამოსტაცებენ სანახევროდ დაცლილ ბოთლს — და საგუნდაოდ გამოსული, უმეთველყუროდ დარჩენილი ბავშვების სიცილეჭით, ხალისითა და ქრიაიმულით, შესაჭმელად მიესევებიან არაყმოსხმულ თვალს. „ნიკოს და ლიზიკოს გაუმარჯოს, ჩვენთან ერთად, ყოველთვის“. — არყიანი თოვლით იტყვიან ისინი ალექსანდრეს ძმისა და რძლის სადღეგრძელოს, შესანდობარს კი არა, სადღეგრძელოს, და მათი შემყურე ალექსანდრეც გაიღიმებს, რადაცნობიერად გახალისდება, რადაცისგან ვანთავისუფლდება, გამსუბუქდება და როდის-როდის იგრძნობს, რომ თავადაც არყით გაქლენილი თოვლითა აქვს პირი გამოტენილი.

ჯერ კი მიდიოდა, ჯერ საგვარეულო ჩონჩხის გამოჩრულ ძვლებში დაშლივინობდა მისი დამფრთხალი სული და გონება; ჯერ კიდევ რამდენიმე, მაგრამ არაადამიანურად მტკივნეული ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი, სანამ თედოსა და ევგენის გადააწყდებოდა, დაინახავდა, აღიქვამდა მათ სახეებს და ძლივს ამოილულულელებდა ყინვისაგან გამშრალი და დახეთქილი ტუჩებით: ტოუმენი... კატორღა... ძმა! ჯერ არაფერი არ იცოდა.

15.

ჯერ კიდევ დიდი დროა გათენებადღე. შორს, ალაზნის ველზე წითლად გაფოფრილა წყვილიად; აგერ უკვე მთელი კვირაა, ნაპურალებს წვავენ და კვამლის სუნი, მით უფრო ქარიან ამინდში, აქამდეც აღწავს; ყველაფერი ამ სუნიითაა

ოთარ ზილაძე
ყოველმან ჩამიან მკვინელმან...

გაყენთილი, კვამლის სუნითა და კო-
ლოს წუთილით. ქარი თანდათან ძლიერ-
დება, უძარღვო, სიცხისაგან მტვრადქ-
ცული მიწა თვალებს უბრმავეებს, პირ-
ში უცვივა ხალხს და ალბათ ამიტიმაც
დამუნჯებულა ყველა, ვინც ამ დილაუ-
თენია გამოსულა შინიდან. მატარებლის
მომლოდინე ხალხი სადგურის კედელ-
თან მიყუყულა, ჩაქარგულა კალათებსა
თუ ხურჯინებში, ქარის მხარეს აუფა-
რებია სახეზე ქუდი თუ ხილაბანდი,
თითქოს რაღაც საშინელებას არიდებს
თვალს ეს ერთადერთი მოასფალტე-
ბული ადგილია მთელს წნორში, ასფალ-
ტის კუნძული, გამომშრალი. გამოფი-
ტული მიწის ოკეანეში, მაგრამ იმდენად
მცირეა, ქარს არ უჭირს, თავზე ვადა-
ტაროს მტვრის დაბურული ტალღები.
შემკრთალ ბინდში ცარიელი მატარებ-
ლის ლანდი გარინდულა. ერთი საათიც
არ არის, რაც ეს მატარებელი თბილი-
სიდან მოვიდა და კიდევ ბევრი დრო
გავა, სანამ უკანვე გაბრუნდება, ჯერ კი-
დევ კარგახანს არ მოეღება ბოლო ასფა-
ლტზე დაყრილი ხალხის წვალებასა და
მოლოდინს, მაგრამ ხალხს, რაკი წასვლა
გადაუწყვეტია და ლამის მთელი დღით
აღრე გამოსულა შინიდან, ურჩევნია
აქ იყოს, მატარებლის სიახლოვეს, ვი-
დრე გულის ხეთქვაში გაატაროს ისე-
დაც დაქარგული დღე. მატარებელმა
დაასწავლა ხალხს, ყველაფერი მოსწ-
რებაზე რომაა, ისევე როგორც სამგზა-
ვრო ბილეთი და ფეხის მოსაკიდებელი
ადგილი ამ ასფალტის ნაგლეჯზე, უშნოდ
რომ დატყაპნია მიწას, როგორც ამა-
ნათს — ლუქის ბეჭედი.

ჯერ ადრეა. ჯერ სიღნაღიდან, მერე
კი თელავიდან დილიქანსი უნდა მოვი-
დეს. იმათაც მგზავრები უნდა მოიყვან-
ნონ, ხოლო ვინც მგზავრობას მორჩა,
ვინც დილის მატარებელს ჩამოყვა, გზა-
დაგზა, სოფელ-სოფელ დაარიგონ თა-
ვიანთ სახლებში. ალექსანდრესა და მა-
რთას დილიქანსი არ ჰირიდებათ, თით-
ქმის უკვე შინ არიან, ხუთიოდე კილო-
მეტრილა აშორებთ სახლს. სასიამოვნო-
ცაა იმ ხუთიოდე კილომეტრის ფეხით

გავლა, მაგრამ ჯერ უნდა გათენი-
ქვეყანა უნდა გამოჩნდეს, რადგან ალ-
ქსანდრეს არ უნდა მართამ ბნელში რომ
გაიაროს მშობლიური სახლის გზა. ში-
ნიდან ადრე გამოსული ხალხის მეორე
ნაწილი ბაზრისაკენ მიიქჷარის. ფრთხი-
ლად, თითქოს გაუბედავად მობაკუნო-
ბენ სახედრები გაცივებულ მტვერში.
აქა-იქ, თვითნაკეთი, მუქში მომწყვდეუ-
ლი და ხარბად, ბარაქიანად, სოფელუ-
რად მოქაჩული სიგარეტის წითელი
თვალი გაიღვებს ხოლმე. ორლობეებ-
ში ჩაწოლილი წყვდიადი კვამლის სუნით
გაყენთილა. შორს, ალაზნის ველზე,
ნაპურალები იწვის და ცეცხლის ანარე-
კლი ქვემოდან წითლად შესდგომია ჩა-
მოხუთულ ცას. წნორში კვირაობით
დიდი ბაზრობა იცის, კვირაობით ხალ-
ხიც მეტი ჩამოყავს მატარებელს, მაგ-
რამ ამ მშვიდობიან ფუსფუსსა და ხმე-
ზში, მაინც არის რაღაც შემამფოთებე-
ლი, დამძაბველი, ეკვის აღმძვრელი, რა-
დგან ადამიანიც, ნებისმიერი ცხოვე-
ლივით საშიშია, სანამ არ დაინახავ, სა-
ნამ სახეში არ შეხედავ. მოდიან, მობა-
კუნობენ, მობუებუყობენ დატვირთული
სახედრები. ბაზრის მოედანი შეუმჩნე-
ლად ივსება ხალხითა და საქონლით.
ჩუმად, მაგრამ ფაციფუციით იხსნებიან
ბოხჩები, ტომრები, კალათები, ხურჯი-
ნები და ჯერ კიდევ დანამულ დახებ-
ზე ლაგდება ოფლითა და იმედით მო-
წეული ჰირინახული. მაგრამ ჯერ არაფე-
რი არ ჩანს, ჯერ წყვდიადი არ დაძრულა
და ეს ყველაფერი სიბნელეში ზდება,
როგორც სცენაზე, სურათსა და სურათს
შორის, აფუსფუსებული ლანდების
მეტს რომ ვერაფერს არჩევს მაცურე-
ბელი, მაგრამ იცის, გული უგრძობს,
სინათლის ანთებისთანავე, ახალი, მოუ-
ლოდნელი სანახაობა რომ გადაეშლება
თვალწინ. ჩარდახებსქვეშაც შეყუყულა
კვამლის სუნით გაანჩხლებული კოლო.
ოფლში გაღვრილი ადამიანის კისერს
ეტანება, ადამიანის სისხლი წყურია, რა-
დგან არაფერი ეგულება ადამიანის სის-
ხლზე უფრო გემრიელი. იმ სისხლის
ერთი წვეთისთვის სიკვდილიც კი ღირს

ადამიანის კისერს ეტანება, რადგან ადამიანის ხელები განუწყვეტლივ მოძრაობენ, კოლოსთვის არ ცალიათ, საქონელი უნდა ამოალაგონ ჭერ, მეზობელს უნდა დაასწრონ, მეტი ადგილი უნდა დაიკავონ დაზღუფ. და კოდოც, ნეტარებით, ვნებიანი, შეგუბული წუილით აკედება იმ პატარა სიტიტველეს, ქეჩოსა და საყელოს შორის დაუცველი რომ დარჩენია ადამიანს. განა დოსტაქარს შეუძლია, კისერი მოიფხანოს, როცა ორივე ხელი ადამიანის შიგანში აქვს ჩაყოფილი? ისინიც თავისებური დოსტაქრები არიან და პირმოხსნილ ტომრებსა და ხურჯინებზე დახრილნი, ვერცკი გრძნობენ, როგორ ექაჩება, როგორ აწოვს კოდოს ბასრი ნესტარი მათი სისხლის უძვირფასეს წვეთს. ალექსანდრეს და მართას არაფერი ესაქმებათ წნორში, არც ბაზარში და არც სადგურში, მაგრამ ფხს ითრევენ, გათენებას ელოდებიან. აქედან ხუთი კოდომეტრია შინამდე, ერთ საათში შინ იქნებიან, ასე რომ, ასაჩქარებლად არა აქვთ საქმე, მით უფრო, რომ არავინ ელოდებათ, არავის უთქვამს, მიანცდამაინც ამა და ამ საათზე იყავით შინაო. „მამისეულ სახლს ვაჩვენებ და ისევ გამოვბრუნდებით. არაფერი არ გვინდა იმათი. მარტო შეხედოს. იცოდეს, როგორია“. — ფიქრობს ალექსანდრე, ილიაში დაგორგოლავებული ქურქი აქვს ამოჩრილი. მართა უკან მოსდევს, ჭერ ისევ ტყაპუკი აცვია, მიწაზე დასთრევეს ბოლოები, გარედან კი თოკი აქვს ქამრად შემოქერილი. ბოშებს გვანან ორივენი, ბიძაცა და ძმისშვილიც. არაფერი ეტყობათ ოჯახში ნაცხოვრობისა. ალექსანდრე ზურგითაც ხედავს მართას და ელიმება. მართას საზე არც უჩანს წესიერად, ტყაპუკის გაბურძენილი საყელოდან გაფაციცებული იმზირება, როგორც მელა სოროდან. ახლა ადარაფერი უჭირთ, ახლა საითაც არ უნდა წავიდნენ, ყველგან შინ იქნებიან. აქამდე იყვნენ ცოდონი, მაგრამ რაკი გამოაღწიეს, ყველასთან ვალმოხდილნი, ყველაფრისგან განთავისუფლებულნი, ხეალიდან ახალ

ცხოვრებას შეუდგებიან. მაგრამ დღემდონებას, აქაც შინ უნდა ჩათვალოს თავი, თავისიანებში, აქვე მოიშოროს უცხოობისა და ტყვეობის შეგრძნება და რაც მთავარია, მისი ამოსვლისთანავე ირწმუნოს აქვე. უფლებამოსილი რომაა ამ მიწაზე, ამ ცის ქვეშ, თავიდანვე ნაგულისხმევი რომაა მისი ადგილი, მის წილსაც რომ გულისხმობდნენ ყოველი პურის ჩაკერისას და ყოველი ქილა მწვინის ჩადედებისას. აფუტფუტებული, გაოფლილი წყვედილი სულიერგით ფშინავს, ფაჩუნობს, უარესად იტბორება, სქელდება კაცისა და პირუტყვის ლანდებით და უცებ, წარმოდგენის დაწყების მაღუწყებელი ნიშანივით, ღორის ჭყვივლი აყრუებს იქაურობას. „შინა ვართ, გოგო, გადავრჩით“. — ამბობს ალექსანდრე გუნებაში და მხარს ზემოდან უყურებს მართას, თუმცა დარწმუნებულია, მთელი ტანითა გრძნობს, როგორ მოყვება იგი ფხსდაფხს, მშვიდად, საქმიანად, როგორც კვიცი — დედა ცხენს. წყვედილიდან თანდათან გამოდის თუთის გამხმარ ხეზე მიბმული სახედარი. დგას თავისთვის, გარინდული, როგორც სიმარტოვის ქანდაკება, თვალსაც არ ახამხამებს, თითქოს მისთვის არც ქარია და არც მტვერი, ოღონდ ცალ ფერდზე, საიდანაც ქარი უბერავს, ბალანი წამოშლია, აბურძგვინა ალექსანდრე სახედართან მიდის, ათვალეირებს, თითქოს მართლა ქანდაკება იყოს, თითქოს აქამდე არ ენახოს სახედარი, კახეთში დაბადებულს. მართა მოშორებით დგას, ტყაპუკში ჩაკარგული და მარტო დიდი, შუქიანი თვალები მოუჩანს. ბიძა-ძმისშვილი ახლა ერთმანეთს უყურებენ, უყურებენ და ბოდოს ორივეს ელიმება „შეგვა?“ — ეკითხება ალექსანდრე. მართა თავს იქნევს უარის ნიშნად. ალექსანდრე ამოღლიავებულ ქურქს მიწაზე აგდებს, ერთადერთი მკლავი რომ გაინთავისუ-

ითარ ვილამ
ყოველგან ჩემთან გარეშდნან...

ფლოს, და გაფშევილ ქეჩოზე ეფერება სახედარს, მაგრამ სახედარს თავი განზე მიაქვს, ალექსანდრეს ხელს ერიდება, შეიძლება, აღიზიანებს კიდევ უცხო ადამიანის მოფერება, თანაგრძნობა, და თუ ასეა, მართალიცაა. განა ადამიანმა არ გამოაბა ამ გამზმარ ხეზე? თანაგრძნობა მხოლოდ იმისგან შეიძლება მიიღო, ვისაც შენს უბედურებასთან არაფერი ესაქმება, ვისი ხელიც არ ურეგია შენს უბედურებაში. ცხოველებშიც ასეა, აღბათ. მაგრამ ალექსანდრე ჭერ ვერ ხვდება ამას, ისევ ქეჩოზე ეტანება სახედარს. სახედარი იძულებულია დაიძრას, ხეს შემოუაროს, რადგან თოკი არ უშვებს, საერთოდ რომ გაეცალოს აქაურობას თოკი უფრო და უფრო მოკლდება და თავს მალა აწვევინებს. „ნუ აწვალბ“. — ეძახის მართა ალექსანდრეს. ალექსანდრეც ხედავს სახედრის დაკრეპილ, ჩაყვითლებულ კბილებს და ხელი უნებურად უკან მიაქვს. კი არ აწვალბებს, ეფერება, მაგრამ არც სახედარს ესმის მისი. ისევ იღიმება, მაგრამ ახლა დაბნეულად. შეწუხებულია, სახედარს დაბრჩობა რომ ურჩევნია ამის მოფერებას. და ახლა, განწმენდის უკანასკნელ დღეს, როცა ბოლო ეღება უახრო წანწალს, სულის შემხუთავ გაურკვეველობას, გამომათყვანებელ შიშსა და სიმარტოვეს, ვირის საქციელით უგუნება უფუჭდება ალექსანდრეს. „ეგეთი მუტრუკია ეს სამგლე, ესა“. — ალექსანდრეს დასამშვიდებლად ამბობს ვირის პატრონი, ეს წუთია მიწიდან რომ ამომძვრალა უცებ. რადგან იქამდე არც ალექსანდრეს შეუმჩნევია იგი და არც მართას — გეფერებიან, შე მართლა ვირო, შენა — ეუბნება ვირს და გავაზვ გამეტებით ურტყავს გაშლილ ხელს. წინგამხტარ სახედარს უკანა ფეხები ეკეცება და კიდევ უფრო უმოკლდება თოკი. კბილები ისევ დაკრეპილი აქვს, თითქოს ცას შესცინის თავის უილაჯობას. „უნდა წავიყვანოთ შენი ვირი — ბრაზიანად ეუბნება ალექსანდრე ვირის პატრონს: — კი არ ვეფერები, ვიპარავ“

ვირი კისრით აკერია გამზმარი თუთოს ტანს. „წაიყვანე, რა. ოღონდ ეგ მომამორეთ და... — ამბობს ვირის პატრონი ხმაზე ეტყობა, რომ იღიმება, სიყვარულით ამბობს, ხუმრობასაა აყოლილი. — თუ ფული არა გაქვს, შენი ფეშქაში იყოს. მაინც ვერ შევაგუნებინე ჩემი პატივისცემა“. „თუ ფული მაქვს და არ მოგცემ, მაინც გამატან?“ — კრიქაში უდგება ალექსანდრე და თვითონაც არ იცის რატომ იქცევა ასე, ან ვირმა რა დაუშავა, ან ვირის პატრონმა. „ეგ ხომ ყაჩაღობაა. — იცინის ვირის პატრონი. — არ მომცემ და ნუ მომცემ, ჩემს ვირს მოახმარე“. „იქნებ ყაჩაღი ვარ?!“ — არ ეშვება ალექსანდრე, იმის მაგივრად, რომ მართას მოკიდოს ხელი და გაეცალოს აქაურობას, მაგრამ სწორედ იმიტომ რომ მართა უსმენს, თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს, რატომ ეკინკლავება ამ გლეხს, რატომ გონია, რომ მართას თვალში დამცირდება, თუკი მიწაზე დაგდებულ ქურტს აიღებს და გამობრუნდება. „სიყეთე უნდა მოგდევდეს“ — გველივით ჩასისინებს ვილაცა ყურში და უარესად ბრუნდება. „იქნებ ყაჩაღი ვარ!“ — უყვირის ვირის პატრონი. „ხაარ რო?“ — მშვიდად ეუბნება ვირის პატრონი და მომიღმარი, დაუშვებელი თვალებით შემოსცქერის, დიდხანს, სოფლურად დიდხანს. „ვარ თუ არა, მავას მერე გაიგებ. შენ ის მითხარი, რას იზამდი, პა? რას იზამდი-მეთქი!“ — აცივდება ალექსანდრე. მართა მოშორებით დგას, მოთმინებით ელოდება ბიძის. „პურს გაჭმევდი“. — პასუხობს ვირის პატრონი ალექსანდრეს. „ყაჩაღი რომ არ ვიყო, ისე არ მაჭმევდი?“ — არ ეშვება ალექსანდრე, რადგან უფრო და უფრო ეუფლება მის ზურგს უკან გაჩერებული, ტყაბუქში ჩაკარგული, ტყაბუქის ვაბურძენული საყვლოდან მელიასავით გამოიშორალი გოგოს წინ თავის გამოჩენის სურვილი, სულელური, გულუბრყვილო, სასაცილოც, მაგრამ ძნელად მოსარევი, ძნელად მოსაშორებელი, როგორც მასპინძლის თავხედი ბავშვი,

ძულელებული რომ ხარ მოითმინო, აპყვე კიდევ, რაკი თავიდანვე ვერ დაიჭირე თავი, დიდობა ვერ აგრძნობინებავშეს, შენივე მეტიჩრობის გამო, შენი კეთილშობილება და უბრალოება რომ ვაკვირებოდათ ბავშვის პატრონებს. „ყაჩაღი რომ არ ვიყო, ისე არ მაქმევედი?“ — იმეორებს ალექსანდრე. „ისეც ვაქმევედი“. — უდიდის ვირის პატრონი. „ისე გამოდის, შენთვის სულერთი ყოფილა, ყაჩაღი ვარ თუ არა“ — ელიმება ალექსანდრესაც, მაგრამ ღვარძლიანად, ჩინში მიმწყვედულოვით. „მა რა ჩემი საქმეა, ზოგი ყაჩაღი იქნება, ზოგი კი — ჩემისთანა რეგენი“ — ამბობს ვირის პატრონი, მაგრამ ეტყობა, აღარაა ხუმრობის გუნებაზე, ესეც საქმარისი იყო, სალაცოდ კი არ გამოსულა ბაზარში, იმასაც თავისი საქმე აქვს, საქონელი დახლზე დაუტოვებია, გლეხურმა გუმანმა წამოიყვანა ვირის დასახედათ და კიდევ კარგი, წამოვიდა, თორემ ამ ცალხელა ახმახს იქნება ასე დაეტოვებინა ვირი, სანახევროდ ჩამომხრჩვალა ახლა თოკს დაუგრძელებს და ისეც საქონელს მიხედავს. საცაა დაიდრება მუშტარი. დილის მუშტარმა თუ არ გაუცალა ხელი, მერე, ვინ იცის, საღამომდეც მოუწიოს ყურყუტი. ცალხელა ახმახს აღარკვი ახსოვს, მუშტარზე ფიქრობს უკვე და თან სახეღარს ფარღზე ხელით აწეება, თუთის ხეს რომ შემოატაროს, თოკი მოუბოშოს და საიმედოდ დააყენოს. ცუდია თუ კარგია, ესაა მისი ამხანაგი, კიდევ დიდი გზა აქვთ ერთად გასავლელი, ამ ცალხელა ახმახს კი, ვინ იცის, როდესლა შეხვდება მეორედ, ანდა შეხვდება თუ არა საერთოდ ამიტომ, ცოტა უკვირს კიდევ, როცა ეს ცალხელა ახმახს ეკითხება, შენ თუ იქნებოდი ყაჩაღიო. დაბნეული უყურებს, აღარ იღივება. მერე მათი საუბარი ახსენდება. „უჩემოდ რა, ცოტანი არიან. — ამბობს უხალისოდ, ძალისძალათი, ძველი, მუდმივი საფიქრალიდან გამოუესვლელოდ. — იმ დღესაც მოკლეს ერთი, ადგილზე გაათავეს. ბაზარში იყო გამოსული,

შენსავით — თვალით ზომავს ალექსანდრეს, თითქოს პირველად ახლა შეამჩნია. ღრმა, მოწყენილი თვალები აქვს. საქმარისია, ერთხელ შეხედოს კაცს, საკუთარი და ურყევი აზრი რომ შეექმნას იმ კაცზე. — ეეხ. ახლა აღარც ყაჩაღებსა აქვთ ფასი. ყაჩაღიც საცოდავია. „ვირმა ერთხელაც შემოუარა თუთის ხეს და ისეც იქ გაჩერდა, სადაც იდგა, სანამ ალექსანდრე მოფერებას დაუპირებდა. მობოშებული თოკი მიწაზე ეთრევა. „ეგრე დადექ“ — ეუბნება პატრონი და ახლა სიყვარულით, მეგობრულად უსვამს ხელს გავაზე. მერე, ისე რომ არც ემშვიდობება თავის ახალ ნაცნობს, დახლებსკენ მიდის, თითქოს ერთი ოჯახის წევრები არიან და მეორე წუთას ისეც ნახვენ ერთმანეთს. ალექსანდრე მართას უყურებს. მართა მშვიდად დგას, ვერ შეატყობ, ასე დგომა მოსწონს, თუ ერთი სული აქვს, როდის დაიძვრება. ბიძაძმისშვილი ერთდროულად იღივება. „წამო ვნახოთ, რას ყიდის“ — ამბობს ალექსანდრე. ახლა დახლებიც ჩანს. ლურჯი, ბუსუსიანი ჰაერი ჩამდგარა დახლებს შორის. ველური ქალის მძივებით მიუკიდათ დახლის ბოძებზე ძაფზე ასხმული ლღღვისა თუ ატმის ჩირი. კახური შემოდგომის ჩვეულებრივი დილაა, თუმცა ჯერ დილა არც ეთქმის, დაძრული წყევლიადი ერთ ადგილას ბრუნავს, თითქოს სადინარისთვის მიუგნია და ნელა, შეუმჩნევლად აწრიტება ქვესკნელში, ბადაგივით გაზანტებული, გაწეპილი, მუმლისა და კოლოს ამშლელო. ბიძასა და ძმისშვილს თითო ქილა მაწონი დაუჭერია და ქილიდანვე ხვრევენ, დახლთან გაჩერებულნი. ზეზეულად საუზმობენ გრილი და მსუყე მაწენით. „ჯისი ხარ, გენა?“ — ეკითხება მაწენის გამყიდველი ღედაბერი მართას. მართა ცალი ხელით ტყაპუჭზე ჩამოწულულ მაწონს იწმინდავს და ბიძას უყურებს. „ჩემია. ჩვენია“. — ამბობს ბიძაძმისი.

თათარ ზილაჰა
სოველმან ჩამან მარინელმან...

„გიჟვარს მაწონი?“ — არ ეშვება დედაბერი მართას. „არ ვიცი.“ — სხარტად პასუხობს მართა. „რათა ვოვო, პატარა ხარ?“ — უცებ უყვარდება ბინძურ ტყაპუტეში ჩაყარული ბავშვი დედაბერს. ვინ იცის, თავისი შვილიშვილები უდგას თვალწინ, დაძინებული რომ დატოვა ლოგანში და ახლა ამ უცხო ბავშვმა გაახსენა, მონატრა ისინი. „პირველად ქამს“. — ვუბნება ალექსანდრე დედაბერს. „რათა შვილო? უი, მომიკვდეს თავი“. — გულწრფელად წუხს დედაბერი.

ახლა უკვე სახლებიც ჩანს, ერთმანეთისგან პატარა ბოსტნებითა და ასევე პატარა ხეხილის ბაღებით გამოყოფილნი. თენდება. გათენდა. წნორი ბზინავს, კრიალბს, სველი და ხახხასა, როგორც ახლახან გაპარული ტბის ფსკერი. „აჰი, ვირო“ — ისმის დღის სინათლით გათამამებული და გახალისებული კაცის ხმა-ორღობეში რწევარწვეით მოოზლაზნება შავი დილიჟანსი. ბაზრიდან გამოსული ალექსანდრე და მართა დილიჯანს უყურებენ. მართას ტყაპუტეც ალექსანდრეს ამოუღია ილიაში. მართა უტყაპუტოდ უფრო პატარა, უფრო სუსტი და გამხდარი ჩანს. ძვლიანსა და ფერმკრთალ მხრებზე კორფლი მოსდებია. კისერზე ლეღვის ჩირის აცმა ჰკიდია, ლამის მუხლებამდე უწევს მისი ბოლო. ერთ-ერთი სახლის აივანზე შავი, წარწერიანი ნაჭერი გადმოუკიდიათ, მაგრამ იქიდან, სადაც ბიძა-ძმისშვილი დგას, პირველი პწკარი იკითხება მხოლოდ, პირველი სამი სიტყვა „დაუტოროთ — უდროოთ და-ღუპულ...“ — მარცვალ მარცვალ კითხულობს მართა. დანარჩენ სიტყვებს მზის სხივი დასცემიათ და ბრწყვილა სინათლეში გათქეფილან. „...ნიკო მაკაბელს“. — გუნებაში აგრძელებს მართას ამოკითხულ სიტყვებს ალექსანდრე. დილიჯანის დანატოვარ მტკრვში ბატები მოსუნსულობენ. დილიჯანსი სადგურის წინ ჩერდება, მაგრამ მართა და ალექსანდრე ისევ იმ მგლოვიარე სახლის აივანს მისჩერებიან, სადაც წარწერიანი ძაძის გვერდით ახ-

ლადგავლებული ჩურჩხელებიც კიდია. სიკვდილი და სიცოცხლე კრიჟაში ჩასდგომია ერთმანეთს, არც ერთი უთმობს და არც მეორე, მაგრამ, ღმერთმა იცის, რამდენი უდროოდ დაღუპულის გვარი და სახელი იმალება ბრწყვილა სინათლეში. ბოლოებით დამაგრებული ძაძაქართ იბერება, ფეხმძიმე ქალის კაბასავით ალექსანდრემ იცის, სულ სხვა ვიღაცის სახელი რომ წერია ამ ძაძაზე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მას უნდა რომ ეს უცხო სახლიც ნიკოს გლოვობდეს, მის ძმას, მისთვის ყველაზე უდროოდ დაღუპულ ადამიანს. „ნიკო აღარ არის. ნიკო არასოდეს აღარ იქნება“. — გაოგნებული ფიქრობს ალექსანდრე, თითქოს ძმის ამბავი ახლა, ამ წუთას შეიტყო, კი არ შეიტყო, ახლა იგონო პირველად, ძმა რომ აღარ ყავს. იქ, უცხო ცის ქვეშ, სადაც ნიკოსთან ერთადერთი წუთიც არ გაუტარებია, სადაც არაფერი ახსენებდა ნიკოს, ძნელი იყო ამის შეგრძნება, და არა მარტო შეგრძნება, დაჯერებაც, რადგან იმედის ნატამალი მინც არსებობდა, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, ესეც უყმური, ესეც საზარელი სიზმარი აღმოჩნდებოდა ბოლოს. საფლავსაც არ შეეძლო ამ იმედის გაქარწყლება, რადგან მას არ უნახავს, ნამდვილად ნიკო რომ ჩაასვენეს ნამდვილად იმ საფლავში. არც ის ქალი უნახავს არასოდეს, რომელსაც ნიკოს ცოლი ერქვა და ნიკოს გვერდით ვანისვენებდა. სამაგიეროდ, მართამ ზუსტად ანეტასავით შეიქმუნა პატარა ცხვირი მის დანახვაზე და ერთბაშად იმდენი რამე გაახსენა, ვითომ დავიწყებული, ვითომ გულიდან ამორეცხილი, რომ ნიკოს სიკვდილის დამადასტურებელი ყველა საბუთი გადასძლია, გააქარწყლა კიდევ, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებლობისა და სიმტკიცის იერი დაუკარგა, რადგან ეს პატარა არსება, რომელიც ზუსტად ანეტასაიარად იქმუნებოდა ცხვირს, მხოლოდ და მხოლოდ, ნიკოს არსებობას, ნიკოს ნამდვილობას ადასტურებდა, თვალნათელს ღდიდა სისხლის მარადიულობას, მსგა-

ესის შექმნისა თუ ერთი და იმავე სახის განმეორების ჯადოსნურ უნარს სისხლისას; მაგრამ, აქ, მშობლიურ ცის ქვეშ, ჭირგადავლილი სახლის აივანზე გამოკიდულმა ძაძის ნაჭერმა, რომელიც ვიღაცის უდროოდ დაღუპვას აღწევებდა ქვეყანას, ერთწლიანი სიზმრიდან ერთბაშად გამოიყვანა ალექსანდრე, ერთბაშად აუხილა თვალი ძმის სიკვდილის დასანახად და აიძულა, ერწმუნა იგი, გამყინავი სიციხადით, უმწეო სინანულით და უიმედოდ, უიმედოდ, უიმედოდ, როგორც ოდესღაც, მონასტრის ვიწრო საკემლიან სენაკში, მხრჩოლავი ლამპის სუსტი შუქით აწრიალებულ წყვილიანში, ტკივილებიანგან, ბოდვისაგან და საკუთარი, მაგრამ უკვე მკვდარი ხორცისა და სისხლის აუტანელი სუნისაგან მისავათებულმა, მკლავის დაკარგვა ირწმუნა. „ალარ არის... არასოდეს ალარ იქნება“ — ფიქრობს ალექსანდრე და თვალი ვერ მოუწყვეტია ძაძისთვის. ეს პატარა სიშავე, ძალაუვნებურად, იზიდავს თვალს თავისი მოულოდნელობითა და შეუსაბამობით დილის სიმშვიდესა და სისუფთავესთან, როგორც სისხლის წვეთი ქათქათა აბაზანაში. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი სახელი წერია ძაძაზე? კარგია, მზე წარწერის ამოკითხვის საშუალებას რომ არ იძლევა (ვინც გინდა, ის იგულისხმე), თითქოს ზელს აფარებს ცხოვრებიდან ამოსაშლელი კაცის გვარს, რადგან უდროოდ, გაუთვალისწინებლად დაღუპულა იგი და მის სიკვდილთან ბუნებას არაფერი ესაქმება. ბრმა შემთხვევამ, ანდა მოყვასის ღვარძლმა და დაუნდობლობამ იმსხვერპლა იგი და არა ბუნებამ. კაცის კანონმა დაუშვა მისი სიკვდილი და არა ბუნებისამ, რადგან ბუნების კანონი გაცილებით ღმობიერია, ვიდრე კაცისა. ბუნების კანონი სიკვდილთან შეჩვევასაც გულისხმობს, თანდათანობით კლაფს ადამიანს, ზოლო კაცისა — ერთბაშად, გაუფრთხილებლად, მოუშვადებლად. კი არ კლავს — ღუპავს. „დაე-ტირით უდ-დრო-ოდ-და-ღუ-ბულ... — მარც-

ვალ-მარცვალ კითხულობს მართა ვის? რას?“ — ეკითხება ბიძას. ეს პირველი წარწერაა, რომელსაც იგი სამშობლოში კითხულობს, ისიც გაწყვეტილი, დაუმთავრებელი, მზის ბრწყიალა სხივით გადაშლილი, თითქოს განგებ, შეგნებულად, უფრო რომ დაინტერესოს, უარესად რომ ააფორიაქოს ბავშვის გონება. — „ნიკო მაკაბელს, ანეტა მაკაბელს, ალექსანდრე მაკაბელს, თედო სხირელს. ეგგენი მიქაძეს, ლადო ტულუშს... მაროსაც. — პასუხობს ალექსანდრე გუნებაში. — რამდენი ვყოფილვართ?“ — უკვირს თვითონვე. ეს, რაც მან იცის, მაგრამ რაც არ იცის? რა ძაძა დაიტევს ყველა უდროოდ დაღუპულის სახელს? მაშინ ძაძა კი არ იქნება, არამედ ერთი უსაშველოდ გაწელილი გზა, შავი გზა, ყველა სახლზე, ყველა სოფელზე, ყველა ქალაქსა და ყველა ქვეყანაზე გამავალი გზა, აცაბაცად ნაწერი ასოებით გაძიძგული, როგორც ლაშქრით, ოღონდ უომრად და მარცხებული, ნაღალატევი და წინასწარ განწირული ლაშქრით. სიკვდილის გზა კი არ იქნება იგი, რომელიც ადრე თუ გვიან ყველამ უნდა გაიაროს, არამედ — დაღუპვის, რომელიც მხოლოდ იმისთვისაა განკუთვნილი, ვისაც ბედმა უმუხბოლა, ანდა ვინც ბედს აუჯანყდა. „ჩურჩხელა რომ ვერ გაგასინჯე — ამბობს ალექსანდრე ხმაბაღლა, მართას გასაგონად. ალბათ, იმიტომ, რომ ძაძის გვერდით ჩურჩხელები კიღია და უნდა ჩურჩხელებზე გადაატანინოს მართას მზერა, სიკვდელზე ფიქრი ამოაედებინოს თავიდან, თავიდანვე არ დააფრთხოს, არ შეაშინოს აქაურობამ, არ ათქმევინოს, რას მოვდიოდი, რითია კატორღაზე უკეთესიო. — ნახე, რამხელები გაუვლიათ, მთელ-მთელი ნიგვზისაა. აღათიამაც ეგეთი ჩურჩხელა იცოდა. სანამ ნიგოზს ძაფზე აასხამდა, ნახევარს მუქში გამოქვამდით ზოლმე. ჩურჩხელაზე უფრო ის გვიხაროდა, აღათია რომ

ოთარ ბილაძე
 ყოველმან ჩემან მოვინდოვან...



ბრაზობდა. თათარასაც ცხელ-ცხელს
ვსვლუბდით. სასაზე ბებერები გვიჩინ-
დებოდა“.

— ვიცი. — ამბობს მართა. — მაშინ
მამაბო.

მზე ამოდის, ღონიერდება და წყვილი-
ადის ნარჩენებთან ერთად ამ სამგლო-
ვიარო ძაძასაც ნთქავს, სინათლის
ბრწყვილა მტვერში ხვევს. მზე და სი-
კვდილი ერთ ტაფაზე ვერ თავსდებაინ.
ძაძა ბუბუნებს, იბრძვის. თეთრი წარ-
წერა ფესვიანად მოგლეჩილი წყალ-
მცენარის ღეროსავით იბრიცება მის
დატალღულ ზედაპირზე. ალექსანდრე
ახლა მზეს უყურებს და თბილი პაერი
სახეზე ეთათუნება, უნებურად თვალებს
ახუტვინებს და აღიმებს. მართას ვერ
ხედავს, მაგრამ დარწმუნებულია, მარ-
თაც თვალდახუტული და ანეტასავით
ცხვირშეჭმუნხული დგას მზის პირის-
პირ. რატომ ხუტავს ადამიანი თვალებს,
როცა რამე აწუხებს ანდა სიამოვნ-
ებს? იქნებ იმიტომ, რომ წუთით მა-
ინც გამოიყოს საშეაროს, მართო დარ-
ჩეს თავის წუხილთან თუ სიამოვნებას-
თან ერთად, რომელსაც მაინც ვერ გა-
უზიარებს ვერავის. ესეც ასე. გათენდა
ერთწლიანი სიზმრის უკანასკნელი
დღეც. საიდუმლო, ათასნაირი ეჭვის
აღმძვრელი ხმები ჩაწყნარდა, დღის
დუმღილში ჩაიკარგა. სიზმარი დამთავრ-
და და ალექსანდრემ იმ სიზმრიდან ნი-
კოს სიკვდილი და მართას სიცოცხლე
გამოიტანა. ტკივილი და აზრი, რომლე-
ბმაც მისი სიცოცხლე უნდა წარმარ-
თონ დღეიდან, აუცილებელი უნდა გა-
ხადონ მისი არსებობა, ცხადი და უბრა-
ლო, მაგრამ ბევრის მოქმელი, როგორც
აივანზე გადმოკიდებული ძაძა. ყურძნის
გამოკენილ მტევანს ბედურები მისე-
ვიან. ღობეზე გადაფენილ ფარდავს.
წყალი წურწურით გასდის. შეიძლება,
ამ ფარდაზე კუბო იდგა, უდროოდ
დაღუპულის კუბო, მაგრამ მზე და წყა-
ლი იოლად ჩამოაშორებს სიკვდილის
სუნსა და ოხშივარს და თავისუფლად
შეიძლება. ზედ ბავშვებმა იკოტრია-
ლონ. ალექსანდრეს მზის სამხურვალის-

გან სახის კანი ეშუქუნება, ტანში კი,
სასიამოვნო სიგრილე ჩასდგომია.
ეს ალბათ იმ მაწვნის ბრალია, ბაზარში
რომ შეჭამა წელან. „ნელა, ბიჭო, სად
გეჩქარება“. — ეუბნებოდა მაწვნის გა-
მყიდველი დედაბერი ალექსანდრეს
და ალექსანდრეს რატომღაც ის დღე
გაახსენდა, კომიურში ქადა რომ აჭამა
ბებიამ, მაგრამ ეს გახსენება კი არ ასე-
ვლიანებდა, უხაროდა, მართასთან თა-
ვი მოწონდა, ასე უბრალოდ, ასე დღა-
შვილურად რომ ეპყრობოდა ეს უცნო-
ბი, ნიკაბდანაოკებული დედაბერი, იმის
მაგივრად, რომ დეწყველა. გადაფარე-
ბოდა მაწვნის ქილებს, ემანდ მართლა
ყაჩაღები არ იყვნენო, სევდთა და სი-
ყვარულით სავსე თვალებით შემოსც-
ქროდა მაწვნის მხვრებულ ბიძა-ძმი-
შვილს, თითქოს მისიანები, მისი ნაშვი-
რები იყვნენ. ამგვარი უბრალო და კე-
თილი დედაბრების იმედით ჩამოიყვანა
მართა ალექსანდრემ კატორღიდან, კო-
ნტრბანდსავით შემოაპარა გადარჩე-
ნილი სიცოცხლე სამშობლოში, მაგრამ
ახლა, როცა ხუთი კილომეტრილა აშო-
რებს სახლს, რომელიც უნახავდ
უყვარს მართას და რომლისკენაც გა-
მოზამრთებული მერცხალივით მოის-
წრადის, პირველად თავის სიცოცხლე-
ში, აქამდე განუცდელი ტკივილით, სი-
ნანულითა და სიბრაზით გრძნობს, რომ
ის სახლი სინამდვილეში აღარ არსე-
ბობს, რომ იმ სახლის ბინადრების
უმრავლესობა უკვე მკვდარია, ხოლო
ვინც გადარჩა, ისეთი აღარაა, როგორ-
ღაც მართას წარმოუდგენია. სინამდ-
ვილეში მართა უცხო სახლისკენ მიყავს
ალექსანდრეს, უცხო ჰერქვეშ იტყუ-
ებს, როგორც საყენით გაბრიყვებულ
ჩიტს კავანათში, რადგან იქ, უცხო
ცის ქვეშ, აზრადაც არ მოსვლია, ბო-
როტებას რომ ჩადიოდა, როცა არა მარ-
ტო სახლის არსებობას უდასტურებდა
მართას, არამედ იმ სახლში გამიფე-
ბულ სიმშვიდეს, სილამაზესა და სია-
მტკბილობასაც, რაც მართამ მამისგან
იციოდა და რაც იმ წუთას ალექსანდრე-
საც ჯეროდა, იმდენად შორს იყო აქე-

დან და იმდენად აუცილებელი იყო მისთვის სადღაც, ცხრა მთის იქით სწორედ ამგვარი სახლის არსებობა. ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იქ, რა მძიმე იქნებოდა მართასთვის მამისაგან დანატოვარი ოცნების ვაშბილება, რადგან თვითონაც საიმოვნებით ნებდებოდა ამ ოცნებას, უკიდვანო სიერტეში ჩაკარგული, და ეტყობა, ალღოთი გრძობდა, მხოლოდ ამ ოცნების მეშვეობით რომ გამოაღწევდა იქიდან. დარიალს რომ გამოცდნენ, ფიქრი მერე დაიწყო, მერე დაინახა ძმა, მერე მიხვდა მის სიდიადესა და სიძლიერეს, როცა უკვე სამშვიდობოს გამოვიდა და როცა უკვე ისღა იყო მართას პატრონი. იმასაც მიხვდა, რა პატარა და სუსტი იყო თვითონ ნიკოსთან შედარებით, როგორი გულღრძო და თავგერძა. ეს მთელი სიცოცხლე მკლავს მისტიროდა, ვერაფრით ვერ მოიხელა მკლავის დაკარგვა და ვერცკი შეამჩნია, აღამიანობაც რომ გადააყულა მკლავს, როგორც ნაბან წყალს ბავშვი, რადგან ძმის შესურდა, ძმას არ აპატია ვადარჩენა როცა მისი ძმა, თავად დაკარგული, უცხო ცის ქვეშ მომავლადვი, მისი აღამიანობის ვადარჩენაზე ფიქრობდა. უკანასკნელ წუთამდე წამდა და ეამყებოდა იგი, ნდობასა და სიყვარულს უზრდიდა მართას სახით, თუმიცა უნდობლობასა და სიძულვილს უფრო იმსახურებდა, მაგრამ მისი ძმა შურისძიებაზე კი არ ფიქრობდა, იმ აღამიანობის გამოსაბრუნებლად და გამოსაფხიზლებლად იღწოდა, ბავშვობაშივე, საღორის ასაფეთქებლად გამოიზნული დენთის ხმამ რომ დაარტყანა და დააფრთხო მისი ძმის არსებაში. „ჩვენ ვიცით, რისთვის ვკვდებით და ჩვენი სიკვდილი ბევრის სიცოცხლეს სჯობსო“ — უთხრეს ნიკოს ამხანაგებმა და ახლა თვითონაც იცოდა, ნიკოს, რომელმაც ოდესღაც შიშისა და მღელვარებისაგან ასანთიც ვერ აანთო, რათა ერთი კოლოფი, ისიც სანახევროდ დანესტიანებული დენთი აეფეთქებინა, შეგნებულად გაეწირა სიცოცხლე, მაგრამ იმი-

ტომ კი არა, ერთით ნაკლები ვენე-ლი რომ ყოლოდა იმპერიას, არამედ იმიტომ, მის ძმას თვალა რომ ახლოდა საკუთარი სიპატარაისა და სიბედის დასანახავად. სირცხვილიც იყო ბავშვობაში დაკარგულ მკლავზე წუწუნი, როცა საერთოდ ბავშვობა, ოცნება და სილამაზე იყო გადასარჩენი, როცა ქვეყანა იყო დასახიზრებული, ქვეყანას ჰქონდა კიდურები წაგლეჯილი და ზეზულად ლებოდა, უმწყოებისგან, მონობისგან, გულში ჩაკლული მრისხანებისგან; როცა მღვდლის ანაფორასა და მასწავლებლის სერთუქში შემალული თვითმპყრობელობა ათასობით ბავშვს აჩოქებდა სიმინდის მარცვლებზე, მხოლოდ და მხოლოდ, მშობლიურ ენაზე დალაპარაკებისთვის და როცა თავისუფლების მეხოტბე პოეტს ლექსის წერისას ახლაც უცახცახებდა ბავშვობაში სახაზავით დასჯილი და ვალახული ხელი. ალექსანდრემ თავისი სამშობლოს ამბები ციმბირში გაიგო და, შეიძლება, ამიტომაც აჰყვა მართას ოცნებაში, იგრძნო, მიხვდა, დაინახა, ოცნება რომ უნარჩუნებდა კატორღაში დაბადებულ ბავშვს მერცხლისა და ყვავილის სიყვარულს. ამ სიყვარულში შეეფუთნათ მშობლებს ეს პატარა და სუსტი არსება და არც ალექსანდრეს ჰქონდა უფლება, ანეტასავით, შემოეხია მისთვის სიყვარულის ძაფით ნაქსოვი კაბა, რომელსაც უნდა დაეფარა და დაეცვა მისი სულის სიწმინდე და სიცხოველე. ალექსანდრე იმასაც მიხვდა, მისი ძმა შეგნებულად რომ მოიქცა ასე, მარტო კარგი რომ გამოუჩინა შვილს და ცუდი დაუმალა, რადგან თავისუფლად შეიძლებოდა, ისეც მომხდარიყო, რომ მართას არასოდეს არ ენახა მშობლიური სახლი. ამიტომ, მხოლოდ სიკეთის, სიწმინდისა და სიყვარულის სიმბოლოდ უნდა დარჩენილიყო ის მართას შეგნებაში და მთელი სიცოცხლე იმის მსგავსი სახლის შექმნაზე

ოთარ ზილამი
ყოველმან ჩემთან მარცხილან...

უნდა ეზრუნა. მამა კი არ ატყუებდა, რწმენას უნერგავდა, რწმენასა და სიამაყის გრძნობას, ურომლისოდაც აღამაინ აღარაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან და სულ ერთია, სად იქნება იგი, შემოლობილში თუ იალალზე. უცხო ცის ქვეშ ამგვარ ოცნებას არა მარტო გამართლება ჰქონდა, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობაც, არა მარტო არსებობის, არამედ სულის გადასარჩენდაც, მაგრამ როგორც კი მშობლიურ ცის ქვეშ შემოაღწიეს, მათი გადარჩენელი ოცნება აღმოჩნდა საფრთხეში. ყოველ წუთას შეიძლებოდა. სანის ბუშტივით გამსკდარიყო იგი და შიშინით შეშრობოდა გაწბილებული ბავშვის სახეს. მაშინ, სიკეთის ნაცვლად ისევ ბოროტება გამოუვიდოდა ალექსანდრეს, რადგან გადარჩენის ნაცვლად უარესად დაღუპავდა ბავშვს, რომელსაც კატორღის გამომპალ ჭერქვეშ ფრთხილი ერჩია, ოცნების ფრთავამობმულს, ყვავილნარად და მერცხლების საბუდარად წარმოდგენილ სახლში შესვლას, ოცნების გვამიანად. დარიალს მერე შინსაკენ მომავალი გზა თვალსა და ხელს შუა ილევდა, ხან ცხენზე შემოისვამდნენ მართას და ხან ურმის კოფოზე, და ალექსანდრეს იმის თქმაც ვერ მოეხერხებინა, რომ ანაც, აღათაც და ბაბუაც, რომელსაც ვითომ ამირან-დარეჯანისა და ვეფხისტყაოსნის ამბები უნდა წაეკითხა შვილიშვილისთვის, დიდხნის მკვდრები იყვნენ და მათ მაგივრად ბოხხმინი, კამფეტის განუწყვეტელი წუწუნისაგან ტუჩებაპრიალებული ქალი დახვდებოდათ შინ, რომლის ასავალ-დასავალისა მართაზე მეტი არც ალექსანდრემ იცოდა. ერთადერთი ვისაც მართაც იცნობდა და ვინც, შეიძლება, ადგილზე დახვედროდათ. ანეტა იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორადაც მართას ყავდა წარმოდგენილი, არამედ შიშისაგან დამბლადაცემული, შეგინებული, დამარცხებული, ფარხმალ-დაყრილი და სამუდამოდ შერიგებული ბედს, რომელმაც, პირველივე სითამამისთვის თოჯი-

ნად აქცია იგი, ცაცხვის ძირას დასვეტა და ასკლიპიოდოტასავით მასაც მარადიული ღიმილი აღუბეჭდა სახეზე, რის გულსთვისაც ითმენენ და პატიებენ თოჯინებს ყრუმუნჯობასა და უძრობას. ის კი არა, ასკლიპიოდოტასაც ვერ იხილავდა მართა, მაგრამ ჭერ ალექსანდრემაც არ იცოდა, ასკლიპიოდოტა ალათისთან ერთად რომ განისვენებდა მიწაში, გომურის უკან. ალექსანდრემ, რაც იცოდა, იმასაც ვერ ეუბნებოდა მართას, რადგან იმდენად ცოცხლები იყვნენ მისიანები ამ მეოცნებე ბავშვის წარმოდგენაში, მართლაც დიდი ბოროტება იქნებოდა, ხელის ერთი მოსმით ხელშეორედ დაეხოცა ისინი. ამიტომ იჭერდა ენაზე კბილს, მაგრამ ღამდამობით, როცა კეთილი მასპინძელი, ყოველთვის სხვადასხვა, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად ყურადღებიანი, ღამენებისას უსურვებდა სასტუმრო ლოგინში მოსვენებულ ბიძა-ძმიშვილს, როცა დაღლილობისგან ყინწმოწყვეტილი მართას მშვიდი ფშვინით ივსებოდა ჩაბნელებული ოთახი, ალექსანდრეს თავზარი ეცემოდა იმ წუთის წარმოდგენაზე, როცა მართას თვალებში გაწბილება და სინანული აღიბეჭდებოდა და საყვედურით შეხედავდა ბიძას, რომელმაც არც ის დაზოგა და არც მისი ოცნება. ეს არ უნდა მომხდარიყო, ამაში მაინც უნდა მოხმარებოდა ღმერთი ალექსანდრეს, მართას გული რომ არ დასწყვეტოდა კატორღაზე, რომელიც მშობლიური სახლის გამო მიატოვებინეს. მართას მშობლიურ სახლში ნასახი მაინც უნდა ენახა იმ სიყვარულისა, რაც მამამისმა ჩაუნერგა. ეს კი, მხოლოდ ანეტას შეეძლო. ერთხელ კიდევ უნდა ეპატიებინა ანეტას ძმებისთვის და ერთხელ კიდევ უნდა შესწირვოდა ძმებს, როგორმე უნდა დაეძლია შიშიც, უძლურობაც და ის გამოგებებოდა მართას და არა ვიღაც ბოხხმინი დედაკაცი, იმას გადმოეკიდა მკაბელების სახლის აივანზე სამელოვია, რო ძაძა და იმას ეთქვა: დავტირი უდროოდ დაღუპულ ნიკო მაკაბელსაო, რა-

დგან მხოლოდ ანეტას შეუძლია ამის თქმა, მხოლოდ ანეტას, ხმაშეღია თუ არა, გულში მანინც, ვალდებულიცაა, რადგან ორი უბედური კაცის დად გააჩინა ღმერთმა და დედის მუცლიდან გამოყვა ამ ორი უბედური კაცის სიყვარული, რომლის მსგავსიც არაფერი მოუგონია ღმერთს, ვერაფერით ვერცნობა ვერ დაუდგება გვერდით ვერც სიძლიერითა და ვერც სისასტიკით ვალდებულებადქცეულ სიყვარულს, რომელიც ჩანასახთან ერთად იზრდება და იქამდე გახვევს თავზე თავის ძალაუფლებას, სანამ თვალი აგებია, სანამ გონება გაგვიხსნება და სანამ არჩევანის უნარი მოგვცემა. ღმერთმა ნუ ქნას, შეუფერებელი რომ აღმოჩნდეს ის გრძნობა შენი არსებობისთვის და ერთხელ მაინც რომ მიიქციოს შენი ყურადღება, რადგან მისი ძირფეხებიანდ მოშორება ანდა გარდაქმნა ყოველად შეუძლებელია, და ვინც ამას შეეცდება, ისევე ტყუილუბრალოდ დაიტანჯება, როგორც თანდაყოლილი კუხის ანდა უშნო ცხვირის მოშორების მოსურნე. დედამამისშვილის სიყვარული ღვთის წყალობაა. მაგრამ, შეიძლება, ღვთის რისხვად იქცეს, თუკი ალექსანდრესავით თავიდანვე ვერ აუღებ ალღოს ამ სიყვარულის მადლს. ამ სიყვარულის მიჩქმალვა დანაშაულის გრძნობას კი გიქარწყლებს. მაგრამ სანაცვლოდ არარაობის შეგრძნებას ვიჩენს, არა, დანაშაულის შეგრძნებას კი არ გიქარწყლებს, პირიქით, იმდენად გიმძაფრებს, რომ ამ გრძნობასთან არარაობად ჩანხარ თავად. ალექსანდრეს შეუძლია ამის თქმა, დაეჭვრება კიდევ, რადგან საკუთარ თავზე გამოუცდია, საკუთარი თვალით იხილა საკუთარი არარაობა, ამ ერთი წლის წინად, მამისეული სახლის ეზოში, ცაცხვების ძირას, როცა მათი ოჯახისთვის სრულიად უცხო ადამიანმა ცხვირიდან სისხლი აღინა ძმის დაეიწყებისთვის, დის გაწირვისთვის, ხოლო მისმა დამ ისევ ალექსანდრე შეიცოდა, წუხილისგან უარესად გაუფართოვდა შიშნაქამი თვალები

და იმის თვალეში დაინახა ალექსანდრემ, ცხვირპირი სისხლში რომ ჰქონდა ამოსვრილი. ნიკოსავით უდროოდ დაიღუპება ალექსანდრე თუ. პაპასავით ას წელს გადააცილებს, ეს გრძნობა ყველაზე ძლიერი, ყველაზე მტანჯველი და ყველაზე წმინდა გრძნობა იქნება მისთვის. ისე გამოდიოდა, თითქოს მისი და-ძმა შეგნებულად იგდებდა თავს უბედურებაში, ალექსანდრესთვის რომ ეშველათ, ალექსანდრე რომ გადარჩენილიყო გაპარუტყვებას და ერთის და მბლადაციმულ, შალით შეფუთვნილ ფეხებთან და მეორის თოვლით დაფარულ სამარსთან ხელახლა ეპოვნა დადისნის წინად დაკარგული, დიდხნის წინად უარყოფილი სიყვარული, ანეტას თვალეზივით გაოცებული და ნიკოს სამარის თოვლივით სპეტაკი. მაგრამ ანეტამაც უნდა იცოდეს, ალექსანდრეს რომ უყვარს იგი, ალექსანდრესთვის ერთადერთი ახლოებული ადამიანი რომაა ამ უზარმაზარ ქვეყანაზე, ღმერთისაგან ბოძებული, ღმრეთისაგან გამორჩეული უცხო, გულგრილი და უნდობელი ადამიანების ზღვიდან და, რაც მთავარია, მართამ უნდა იგრძნოს, უნდა დაინახოს მათი სიყვარული. მაშინ, შეიძლება, ოცნებასაც ეშველოს რამე; მაშინ მართას, შეიძლება, კიდევ მოეწონოს აქაურობა და გული აღარ დაწყდეს უკვე მიჩვეულ ბუდეზე, სადაც მკვდარი მშობლები მაინც ყავდა გვერდით. ესეც მალე გაირკვევა. რამდენიც არ უნდა ითრიოს ალექსანდრემ ფეხი, რაკი აქამდე ჩამოვიდნენ, ის ხუთიოდე კილომეტრიც უნდა გაიარონ, ყველაზე ძნელი გასავლელი რომ აღმოჩნდა ბოლოს. ალექსანდრე აივანზე გადმოკიდებულ ძაძას უყურებს და თვალწინ ანეტას ჩამოხეული საყელო უდვას, პერანგის სამხრე და სუსტი, გულისამაყუნებლად სუსტი მხარი. „კახა“ — ესმის საკუთარი ხმა და ახლაც თავზარი ეცემა, გული ეხვევა ანეტას გაოც-

ოთარ ზილვაჰ
ყოველწლიან ჩამოხვეწას...

ბული, და შემკრთალი თვალების წარმოდგენაზე. ალექსანდრეს ერთადერთ ხელს ახლაც ახსოვს, როგორ გაუძალიანდა ანეტას კაბის ქსოვილი, ჭრილობაზე მიწებებული სახვევით, მაგრამ ალექსანდრემ მაინც ჩამოხია იგი, რადგან ბრმა და უგულო იყო, თუმცა დის სიშინელემ მაინც შეაშფოთა, მაინც აუჩუყა გული, რადგან მართლაც ჰქონდა რაღაცა, შემაშფოთებელიცა და გულის ასაჩუყებელიც. ანეტას შიშველ მხარს, როგორც სასიკვდილო ჭრილობას.

— ალარ დავიძრათ? — ეუბნება ალექსანდრე მართას.

— რომ არავინ დაგვხვდეს? — თავის მთობრუნებლად კითხულობს მართა, თითქოს ბიძამისის ნათქვამს კი არ პასუხობს, არამედ — ნათქვალს. — და გვხვდებიან, გოგო, ნუ გეშინია. თუ არაა, აქ არა ვარ?! — ცდილობს მართას დაშვიდებას, მართას ნათქვამით უარესად აფორიაქებული ალექსანდრე.

— შე არ მეშინია. — ამბობს მართა. „არაფრის არ მეშინია“. — აგრძელებს გუებაში.

წნორი მზეზე ბრწყვიალებს, თითქოს დაფშენილი შუშა ვადაუბნევიათ ზემოდან. ზურგს უკან ბაზარი ყყაყნებს. სადგურის წინ შავად კრალებს დილიჯანსი. დილიჯანსის სახურავზე ვასულ ბიჭს კალათებსა და ხურჯინებს აწვდის დილიჯანისი პატრონი. ახალი უბნის ვასწვრივ დაბალი, ჭერ კიდევ ნორჩი კაქლები დგანან. ალექსანდრეს ოფლისაგან ხალათი ბეჭებზე დასველებია, ორი შავი, უფორმო ლაქა ვასჩენია, თითქოს ესეისაა ფრთები გადაუჭრიათ მისთვის და გადანაკრებიდან ჭერ კიდევ მოყონავს ცხელი და ორთქლიანი სისხლი. მიდის, ორღობეში მიაბიჭებს. მართა უკან მიყვება. მათი ფეხის ხმასე წამოფრენილი ბელურები ღობის სარებზე სხედან და ელოდებიან, როდის ჩაივლიან, რათა ისევ მიუბრუნდნენ გზაზე დატყაპნილ ფუნას. მართასტოლა გოგოს თიკნისთვის რქაში ჩაუვლია ხელი და ძალით მოათრევს. თიკანი გვერდზე იწეის.

უძალიანდება, გაფშევილი ფეხებით ფხოჭნის მიწას, თან მართას უყურებს, წყლიანი, ვაკვირებული თვალებით. ეზოს სიღრმეში თეთრი ხილაბანდებით პირაკრული ქალები თონეს ახურებენ. თონის თავზე ჰაერი ბიბინებს. ცეცხლის ამონასუნთქს ნავლი და ნაპერწყალი ამთაქვს. ღობის ძირას მიყრილ ნაცარში შავი, წითელებილიანი დეღალი იქექება. ისიც მართას უყურებს თითქოს, კისერმოზრეცილი. მართასთვის ყველაფერი ნაცნობია უკვე, დარიალიდან თბილისამდე მთელი გზა ფეხით ვაიარა ლამის, თბილისიდან წნორამდე მატარებელს ჩამოყვა. მატარებლის სარკმლიდანაც ბევრი რამის ნახვა მოასწრო, მაგრამ წნორი მაინც გამოირჩევა სხვა დაბა-სოფლებისაგან, ბანაკს უფრო გავს, ვიდრე სოფელს, მზეზე გამოხუნებული კრამიტის ფერი და ქვეთკირის ძველი კედლების რულმორეული სიმყუდროვე აკლია. მართა ამდენს ვერ ხვდება, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც ეჩითირება და ამავე დროს რაღაც ეცნობა ამ მტვრიანსა და ფარდალალს სივრცეში. მაგრამ წნორი უკვე ზურგს უკანაა, გზა ახლა მინდორზე მიდის, გზა კი არა, საცალგევხო ბილიკი, კაცის ფეხით, საქონლის ჩლიქითა და ცხენის ფლოქვით დატყეპნილი, გამკვირვებულ, ვადაუბნებულ მინდორზე. წინ ურუქია, მართას მამის სოფელი, რომელიც უნახავად უყვარს მართას, რადგან ვალდებულოა, უყვარდეს იგი, რადგან სანან ურუქი იარსებებს, არც მისი მშობლები ჩაითვლებიან მკვდრებად. ასე უთხრა მამამ და მართა ბედნიერია, ურუქი რომ არსებობს ამ ქვეყანაზე. ტყუილად ეშინია ბიძამისს, ვინც არ უნდა დახვდნენ და როგორც არ უნდა დახვდნენ შინ, ვედარაფერი ამოუგდებს გულიდან ამ სიყვარულს. მართა არც ისეთი პატარაა და არც ისეთი სულელი, როგორც ბიძამისს გონია. მაგრამ უფრო მეტი იცის, ვიდრე მოეთხოვება. მან ისიც იცის, რომ მათი ოჯახი არასოდეს

არ იქნება ბედნიერი, სანამ შემოიღო სლმნი ლუმელზე წვეს და ტირის, არა-ვის არა აქვს ნება, ბედნიერი იყოს. არც მართას. ასე რომ, ტყუილად ითარვის ბიძამისი ფეხს, მართას არც არაფერი ვიუყვირდება და არც არაფერი შეაშინებს. მართა იმიტომ გადაარჩა, რომ ის გადაარჩინოს, რისი გადაარჩენაც კიდევ შეიძლება. ასე უთხრა მამამ და მართაც, დაბადებით კატორღელი, უმალ მოკვდება, სინშლით მოიკლავს თავს, ვიდრე მამისა და ამხანაგის სიტყვას დაივიწყებს. მართა იმ დღეზე ფიქრობს, როდის მოაშორებს დედამამის საფლავს მავთულხლართის ღობეს, როდის მოაყრის ურუქიდან ჩატანილ ნიწასა და ყვავილებს, ბიძამისი კი, სულ იმის შიშშია, მოეწონება თუ არა მართას თავისი სოფელიო, მაგრამ ბიძამისი ცოტა დიდხანს რომ დარჩენილიყო კატორღაში, იმასაც გაიგებდა, რომ სამშობლოს არჩევა ისევე არ შეიძლება, როგორც დედისა. ამიტომაცაა, ასე ხალისიანად რომ შიბიბიებს მართა ვამოხუნებულსა და მტვერდაფრქვეულ მინდიორზე. წნორი უკვე ზურგს უკანაა, ჩახტული, ჩავარდნილი, მზით ამოზუგულ ტავთბში ჩაკარგული, მუშლისა და კოდოს საბუდარი, ვზაზე დამდგარი, ადვილს მონწყუდარი ხალხის თავშესაყარი, მაგრამ ისიც ძვირფასი და აუცილებელია მართასთვის, როგორც ყველა გოჯი მიწისა, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია. მართას ჯერ ისევე ყურებში უღვას ბაზრის უაზრო, უთავბოლო ბზული, ახლაც თვალწინ უღვას ათასნაირად გადაქრებულნი დასლები და, როგორც მამინ არ ვაკვირებებია, არც ახლა უკვირს, მის დანახვაზე არავის რომ აუტებია განგაში, არავინ რომ გადაჰფარებებია თავის საქონელს და ყველანი სიბრალულთა და სიყვარულით რომ შემოსცქეროდნენ კატორღელების შვილსა და თავადაც კატორღელს. ჩვენნი ხალხი კეთილია და ამ სიკეთით უღვას აქამდე სულიო — ეუბნებოდა მამა და ახლა მართა სწორედ სიკეთეზე ფიქრობს, აინტერესებს, თვითონ სიკეთეს რითი უღვას სული,

რითი იკვებებია, სად იძინებს, რატომ გაივლებს ხოლმე და რატომ არ ჩანს მთლიანად, საქმბარი და ამოსაცნობი რომ არ იყოს ყოველთვის; ნუთუ იმასაც გამოზოგვა უნდა, როგორც პურს, როგორც წყალს, როგორც ცეცხლსა და მარბლს და ბევრი ისიც მაწყენარია, როგორც პური, წყალი, ცეცხლი და მარბლი? „გინდა, სამოთხე დაგანახო?“ — რატომღაც ასხედდება მართას თასანაურელი მწყემსი ბიჭის სიტყვები. ბიჭს ნამქვის რტოსავით უხეში და ჯიუტი ქონორი ჰქონდა და შავი, ჰინკებით სავსე თვალეში. დედავდა, თითქოს რცხვენოდა საკუთარი საქციელისა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა მართას, შეიძლება, თავი-სი დის ჯიბრზე, სიცილისთვის გამზადებული, პირზე უკვე ხელგებფარებული, ადვილზე რომ ცქმუტავდა მოუთინელობისაგან და კალთა გამომწვარი კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა. „მიდი, ჰო, მიდი. ჩემთანა გაქ დიდი გული“. — ეძახდა მამს. „ოღონდ, თვალეში უნდა დახუჭო და რამე კარგზე იფიქრო“. — ეუბნებოდა ბიჭი მართას. მართამ თვალეში დახუჭა და სლმნი დაინახა. მისი სევდიანი, ტკბილი ხმაც ჩაესმა უცებ: „გალიაში გაგზარდე, ვით მისის ბულბული“. მართა საკუთარ, მზისგან გაწითლებულ ქუთუთოებსაც ხედავდა და გრძნობდა, როგორ ფეთქავდნენ მისი თვალეში, ბუდეში ჩაყუჩული ბარტყებივით. „ვამე, ხალხო, გამოდი, შეყვარებულეში გაჩვენოთ!“ — დაიყვირა ბიჭის დამ. „გატლეილო“ — ლამის მართას ტურნებთან თქვა ბიჭის მორთოლვარე ხმამ. ბიჭის ამონახუნთქმა ტუნებზე მოუღიბინა მართას და თვალეში ვახილა. ბიჭი დაბნეული უყურებდა, ყვრიმალეში წამოაწებოდა, ახლა თითქოს ეშინოდა მართასი. „იი, ევა გეშლის“ — თავი აიქნია დისკენ. „ვერ აკოცე, ვერ აკოცე, ვერ აკოცე“. — ყვიროდა მისი და, თან ცალ ფეხზე ხტუნავდა და ტაშისა სცემდა. მაგრამ მართამ

ოთარ ზილაძე
სოკოლბანი ჩამიან მოკვეთლბან...

მინც დაინახა, უფრო სწორედ, მინც იგრძნო რაღაცა სამოთხისებური და ბედნიერი იყო, ძალიან ბედნიერი. მივიდა და თვითონ აკოცა ბიჭს. ბიჭმა შეშფოთებულმა გახედა დას. ნერე გაიღიმა. მერე მიწაზე დაგდებულ სახრეს დაიწვდა და ღობის ძირას ჩაბერებულ ჭინჭარს დაუწყობ კაფეა. „უხ, შენი... უხ, შენი...“ — ხმას აყოლებდა ბიჭი სახრის შხუილს და სახრის ყოველ მოქნივაზე ასპიტის თავებივით ცვიოდა მის ფეხებთან ჭინჭრის მსუსხავი, ბუსუსიანი და გამოშავებული ფოთოლი.

ქარი ხან ზურგიდან დაეგერება მართას, ხან კი გვერდიდან. კაბას წამოუფრიალებს, ცოტახანს დაყოვნდება კაბის ქვეშ და უცებ გაუტრილებს შემოდგომის კაბასი მზით გახურებულ სხეულს. მერე შეეშვება, ბალახს გადაქეჩავს უჩინარი ხელებით და რაღაცას დაეძებს გამალებული, რაღაცას, მართო მისთვის არსებულს. ხანდახან გვირგვინი წამოუფრინდება ხოლმე და ახლა იმას მისდევს. გაბურთული და ადგილზე დაბმული ორბებივით წრიალებენ დაბალი, ეული ბუჩქები და ამოდ ცდილობენ წამოფრენას ბუმბულგაცილი ფრთებით. სამაგიეროდ მათი ბუმბული ტრიალებს ქარში, წითლად, ყვითლად, ნარინჯისა და სადაფისფერად. მინდვრის ბოლოში ნასაყდრალი მოჩანს. ქარი ალექსანდრეს ილიაში ამოდებულ ქურქსა და ჯუბასაც დაეგერება ხოლმე და ასე შეათრთოლებს, თითქოს ალექსანდრეს ცოცხალი ცხვირი მიყავს და ძლიავს აკავებს, ხელიდან რომ არ გადაუხტეს. ნასაყდრალი თანდათან ახლოვდება. მართამ იცის, ნასაყდრალი რომ უნდა დახვდეთ გზაზე. ალექსანდრესგან იცის. ნასაყდრალის მერე მთავარ გზაზე გავლენ, ცოტახანს კიდევ ივლიან, ივლიან, ივლიან და მაკაბელების ვალაყან შემოვლებული, ორსართულიანი სახლიც გამოჩნდება. იმ სახლის გამოცნობა მართას არ გაუჭირდება, დარწმუნებულია, რომ იცნობს. გააფრთხილა კიდევ ბიძა, შენ ნუ ნეტყვი, აბა, მე თვითონ სწორედ მივადგები თუ არაო. ასე

რომ არ მოხდეს, ეწყინება, რადგან გენი მიქაძისგან ბევრჯერ გაუგონია, რომ ნამდვილი კატორღელისთვის და ნამდვილი რევოლუციონერისთვის ერთხელ ახსნაც საკმარისია, საკუთარ ქვეყანაში კი არა, ჯოჯოხეთშიც რომ გვივინოს გზა. მართა კი, შეიძლება, ჯერჯერობით ნამდვილი რევოლუციონერი არ იყოს, მაგრამ ნამდვილი კატორღელი რომაა, ამას არც მისი მეგობრები უარყოფენ, ცოტა მეტიცაა, რადგან მათგან განსხვავებით, მართამ სისხლთან ერთად მიიღო მშობლებისგან კატორღის მთავარი კანონის ცოდნა, რომ იმედის ანაბარა ცხოვრებას, უიმედოთ ბრძოლა ჯობია. „როგორც კი გავჩერდები, მოიხედავს“ — ფიქრობს მართა და ჩერდება, რადგან არ შეუძლია, არ განერდეს. ალექსანდრეც იმავე წუთას, გაფრთხილებულივით, უკან იყურება და თვალებით ეკითხება, **რა მოხდაო.**

— ფისი მინდა. — ეუბნება მართა და ცხვირს ზუსტად აწეცასავით იქმუნის. ალექსანდრე იღიმება და გზას აგრძობებს, მაგრამ ახლა უფრო ნელა მიდის, ვიდრე აქამდე მიდიოდა, თითქოს ერთი წუთითაც რომ შეყოვნდეს მართა, გზას ვედარ გაივებს ამ ტრიალ მინდორზე, რომელზედაც მართასთვის მხოლოდ ალექსანდრე მოჩანს, ალექსანდრესთვის კი — მართა.

ალექსანდრე გაღიმებული მიდის. წინიდან რომ დაინახოს ვინმემ, სულელი ეგონება, მაგრამ ალექსანდრეს დღეის მერე, რამდენჯერაც მოუწყევს ამ მინდორზე გავლა, ყოველთვის ასე სულელურად გაღიმება, ხმელსა და გაფშვიკილ ბალახებში ჩაკუცქული მართას წარმოდგენაზე. „მეტიც არაფერი მინდა, ვინმემ უბატონოდ გასცეს ხნა... ცხვირი აუბზუოს... მეტიც არაფერი მინდა“. — ფიქრობს ალექსანდრე და მიდის, სულელურად მომდიმარი. მისი ტანი კი, დაძაბული ელოდებოდა, როდის წამოეწყევა მართა. წინ ნასაყდრალი და წყვილი კაკლის შემკვარი კენჭუროები მოჩანს. ნასაყდრალი მთავარი გზის აქეთაა, კაკლები კი — იქით, გა-

დალმა, მაგრამ აქედან ისე ჩანს, თითქოს კაკლებს ნასაყდრალის ჩაქცეულ სახურავში ამოუყვიათ კენწერობები. ქარს უკვე კაკლის ფოთლისა და წენგოს სუნიც დაჰკრავს, მღორე, ღონიერი. მართაც უკვე წამოსწევია, მაგრამ ალექსანდრე უკან აღარ იყურება, ტანს ენდობა, რაკი ტანა უგრძნო, შემოწმება აღარაა საჭირო. ნასაყდრალის კედელთან შაოსანი დედაკაცი ზის. სახე წამოწითლებია. ალბათ, ჩქარა იარა და ახლა ისვენებს. წალები გაუხდია და გვერდზე უწევია. თავსაფარიც მოუხსნია და მუხლზე გადაუფენია. ზედ ნაჯაფი, დაშარტული ხელის მტევნები დაულაგებია, ერთმანეთის გვერდით, თითქოს ღმერთს აჩვენებს, აი, რითი უდგას ქვეყანას სულიო. ნაოქებად ჩაშლილი კაბიდან თეთრი, ქათქათა წინდებიც შემოსილი ფეხის წვერები მოუჩანს, უთავსაფაროდ უფრო ახალგაზრდა ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ახალგაზრდა კი არა — უსაკო. თითქოს ასეთი გაჩნდა და ასეთი იქნება სულ. ცხენის კუდივით ხშირი და მკვრივი თმა აქა-იქ გასქალავლებია. პირმოკუმული ზის, ფიქრიანი, ბიბლიურ ხეხავით მშვიდი და ლამაზი, მარადიული მსახური ღვთისა და კაცისა, მარადიული დედა, მეუღლე, და... ბავშვის გამზრდელი, პურის ჩამკვრელი, მაწვნის ჩანდელებელი... დამლოცველი და დამტირებელი. თავლივით ტუბილი თითით პირველი კივის მომსინჯველი და ქირში გაკერპებული ხელით თვალების დამხუჭველი. დამწვარზე სულის შემებრავე, ქრილობაზე მალამოს დამდებო, ბავშვის ფსიტის, პურისა და კერის სუნით გაჟღენთილი. ღხინში მორცხვი, გვერდზე გამდგარი, ქირში კი — ალქაჯი, ლეკვებიანი ნგელივით თავგანწირული. არც უმაღური და არც მაღლიერი ღმერთისა, მაგრამ მისი პატივისმცემელი, მცოდნე და დამფასებელი მისი ყადრისა, როგორც ღირსეულ მეტოქეს შეშვენის. არც უბედური და არც ბედნიერი, როგორც თავად ცხოვრება. არც ნხიარული და არც მოწყენილი, როგორც სული ცხოვრებისა. არც ახა-

ლგაზრდა და არც ბებერი, როგორც ბუნება. ძლიერი და გაუტეხავი, როგორც ამირანისა და მედეას დედა, და ამაყი და გულუბრყვილო. როგორც ამირანისა და მედეას ქალიშვილი.

— გამარჯობა, დედი. — ესალმება ალექსანდრე და ჩერდება, თითქოს წინასწარ იცოდა, რომ ამ ჭერჩაქცეულ, შამბოდებულ ნასაყდრალთან ეს დედაკაცი დახვდებოდა, თითქოს თავიდანვე ასე იყო გათვალისწინებული.

— იცოცხლე, შვილო. — მშვიდად, გაუკვირებლად პასუხობს დედაკაცი.

ნართა მოშორებით დგას, ქარი ზურგში აწევება და წინ აგდებს, თითქოს ეუბნება, რა შორს დამდგარხარ, მიდი, აკოცე, ეგაა შენი დედაც, მამიდაც და ბებიაცო. მართა ქარს უძალიანდება. აფრიალებული კაბის კალთა ორი ხელით უჭირავს, თითქოს სიკეთის უხილავი ხსითვის შეუშვარია და ხელები ღამის დასწყდეს, კაბის კალთა ღამის ჩაფხრისწოს იმ უხილავი ხის უხილავი ნაყოფის სიმძიმით. ქარი ეთამაშება მართას, ნართა კი, ასე ფიქრობს. „გაიღე მოწყალეობა სიკეთის ხეო“ — ამბობს გუნებაში, ბედნიერი, გამხიარულებული თავისივე მოგონილი თამაშით.

— წნორში მიბრძანდებით? — ეკითხება ალექსანდრე დედაკაცს.

— აი, შვილიშვილებს დახედავ მეტქი, — ამბობს დედაკაცი და თითქოს მხოლოდ მაშინ ამჩნევს მართას, კაბის კალთა რომ უჭირავს ორივე ხელით, ოდნავ თავგადაწეული, ცხვირშეჭმუნული რომ უყურებს, თითქოს წყალობას ელოდება მისგან. — მეცა მყავს შენისთანა გოგოები. — ეუბნება დედაკაცი მართას. — ერთი უკვე ხუთისაა მეორე კი — სამის. გაიზარდე, შვილო, თქვენა ხართ ბებრების სიხარული.

— მე არც ბებო მყავს. ჩემი ბებო მკვდარია. — ამბობს ნართა და თვითონაც გაოცებულია, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ამბობს ამას, პი-

რთაარ მილაამ
 ყოველმან ჩემან მოვნილმან...



რველად გამოაქვს სააშკარაოზე თავისი საიდუმლო ეჭვი და წუხილი. ნირწამსდარია, როგორც წამიერი სისუსტის ეპაშ გამოტეხილი პატიმარი. გრძნობს როგორ წითლდება, როგორ გადასდის სახეზე შემაწუხებელი, წითელი სიმხურვალე და თავის თავზე ბრახდება, თუმცა ეს წამიერი სისუსტე ამ უცხო დედაკაცის მშვიდ და განაბრუებელი სურნელის ბრალია, რომელსაც ქარიც ვერ მორევია, ვერ გაუფანტავს, ვერ გაუნელებია და მართაც თავფეხიანად ჩაფლულა შიშ, როგორც დედის დაგებულ ლოვინში. იმასაც გრძნობს, როგორ შეაერთო და შეაწუხა მისმა ნათქვამმა ნასაყდრალის კედელთან დამჯდარი დედაკაცოც და ბიძამისიც, უფრო ბიძამისი, რადგან არ ეგონა, ესეც თუ იცოდა მართამ. მართამ კი, ხათრი არ გაუწია, ბოლომდე არ მოატყუებინა თავი, თუმცა ბიძამისს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე აიძულებდა ტყუილის თქმასა და თვალთმაქცობას, ისევე როგორც მართას, რომელიც ტყუილს ტყუილითვე პასუხობდა.

— ალბათ მკვდარია. — ცდილობს შეცდომის განოსწორებას მართა. — ცოცხალი რომ იყოს, ჩვენს ამბავს როგორ არ იკითხავდა?! ბოლო წერილი ოთხი წლის წინ მოგვივიდა.

— ეგ ისეთი აქლემია, ყველას კარზე დაიჩოქებს — ამბობს დედაკაცი. — მეც მომძოვა, შვილო, სიკვდილმა. ერთი შვილი მიწაში მიდევეს, მეორე სალდათში დაიკარგა. რძალი შინ არ მომყვება, კიდევ იმედი აქვს, რა ვიცი, რა წუთას დაბრუნდება. — ისიც გამოტყდა, მაგრამ ის უცხო ბავშვის საცოდობამ გამოტეხა. თითქოს თავისი უბედურების გამომქდავენებით ინას ნუგეშს სცემდა, ვაიმხნეებდა, გაუამხანავდებოდა.

— დაგლოცე, დედი. ობლები ვართ. — ძალისძალათი იღიმება ალექსანდრე, აცახცახებული ნიკაბი რომ გაიჩეროს როგორმე.

— ღმერთმა დაგლოცოთ და გადღეგრძელოთ, შვილო. — ამოიხვრით

ამბობს დედაკაცი. — რას იზამ, ქვეყანა ქვრივ-ობლობა ყოფილა. ჩვენც და გავძლოთ. — აგრძელებს ცოტახნის მერე.

სიკეთის უჩინარი ხე კი, ბუბუნებს და მისი უხილავი ნაყოფი თქრიალით ცვივა მართას კაბის კალთაში.

„უნდა გავძლოთ. — გუნებაში იმეორებს ალექსანდრე დედაკაცის სიტყვებს. — ქვეყანა ასეა, მაგრამ მაინც უყვართ, მაინც ვითხოვობენ ერთმანეთის ამბავს, იმედიცა აქვთ და ნოლოდინიც“. ისა და მართა უკვე შარავზაზე მიდიან. ახლა ალექსანდრე მიყვება მართას, რადგან ქარის წამოშლილი მტვრისგან დაიფაროს. შარავზის ფაფუკი მტვერი ხეების სიმაღლეზე აქვს ქარს. თითქოს ბურუსში მიდიან, მაგრამ მართა მაინც ხალისიანად მიბაკუნობს მტვერში. ახლა კმაყოფილიცაა თავისი წყლანდელი დაუფიქრებლობით. ბიძას ერთი საღარდელი მაინც მოაშორა. ახლა ბიძამისმაც იცის, მართას რომ არ გაუყვრდება, ბებია თუ არ დახედება შინ. მიდის, მიბაკუნობს, სხვისი ხეილიდან მშვიდობიანად ჩამომძვრალი ბავშვივით კმაყოფილი და აღზნებული. „არც იმ დედაკაცის დავიწყება შეიძლება, — ფიქრობს ალექსანდრე. — რაც დრო გავა, უფრო მეტი და ნეტი იქნება დასამახსოვრებელი, მაგრამ ყველაფრის დამახსოვრება უნდა შესძლოს კაცმა. უნდა შესძლოს! — თითქოს უბრაზდება. — უნდა შესძლოს! — თითქოს ვიღაცას უმეორებს — რადგან დავიწყება დამარცხებას ნიშნავს“. წინ კი, მართა მიბაკუნობს კვიცივით. მტვრისგან თვალდახუჭული თამამად მიბიჭებს ჯერ კიდევ უცხო, მაგრამ მშობლალურ მიწაზე. ქარი მტვერს ატრიალებს, ერთნაირად გაშიშვლებული, ერთ მხარეს ვადაზნექილი ხეები ერთადერთს, უკანასკნელ ფოთოლს მისტირან თითქოს, რომელიც მართას თავს ზემოდ დაფარუტებს ჰაერში, არც ნიწისაა და არც ცის, ცისა და მიწის შუამარადიულ წრეში მოქცეულია, უფერული, უშუქო, როგორც გამოფიტული

ვარსკვლავი. „შენ ხარ ქრისტე ბარაბა-ში და ბარაბა ქრისტეში. ასე კი, არ შეიძლება. ან ერთი უნდა იყო, ან მეორე“. — ახსენდება ალექსანდრეს ზოსიმე მღვდლის ნათქვამი. „მე არც ქრისტე ვარ და არც ბარაბა, — ახლა ეპასუხება ალექსანდრე ზოსიმე მღვდელს. — ნე ვარ ალექსანდრე, ალექსანდრე მაკაბელი. აი, ამ პატარა გოგოს ბიძა და მეტიც არაფერი მინდა, ვინმე გადაუდგეს გზაზე“. ალექსანდრე არასოდეს არ ყოფილა ასეთი ბედნიერი, ასეთი თავისუფალი და, რაც მთავარია, ასეთი მშვიდი. თვითონ ვერცა ხვდება, რა ამბავია მის თავს, რამ გაუჩინა ასეთი გუნება-განწყობილება. თუმცა იმაზე მნიშვნელოვანს რას მიხვდება, რასაც მიხვდა, რაზედაც თვალი აეხილა, რაც უკვე მტკიცედ იცის. მტვერით იოლად გაიფანტა საუკუნოვანი ეჭვი და ქარში აფარფატებული ფოთოლივით უბრალო და უფესვო აღმოჩნდა საუკუნოვანი გამოცანა: ვინა ვარ და რატომ ვარ. ის ამ პატარა გოგოს ბიძა და

მას ამ პატარა გოგოს მოვლა-პატრონობა ევალემა. მიდის, მიაღაწებს ან გამოცანის სიმარტივით გახალისებული, გაამაყებული. ხარბად ისუნთქავს მტვერით გასქელებულ ჰაერს და ბოლქვა-ბოლქვა აბრუნებს უკანვე დაბერილი, აცახცახებული ნესტოებიდან, გოროზი და ღონიერი, როგორც საომარი ცხენი. ახლა, როცა მშობლიურ სახლამდე დათვლილი ნაბიჯებიდა დარჩა, საბოლოოდ რწმუნდება, რაც ხდება, ცხადში რომ ხდება ყველაფერი, ის რომ მართლა ალექსანდრეა და წანდვილად მართა რომ მიაბიჯებს მის წინ, ნიკოს შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მისი არსებობის გამმართლებელი და განმმტკიცებელი, ჭერ კიდევ სუსტი, ჭერ კიდევ პატარა სიცოცხლე, მაგრამ მინც სიცოცხლე: ჭიუტი, მზარდი, თანამი, ხალისიანი... ბიძამისის, ამ ცალხელა ახმანის წყალობით სამუდამოდ გადარჩენილი და სამუდამოდ დაბრუნებული შინ. ცალხელა კაცს მეტი არც მოეთხოვება.



სოფელმა ძუძუ გაწოვათ

რა მომხიბლავად გუგუნებს
მიწა სიცოცხლის სახელით.
დიდი ცხოვრების შარაზე
ამ ბილიკებით გახველით.
ეს განა მართლა ცა შესძრა
დაფდაფების და ბუკის ხმამ, —
თქვენი ბავშვობის თრთოლვაა,
დეღვაა სიჭაბუკისა.

ვიცი, რომ ჟინი კვლავ გივლით,
კვლავ გინდათ მტკვარი გასცუროთ,
კვლავ გსურთ დედოფლის მინდორზე
გულს ტრფობა დაუდასტუროთ.
კვლავ გსურთ ქარელის ქარდაქარ
კვირტში ოცნებას ნასკვავდეთ,
მაგრამ ვაი, რომ ის წლები
აუტაციათ ვარსკვლავებს.

სოფელმა ძუძუ გაწოვათ,
ის არის დედა მშობელი...
როგორც არ უნდა ამაღლდეთ
არ დაგავიწყდეთ სოფელი.
კერას სიცოცხლე ალაღებს,
კარებს ახსნილი ურდული,
ამ მინდვრებს ნუ მოაკლდება
ქართველი კაცის ურმული.

შენ ბუღბუღების აკვანო,
მშობელი დედის გულისთქმავ,
მიიღე შენი შვილების
მადლობა სიყვარულისა.
მადლობა — ეს ხომ ფიცია,
შენ რომ გიცავს და გდარაჯობს,
გწამდეს შენ ფრთებს ქვეშ გაზრდილნი
არ შეგარცხვენენ არასდროს.

სულ ასე მზეში ცურავდე,
ცაო, ნატვრის და ოცნების,
სულ ასე ლაღად ფრინავდნენ
ყინწვისის ანგელოსები.
სამშობლოს ბედის მნათობო,
კვლავაც წინ გაიკაშკაშე,
კვლავაც გზა გაუცისკროვნე
შენი დიდების ვაჟკაცებს!

ნებაჲ როველი მოქმის ცხენია!..

შინმოუსვლელთა მოსაგონარი.

ჭიშკარს მოადგა ცხენი ჭიხვინით,
 მე რად მეძახის? ვისი ცხენია?
 თავზე მაწვება ნისლი ჭირსლივით,
 ალბათ მხედარი დამარცხებია!..

დარასტულია და უზანგებზე
 ბრჭყვიალი გააქვს ვერცხლს ზარნიშინს.
 ცაში ღრუბლები, გაზანგულები,
 ცისკართან დავას აღარ იშლიან.

როგორ მოვევლო ზურგზე ბედაურს?
 სად გამაქროლებს? სად გამიტაცებს?
 ანდა, მეძახის ის უბედური,
 ვეღარ ისვენებს დედამიწაზე.

ბევრი დავკარგე გზაში ტოლ-სწორი,
 ვერ დავიტირე ბევრი საფლავიც.
 ახლა ჩემს სულში ჰყვავის კოცონი —
 ჩემი ტკივილის თავშესაფარი.

ძარღვებში სისხლი ისევ ცხელია
 და არ მასვენებს ჟინი მხედრული...
 ნეტავ რომელი მოძმის ცხენია,
 ჩემს მოსახმობად აჯანყებული!..

ჩამოთავაზვალე, კმოვილო თოკი

გურამ თიქანაძის გახსენება.

მწვერვალზე დგახარ გაღიმებული,
 სიმაღლეები ღრუბლებს ისევენ.
 შენი გუნება, ახირებული,
 სიკვდილის მერვც ვეღარ ისვენებს.

სიკვდილი რაა, შენებრ თუ მოკვდი,
 უნდა იმდერონ ზეცის თაღებმა...
 გადმოისროლე, ძმობილო, თოკი,
 მეც მაგ მწვერვალის მინდა აღება.

ბეთლემის ჯაჭვი გამახსენდება,
შენ რომ ყინულეთს ააჟრიალე
და განდევნილის უთქმელი სევდა
თითქოს და ახლაც სულში შრიალებს.

წვერი გაზრდია ლევან სუჯაშვილს,
ვეფხვია, ვეფხვის დაკარგვას გლოვობს...
რა ჯადო გეწყო მაინც სურჯინში,
რომ უკვდავება იგემე ბოლოს.

სიკვდილი რაა, შენებრ თუ მოგვკვდი,
უნდა იმღერონ ზეცის თაღებმა...
ჩამომაშველე, ძმობილო, თოკი,
მეც მაგ მწვერვალის მიინდა აღება...

მას, ერთად, კვანო!..

ის როდის იყო, — ქარშიც, სიცხეშიც
დაღამებამდე ბურთს ვაგორებდით?
ცადაზიდულნი, ვარსკვლავთმრიცხველნი,
გადმოგვეტყუროდნენ ეს მთა-გორები.

ეს მთა-გორები ჩვენ დავიპყართ,
მინდორზე დარჩა ბურთი დამცხრალი...
ახლა რანი ვართ? რანი ვიყავით?
გაღვივებულა ხნულში მარცვალი.

ორმოცდაათი გამოგვივლია,
ძმავ სილოვან, ძმავ მიხეილ!..
რა სიშორეა, რა მანძილია
და წელში მაინც ჩვენ არ ვიხრებით.

წინ გასატყვის ბევრი ახლა,
ბევრი სიძნელე — დასათრგუნველი...
კარავი დაესცეთ ცისკრის მახლობლად,
დავრახმით ლექსთა ასეულები...

... ის როდის იყო, — ლახტით და ბურთით
ფეხშიშველები ვჭროდით წვიმაში?..
მაშინ გამაგრდა გულიც და კუნთიც,
ჩვენ მაშინ გვერქვა „ჯიუტი ბავშვი.“

ის სიჯიუტე მოგვყვება ისევ,
მზის დასალიერს ხარკად მივუტანთ...
მას, ერთად, ძმებო, დიდ სიმაღლისკენ,
კვლავაც ამაყად, კვლავაც ჯიუტად!..

საქართველო

ჰომეროსი

ჰომეროსული საგალობლები

არტემიდას

ქება მოიღე, მუზავ, ქალწული არტემიდასთვის,
რომ ისრავს — დაძახიემოისარის აპოლონისა,
დააწყურვილებს რაშებს ლერწმოვან მელეტის პირას
და ოქროს ეტლით გადაიქროლებს სმირნე ქალაქზე
ვენახიანი კლაროსისაკენ, სადაც აპოლონს,
ვერცხლის მშვილდოსანს, დაუდგამს ტახტი — ისრვით მოლხინეს
იქ ელოდება თავისთან შეზრდილ დას, მტყორცნელს შორად.

ნეტარ გალხენდნენ აზმანი ესე დედუფალთანა!
აჰა, პირველად შენ გისმობ ქებით აედი შენი
და, როს გაამებ, მერმედა ვიტყვი სხვა საგალობელს.

აფროდიტას

კვიპროსზე შობილ კითერეიას შევწირავ ქებას,
თაფლის საბოძვარს მიუძღვნის მოკვდავთ, სანდომო სახით
უღიმის მარად და თან სანდომოს სთავაზობს ყვავილს.
ო, გიხაროდენ, შენ ჰსცავ კეთილად ნაშენ სალამინს
და ზღვაში გართხმულს იფარავ კვიპროსს. მოიღე ოდა;
შენდამო ქებას აწ შევუერთებ სხვა საგალობელს.

ჰირას

ოქროს საყდრიან ჰერას ვუვალობ, რეასგან შობილს,
უფალ მდედრს უკვდავს, გამოჩინებულს თვისი მშვენებით,
გრგვინვით მზახებელ ზევსის ღვიძლ დას და თანამეტხედრეს,
დიდებულს, ვისაც მაღალ ოლიმპოს ნეტართა დასნი
ეკრძალებიან ელვით ხარებულ ზევსის სწორად.

ღმერთბრას

ქებათა-ქება თმებით დაბურვილ წმინდა დედუფალს
დედამიწისას და პერსეფონეს, მის მშვენიერ ქალს.
ო, გიხაროდენ! ჰფარვიდე ქალაქს, გიმთავროს ოღამ.

ღმერთების ღდას

მიუძღვენ ხოტბა ღდას ღმერთთა და კაცთა ყოველთა,
ო, მუზავ, დიდი ზევსის ასულო ამოხმიერო.
შეებას მოჰგერიან ბობლანთა ხმანი, ტკბილი წინწილი,
სალამურები, ხან ართობს მგლების თუ აღლაღებულ
ლომთა ღრიალი, ხმობა მთებისა, ტყიან ხევხუვთა.
შენდა ხარებად და სხვა ღმერთქალთა ქება მსუროდა.

ლომგულოვან ჰირაპალს

ზევსის ნატამალს ჰერაკლეს ვაქებ; უნანარესთა
მროკველთ სამყოფელ თებეს ალკმენემ შვა მიწიერი,
ყოვლად რჩეული, ოდეს კრონიონს შეერთო, მრუმე
ღრუბლით დაბურვილს. საკვირველ ხმელს და ზღვას დაღაზავდა
ჰერაკლე უწინ, მეფე ვერისთევსს აღეძრა რკენად,
აზვავდა ბევრჯერ გმირი საზარი, ჭირმაც იძალა.
აწ თოვლიერი ოლიმპოს ნათელ საბრძანებელში
მკვიდრობს სიამით, გვერდს უზის ჰებე, სხმული ნატყიად.
მთავარო, ზევსის ძეო, ისარე და მემენ სვიანი.

აფხვსტოს

ამოხმიერო, დიდ—ხელოვანი ჰეფესტო აქე.
მას ათენასთან თვალმნათთან ერთად დამოწაფენ
ბრწყინვალე საქმის ცნობად მოკვდავნი, რომელნი უწინ
ნადირთა გვარად მთის ქვაბულების მკვიდრნი ყოფილან.
ღვთიან ოსტატის — ჰეფესტოსაგან საქმის მცნობელთა
სრულ წლითი წლადმდე უმფოთვრად განვლონ წუთისოფელი
და უღრტვინეველნი თვისი სახლობით ისიამებდენ.
მოწყალე მექმენ, მომეც, ჰეფესტო, სიკეთის დღენი.

აკოლონს

მითის თანხმად, აკოლონ ღმერთის ვაჟი მშვენიერი მონადირე იყო. იგი წყალში
გადავარდა და მამის ღვთიური ნებით გედად გადაიქცა. გელი ძველ ბერძენებს
აკოლონის ფრინველად მიაჩნდათ.

ო, სხივიერო ფებოს, შენს ქებას იმღერებს გედი
ფრთების შხივილით, ზე-ასხლეტილი პენეიოსის
ზვირთთა ჩქერალზე, და ამოხმიერ ფორმინგს აედიც
აჟღერებს შენთვის სრულ პირველად და უკანასკნელად.
აჰა, ისარე, მეუფევე, მსხვერპლად გალობა მომაქვს.

აწ დიდი ღმერთის პოსეიდონის ხოტბას ვიგალობ.
 ზანზარებს ხმელი, ზღვა მთლად ირხევა — ბერწი და უსთვლო,
 ზღვის მბრძანებელი სუფევს პელიკონს და გაშლილ აივს.
 ქვეყნის ძრვის ძალო, შუა გაგიყვეს პატივი ღმერთთა:
 რაშებს ჰხედნი და ხომალდებს ჰშველი, ვითარ ინებუ'.
 გნატრი ხარებულს, ლურჯი თმებით რომ ევლები მიწას,
 ხელს უმართავდე წყალში მავალთა გულმომობიერად.

ზავსს

ზევსს ვაქებ, დიადს და ურჩეულესს უკვდავთა შორის,
 ვინაც ვრცლად დაჰმზერს და დასდებს საზღვარს, მორტყმით მკდომელი,
 სშირად მიუგებს სიტყვას თემიდას, ჩამუხლულს მასთან.
 სახედველ-ვრცელო, მიწყალე, დიდო კრონოსის ძეო.

ჰესტიას

კერის დედფალო, შენ აპოლონის სხივმოისარის
 ნაკურთხ საყუდელს წმინდა პითოში თავზე ევლები
 და ზეთისხილის წვენი იმცვრევა შენი თმებიდან.
 ო, შინ შემოდი! უბრძნეი ზევსის ერთ სულ — ჰესტია,
 დედფალო, შინა! საგალობელსაც მადლი მოჰფინე.

დიონისეს

სილადის კიჟინს, სუროთი შემკულ ბახუსს ვუგალობ;
 ზევსს და სემელეს, ყოვლად საქებელს, ეშვათ მბრწყინვალე,
 თმამშვენიერნი ზრდიდნენ ნიმფები, უფლის მამისგან
 მიირქვეს მკერდზე, თავს შემოვლებით ეფერებოდნენ
 ნისის მთეულეთს; გამჩენის ნებით სამყოფლად ჰქონდა
 სურნელი მღვიმე, უკვდავ მეთუფეთ ვინაც შეერთო.
 და გამოზარდეს ოდეს ღმერთქალთა გალობის ღირსი,
 მოედებოდა თურმე ორგით ტყიან ხეობებს,
 დაფნა და სურო ჩაეწნა თმებში და ფერიები
 მისდევდნენ გუნდად, აღუწერელი ტყე გუბუნებდა.
 ო, დიონისე, სიმრავლედ გიხმობ ვაჟის მტევანთა,
 საწუთრო კვალად გაზაფხულობის მადლით აგვიგსე,
 აღყვავებულნი რათა მრავალ ჟამ შემოგზაროდეთ.

გეას — დედამიწას

დედა ყოვლადი, ფუძეკეთილი შევამკო გეა,
 დიდი ბერ-დედა, იგი მზრდელია ქვეყნად ყოველთა.
 რომელ იძრვიან ღვთიან მიწაზე, ზღვიერი თესლის
 და მფრინველების მეძუძური ხარ, უხვებით სრული.
 შვილებდნიერნი შექმნილან შენგან, ნაყოფმრავალნი,
 ხელმწიფე დედავ, სიცოცხლეს უძღვნი და თვით წარუღებ
 მოკვდავთა კაცთა. ვის სურვიელი შემოსავ პატივს,

ბედინს ვეტყვი; წყალობას მისცემ დაუშურველად.
დაბლა დაზიდავს მწიფვა მის ყანებს — ცხორების დვრიტას,
ხვასტაგს უმრავლებ და აღევსება სიკეთით სახლი.
სჯულდამარხულად იმეფონ შენით მწყაზარ დიაცთა
სამკვიდრო ქალაქს, შვებულ იყვნენ და ფუფუნულ ფრიად
და სიხარულის სინედლით ძენი განლადღებინ,
ასულნიც მათნი ფეროვან გუნდად ინავარდებენ
უცხო მდელოზე სიფრიფანა და ლბილ ყვაველებში,
ვის პატვის დასდებ, დაუვებელი და კრძალვის ღირსი.
დედავ უკვდავთა, ვარსკვლავ-მდიდარი ზეცის მეუღლევ,
აზმათა წილად მომმადლე ყოფა, გულის საამო,
და მეც შენს ქებას შევეურთებდე სხვა საგალობელს.

ქველი ბერძნულიდან თარგმნა ლიანა კვირიკაშვილმა.



I/8

მითხარ, ლიდიაჲ, წყალობა ჰქენი,
გსურს კი დაღუპო მაგ ტრფობისთვის სიბარინი მიჯნური შენი?
გამობრძმედილი სვატით და მტვერით,
დღეს სამარცხვინოდ დაიღალა სხივმოფენილ მინდვრების ცქერით.

5 ჩამოცილა ტოლები ძალით
და რახანია დასანახად აღარ უნდა ტიბერის წყალი.
აღარც ერევა მხედრების ჯარში,
გადააჩვია მოსართავს და მგლისკბილება საყბურს რაში.

10 მის სადიდებლად ის კმარა მარტო,
დღესაც კი ასსოვთ, მიჯნას იქით უტყორცნიან შუბი და ბადრო-
აღარ ამშვენებს ხელეზუე წყლული,
აღარ იკარებს, გველის გესლზე უფრო აფრთხობს ოლივიუმი.

იმალეა ვით თეტიდას შვილი,
იმალეობდა, არ აღეგუნო კაცურ სამოსს ბრძოლის სურვილი,
15 ომს განარიდეს, ჩაუკლეს ჟინი,
რომ არ სმენოდა ტრთას გლოვა, ლიკიელთა რაზმის ყიჟინი

I/21 წიგნი — 1; ოდა — 8.

მოდით, დიანას უგალობეთ, ნაზო ქალწულნო,
მოდექით, ყმანო, და აპოლონს უმღერეთ რიდით!
იუპიტერიც

მოვიხსენოთ ღმერთებზე დიდი!
5 ერიმანთუსის, ალგიდუს და კრაგუსის ტყეში
იმ ლალ დიანას მდინარით და მწვანით რომ ტკბება,
ტემპეს და დელოსს

აპოლონის მამულებს — ქება!
როცა მიუვა ჩვენი ლოცვა შიმკობილ ფეხებს
10 უბედურებას გადურჩება ცეზარი, რომი!
სპარსეთს, ბრიტანეთს


დაატყდება ჭირი და ომი.
I/24 წიგნი — 1; ოდა — 21.

განა საზღვარი დაედება ამ მწუსარებას?!
ის აღარ არის, დიდმა გლოვამ მოგვიცვა ყველა,
მწუსარე მღერა აყოლე კითარის კენესას
და შეც მასწავლე, ო, მელპომენე!
კვინტილიუსი საუკუნო შეიპყრო თვლემამ.
პატიოსნებას, ერთგულებას და სამართლის ქმნას,
ბრძნულად განჭვრეტას, მოუსყიდველ მართლმსაჯულებას,
მსგავსის მონახვა გაუჭირდება.

ის მიიცვალა მოყვასთაგან ცრემლების ღირსი,
ყველაზე მეტად, ვერგილიუს, შენ გმართებს გლოვა!
მაგრამ ვაი, რომ ამათა შენი ვედრება,
ის არასოდეს არ დაბრუნდება.
ღმერთთა თანხმობით მოპარული მერკურის ხელით,
დაუბრუნდება განა სისხლი ცარიელ აჩრდილს,

70

კონსტანტინე ლორთქიფანიძე



ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს დაბადების 70 წელს შეუძრულა: ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების, დაუცხრო-მელა შრომისა და ბრძოლის 70 წელი.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული კონსტანტინე ლორთქიფანიძე გასუხრელად იღვა ჩვენი მწერლობის მოწინავე რიგში: შემოქმედა და ჭარისკაცი. იგი იყო ქვეყნის განახლების მეშატიანე, ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე სოციალური პროცესების მხატვრულად გარდამოქმელი; ყოველთვის ეწიებოდა ასახვის ახალ ფორმებს; ქმნიდა წიგნებს, რომელთაც დიდი ხანია ქრესთომატიული ღირებულება შეიძინეს და რომლებზეც თაობები აღიზარდნენ; და ეს წიგნები საოცრად ჰკავდა მწერალს — წლებთან შერკინებისა და დროის დაძლევის დაუთრგუნავე ვნებით; მიღწეულის გამო გზნება-განელეზული ჭკრეტის უარყოფით, საკუთარი პრინციპების მარადი ერთგულებით.

თავისი მწერლობის არსი, ზნეობრივი საფუძველი და იდეურ-ესთეტიკური მრწამსი კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თვით გამოხატა სიტყვებით: „ნამდვილი მწერლობა ყველაფერს აიტანს — გავლენას, ენობრივ წაბორძიკებას, კომპოზიციურ ხარვეზებს, მაგრამ ვერასოდეს — სხვისი ნაფიქრალისა და ნახატის განმეორებას. ყოველი მხატვრული ნაწარმოები — ეს არის საკუთარი სამყაროს ძებნა და პოვნა. ის უნდა დაასახლო შენი ადამიანებით, აქ უნდა გააშენო შენი სოფლები და ქალაქები, იქ უნდა იდგნენ შენი მთები, მოედინებოდნენ შენი მდინარეები. აქ ყველაფერი შენი სიმართლით უნდა სუნთქავდეს, შენი სიმართლე უნდა განაგებდეს ადამიანთა ბედ-იღბალს“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ „საკუთარი სამყარო“ იმ ადამიანებით დაასახლა, რომელთა ზნეობრივი კანონი მუდმივი ქმედითობა, ბრძოლა და შრომა იყო; სამშობლოსთვის თავგანწირვა და მაღალი იდეალების მსახურება.

პრინციპულობას, ლიტერატურული პროცესების არსში გარკვევას, შრომას, დაუცხრომელ შრომას გვესწავლიდა იგი, როცა ეჟურნალ „ცისკარს“ რედაქტორობდა, და დღეს ეჟურნალი „ცისკარი“ თავისი მრავალათასიანი მკითხველის სახელით ულოცავს მსცოვან მწერალს სახელოვან თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ხანგრძლივ შემოქმედებით ცხოვრებას.

საყურადღებო მოტივი მწერლის შემოქმედებაში

იმ ქართველ მწერლებს შორის, რომელთაც ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში პირადი მონაწილეობითა და ფრონტზე ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის მხატვრული ასახვით თავი ისახვეს, ქართული საბჭოთა პროზის შესანიშნავ ოსტატს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თითქმის წარმოუდგენელი ისეთი ქართველი მკითხველის არსებობა, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების: „მწვანე დიდი“, „როგორ მოკვდა მოხუცი მებადურა“, „უსახელო მალაობზე“, „სოკვილი ცოტას მიიციღის“, „ერთი ღამის საუკუნე“ და სხვათა წყაობით რომ არ მოხიბლულიყოს. ამ მოთხრობების დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ მათი ნაწილი უშუალოდ ომის მსვლელობის პერიოდში გამოქვეყნდა და დიდი როლი ითამაშა სამშობლოს დამცველთა თავდადებისა და შეუპოვრობის განმტკიცების საქმეში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, როგორც ასახანი პრობლემის შესანიშნავ შემჩვენს, მოთხრობის ფაბულურ-სიუჟეტური ქარგის ნატიფად გამოშვრელს, უადრესად ტევადი და შორსგამწვდომი ენის პატრონს, თანამედროვე ქართულ პროზაიკოს მწერალთა შორის ბევრი პირადელი ვერ გამოეყენება. მის მიერ სხვადასხვა დროს მხატვრულად დამუშავებული თავისი თანადროული მტკიანეული საზოგადოებრივი საკითხებისადმი პასუხისმგებელი მრავალი თემა. „კოლხეთის ცისკრისა“, „ნატორის თვლისა“ და „ჩრდილი გზაზეს“ ავტორი ყოველთვის შეუპოვრად ეკიდებოდა დროის მიერ მის წინაშე დაყენებულ აქტუალურ პრობლემებს და ამ მეტად ნაყოფიერი მწერლის შემოქმედების ძირითადი მოტივები დღეს სათანადოდ შესწავლილ-განალიზებულთა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში.

მაგრამ კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში არის ერთი ფრიალ საყურადღებო მოტივი, რომელიც

მელიც დღემდე სათანადოდ არ შესწავლილა და არ განხილულა. ეს გახლავთ მწერლის ნაწარმოებებში საბჭოთა კავშირის მოძვე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრული ასახვის საკითხი.

დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ კ. ლორთქიფანიძის ყველა მოთხრობაში ცენტრალური ფიგურა ქართველი ჯარისკაცია. სწორედ ჯარისკაცი, ხალხის შეუავლიდან ამოღებული ერთეული და არა რომელიმე გამოჩენილი სარდალი.

გერმანულ ფაშისტ-დამპყრობთა ხელყოფისაგან თავისი მიწა-წყლის გადასარჩენად ბელორუსიასა თუ უკრაინაში, მოსკოვთან თუ სტალინგრადთან, დონზე თუ ყუბანზე, კავკასიონისა თუ კარპატების მთებში თავგანწირვით მებრძოლი ქართველი ჯარისკაცის მარადმოხიბლავი სახის დახატვას კ. ლორთქიფანიძემ დაუზოგავად დაახარჯა მთელი თავისი მწერლური აღლუ და სითბო, თავისი შთაშავონებელი ენობრივი საგანძურის დიდი მარაგი.

ქართველი ჯარისკაცისათვის დამახასიათებელი თვისებების ოსტატური განოვადლება, ინდივიდუალური თავისებურებების შერწყმით მარჯვად ჩამოგვირისტებული ტიპების შექმნა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ფრონტული მოთხრობების მხატვრული ღირებულების მთავარი ფაქტორია. ჩვენის აზრით, ვერც ერთმა სხვა ქართველმა მწერალმა ვერ მოგვცა ქართველი ჯარისკაცის ისეთი ცოცხალი და დამაჯერებელი სახეები, როგორც არიან კ. ლორთქიფანიძის: ლადო ვაშალიძემ, ვიორგი მუმლაძემ, იონა მებუკი, ვარლენ ჯამყარიანი და სხვები. ამ საქმეში კ. ლორთქიფანიძის, დიდ მწერლურ აღლუსთან ერთად, იმასაც უნდა ვუმალოდეთ, რომ მწერალი თვით იყო ჯარისკაცი, რომ ფრონტელი ჯარისკაცის ლხინი და ჭირი, ფიქრი და ურვა სულ ახლოს, დაინახა, რომ მწერალი შეგნებულად მივიდა ასე ახლოს ასახას ობიექტთან, ღრმად ჩასწვდა მისი სულის

ფორაიქს და შედეგად: — უკვდავი, მომხიბლავი ნაწარმოებები, გაუხუნებელი სახეები, მარად შთაბეჭდილად ებიზოდები.

კ. ლორთქიფანიძის, როგორც ფრონტელი კორესპონდენტისა და მწერლის თავდადებაზე ბევრი თქმულა. განსაკუთრებით ნათლად ამის შესახებ მოგვითხრობს ფრონტელი ჟურნალისტი არჩილ ცოკლაშვილი ნარკვევში „როცა კალამი ხიშტს გაუტოლდა“ („მნათობი“, 1970 წ. №—5). ხსენებულ ნარკვევში კ. ლორთქიფანიძის მხედრული ცხოვრების ამსახველ მრავალ ეპიზოდთა შორის ეკითხულობთ: „ანანის მისსადგომებთან, იერიშის წინ გაზეთში დაბეჭდილი მოწინავე წერილი — „გახსოვდეს“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნოდა. იგი დაწერილი იყო დიდი ვრძობით და მტერზე შურისძიებისათვის მოუწოდებდა ქართველ ჯარისკაცებს. „სამშობლოს დამცველი“ სხვა ისტორიულ მასალებთან ერთად თავის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდვდა ბრძოლაში განსაკუთრებით სახელმწიფო მემორებზე ნარკვევებს, ჩანახატებს და პოეტურ ნაწარმოებებს. ამ მხრივ განუზომელი იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამხედრო-ლიტერატურული შემოქმედებითი შრომა. ნომრიდან ნომერში სისტემატურად იბეჭდებოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევების ციკლი საერთო სათაურით: „ტანანისაკენ“, ჩვენი ვაზთის მეთიხველებმა მალაღი შეფასება მისცეს მისსავე დოკუმენტურ მოთხრობას „უტანის კალთებზე“. კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებული სიყვარულთა და პატივისცემით სარგებლობდა რედაქცია-სტამბის პირად შემადგენლობაში, მთელი ჩვენი შენაერთის მემორებში“. ან კიდევ: „ჩვენთან მყოფ კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც ჯარისკაცული ცხოვრების პირობებში უხდებოდა ბრძოლა და შრომა. მისი მადლიანი კალამიც ხომ ამ შემთხვევაში ხიშტის თანასწორი იყო. ამიტომ იგი ნამდვილად ბრძოლაში იყო თავისი ნაწარმოებების გმირებთან ერთად, მათთან ერთად მიდიოდა შეტევასა და იერიშზე მტრის წინააღმდეგ და თავისი ვმირების პირადი მაკალითობი აღფრთოვანებდა ქართველ მეთორებს“.

ვინაიდან კ. ლორთქიფანიძის ფრონტული მოთხრობების მთავარი გმირი ქართველი ჯარისკაცია, მწერალს, ბუნებრივია, არ შეეძლო მოეცა ეს ჯარისკაცი მარტოხელა და კოლექტივის მოწყვეტილი. ისეთი ფართო ხედვით დიამაზონის მწერალს, როგორც კ. ლორთქიფანიძეს, არ შეიძლებოდა ვერ დაენახა ის ცხოველი საბრძოლო თანამეგობრობის მომხიბლავი მაკალითები, რომლებიც მას ყოველ ნაბიჯზე ხედებოდა ფრონტის ქარცეხიდან გზებზე. ამიტომ თვითიული პერსონაჟის მხატვრული სახე თანამებრძოლთა მეგობრულ და მტკიცედ შედუღებულ კოლექტივში ვითარ-

დებს. სწორედ ამან განაპირობა კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში საბრძოლო თანამეგობრობის ასე ცოცხლად და ხელშესახებად წარმოჩენება. საგულსხმოა ისიც, რომ განსაკუთრებული მოწოდებითაა შესრულებული ის ეპიზოდები, სადაც თანამეგობრობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ძმური ერების წარმომადგენლები.

ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების წარმომადგენელთა საბრძოლო თანამეგობრობის თემა მაგისტრალურ ხაზად გასდევს კ. ლორთქიფანიძის ფრონტული მოთხრობების საუკეთესო ნაწილს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ აღნიშნული მოტივის მთლიანი სახე კ. ლორთქიფანიძის მოთხრობების ანალიზის საფუძველზე.

მოთხრობა, „მწვანე ღილი“, სიუჟეტურად საკმაოდ მრავალწახანგოვანი ნაწარმოებია. ამ არც თუ ისე დიდ მოცულობის მოთხრობაში რამდენიმე სინტერესო პერსონაჟია გამოყოფილი, მაგრამ მათ შორის მთავარი მაინც ორი: ქართველი ჯარისკაცი ლადო ვაშალიძე და კახაი ქალიშვილი სვეტლანა ვერშინინა.

მოთხრობის პირველსავე სტრიქონებში მკითხველს თვალში ეცემა ერთი მგზავი სინტერესო გარემოება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქართველი ჯარისკაცის ლადო ვაშალიძის რაინდული საქციელით მოხიბული, გერმანელების მიერ ჩამოხრჩობილ ქალიშვილზე — სვეტლანაზე მგლოვიარე კახაი ქალი ნატალა ყოველ შემხვედრ ქართველ ჯარისკაცში მისი ქალიშვილისათვის შურისძიებელს ეძებს. ქართველი ჯარისკაცი ამ დათაბული დედაყვის შეგნებაში არის მშობლიური ქვეყნისა და პირადად მის მოსისხლე მტრებზე, გერმანელ ფაშისტებზე ჯავრის ამომყრელი, სიმწრისაგან მის გულში დაგუბებული შურისძიების დაუოკებელი სურვილის აღმსრულებელი. სიტუაციულად, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული, გულში ჩამწყდომი ფრაზებით აგვიწყრის ავტორი ამ დედაყვის ამბავსა და მისი შეხვედრით გამოწვეულ განწყობილებას ჯარისკაცებში: „ვისაც შემოდგომის დამდევს, კავკასიონის კალთებზე გაჩაღებული ბრძოლების დროს, სოფელ ციხეზე ზად გაუვლია, უთუოდ ახსოვს ზანშინესული დათაბული ქალი... იგი მუდამ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა გზისპირა ჩრდელში დასასვენებლად მუხლჩაყვიარე ჯარისკაცებს: „ქართველი თუ არის აქ ვინმე?“ და როდესაც ქართველს იპოვინდა, ნაღვლიანად ეტყოდა: — მოდი აქ, შვილი! ნუ დაიხარებ თუ ღმერთი გწამს! ეს მწუხარე დედა ქართველ ჯარისკაცს

გიორგი ავალიანი
საქართველოში მოტივი მფარლის
შემომამდგამაშო



მისი ქალიშვილის სვეტლანას სახლავთან მიიყვანდა და ეტყოდა: „აქ მარხია ჩემი სიცოცხლე... ჩემი სვეტლანა! ქაჯთან ნაწოლი დედაცის ნაშიერმა მომიკლა იგი... შენ ბრძოლაში მიდხარ, შვილო, ერთ ტყვიას ჩემი შვილის სახელი დაარქვი!“².

თხრობის ასეთი დებიუტით მკითხველს უდიდესი ინტერესი მოიკავს. ჯერ ერთი, ის გრძნობს, რომ სვეტლანას აზოები თავისთავად საინტერესო უნდა იყოს, რომელიც გვიჩინებს ქალიშვილისა, რომელიც გერმანელებმა ჩამოახრჩვეს, მეორე, რომ სვეტლანას თავგადასავალი ისე მკვიდროდა დაკავშირებული ქართველთან, რომ დედამისი სწორედ ქართველ ჯარისკაცებს თვლის შურისმაძიებლებად. და როცა თხრობა უშუალოდ სვეტლანასა და ლაღოს ურთიერთობის ამბავს მიადგება, მკითხველს განუზომელ სიამოვნებას ჰკვირის აქ მოთხრობილი ამბავი.

დაჭრილი ქართველი ჯარისკაცის ლაღო ვაშლომიძისადმი კახაკ ვერშინინების ოჯახისადმი გულთბილი მოპყრობა ერთი შესანიშნავი მაგალითია ამ თემზე შექმნილ სახეებსა და სიტყვებს შორის მთელ საბჭოურ ლიტერატურაში. მტრის ზურგში ჩარჩენილი დაჭრილი ჯარისკაცის შეფარება და მოვლა-პატრონობა ბევრ ნაწარმოებში გვხვდება, განსაკუთრებით რუსი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში, მაგრამ ისე ორიგინალურად და დამაჯერებლად, როგორც ეს დახატულია „მწევანე დღეში“, ჩვენ იშვიათად გვეგულება. განუზომელად ზრდის მოთხრობილი ამბისადმი ინტერესს ის ფაქტიც, რომ დაჭრილი ჯარისკაცი ქართველია, ხოლო მისი შემოვარეული და მასთან მზრუნველი მასპინძლები კი ჩრდილო კავკასიელი კახაკები, ე. ი. ისინი სხვადასხვა ერების წარმომადგენლები არიან. მკითხველი ალტაცებაში მოდის, როცა ვერშინინების მიერ უკვე სიკვდილს გადარჩენილი ლაღო ვაშლომიძე ღრმა ბუჩხანიდან გამოერკვევა და მას მიჩვეულსავე წამში ქართული სიმღერა „სულიკო“ მოესმის. ეს სურათი მისთვის ჩვეული სინატიფით აქვს აღწერილი მწერალს.

როგორც ლაღო ვაშლომიძის, ისე სვეტლანა ვერშინინას მხრივ, აქ ყურადღებას იპყრობს ერთი არსებითად მნიშვნელოვანი მოვლენა: მართალია, მას შემდეგ, რაც ლაღო სიკვდილს ვადარჩა, სვეტლანას იგი შეუყვარდა და ეს სიყვარული თანდათან გადაიზარდა საქმროს სიყვარულში. ახლა უკვე, როცა სვეტლანა ლაღოს შესცქერის, როგორც მომავალ მეუღლეს, მისი სათუთი ზრუნვა ლაღოზე ბუნებრივია და რაიმე განსაკუთრებულ საქციელად არ ჩაითვლება, მაგრამ განა მაშინ, როცა მომავლადვი ჯარისკაცი იპოვნეს, ასეთ რამეზე შეეძლო ეფიქრა სვეტლანას? განა ცოტა ზრუნვა დასჭირდა ლაღოს გამოკეთებას? განა აშ-

კარა თავგანწირვა არ გამოცადა მან მისთვის უცნობი დაჭრილი წითელარმიელის ლაღო ვაშლომიძის გამო? ჯერ ერთი, დაჭრილი წითელარმიელის შემოყვანა გერმანელების მიერ დაკავებულ სოფელში აშკარა საფრთხეს უქმნიდა დედა-შვილს და ცხადია, ამ საქმეში მთავარი როლი სვეტლანამ ითამაშა.

სვეტლანა ვერშინინა ლაღო ვაშლომიძის გადასარჩენად ამოქმედა არა უბრალო ქალურმა ღრმამ მისიზღველი ვაკეციასადმი, არამედ ღრმა პატრიოტულმა გრძნობამ, სამშობლო ქვეყნის განსაცდელის ეამს რაიმე მნიშვნელოვანი საქმის ჩადენის დაუოკებელმა სურვილმა, სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა პატრიოტი ახალგაზრდის მიერ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნებამ. ფრიად მომხიბლავია, აგრეთვე, სვეტლანას დედის, ნატალია ვერშინინას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და მტყიერ ნებისყოფა. მწერალი უყარადღებოდ არ ტოვებს ამ ფაქტს. იგი დაწერილებით აგვიწერს, თუ რაოდენ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული დედა-შვილის მიერ დაჭრილი, გრძნობაწარმოებული წითელარმიელის სახლში მიყვანა და გადამალვა, მით უმეტეს, რომ სიტყხანი ზოდავდა, ბორჯავდა, ხმაურობდა და ამით აშკარა საფრთხეს ქმნიდა. ასეთ შემთხვევაში სხვა, უფრო სუსტი ნებისყოფის დედაკაცს იქნება არ გაეწია ამხელა რისკი და მიუხედავად ქალიშვილის მონდომებისა, თავი დაეწებებოდა დაჭრილისათვის, მაგრამ ნატალია ვერშინინა ასე როლი იქცევა: „მაღე მივალთ საქართველოში?“ ჰკვიროდა საწყალი და დედა-შვილს ხელიდან უხსლტებოდა. საოცარი იყო, სიღან ამოქაონდა ამდენი ძალა! ძლიეს იჭერდნენ გაშმაგებულს. — დამწვიდელი მაღე მივალთ! სულ მაღე! — ემუდარებოდა შიშისაგან გულგახეთქილი ქალიშვილს უკლავდა მისი სიცოცხლობა. „მაღე მივალთ საქართველოში?“ არ ცხრებოდა დაჭრილი და მხლებლებმაც არ იტოდნენ, როგორ გაეჩუმებინათ იგი. ხან ალერსიან სიტყვას ჩასაბხოდნენ ყურში, ხანაც ამინებდნენ, სოფელში გერმანელები დგანან და ყველანი დავიღუბებითო... ვერაფერი შეაგონეს. შორიდან ისმობდა ძაღლების ძილმორეული ყვივა. ბუნდად მოჩანდა კორტოხებზე აღანდული ბნელფრთიანი წისქვილი. მაშინ რაღა ჰქნან, კალოებს რომ გასცდებთან და სოფელი დაიწყება! შინ როგორ შეაპარონ ეს ნახევრად ვაგაყებული კაცი! იქნება აქ სადმე ლელიანში დამალონ და ხეალამ მოაკითხონ, მაგრამ ხვალამდე გედისამარად როგორ გასწირონ ეს უბედურის!“³

აი რაოდენ მძიმე თავსატეხი გაუჩინა ლაღო ვაშლომიძემ დედა-შვილს, მაგრამ განსაცდელის შიშს აჭობა სიკეთის გაკეთების სურვილმა, მაღალმა მორალმა, სინდისში ღრმად ჩაქედლიმა ადამიანური პასუხისმგებლობის

გრძნობამ და წამოწყებული საქმე დედა-შვილმა ბოლომდე წარმატებით მიიყვანეს.

საინტერესოდ ანეოთარებს მწერალი ლადო ვაშალიშვილის გრძნობებს სვეტლანასადმი. პირველ წუთებში, როცა ლადო გამოერყევა და გონს მოეგება, მისი ფიქრები და პირველი შეგრძნებები მხოლოდ მშობლიურ ოჯახთან არიან დაკავშირებული. ეს იმიტომ ხდება, რომ მწერალი ლადოს გონებას წაართმევს, სწორედ საქართველოზე, მშობლიურ სოფელზე, დედამამაზე ფიქრებში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ლადო უგონოდ იყო, მისი ტვინი ამ ფიქრების ინტენსივობით მუშაობდა და აი იგი გამოერყვა ქართული სიმღერის მელოდიის ქვეშ. აქ დიდად საინტერესო სიტუაციას ქმნის ავტორი. სვეტლანა ლადოს პირველად შეხედვით დემორტალად წარმოუდგება იმიტომ, რომ ეს ქალიშვილი ლადოს მშობლიურ სიმღერას მღერის. სწორედ ამიტომ დაუდგა მომკვდავ ვაჟაკის თვალწინ ეს ქალიშვილი, როგორც ღვთაება. დიახ! ეს რამ არ ყოფილიყო, ლადო ალბათ კიდევ კარგა ხანს არ მიაქცევდა ყურადღებას სვეტლანას გარეგნობას, იმ წუთებში, როგორც იტყვიან, ამისი თავი არ ჰქონდა დაჭირდა. „შეხვდა და თვალი ზედ დარჩა, ისე გამშვენიერდა ახლა მისი უცნობი მომღერალი. მუქი ვარდისფერი ლოყები შეუღვლიდა, შეუზე ლამაზად გადატეხილ წარბებში რაღაც ჩუმი ვაოცების ნიშანი ჩაებტვა: წრფელი და უმანყო კელუტობის ღიმილმა გაუბრწყინა დედრონი ცისფერი თვალები. მისი სილამაზის მარტილი ამ შეუქან, სანდომიან თვალებში იყო, ცოტა სხვანაირად მღეროდა „სულკოს“ ეს თვალმაზარა გოგო, მაგრამ, ეტყობოდა უყვარდა და დრმად განიცდიდა ჩვენებურ სიმღერას: ხმის ყოველი ძაფი ალერსში უდნებოდა და ლადოს გულს უფროაქებდა. „ნეტბოდა ერთი დედამამიშვილები ვიქოთ, რომ გულზე მიგიკრა და მოგვეციო!“ — ფიქრობდა დაჭირილი და მისი გულის კედლები განზე მიჰქონდა უსახურო სინაზის გრძნობას.“⁴

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს საოცრად ეხერხება მთავარი ამბის თხრობაში განსაკუთრებული ემოციურობის გამოწვევი ეპოზოდების ჩართვა, მთავარი მომქმედი გვირგების ვერტიკალი მოულოდნელად მეორეხარისხოვან, მაგრამ მეტად საინტერესო სიტუაციების შემქმნელი პერსონაჟების გამოყვანა. მოთხრობაში „მწვანე ღილი“, ამ მხრივ, განსაკუთრებით მომხიბლავია ვერშინინების მეზობელი ქალის, ქვრივი მამუნკას და მოხუცი ტრაქტორისტის გირსკის სახეები.

მამუნკა რაღაც მანქანებით მოხვდა, რომ ვერშინინებს დაჭირალი წითელარმიელი ჰყავთ დამალული, მან ისიც იცის, რომ ამ მძიმე დღეებში მარტო ვერშინინებს გაუჭირდებათ დაჭირალი ვაჟაკოს გამოკვება, მითუმეტეს, რომ სახლში

ქალები-ლა დარჩნენ. მამუნკას უმართებულად მიაჩნია ამ სიძიმის მარტო ვერშინინების ოჯახზე მინდობა, მაგრამ არ უნდა გამოუტყდეს ვერშინინებს და დააფრთხოს ისინი. მას ვერშინინებთან მიაქვს ფიქლი და არმუნებელი ნატალიას, თითქმის ეს ფიქლი იმათგან ნასესხები ჰქონდა. როცა ნატალია ვერშინინებს, თუ როდის ისესხა, მამუნკამ მისგან ფიქლი, მამუნკა ეუბნება: „ეხ, ჩემო კარო! ამათ ხელში კაცს შვილის სახელი დაავიწყდება, არამც თუ ვალი და ვახში, კოთხო გამოცალბე და ვამიქო, სახლი მარტო დაეტოვე“⁵ მამუნკას გულსწავებს ხედება ნატალია, მაგრამ სჯერა მამუნკასი, იცის, რომ არ გასცემს და ამის შესახებ, როგორც კი მამუნკას ვაისტუმრებს იგი სვეტლანას ეუბნება: „აქაქი, შვილო, იცი, ეს ფიქლი მამუნკამ ვის მოუტანა? ჩვენს სალდას მოუტანა.“ შემინებული სვეტლანა აღმოფთებულად შეპყვირებს: „რას ამბობ, დედი!“⁶ მაგრამ ნატალია მშვიდად პასუხობს: „ეი შვილო, კი! აბა მამუნკას მისხალი არაფერი წაუღია ჩვენგან არც ამ ვახაფხულზე და არც იმ ვახაფხულზე... ეს იმიტომ გამოიგონა, რომ ყველაფერი იცის — ვის ვმალავთ და სად ვმალავთ, მაგრამ სათქმელს არ გუეუბნება, შემინდებინაო. ფიქრობს... თანაც ხედავს კოდი ცარიელი გვაქვს და... ხელი მოვიკიბართა რა ქალია, დაილოცოს მაგის ქალობა“⁶ ამის შემდეგ დამშვიდდება სვეტლანაც, რომელსაც ღრმად სჯერა მეზობლების მტკიცე ნებისყოფი და მაღალი შეგნებულობისა. იგი ამ შემთხვევას გაუმხელს ლადოს, რომელსაც უკვე აღარაფერს უმალავს, მაგრამ თანაც აშვიდებს: „შენ მაინც ფიქრი ნუ ვაქვს, ლადო! მეზობლებმა კიდევ რომ დაგინახონ, ხმას ვინ ამოიღებ! მკერდით ვედაგუფარებინა“⁷ ამ ამბავს დედა-შვილმა ბებერი ფიქრობა დედა-შვილმა მოაყოლეს, მაგრამ ბოლოს მათი იმედი გამართლდა: მამუნკა გულწრფელი და სიამელო გულშემატკივარი აღმოჩნდა. დედა-შვილის შიშში საოცრად პირდაპირ გადადის მკითხველზე, რომელიც გულსინდელად ელოდება მამუნკას მხრივ ღალატს. მას ძალაუფლებურად მამუნკა მოგზავნილი ჰგონია და როცა ეს არ მართლდება განსაკუთრებული სიცხადითა და კმაყოფილებით წარმოუდგება თვალწინ ის მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც საბჭოთა ადამიანების უმრავლეს ნაწილს ამოძრავებდა, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში და მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩენილთაც კი.

საინტერესოდაა დახატული მოხუცი ტრაქტორისტის — გირსკის სახე. იგი გულით ცდი-

გიორგი ავალიანი

საყურადღებო მოტივი მწერლის შემოქმედებაში



ლობს ზიანი მიაყენოს მტერს. ვანუზომელი ფიზიკური ტკივილების ფასად უჭიდება პურის ლეწვის ჩაშლის ცდა. კარგად იცის, რომ ამ პურს მისი სამშობლოს დამყარობათა საქმელად ამზადებენ და ამ შეგნებით გამხსნევებული თავისი მიწა-წყლის ასათრებლად შემოსეული მტრის უსაზღვრო სიძულელით ანთებულ, პეტყე მამულიშვილის თვისებებს გამოივლენს. ჭალათის მთარაზმა ვერ გასტეხა გირსკის ნებისყოფა და რომ არა სვეტლანას მოულოდნელი და წინდაუხედავი, ამასთან უნებლიე საქციელი, პურის ლეწვას არც დაიწყებდა.

მრავლ მძაფრ სიტუაციათა ორომტრიალში მოაქცია ავტორმა სვეტლანა ვერშინინა, ეს ხალასი გრძობებით აღტურკული ქალიშვილი, ვანუზომლად კმაყოფილია იმით, რომ სასიკეთლოდ ვანწირული წითელარბიელი გაღარჩინა, შემდეგ თავის გადაჩენილისადმი გულწრფელი სიყვარულის გრძობით განიმსკვალება. ეს პირველი ცეცხლია, ნორჩ გულში რომ დაიანთო. საბედნიეროდ, სვეტლანას უმანკო გრძობა მხურვალე თანაგრძობის ხედვება ლადოს გულში და დედა-შვილის მიერ წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობის კარნახით დაწყებული მზრუნველობა მალე ნათესაურ ურთიერთობასა და მზრუნველობაში გადაიზარდა. ამ მზრუნველობით დაეკრა ლადოს ხალათზე „მწვანე დღი“.

სვეტლანა თავს ბედნიერად გრძობდა და მრავალ გეგმებს სახავდა მომავლისათვის, სრულად შესაფერის წყილს უსაზღვროდ უყვარდა ერთმანეთი. ავტორი მონღოლებით აღწერს მიჯნურთა ყოფას და ერთი მომენტის დაბატვით ნათლად წარმოგვიდგენს მათი კეთილშობილური გრძობების სიწმინდესა და უმწიკველობას: „იღბანს ისხდნენ სანიავოზე, მხარი-მხარ მიხედობილი. ტბილად ფეთქდა სისხლი ქალ-ვაჟის შეერთებულ ხელისფულებში. აღტაცებული ტიტინებდა სვეტლანა, როგორ გადავლენ სამშვიდობოს და როგორ გამოცხადდებოან ლადოს ნაწილში, როგორ შეგხვეწება სვეტლანა ლადოს უფროსს, თქვენიან სანიტრად დამტოვეთ. მერე როგორ დამწვენდება სამხედრო ტანსაცმელი და როგორ წარბშეუხრცლად გაჰყვება ბრძოლაში ლადოს... ახლა ეს ომიც გათავდება და საქართველოში ჩავლენ და როგორ გაუკვირდება პირველ ხანებში დედამთელ-მამამთილთან ქართულად ლაპარაკი და როგორი მოსიყვარულე ცოლი და დედა იქნება. და სვეტლანა თვალებს ხუტავს, რომ ყველაფერი ეს კარგად დაიანახოს.“⁸ ისევე საქვეყნო საქმე, ისევე გვირბაზე ოცნება და სამშობლოს დაცვისათვის თავდადებაზე ფიქრია პირველ პლანზე მეოცნებე ქალიშვილის გონიერებაში. ლადოს სიყვარულმა და ამ საყვარელი აღამიანის დაკარგვის შიშმა ერთი წუთითაც ვერ შეუცვალა მისწრაფება. რასაკვირ-

ველა, ომის შემდგომი ცხოვრების ძირითადი კონტურებიც უკვე მოხაზული აქვს გამოვლინებულ ამ ქვეყანა და ოპტიმისტ ქალიშვილს. მაგრამ ეს ტბილად ნაფიქრ-ნაზარევი, ეს ოცნებებში გამოკვეთილი მომავალი ცხოვრება არ აუხალა ავტორმა სვეტლანას და თითქოს სურდა, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო თავისი გმირის სრულყოფილებაში, მეტად რთულ სიტუაციაში გააბა იგი. ეს უკანასკნელი გამოცდა სვეტლანასათვის საბედისწერო აღმოჩნდა; იგი ფიზიკურად შეეწირა ამ შემთხვევას, მაგრამ მისმა ლიტერატურულმა სახემ, როგორც ჰუმანიტად პატრიოტი ქალიშვილის განსახიერებამ კი ამით ბევრი მოიგო.

როდესაც ლადოს მეწევაობით სვეტლანა მიხვდა, რომ თავისი ვულგარული საქციელით ფაქტობრივად მტრებს დაეხმარა, ელდა ეცა. „მამე მე მტრის საქმე გამოეყოფილა!.. აღწვითებით წამოიძახა და ამ წუთიდან სულ სხვა გეგმა დაუსაზა თავის თავს. გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამოეყვიდა დანაშაული, რომელიც უნებურად ჩაიდინა. იგი უნარს ამბობს ლადოსთან ერთად გაქცევაზე და ამაში ისე საზრიანად არწმუნებს ლადოს, რომ ლადო წინაღმდეგობის გაწევას ვერც ბედავს. „უკური დამიგდე, ლადო. შენი ქირიმი! მუდარით მიიხრა მან: — ასე შერცხვენილი.. თავ-მოჭრილი სოფლიდან როგორ წამოვიდე! ხვალ მთელი სოფელი დედაჩემს პირში მიახლის. შენი მოლაღატე შეილი საღ არისო! საწყალ დედაჩემს ჩემი დაბადების დღე უნდა დავაწყველიო!.. ხალხის ამბავი ხომ იყო... ომი გათავდება, ლადო! ცხოვრება კალაოთში ჩადგება... მერე მე აღარ მინდა ჩემს სოფელში დაბრუნება? ხალხი რას მეტყვის! რას მეტყვიან მეგობრები? მამინე ვინდა დამიყვრებს, რომ ჩემი გული წმინდა იყო...“⁹ იმდენად გონივრული და სწორი მოჩვენება ლადოს ეს სიტყვები, რომ გარდა დასტურისა, ვერაფერი მოახერხა: „ერთი ორი წამი ხმა ვერ ამოვიდე; სიყვილი არ გამომხსენდება ისე, როგორც მამინე სიბართლის თქმა გამომხსენდა. — შენ მარ. იალი ხარ, სვეტლანა! — ვუთხარი და მთელი ძალ-ღონე მოვიყრიბე, რომ მეტი არაფერი მეტქვა... არ მეტქვა, როგორ მიკვირდა მასთან დაშორება.“¹⁰

ახლა მივეყოთ სვეტლანასა და ლადოს მოქმედების ლოკატორ აზრს, მრტლოდნელად შექმნილ მიმე მდგომარეობაში მათი საქციელის სისწორე დროისა და ადგილის გათვალისწინებით შევადარებოთ და შესაფერისი მსჯელები გამოვუტარებოთ მათი მოქმედების შედეგს: უტყუარმა შემთხვევამ მოხუც გირსკის სიბრალეული შეპყრობილ სვეტლანას ისეთი საქციელი ჩაადენინა, რომელიც, მართლაც, თავისუფლად შეიძლებოდა დალატად მიანთლულიყო. მთელი სიმძიმე მამ შემთხვევისა იმაში მდგომარეობდა, რომ სვეტლანა ამას ვერ

გრძნობდა. მას გულწრფელად უკვირდა, თუ ვირსკიპ მადლობის ნაცულად რატომ შეაქცია ზურგი. ამ გაურკვეველობიდან სვეტლანას ლაღი გამოიყვანა. იგი, როგორც უახლოვეს მეგობარი, აგრეთვე გულწრფელად ეხმარება სვეტლანას მდგომარეობაში გაერკვეს. ლადოს გულწრფელობა სვეტლანასადმი და იმის სახელის შეურყენლობისაღმებ რზუნვა იმაშიც გამოიხატება, რომ დიდი ტრაჯიის ფასად უყოყმანოდ თანმხლებდა, სვეტლანას დარჩენაში. შემდეგ კი ირკვევა, რომ სვეტლანას მართო საერთო და დედის სახელის შელანდღვის შიში როლი ამორბავებს: თურმე მან გადაწყვიტა, ძირიანად ამოძრავოს მის მიერ უნებურად ჩადენილი დანაშაულის შედეგი. იგი თავს გასწირავს, მაგრამ უნებურად პურის ლუწვაში ვაწეულ დახმარებას არ შეარჩენს ფაშისტებს, არ ასარგებლებს მათ ვალეწილი პურით. ავტორი ლაკონურად გვაშინობს, რომ: «ლადოს წამოსვლის მესამე თუ მეოთხე ღამეს სვეტლანამ ცეცხლი წაუკიდა ტვის კალოებს. შეიდასი ურემი ძნა ისე დაიწვა, ფერფლისა და ნაცირის ნეტი არაფერი დარჩენია მტერს. დაიწვა აგრეთვე ტრაქტორი და საღეწავი მანქანა.»¹¹

სამშვიდობოს გასული ლადო პირველსავე შესაძლებლობისამებრ მეგობრების სამშველად გამოემუშაბა, მაგრამ ვერ მოუსწრებს. მოსახდენი უკვე მოხდა. ჩადენილის გამო სვეტლანა შეიპყრეს და ჩამოახრჩვეს. აქაც სულ ორიოდ სიტყვით ახტრხებს მწერალი თავისი პატრიოტი გმირის სულიერი სიღაღის დიდი დამაჯერებლობით წარმოდგენას მეტოქეების წინაშე: «მოელი ღამე აწამეს სვეტლანა: გათენებისას, ჩამოსახრჩობად რომ მიჰყავდათ, პოლიციელებს ეხვეწებოდა თურმე, ჩემი სახლის წინ ნუ ჩამატარებთო. თერამეტ ნოემბერს ლადო ვამალომიძის ათეული პირველი შეიკრა სოფელ ცემაში. დარღისგან გათეთრებული დედა გამშრალი იდგა ნასახლარზე.»¹² ამით მთავრდება მოთხრობა და მკითხველი ბოლომდე მხოლოდ აქ არკვეს იმ გაუგებრობას. თუ რატომ მიანცდამინც ქართულს ეძებს გამწეულ ქარში თაღებიანი ქალი, რათა თავისი ქალბინის სიკვდილისათვის შურისძიება სთხოვოს.

როგორც ვხედავთ, «მწვანე ღიღში» კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მოგვცა საბჭოთა კავშირის მშობე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის მეტად თავისებური სურათი, თანაკი ქალის სვეტლანა ვერშინინასა და ქართველი ჯარისკაცის ლადო ვამალომიძის ასე ნატიფად აღწერილი ურთიერთობის სახით. ამ ურთიერთობაში ძირითადი ღერძი, მთავარი მომპირავებელი ძალა, სწორედ საბრძოლო თანამეგობრობის დიდი ფაქტორია, პატრიოტიზმის ცხოველყოფელი მისიაა, რომელიც ასე მოხერხებულად და დამაჯერებლად დააკისრა თავის ამირებს ავტორმა. ჩვენი დიდი სამშობლოს ასა-

კლებად შემოსული მტრის განდევნის დიადი მიზანია ის სარჩელი, რომელზედაც უმთავრესად მაგრდება სხვა, პირად გრძობებსა და განცდებზე დაფუძნებული მისწრაფებები თუ მიღრეკილებანი, რომელთაც მხოლოდ იმდენად ემსახურებიან მოთხრობის გმირები, რამდენადაც ეს მისწრაფებანი ხელს არ უშლის მთავარი მიზნისაკენ მათს ძღვევამოსილ სვლას.

მოთხრობაში, «მწვანე ღიღში», აღსანიშნავია აგრეთვე რუსი ჯარისკაცის, ალიოშა გოლიკოვის მტკიცე და გულწრფელი მეგობრობა ქართველ ჯარისკაცებთან, განსაკუთრებით ლადო ვამალომიძისთან და ვარდენ ჯიშკარიანთან. ეს თანამეგობრობა მრავალ საბედისწერო, სისხლისმღვრელ შეტაკებაში გამოიყვანა და, უნდა ითქვას, ბოლომდე გაუხუნებელი და შეუვალი დარჩა.

რუსი ხალხის შეილის ალიოშა გოლიკოვისა და ქართველი ვეჯკაცის ლადო ვამალომიძის ფრონტული მეგობრობის დამაჯერებელი ჩვენებით, კ. ლორთქიფანიძემ მოგვცა ჩვენი მოძმე ხალხთა შეილების ცხოველი საბრძოლო თანამეგობრობის შესანიშნავი სურათი, რომელსაც მწერლის მხატვრული ოსტატობის წყალობით მკითხველი ცოცხლად აღიქვამს და სწრაფად ითვისებს, როგორც რეალურ, ბუნებრივ ამბავს და დიდი აღმზრდელითი ძალის მქონე სიუჟეტს.

მეტად კოლორიტულია ქართველი ჯარისკაცის ვარდენ ჯიშკარიანის სახე და მისი ურთიერთობა ალიოშა გოლიკოვთან. მყუდრო და მშვიდ ცხოვრებას შეჩვეული ხატვის მასწავლებლის ყოველწუთს საბედისწერო ბილიკზე მავალ მეომრად გადაქცევის პროცესი მთელი სიზუსტითა და მეტად მკაფიო ფერებში აქვს დახატული ავტორს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიერ «მწვანე ღიღში» დახატული ალიოშა გოლიკოვისა და ვარდენ ჯიშკარიანის საბრძოლო თანამეგობრობის კოლორიტული სურათი რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მხატვრული ასახვის ერთი საუკეთესო მაგალითია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. კ. ლორთქიფანიძემ, როგორც კეთილისა და ბოროტის ორთაბრძოლის ორომტრიალში მოხვედრილი ადამიანების სულიერი ევოლუციის უშუალო მომსწრემ და საკუთარი თვალის მხილველმა მწერალმა, საქმის ღრმა ცოდნითა და მხატვრული განზოგადების დიდი გამოცდილების წყალობით სითცრად ზემოქმედებით უნარის მქონე ნაწარმოები შექმნა ხსენებულ მოთხრობის სახით.

მოთხრობა, «როგორ მოკვდა მოხუცი მეზ-

ბიორბი ავალიანი
საუზრადღეაო მოტივი მწიფლის
შემოქმედებაში



დღრი“. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ 1942 წელს დაწერა და იმავე წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. 1968 წელს მწერალმა მოთხრობა გადაამუშავა და მისი ფაბულა დაუკავშირა ფაშისტების მიერ ავანტიურისტული ხრიკებით შეღვენილ „კე-ორგემი“ ლევიანის“ ამბავს. როგორც თვით კ. ლორთქიფანიძის მიერ მოთხრობას წაწინააღმდეგებულ გახსენებიდან ჩანს, მწერალის იმთავითვე ნდომებია ხსენებული ლევიანის შესახებ მოთხრობა, მაგრამ ეს მაშინ ვერ მოუხერხებია. აი რას წერს ამის შესახებ ავტორი: „ოცი წელიწადია მიწვალდეს ეს თემა, ოცი წელიწადია ხელუხლებლად მეწყვი ჩემი მაშინდელი ჩანაწერები. რა იყო ამის მიზეზი? მე მწერლობაში დისტანციის მოძებრა არა ვარ, მაგრამ სხვადასხვა ვითარების გამო ეს დაფანტული, დროისგან უკვე ფერგადასული ფურცლები დღემდე წიგნად ვერ ვაქციე. ამიტომ იმხანად ქართველი ლევიანების შეთქმულების ამბავს გვერდი აუღარებ და მთელი იმ მასალიდან ერთი ეპიზოდი შევარჩიე, რაც საფუძვლად დაედო მოთხრობას „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური.“ ახლა კი, როდესაც ბევრი რამ გაიჩრცა და გაიშინდა, ისიც იმ შორეულ ლანდებს დაეუბრუნდა. მოხუცი მებაღურის ამბავი ხელახლა დაიწერა იმ ჩანაწერის მიხედვით, რომელიც ჩემს მასალას იმთავითვე ჰქონდა.“¹³

მართალია, მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“ გადაეცადა და იგი ფაბულურად რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ჩვენი განსახილველი საკითხი, მოძიე ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ასახვა, მასში კი არ გახეიშვარდა. არამედ უფრო ხელშემახებელი გახდა.

ცენტრალური ფიგურა ამ მოთხრობაშიც ლადო ვაშალიძეა, ქართველი მხეცარიე ჯარისკაცი. ამ მოთხრობაშიც ლადო ვაშალიძის გვერდით ვხვდებით ალიოშა გოლიკოვს მამაც რუს სერჟანტს. აქ კიდევ უფრო ცხადად წარმოგვიდგება ლადო ვაშალიძისა და ალიოშა გოლიკოვის ერთიანი სამოქმედო მიზნის ცხოველყოფილობა, მათი ერთმანეთისათვის ზრუნვა, ფრონტის ძნელბედ ვითარებაში ერთმანეთის მძიერი მხარდაჭერა.

მართალია, ლადო ვაშალიძისა და ალიოშა გოლიკოვის მეგობრობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოთხრობაში, მაგრამ მთავარი მახროვილებელი ურთიერთობა, რომლის შექმნეც მოთხრობის მთელი სიუჟეტია განათებული, ეს არის ლადო ვაშალიძისა და ყუბანელი კაზაკის, მოხუცი მეთევზის ვასილი ყივას ჰუმარატიად მამა-შვილური მეგობრობა და თანამშრომლობა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოხუცი ვასილი ყივა განსაკუთრებით მიმ-

ნდობი იმითაც ვახდა ლადო ვაშალიძისადმი, რომ ქართველობა შეატყო ლადოს. თველებთან კი, კერძოდ, ფოთზე მეთევზებთან და იმათი არტელის მეთაურთან, უშანგი გვალისთან ყივას ფოთში გულბილიდ და სასიამოვნოდ გატარებული დღეები ავგვირებდა. პირველივე შეხვედვით მოხუცი ალიოში ხვდება, რომ საქმე ქართველთან აქვს, მაგრამ თითქოს ვინია, საყუთარმა აღლომ არ მიმტყუენოსო, ჯიქურ ეკითხება ლადოს: „ჩერქეზი ხარ?“ და როცა ლადოსგან წყენანარებ პასუხს მიიღებს: „რატომ ჩერქეზი, ძიაცაო!“ თითქოს დანაშაული უნდა გამოისყიდოსო, შერბილებული ტონით პასუხობს: „რა ვიცი ჩვენებურს კი არა ვახარ და! ამა ქართველი ხარ?“ შემდეგ კი როცა ლადო დამარწმუნებლად ეტყვის, რომ ქართველია, უზომოდ კმაყოფილი მოხუცი განაგრძობს: „ერთი კი ვიფიქრე, ქართველი იქნება-მეთქი, მაგრამ უცბად ვერ ვითხარო! თქვენთან კარგად ვიცნობ, ფოთში ერთი ძმობილიცა მყავს! უშანგი გვალა, არ ვაგვივინია? იქუთი მეთევზების უსტამბაშია.“¹⁴ მოხუცი დიდად ჩაწყენი რჩება. როცა ლადო განუცხადებს, რომ უშანგი გვალის არ იცნობს. იგი მომდურგავა მიმართავს ლადოს: „შენ ვერცხობა, ჩემო კარგო, ფოთში არასდროს არ ყოფილხარ. თორემ უშანგი გვალა უშეშლად გეცოდინებოდა.“ და როცა ლადო დაუდებსტურებს, რომ ფოთში მართლაც მხოლოდ ერთხელ, ისიც მოწაფეობის დროს ექსკურსიაზე ნამყოფი; მოხუცი ნიშნისგებით განაგრძობს: „ო-ო, ხომ ვითხარი! ამა რა გეგონა, ეს ქვეყანა მარტო შენი იყო?! მაღ თერთმეტი წელიწადი ვახდებ, ჩვენი არტელი გვალის მეთევზეებს რომ ეჯიბრება. ოჰამდე დიდი მისელა-მოსელა და მეგობრობა გქონდა ერთმანეთში. შარშანწინ მეც ვიყავი პალიატომის ტახზე, ჩვენებმა საჩუქრად დიდი საშრობი ბადე გამატანეს. ერთი ყვირის მივლინება მომიცეს, მე კი ორი კვირა ჩავრჩი გვალის ოჯახში: არ გამოიშვა, სანამ რთველობაზე კოლოფის არ წამოიყვანა. კარგი პტივი მცა და ხელდამწვენებელი გამოისტუმრა. თან ისეთი ბჭვილიანი ქალადი მომცა, წყალი არ გაუვიდოდა: აქაო და ვასილი ყივა თაიის გამოცდილებას გვიხარებდა და ამიტომ დაიგვიანაო. ამა ჩემი გამოცდილება გვალის რა შეეჭირად უნდოდა, მაგისთანა მეთევზე მეორე არ დანის შავი ზღვის დაყოლებზე, მაგრამ კაცი რომ თვალში მოგვივა, მერე იმისთან დამორება გექნებება.“¹⁵ აი როგორ ლოკურად დამაჯერებელ საძირკვეს უღებს მწერალი ვასილი ყივას მეგობრულ განწყობას ქართველებისადმი საერთოდ. ამ ვითარებამ კი ხელი შეუწყო მოხუცის დამეგობრებას ლადო ვაშალიძისთან მათს პირველსავე შეხვედრისას, თაიის მხრივ ლადოზეც მომხილავ გავლ-

ნას ახდენს მოხუცის საუბარი. მწვერავის გუ-
ლი იგრძნობს, რომ სრულიად სანდო, პატიო-
სან, პატრიოტ, ბებრის მცოდნე, გამოცდილ
მოხუცთან აქვს საქმე და ამიტომაც თავისი
მწვერავ-ქარისკაცული საიდუმლო პირველსავე
შეხვედრისას გაანდო მოხუცს, თანაც დახმა-
რება სთხოვა. „განა არ ვიცოდი, მწვერავი კა-
ცი აგრე ადვილად გამეღულ-გამომეღულს ვერ
განდობოდა, მაგრამ გულმა დამიჩემა, ამ ბე-
რიაკაცს ენდო, ეს კარგი აღამაინი არისო; სწო-
რედ ამიტომ არ დავიშურე დრო და მოხუც
შეხადურს საუბარში შევყევი. დაჯვჭი და ეუა-
მბე ჩემი გასაჭირი“¹⁶ გუუბნება ლადოს პი-
რით ავტორი.

ვასილი ჟიგამ მართლაც გაუწია ლადო ვა-
შალომიძის დაუფასებელი სამსახური. ამ მხრივ
ლადო ვაშალომიძე არ შემცდარა. ჟიგამ უდი-
დესი მნიშვნელობის საქმე შესარულებინა მას.
მართალია მოხუცს ეს სიცოცხლის ფასად და-
უქდა, მაგრამ მისი მარადმოპობილავი და სა-
ყოველთაოდ საყვარელი სახე, ასე მოწოდო-
ბით გამოძეარწილი კ. ლორთქიფანიძის მიერ,
სამუდამოდ დარჩა ქართველი მკითხველისათ-
ვის საპატიო და სათაყვანებელი.

შემდგომ, როცა თბრობაში შემოდის «გე-
ორგიე ლევიონის» ამბავი და ზოთხრობას კი-
დედვ ერთი კონკრეტული პერსონაჟი, ყოფილი
რიგითი წითელარმიელი, იმხანად კი „გეორგი-
ე ლევიონის“ ჯარისკაცი სანდრო კაკაბაძე
ემბტება, კიდედ უფრო ცხადე ხდება ვასილი
ჟიგას თავდადება და მისი სამსახური არა მარ-
ტო ლადო ვაშალომიძის, არამედ მთელი ქარ-
თელის ხალხის წინაშე. მეტად მძაფრი კო-
ლოზიებითაა აღსავსე ლადო ვაშალომიძისა და
სანდრო კაკაბაძის შეხვედრის მომენტი ვასილი
ჟიგას ქაზში. მკითხველი სიკვდილით დატენი-
ლი ყუმბარის აფეთქებასავით სულმოუთქმე-
ლად მოელის კვანძის გასნას და როცა ბო-
ლისდაბოლოს ყველაფერი გაიკრევა, როცა
ლადოსათვის აშკარა ხდება, რომ „გეორგიე
ლევიონის“ მეომრებს, ყოფილ ქართველ წი-
თელარმიელებს, რომლებიც ტყვეთა ბანაკიდან
გერმანელებმა მოტყუებით წითელი არმიის
წინააღმდეგ საბრძოლველად წააიყვანეს, თვა-
ლი ახელოდათ და შესაფერის მომენტს-და
ელთან წითელი არმიის მხარეზე ბრძოლით გა-
დასასვლელად, როცა ცხადი გახდა, თუ რა
დიდი საქმის სათავე მოქმედა მოხუცეებულმა,
უკვე აღვრთოვანებული, საკუთარი გულისთქ-
მით ბანს ეუბნება ლადოს, ვასილი ჟიგას აღ-
ტაცებული რომ მიმართავს: „შენ იცოცხლე,
ძია კაცი, რა ბედნიერ ფეხზე შემხვდი! ჯერ
ეს ჭირი მოვიშოროთ, მტერი დავამარცხოთ,
მადლობა მერე გეტყვი, საქართველოში რომ
გვესტუმრებო! მთელი ქართველი ხალხი ფეხზე
ადგება და თავს დაგიკრავს! შენ რომ არა,
იცი რა მოხდებოდა?“¹⁷

ლადო ვაშალომიძის აღტაცება სრულიად
სამართლიანია. მას ნათლად წარმოუდგა თუ
საზარელი საქმე მოხდებოდა, როცა ქართველ
ჯარის მწიგნულთა ქართველებისაგან შემდგარ
„გეორგიე ლევიონის“ მეომრებს შეეტაკე-
ბოდნენ და მოხდებოდა მშობა შორის სისხლის-
მღვრელი ბრძოლა. ასევე ნათლად წარმოუდგა
მას ვასილი ჟიგას მიერ გაუწეული სამსახურის
სიღიადე. ვასილი ჟიგასი, რომელმაც ქართ-
ველები იხსნა ამ უბედურებისაგან.

მაგრამ ყველაზე ნათლად თავისი ქართვე-
ლი მეგობრისადმი ერთგულება და საქვეყნო
მნიშვნელობის საქმისათვის უყუარებო თავ-
დადება ვასილი ჟიგამ მაშინ გამოაქონა, რო-
ცა დასახვერტთა მწკრივში ლადო ვაშალომიძის
ადგილი შეუცვალა და ვაშალომიძისათვის გან-
კუთვნილ ტყვიას საკუთარი მეგრები თავისი
ნებით შეუღებია: გერმანელი ოფიცრის განკარ-
გულებით სოფლებში მოაწყვეს და მწკრივში
ყოველ მეხუთეს დახვერტა გადაუწყვიტეს.
მისდა საზედისწეროდ, ლადო ვაშალომიძე, ეს
მეტად საპასუხისმგებლო მისიით ფრონტის
ხაზზე გადმოსული და სოფელში, ფარულად,
გლების ტანსაცმისით შემოპარული მეგობრ-
ივც ამ მწკრივში მოხვდა და სწორედ მოთხებ
მეხუთე აღმოჩნდა. დიდი განკლითა და ყურა-
დების დაძაბვით აკეწურს მწერალი ამ
სცენას: „ხელმარცხნივ ერთი ამხაზი გლები მე-
და და ისეთ მყარლ თამბაქოს აბოლებდა,
თვალი ეცემებოდა. განაჩენი რომ გამოიტა-
ნეს, მაშინვე გვერდზე მიიხვდა, რომ თავისი
ადგილი გამოეთვალა... უცხად ვიგბძენი, ამ
ჩემმა მეზობელმა იდეყვი ფროთხილად მომა-
ცილა და ცოტა გვერდზე გაიწია. ამით მივხე-
დი, ერთი მეხუთე მეც ვიყავი. ხელმარცხნივ
მოხუცი მეხადური იდგა. მაშინვე შემომხვდა,
უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ არ მითხრა. იქ-
ნებ ვერ მითხრა! არ ვიცი, მხოლოდ ხელი ვა-
დამისვა ხელზე, მომეფერა, თუ დამემევიდობა?
არც ეს ვიცი.“¹⁸

ავტორს სრულიად უბრალოდ, ისე რომ
არც ერთი ზედმეტი სიტყვაც არ უხმარია.
მაგრამ სრულიად გასაკებად და შექმნილი სი-
ტუაციის სრული შესაბამისობით უმადლეს
ემოციურ სიმძაფრემდე აყავს თბრობა იქ,
სადაც სრულდება მოხუცი მეხადურის, ვასილი
ჟიგას მიერ ქართველი მეგობრის ლადო ვა-
შალომიძის ვადასარჩენად ჩადენილი აშკარა
თავგანწირულობის აქტი: „უცხად ვიდაცამ
მხარი გამკრა... მივიხვდე... ვასილი ჟიგამ აღ-
გილი შემოიყვალა, ჩემსა და მეოთხე კაცს შუა
ჩაღდა. — გაჩემდი! წამწერჩეულა და ოფლად
გამდნარი ხელს ხელზე მომიჭირა: — სხვაფერ

გიორგი ავალიანი

საპუბლიცისტო მოტივი მწიგნულის
შემოქმედებაში



არ შეიძლება... სიტყვა არ დამთავრებინეს. სანამ გონს მოვიდოდი, საღდათებმა ოთხი კაცი სწრაფად ვადათვალეს და მეზუთეს, ვასილი ყივას, ჩემთვის გატყენილი თოფი ესროლეს.»¹⁹

რასაკვირველია, უმართებულთა იქნებოდა იმის თქმა, თითქოს ვასილი ყივამ თავი ვასწორად ღალთ ვაშლომობის გადასარჩენად მხოლოდ იმის გამო, რომ ღალთ ქართველია და ქართველებისადმი იგი კეთილგანწყობილებაშია. ვასილი ყივამ მშვენიერად იცოდა ღალთ ვაშლომობის მისიის დიდმნიშვნელოვანება, მან ისიც იცოდა, რომ ღალთ ვაშლომობის დაღუპვით ასე მშვენიერად დაწყებული დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაიშლებოდა და უჩვეულ თევდადება სწორედ ამიტომ გამოიჩინა, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ყივამ თავისი სიცოცხლე ნებარეზად ანაცხადა სხვისი სიცოცხლის გადაარჩენას. ეს სხვა კი ქართველი ვაშლომობია და ვასილი ყივამ სწორედ ასევე მოიქცეოდა, ღალთ ვაშლომობის ადგილის მიისი შვილი, შვილიშვილი ან მისიშვილი რომ ყოფილიყო. აი სწორედ აქ გამოვლინდა საბრძოლო თანამგობობის უდიდესი შემოქმედებითი ძალა. ამ დღიად გრძნობის უნარი, რომელიც ადამიანებს ავითრებებს მაქსიმალურს, საკუთარი სიცოცხლის შეწირვასაც კი საერთო დიდი საქმის შესარჩევად.

მწერალი ხელაღებით არ გუთავაზობს ზემოთაღნიშნულ დებულებას. ყივანაირ გმირებს იგი ყოველ ფეხისნაბიჯზე კი არ გვიჩვენებს. რამდენ შესაფერისი სიტუაციის შექმნით, როგორც რეალისტი, გარკვეული გვეუბნება, რომ ამგვარ საგმირო საქმეს ცხოვრების მიერ სათანადოდ გამოირჩევიდა. მშობლიურ მიწა-წყალს შესისხლბორკებულ, შეგანებული წარსული სათანადოდ შემზადებული ადამიანი შესაძლებლად მხოლოდ. ამის ნათელსაყოფად ავტორი ვეაჩვენებს. რომ სწორედ ვასილი ყივამ უნდა მოემოქმედებია ეს სწორეპოვარი თავგანწირვა, ადგილი შეეცვალა მწერალმა დასახრებტი კაცისათვის და მის ადგილზე დამდგარიყო და არა იმ გლეხს, ხელმარცხნივ რომ ედგა ღალთს და ვანაგნის გამოქანისას, როცა მიხვდა მისი ხელმარცხნივ მეზობელი, ღალთ ვაშლომობე, დასახრებტი მეზუთეა. გვერდზე რომ გაიწია, თითქოს სიკვდილს გაეცადაო. აქ რამდენიმე სიტყვით მწერალი შესანიშნავად ახერხებს, ნათლად გვიჩვენოს ის უძირი უფსკრული, ვასილი ყივას და ხსენებული გლეხის მოქალაქეობრივ შეგნებას შორის რომ ძვეს და მიაჩნია, რომ ყველა სიკვდილს სიკვდილი არ უნდა ეუფოდოთ. კერძოდ, ვასილი ყივას გმირული სიკვდილი მას სიკვდილად არ მიაჩნია, თუმცა თავის მხრივ ამ ვანაგნის მინე მკითხველის განსასჯელად ტოვებს და ჩაფიქრების საშუალებას ვეძლევის: „ასე მოვიდა მოხუცი მე-

ბაღური, თუ ასეთ სიკვდილს სიკვდილი უწოდებენ“, ამთავრებს ობრობას ავტორი.

მოთხრობაში, „ერთი დამის საუბრე“, კლორთქიფიანძემ იკველის მეთაურის, უკრაინელი ოფიცრის, უფროს ლეიტენანტ კოლია ტერეშჩენკოს და ქართველი მხვერავის, უფროსი სერჯანტის გიორგი მუშლაძის ერთად გადახდილ საბრძოლო ეპაზოდების მოთხრობით საბრძოლო თანამგობობის კიდევ ერთი მომხიბლავი ნიმუში მოგვცა. ამ მოთხრობაში უკვე საქმე გვაქვს მხედრული წესდების ძალით ერთმანეთს დაკავშირებული მეთაურისა და მას დაქვემდებარებულ ხელქვეითი მეომრების საბრძოლო ურთიერთობასთან. თავისებური და მკითხველში სასიამოვნო გრძნობის აღმძვრელია ეს ურთიერთობა. აქ ერთი წუთითაც არ ჩანს წესდების მოთხოვნათა შეზღუდვა პირადი ურთიერთ კეთილგანწყობის ხარჯზე. ამთ თავის დროზე იცინა წესდების მიხედვით ცხოვრება და ძალდაუტანებელი მეგობრული ურთიერთობის ფასიც. ასე, ბეწვისხილზე სიარულში იწრთობოდა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა შეილებინს ჭეშმარიტად ძმური საბრძოლო თანამგობობა. ჩვენი დიდი სამშობლოს დასამარობად შემოსული მტრის გასანადგურებლად წარმოებულ დიდ სახალხო ომში.

ქართველი მეომრის თავგანწირული ბრძოლები დიდი რუსეთის მიწაზე. მისი უდიდესი მონდომებითა და საბრძოლო ენთუზიაზმით სწრაფვა მტრის მიერ აღებული ქალაქებისა და სოფლების გასათავისუფლებლად, ძვალ-ბრძოლაში გამყვარარი სურვილი მტრის რაც შეიძლება მალე განდევნისა, გრძნობა, რომლითაც ქართველი წარისაკი ზუსტად ისეთივე თავგანმონებელი იცავდა ყრიბმს, ყუბანს და ტალღინგრადს, როგორც დაიცავდა თბილისს, ქუთაისს თუ გორს: ქართლის, კახეთის, გურია — იმერეთ — სამეგრელოს თუ საქართველოს სხვა კუთხეების მიწის თვითიველ გაცეს. კლორთქიფიანძის ფრონტული მოთხრობების მთავარი თემაა, მაგრამ ყველაზე ხატოვანად ეს გრძნობა ვადა მოკეპულია მოთხრობაში, „მაისის დღია.“ „სევასტოპოლი! როგორ უყვარდა ლევან ბახლიძეს ეს გმირი ქალაქი! უყვარდა იმითომ, რომ მთელი რვა თვე იცავდა ამ ქალაქს. აქ გადაიტანა ვერმანელთა სამი ვაფთრებულ იერიში, მთ შორის ყველაზე სამინელი — 1942 წლის 7 ივნისის იერიში, როდესაც მტრის ოკუპაციონისტებმა ხუთი ათასზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს ჩვენი ჯარის პოზიციებზე. 250 დღე სევასტოპოლში! ვანა შეიძლება ამ დღეებზე უფრო ძლიერი რამ აკავშირებდეს ადამიანს რომელიმე ქალაქთან? მეყენის მთებში, ჩრდილოეთის ყურე, ინკერმანი, მაღახოვის ყორღანი, ინგლისელთა სასაფლაო და ბოლოს კონსტანტინეს რაეელინი, სადაც ქართველ გლეხს ყველაზე მძიმე დღე შეხვდა. ცხოვრე-



ბაში. იგი აქ მესამედ დაიჭრა და ცოცხალმკვდარი ჯარისკაცი ერთგულმა მეგობრებმა ხერსონის კონცხთან გეშში ჩასვეს და «დიდი მიწისაკენ» გაისტუმრეს. ეს იყო ოცდასამი თვის წინათ. ოთხი კრილობა და ერთი ურყევი რწმენა წაიღო ამ ქალაქიდან ლეანე ბაზლიძემ — რწმენა, რომ იგი კვლავ დაბრუნდებოდა გმირი ქალაქის დასახსენელად. იგი დაბრუნდა. მისი პირისახე უტბანის მშეს გაეშვეებინა, მისი ჩექმის ნაქეცებს — «ციფერი ხაზის» მტვერი დასდებოდა, მის თმსა და ფარაქას ორი ზღვის მარლიანი სუნი ასდიოდა. დაბრუნდა ბრძოლებში დაბრძენებული ჯარისკაცი, დაბრუნდნენ მისი მეგობრები, რათა მალახოვის ყორღანზე ისევ წითელი დროშა აფრიალებულიყო. როგორ უნდოდა ლეანეს, ერთი პირველი შესრულიყო სევისტოპოლში.²⁰

აქ იქცა ემოცურობითა და სინამდვილის აღქმის ღრმა ინტუიციითა დახატული რუსეთის კრეკლ მიწაზე ნაბრძოლი ჯარისკაცის ამ მიწასთან სიყვარულით შეთვისების დინამიკა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებში ერთი დიდი მზუნის სფის აბრძოლის უტყუარი და ძალდაუტანებელი სწრაფვის გამოშველებების იდეალური პროცესი. წინებულადაა გახსნილი ეს მინაგანი მოშველება მეგრძოლისა, მისი სწორედ იმ თვისებებით აღბურკარაც ასე ატეკლებული იყო ვერკვ და ძლიერ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძემ თავის მოთხრობებში ქართველი ჯარისკაცის მხატვრული სახის მრავალი შესანიშნავი ნიმუში მოგვცა. მათ შორის არის მკითხველისათვის ღრმად შეთხზული რამდენიმე სახე. რომელთა ნატიფ წარმოსახვასაც მწერალმა განსაკუთრებული ოსტატობა მოახმარა. ზედმეტ კომენტარების გარეშე. უშუალოდ ავტორისეული ტექსტის ციტირებით აქ გვსურს წარმოვჩინოთ მწერლის განსაკუთრებით საყვარელი გმირები. აგრეთვე კ. ლორთქიფანიძესეული მოქმედ გმირთა ბატვის სტილი, მხატვრული მეტოფიზისა და ხერხების ავტორისეული კონცეპცია, საყვარელი პერსონაჟისადმი მისი მაღალმის ჩვევები.

მწერლის რამდენიმე მოთხრობის შავისტრატეგი გმირი ლადო ვაშლომიძეა. მისი სახის გამოსაკვეთად მრავალი თბილი სიტყვაა ნახმარი ამ მოთხრობებში და ავტორს თავისი გმირი სხვადასხვა კუთხითა ჰყავს შესწავილილ-შემოწმებული. ჩვენს წინაშეა ლადო ვაშლომიძე, როგორც ენაფხიანი, უბადლო ხუმარა, ნადგეულის გამჭარკებული და სიცოცხლით აღსავსე, მუდამ მზიარული იმერელი ვაჟკაცი: «მოუწყუნარი, ენაფხიანი მოსაუბრე იყო ის ღაღოცკიმი იმერელი არც ხეწნა უნდოდა, არც ბოდიში. მომიყვებოდა გვერდით და ისე კემრეილად მიაბობოდა ყველავერს, მასთან დაშორება

ალარ მინდოდა. დაუფასებელი იყო ბრძოლაში ვაშლომიძის მაღლიანი ენა. როდესაც სახგრების თავზე დატრიალებულ ჯოჯოხეთს კაცის გული ვერ უძლებდა, მისი ერთი ხუმრობა ხელიდან წასულ ჯარისკაცსაც მოაცილებდა. შეიძლება ეს ხუმრობა თავისთავად დიდი არაფერი იყო, მაგრამ ლადოს ხმას რაღაც ისეთი ჯადო ჰქონდა, — ყოველ სიტყვის სასაცილო ელფერს აძლევდა. ვინ დასთვლის ამ ხმამ რამდენ კაცს გაუაფილია ბრძოლაში პირველი შიშის გადატანა.»²¹

ლადო ვაშლომიძე, როგორც მხვერავისათვის ატეკლებული თვისებების მქონე პირაფენება: «მალე დაიფილო ვაშლომიძემ კარგი მხვერავის სახელი. მაქნოს მოთამაშის აზარტი და სახუნდარში ჩასაღებელი მონადირის მოთმინება. — საოცარი იყო, როგორ ახერხებდა იგი ამ ორი შეურტიგებული თვისების — ცეცხლისა და ყინულის შერიგებას.»²²

ლადო, როგორც მამაცი, უშიშარი და ძლიერი ნებისყოფის ოპტიმისტი: «როდესაც ღამის ძიების მოსაწყობად მოხალისეებს გამოიძიებდნენ იგი პირველი წარუდგებოდა კაპიტანს... კაცი მუდამ ბეწვის ხილზე დადიოდა, სროლაში აღამებდა და ათენებდა და მაინც რატომღაც სჯეროდა. ვერ მოჰყავნიო. გულში რას ფიქრობდა, არ ვიცი, მისი საქციელი კი მხოლოდ ამ რწმენას გამოხატავდა. ხშირად მინახავს: ღამის იერიშზე მიმავალი ჯარისკაცი ჯიბეებს დაიკარიღებდა და ახლო მეგობარს ვაზზე გაიხმობდა. ხელში ჩაუღებდა სურათებს, წერილებს, ფულს; მერე ქალადის ნახევზე თავისი სოფლის მისამართს დაუჩხანინდა. ლადო ვაშლომიძე ფეხსაცმელს გამოიკვლიდა მხოლოდ. გაიხდიდა კაპიტან გელოვანის ნაჩუქარ ყუითელი ქრომის მაღალკელიან ჩექმებს. ძველებს ჩაიკვამლა, თითქოს სათოხარში მიდიოდა.»²³ მრავალი გმირობა ჩააღენინა თავის საყვარელ გმირს მწერალმა. ათასჯერ ბეწვის ხილზე გაატარა და ბოლოს «უსახელო მაღლობზე» მარტოა შეაბრძოლა ფაშისტების მთელ რაზმს. ლადო ვაშლომიძის სახე ყველაზე მიმზიდველი სწორედ მოთხრობაში «უსახელო მაღლობზეა», როცა დავალების შესასრულებლად მას თვით იგენერალი ლესიანძლე გზავნი:

«— იმერელი ხარ? — შეეკითხა სარდალო.
— იმერელი ვარ, ამხანაგო გენერალო.
— ამბობენ, იმერელი კაცი ან ძალიან დიდი გამოვა, ან ძალიან ფიცხილი შენ როგორი ხარ, ბიჭო?»

გიორგი აბაღლიანი
საუშრადღებო მოტივი მშობლის შემოქმედებებში



— სადაც როგორი აჯობებს, ამხანაგო გენერალო.

— მართალი ხარ. ომს ანგარიში უყვარს, — დაუდსტურა სარდალმა და თვალბეჭეში შეხედდა... — რუქა კარგად იცი?

— ვიცი ამხანაგო გენერალო.

ფარდაჩაოფარებულ რუქასთან მიიყვანა. ფარდა ახალა. გალა-გულად იღვინე პირისპირ ლურჯი და წითელი წრეები. მასრასვეთ გათლილი თითი ერთ შემოუხსნველ ადგილს მიამჩინა სარდალმა.

— იცი ამ პატარა მალღობს ხვალ რამდენი საქმის გაყეთება შეუძლია?

— ვიცი ამხანაგო გენერალო.

— მამ ისიც გეცოდინება, რომ ამ გორაკზე შეიძლება მტერმა ავაგსწროს?

— ეგეც ვიცი ამხანაგო გენერალო.

— შენ რა კოდელ ნინოსავით ყველაფერი გცოდნია! — ჩაიციენა სარდალმა: — ყველაფერი გცოდნია! — გაიმეორა მან და ისევ შეხედა თვალბეჭეში: — მაგრამ შენ ერთი რამ არ იცი, ვაშალომბიძე! ამ საქმეზე სამჯერ გავგზავნეთ ხალხი. იმ მალღობზე ფეხი მაინც ვერ მოიკიდეს!

— განა ყველა კოკა წყალზე გატყდება, ამხანაგო გენერალო? —²⁴

„უსახელო მალღობზე“ ლადოს იშვიათი სიმამაცისა და შეუპოვრობის მეშვეობით მალღობი შენარჩუნებულ იქნა. მწერალს დაენანა ლადო. მართალია, სიკვდილის პირს მიიყვანა, მაგრამ მაინც ცოცხალი დაბრუნა. ყოველ შემთხვევაში, მკითხველი რაღაც ერთგვარად იმედია ჩრება, რომ ლადოს ვერც ამჯერად მოერგევა სიკვდილი.

გულწრფელი სიყვარულითა და მთელი გულსუფრითაა დახატული გიორგი მუმლაძის სახე. ავტორი ამას თვითონვე გვეუბნება მოთხრობაში, „ერთი დამის საუბრეზე“: „ყაცმა რომ მკითხოს, დამისხეულ ერთი ქართველი ჯარისკაცი, ვინც ამ წლების მანძილზე ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა, ბევრი დიჭრი და ძიება არ დამჭირდება — მაშინვე თვალწინ დამიდგება ქვეითი მუხღვაურების მხვერავი გიორგი მუმლაძე.“²⁵ ახლა ვნახოთ, რა მრავალმხრივ ჰყავს შესწავლილი მწერალს თავისი გმირი: გიორგი მუმლაძე, როგორც მუსყათი, თავისი მოქალაქეობრივი და ჯარისკაცური მოვალეობის უსაზღვროდ ერთგული, სამშობლოს უანგარო და ღირსეული დამცველი: „მუმლაძემ ჩემი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, იმით მიიპყრო, რომ იგი უქან, შინისყვენ არ იხედებოდა და სხვებივით წარამარა არ ოხრავდა, ეს დასაქცევი ომი როდის გათავდება!“, „როცა გათავდება, მაშინ გათავდება!“, იტყოდა იგი და მეორედ ამ სავანს არ მოუბრუნებოდა. მუმლაძე სხვებზე მალე შეეგუა საბრძოლო კირ-ვარამს. იგი ადვილად მოერგო ბუღი-

დან ამოეარდნილ ცხოვრებას და ამ მიუჩინებლადან, ამ ტალახიან სანგრძლიან სხვაგან არსდ არ ეჩქარებოდა. ამიტომ იგი ბრძოლაში საშიში კაცი იყო.“²⁶ გიორგი მუმლაძე, როგორც მხვერავის პროფესიას ბრწყინვალედ დაუფლებული და უშიშარი მეომარი: „ჩვენი ბიჭები მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახიან. ვისაც არ უნახავს, თუ როგორ მიცურავს მიწაზე გიორგი მუმლაძე, იმას მართლაც გაუეყიარდება იმ ლამის ამბავი.“²⁷

ორიოდ სიტყვა იონა მებუჯეს შესახებ: ეს მეტად კოლორიტული სახე მწერალმა მოგვცა მოთხრობაში: „სიკვდილი ცოტას მოიკიდის“. მკითხველის ყურადღებას იპყრობს იონას ვარგუნობის აღწერა: „იონა მებუჯე ორმოცდაოთხი წლის კაცი იყო, მაგრამ შესახედაობა მეტისა ჰქონდა. თანაც ძალიან მოშვებული სიარული იცოდა, თითქოს დიდი გზა გამოუვლია და მუხლში ძალა გამოლევიყო. ასე იონა ერთი შეხედვით.“²⁸ იონა მებუჯე, გორც ბრძოლისათვის გამობრძმდილი, თავისი ასაკის შეუფერებლად ამტანი, მძიმე მხედრული ცხოვრების ადვილად გადამტანი მეომარი: „ნამდვილად კი ძალიან ამტანი კაცი გამოდგა... ხშირად ჭველი ბიჭებზე ვერ უძლებენ ამ ქაანწყევებს და ნირი წაუხდებათ ხოლმე. იონა მებუჯე კი თავს რომ დაადებდა მტერიან შარავზას თუ ჭაობიან ბილკს, მერე ნაბიჯს არ შეშლიდა. სანამ ბანაკად არ დადგებოდნენ.“²⁹ იონა მებუჯე, როგორც წინ დახედული, თადარიგაიანი, მუდამ სხვების მოსარჩლე და ამხანაგისთვის მზრუნველი, იშვიათი საამხანაგო ჯარისკაცი: „ამისი ჩინთა ყველაზე მძიმე ჩინთა იყო ათეულში. რანაირი წამალი არ გინდა, რამდენი საინჭარული პაკეტი: რაღაც თასებზე და ბალთები, თამბაქო, ლილები, ნემსი და ძაფი, ქაღალდი და ფანქარი — რა ვიცი, რას არ იპოვნიდა კაცი იონა მებუჯეს ჩინთაში. ყველაფერი ჰქონდა რაც საწყალ ჯარისკაცს დღეში ათჯერ დასჭირდება ხოლმე. თუმცა თვითონ იონა არც თამბაქოს ეწეოდა და არც ავადმყოფი უნახავს ვინმეს. ის იყო მთელი ათეულის ძიძაც და პატრონი.“³⁰

იონა მებუჯეს ზოგიერთი საბრძოლო თვისება: „ნუნ გიორგი მუმლაძეს ხოხვის მომგონს ეძახებდნენ, იონა მებუჯემ ჩინებული შენიღობა იცოდა. მინდობზე ღრუბლის ჩრდილის მეტი რომ არაფერი იყოს, იონას ისიც კი ეყოფა. უჩინარი ვახდესო, — მითხრა ერთხელ კაპიტანმა გელოვანმა.“³¹

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებიდან ზემოთ მოყვანილი რამდენიმე ადგილი საქმარისია იმის საჩვენებლად, თუ რა მრავალმხრივ და დეტალურად უდგება ავტორი თავისი საყვარელი გმირების ინდივიდუალური თვისებების ხატვას, თუ რა გულმოვიდინედ ძერწავს

იგი გმირის ნატიფ სახეს, რაც მწერლის მა-
ღალოსტატობის წყალობით სამუდამოდ იბეჭ-
დება მკითხველის მგესიერებაში.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ფრონტულ
მოთხრობებში მთელი თავისი სიტხადითაა წა-
რმოადგენილი ომის საშინელება. მხოლოდ
უშუალოდ ფრონტის ქარცეცხლში ნატრიალებ
მწერალს შეეძლო ასეთი სიზუსტითა და კაზ-
მული სიტყვით დაეხატა დაბომბვის სურათი:
„გავიგონე ბომბების სტვენა... შემდეგ ვერა-
ფერი... ვერც აფეთქება, ვერც გამომიჯნული
მიწის ბლავილი, ვერც ნამსხვრევების წივილი.
წამიერად დაეურთვედი. ვიგრძენი მხოლოდ, მი-
წა ვანზე გამიხტა, თითქოს ზურგიდან ვაღ-
მოგდებას მიპირებდა. ხანძრისაგან ვახურე-
ბულ, გავკამლულ ჰაერში კუდიანებივით დაჰქ-
როდნენ ძირფესვიანად მოთხრილი ხეები. მიწა
ძაბავებდა, როგორც გემის ბაქანი.“³²

ან კიდევ: „თანდათან გაძლიერდა ზრაკის,
გახტრებულ რკინისა და ახლად მოხსენი მი-
წის სუნნი, და კიდევ ის განსაკუთრებული,

მძაფრი, დაუეწყარი სუნი, დაბომბვის შემდეგ
ჰაერში დიდხანს რომ ტრიალებს და იმ დღე-
ყველაფერს — მიწას, ტანსაცმელს, პურს,
თამბაქოს, მგონი სიტყვასაც კი რაღაც უსი-
მონეო გემოს აძლევს.“³³

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის თქმის
მტკიცე საფუძველს გვაძლევს, რომ საბჭოთა
კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის
ასახვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქ-
მედებაში ერთი მეტად საყურადღებო მოტივ-
თაგანია და რომ მწერალს ამ პრობლემისათვის
ღაითობლი აქვს თემის მნიშვნელობისათვის
შესაფერისი ყურადღება. სწორედ ამიტომაც
ჩვენს მიერ განხილული ნაწარმოებები თავისი
იდეურ-მხატვრული ღირსებით თუ ჩვენი ხალ-
ხის პატრიოტული და ინტერნაციონალური
სტოლიკვეთებით აღზრდის საბატო ამოცანის
შესრულებაში გარკვეული წვლილის შეტანით
საგრძობით მასშტაბით ზრდის მათი ავტორის
შემოქმედებით პოტენციალსა და მწერლურ
სახეს.

შენიშვნები:

1 „მნათობი“. 1970 წ. №—5. გვ. 110.
 2 კ. ლორთქიფანიძე. თხზულებანი. ტომი
 1, 1969 წ. გვ. 20.
 3 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგნი.
 გვ. 60.
 4 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგნი.
 გვ. 62.
 5 კ. ლორთქიფანიძე. ხსენებელი წიგნი.
 გვ. 65.
 6 იქვე, გვ. 65.
 7 იქვე.
 8 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 77.
 9 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 90.
 10 იქვე.
 11 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 90.
 12 იქვე.
 13 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 107.
 14 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 110.
 15 იქვე, გვ. 111.
 16 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 116.

17 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 144.
 18 იქვე, გვ. 146.
 19 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. 149.
 20 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 226.
 21 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 40.
 22 იქვე, გვ. 42.
 23 იქვე, გვ. 43.
 24 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 93.
 25 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 191.
 26 იქვე, გვ. 192.
 27 იქვე, გვ. 192.
 28 იქვე, გვ. 234.
 29 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 234.
 30 იქვე, გვ. 234.
 31 იქვე.
 32 იქვე, გვ. 29.
 33 კ. ლორთქიფანიძე. დასახელებული წიგ-
 ნი. გვ. 30.



წ ე რ ი ლ ე ბ ე

ჯამბუარ ოლიველი

ქართული ისტორიული ქრონოლოგიის პირთი საკითხი

(XII—XIII სს მიჯნა)

ისტორიულ ქრონოლოგიას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის, ეს უღაო კემშარიტებაა. ისტორიული ქრონოლოგია ის კარკასია, რომელზედაც ავაბულია აღამიანთა საზოგადოების განვითარება მეცნიერული ისტორია. ამიტომ ენიჭება ქრონოლოგიური თვალსაზრისით ისტორიული ფაქტებისათვის ადგილის მიჩენას დიდი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, მსოფლიო ცივილიზაციის მოწინავე ხალხების ისტორიაც არ არის განვითარებული თუნდაც ტრივალური ქრონოლოგიური ფაქტების სიუხვით, მათი უმკველობით. თვით იმ ხალხების ისტორიაშიც კი, რომელთაც განვითარების შედარებით მშვიდობიანი, ზელსაყრელი პირობები ჰქონდათ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით მრავალი რამ არის დასადგენი, დასაზუსტებელი.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ქართველებით აღსაცემ თავდასაფლის მანძილზე ბევრი საისტორიო პირველწყარო განადგურდა, დაზიანდა და შეირყვნა. ვანსაყუთრებული ძნელბედობის ქამს აქნებ ვერც იცლიდნენ საწერად და ჩვენს ისტორიაში, თანადროული ხანის პირველწყაროების თვალახედვით, ლაყუნებიც არსებობს. ამჟამად ჩემს მიზანს ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ისტორიის წარმოჩენა არ შეადგენს. აღნიშნავ მხოლოდ, რომ ქართული ისტორიულ-ქრონოლოგიური მასალის შედარებითი სიმწირე, ირვად ჰქონდა შეცნობილი სახელოვან ისტორიკოს-გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს, ხასჯასმით ამასვე მიუთითებდა ღვაწლმოსილი ქართველოლოგი მარი ფელისიტი ბროსე. ჩვენს ისტორიაში ქრონოლოგიური ხარვეზების შესავსებად უზარმაზარი შრომა გასწია ივანე ჯავახიშვილმა, მის კვლავკვალ მრავალმა ისტორიკოსმა.

თითოეული კონკრეტული ისტორიული ფაქტისათვის ადგილის მიჩენას ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, თავისთავადი ღირებულება გააჩნია. ისტორიული მოვლენების მკიდრო მიზეზობრივი ურთიერთკავშირის გამო, ქრონოლოგიურ მასალას, ცხადია, ფარდობითი, რელატიური ღირებულება აქვს. ქრონოლოგიურად დადგენილი თითოეული ისტორიული ფაქტი აღამიანთა საზოგადოების განვითარების გრძელე ჩაქვის გარკვეულ რგოლს შეესაბამება. თითოეული დადგენილი ისტორიული ფაქტის ქრონოლოგიური საზუსტე, თუ უზუსტობა შესაბამისად მოქმედებს მასთან დაკავშირებული მოვლენების ქრონოლოგიაზე.

საქართველოს და სხვა მრავალი ქვეყნის პირველწყაროების ქრონოლოგიის ძირითად ღერძს ვადაზილი ბრძოლების, მეფეთა, მხედართმთავართა და მღვდელმთავართა მოღვაწეობასთან, მათ ზეობასთან დაკავშირებული თარიღები წარმოადგენს. ბუნებრივია, აღამიანთა საზოგადოების, მწარმოებელი მასების თანამედროვე ისტორიის შექმნისას, ისტორიკოსებს მოკლენათა ქრონოლოგიური მიჯნების დასადგენად სწორედ ამ არსებული ქრონოლოგიური მასალით უხლებთ იმეორება. ამასთან მეფეთა ზეობის დადგენისას ერთი შეხედვით მშრალ ქრონოლოგიურ ამბებში, მოსჩანს კლასობრივ და განსაკუთრებით შინაჯასობრივი ბრძოლის მრავალი სინტერესო მომენტი. ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურის, მეფის, ტახტზე ასვლა, ან მოსი გარდაცვალება თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ხშირად ეს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ცვლილებას მოასწავებდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოს ისტორიაში დიდ ინტერესს იწვევს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი. ინტერესს რა თქმა

უნდა აღლიერებს ის, რომ თამარის დროს საქართველომ ფეოდალური განვითარების მწვერვალს მიაღწია და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღნიშნული თარიღის შესახებ საქართველოს ისტორიის მკვლევართ, შესაბამისი არგუმენტაციით სხვადასხვა თვალსაზრისი ჰქონდათ გამოთქმული. სულ უკანასკნელ ხანს ამ თარიღის დადგენას მიუძღვნა თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატია «უდაკრთი თარიღის დადგენისა»; შ. დარჩაშვილის წერილი, «XIII ს. დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის»; თამარის გარდაცვალების თარიღი კვლავ საღაო გახდა და ეფიქრობ მისი კვლევის ისტორია, ისტორიკოს-მკვლევართა განსხვავებული არგუმენტაციის წარმონაჩა ფართო მკითხველში საზოგადოებისათვის ინტერესს მძლეობული არ უნდა იყოს (საკითხის ისტორიამ გათვითცნობიერებული მკითხველის წინაშე, სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალჯერს დამოწმებული ფაქტების გამეორებისათვის ბოლოებს ეძებდი).

თამარის ისტორიკოსის თხზულებაში «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი» ისე მოსჩანს, რომ თამარი მისი სარდლის, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდგომ გარდაიცვალა. თამარის გარდაცვალების თარიღის დადგენისას ისტორიკოსები სწორედ ამ მომენტს იღებდნენ ამოსავალ წერტილად. ლაკონიერობისათვის მომაქვს ამონაწერი საკუთარი შრომიდან — „მ. ბროსემ მიიჩნია, რომ თამარი გარდაიცვალა 1212 წ. გარდაცვლილი ზაქარია მხარგრძელის შემდგომ, 1212—1214 წწ. (M. Brosset Additions..., გვ. 298)“.

თ. ეროვანიამ გაითვალისწინა თამარ მეფის, გარდაცვალების ბრძანებული თარიღი და ქრონოლოგიური წინააღმდეგობების შემცველი «ისტორიანი და აზმანის» თხზულებაზე დაყრდნობით (მოიუღლა აქანყების ხანგრძლივობა) ეთოწლიანი კორექტივა შეიტანა თარიღში. თ. ეროვანიას მიხედვით თამარ მეფე 1213 წ. გარდაიცვალა (ქრონიკები, I, გვ. 300). ეს თარიღი მიიჩნეეს მართებულად ალ. ხახანიშვილმა საკუთარი დასაბუთებით ივ. ჯავახიშვილმა და იგივე დამკვიდრდა სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, ხოლო კ. კეკელიძის გამოკვლევით თამარი 1216 წ. 27 იანვარს გარდაიცვალა (იხ. „Трапезундская хроника“, 1905 წ. გვ. 19. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., II, 1965 წ. გვ. 290, 1213-1214 წწ. «ისტორიანი და აზმანი», კ. კეკელიძის გამოც., 1941, გვ. 43).

თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წელს აღრიღანვე მიიჩნედა ს. კაკაბაძე. ამასვე ამტკიცებდა იგი ვეფხისტყაოსნისაღმი მიძღვნილ თავის უკანასკნელ შრომაში (ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 228—230. აღრიღანვე შრომების მითითება იხ. იქვე, შენიშვნა 1).

ბ. სილაგაძემ იბნ ალ-ასირის ცნობებზე შესწავლისას დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ იბნ ალ-ასირის ცნობა თამარის 1206-1207 წწ. გარდაცვალების შესახებ სწორია. მან მოიხვედია მზითარ აირივანცის ცნობა, რომლის მიხედვითაც 1209-1210 წწ. თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო. მანვე გამოიყენა ფრანგი რაინდის ლე ბუას მიერ ბეზანონის ეპისკოპოსისადმი მიწერილი წერილი 1207 წ. რომ ათარიღებენ და რომელშიც ვკითხულობთ, ქრისტიანობისათვის მებრძოლი 16 წლის ქართველთა მეფე თავისი დედის ძეგლის თან დაეატრებოს (ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტ., ზოგიერთი საკითხი..., კრებული, საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966 წ. გვ. 124—129)².

სამწუხაროდ, საერთოდ მეცნიერებაში, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ისტორიულ მეცნიერებაშიც ძალიან დიდი ავტორიტეტის ძალა, ძალა მერტყალებად ხანგრძლივი დროის მანძილზე გამეფებული ისტორიული ტრადიციისა, ძალა ინერციისა. სწორედ ამიტომ, რომ დღესაც, როდესაც საფუძველი აღარ არსებობს მიიჩნეოთ, რომ თამარი 1213 წელს გარდაიცვალა, მ. ბროსეს, თ. ეროვანიას, ალ. ხახანიშვილისა და განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ავტორიტეტის გამო ზოგიერთი ისტორიკოსი 1213 წელს — ამ თარიღს, რომელიც არც ერთ ისტორიულ წყაროში არასდროს დადასტურებული არ ყოფილა, მიიჩნევენ სანდოდ მიიჩნევენ.

ეს თარიღი, როგორც აღნიშნული იყო, მომდინარეობს «ისტორიანი და აზმანის» ცნობების ერთგვარი ანალიზიდან, რის მიხედვითაც თამარი ზაქარია მხარგრძელის სიკვდილიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. «ისტორიანი და აზმანი», როგორც ამას მართებულად შენიშნავდა ს. კაკაბაძე, ერთი ავტორის მიერ არ უნდა იყოს დაწერილი. ამ თხზულებაში კონკრეტული ქრონოლოგიური მასალა არ არის, იგი არც ქრონოლოგიურ რიგზეა დაწყობილი. შეინიშნება ქრონოლოგიური შეუსაბამოებანიც. სომხური ეპიგრაფიკის მონაცემების (პალატიის, ბაგეანის ჩამწერები). სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძიკელის თხზულების იმ ადგილის გათვალისწინებით, სადაც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილია მოთხრობილი. შ. დარჩაშვილი კარგად ასაბუთებს რომ თამარ მეფე ზაქარია მხარგრძელზე ადრე გ. ი. 1212 წელზე ადრე გარდაიცვალა. ზაქარია მხარგრძელი რომ ცოცხალია თამარის შემდგომ ამას თითქმის უჩვენებს ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანეც. თამარის სიკვდილის ფაქტის აღნიშვნის შემდგომ ვკითხულობთ «და იყო სამეფო მისი (ლაშა გიორგის

ჯუმაბერ ოღიშვლი
 ძარბუღი ისტორიული ქრონოლოგიის
 მართი საკითხი



ჭ. ო.) დიდსა დაწყნარებასა შინა, და იყვნეს გამგელ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან (!) მკარგრძელი ზაქარია, მანდატორთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი“⁴

1211 წელს რომ თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო ამას ადასტურებს თ. ნატროშვილისა და გ. ჭაფარიძის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოტანილი 1211 წლის 7 ივნისით დათარიღებული წერილი პაპი ინოკენტი III-ისა „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს — მოწოდება წმინდა მიწის დასაცავად“.⁵

განვიხილოთ რას მოგვითხრობენ თამარ მეფის გარდაცვალების შესახებ პირველწყაროები ლაშა გიორგის-დროინდელი მემკთიანე, ვაღმორცემს რომ თამარმა 23 წელი იმეფა და მიიცივალა „თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგართა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას ოცდაშვიდსა, დამარხეს ახალსა მონასტერს გელათს (1184 + 23 = 1207. 427 + 780 = 1207)“⁶. თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილ ეზოსმოდვარიც მოგვითხრობს თამარის გარდაცვალების შესახებ და დასძენს „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეუწყუდია ყოველი გუარი კეთილ — მეფობისა“.⁷ ამ ცნობით, რამდენადღაც თამარი 1184 წელს გამეფდა, იგი 1207 წელს გარდაცვლიდა.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან აღმოსავლელი, რომელსაც თავის თხზულებაში მოთხრობილი აქვს პოლიტიკური ისტორია ვიდრე 1267 წლამდე, მოგვითხრობს „თამარის მეფობაში ქრისტიანებე ვაძლიერდნენ. მან მიატოვა თავისი რუსი ქმარი და გათხოვდა მას ასლანზე, რომელმაც გაავსო იბერია თურქთათვის წართმეული ტყვეებითა და ალაფით. მას შეეძინა ერთადერთი შვილი, რომელსაც ლაშა უწოდა. მოკვდა 22 წლის მეფობის შემდგომ. ტახტზე ავიდა ლაშა, რომელსაც ლაშქარმა გიორგი უწოდა“.⁸ არღან აღმოსავლელის თხზულების ემიზიეტულ თარგმანში, რამდენადღაც ემინი ფაქტების გაანალიზებასა და კომენტარში მ. ბროსეს ეყრდნობოდა, რომლის ქრონოლოგიაში თამარი 1212—1214 წწ გარდაიცვალა, შეცდომით ლაშარაკია დაეთ სოსლანის გარდაცვალებაზე. მოტანილი ტექსტში კა აშკარად ლაშარაკია თამარის და არა დავით სოსლანის გარდაცვალებაზე. გიორგი III 1184 წელს სარტში გარდაიცვალა. მის თანამოსაუდრეს, თამარს გარბაზის ერმა ამავე პერიოდში ხელმეორედ მისცა მეფობის დასტური და ამრიგად როდესაც ვარდან აღმოსავლელი აღნიშნავს თამარი, 22 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალაო, ზემოთს 22 სრული წელი 1207 წელზე გადადის.

რამბ ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობას ქართველთა მიერ ყარსის აღებისა და თამარის გარდაცვალების შესახებ 1207 წელს (ალ-ასირიან 1206—1207 წწ.) ადასტურებს აღდგომის დასაანგარიშებელი ერთი ციკლიური ცხრილის,

ანუ კინკლოსის ისტორიული მინაწერი, რომელია სხვა კინკლოსის მინაწერის მიხედვით თამარი 1206 წელს გარდაიცვალა, მაგრამ კინკლოსური ცნობების ბუნებიდან გამომდინარე, დასაშვებია ერთწლიანი კალმისმიერი შეცდომა.¹⁰ იმავე კინკლოსში XV საუკუნის მხედრული ხელით საკმაოდ დაუდევრად გაკეთებულია მინაწერი რომლის მიხედვით თამარი 1211 წელს გარდაცვლიდა.

თ. ქორდანიას აზრით რამდენადღაც აქ თამარი დედოფლად მოიხსენება ეს მინაწერი არ ეხება თამარ მეფეს, მით უმეტეს, რომ იგი ჩართულია XIV მოქცევის ქრონიკონებში. ვფიქრობ, რომ ეს ცნობა, კინკლოსის წინამძღვალ ცნობასთან ერთად კონსტანტინეპოლის დაწვის შესახებ, მექანიკურად იქნა გადმოტანილი სხვა კინკლოსში თარიღში და თამარის დედოფლად მოხსენებისას გადაწერმა მექანიკური შეცდომა დაუშვა.¹¹

თამარ მეფის გარდაცვალების დღის შესახებ ლაშა გიორგის-დროინდელი მემკთიანე, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, გვამცნობს, რომ ეს მოხდა 12 იანვარს, ოთხშაბათს. ბასილ ეზოსმოდვარის მიხედვით თამარი 18 იანვარს გარდაიცვალა. 1207 წელს როგორც 12, ისე 18 იანვარი ხუთშაბათი დღე იყო და გარდაცვალების დღის მინიშნებისას (ან ხელნაწერთა გადაწერისას) დაშვებულია მცირე უზუსტობა.¹²

ბასილ ეზოსმოდვარის თხზულებაში, სადაც ქრონიკონული თარიღი არ არის, მოგვიანებით თამარის გარდაცვალების თარიღად სხვადასხვა პირებს მიუწერიათ ქრონიკონი უია და ქრონიკონი ულ (შესაბამისად 1191 წელი და 1210 წელი). ეს უთანასწოლო თარიღი, როგორც მათთვის ხელსაყრელი, აღნიშნული აქვთ თავის სტატიაში თ. ნატროშვილსა და გ. ჭაფარიძეს, აგრეთვე შ. დარჩაშვილს თავის წერილში. ორივე თარიღი გვიანი მინაწერია და ამდენად თანაბრად საეჭვო. ამასთან პირველი თარიღის სიმკდარე მეტად თვალსაჩინოა.

ამრიგად, ისტორიული პირველწყაროები და უპირველესად ყოვლისა ლაშა გიორგის-დროინდელი მემკთიანე, თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წლის იანვარს აღნიშნავენ: თამარ მეფის გარდაცვალების სხვა თარიღიც არც ქართულ და არც უცხოურ პირველწყაროებში არ არის.

თ. ნატროშვილისა და გ. ჭაფარიძის სტატიაში თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად მოხმობილია მრავალფეროვანი მასალა, როგორც ისტორიული წყაროების, ისე სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისით. სამეცნიერო აპარატი სტატია მეტად სოლიდურ შთაბეჭდილებას სტოვებს და ავტორების მალაღობრივად მოხმობილ დაშავსებულ ბეჭედას. მომეტერონ ავტორებმა მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ სტატიაში ხშირად მათი ერთდროული რამდენადმე



თვითმხიწურად არის გამოვლენილი. სტატიაში სკარბობის წინასწარ აღებული დასკვნის დამტკიცების სურვილი. მიზნის მისაღწევად ავტორები ხშირად იყენებენ ერთი ეცნობით მეორე ეცნობის ამოხსნის გაუმართლებელ მეთოდს.

სტატიაში მიჩნეულია, რომ იბნ — ალ-ასირი სცდება, როდესაც 1207 წელს აღნიშნავს თამარის გარდაცვალებას, რომ ამ დროს დავით სოსლანი გარდაიცვალა. იმის დასამტკიცებლად, რომ თამარი 1207 წლის შემდგომაც ცოცხალია ავტორები ათარიღებენ ქართველთა ლაშქრობას ირანში, მათ მიერ მარანდის აღებას და გამოპყავთ, რომ ეს ამბავი 1209 წლის შემოდგომაზე მოხდა.¹³ მათივე არგუმენტაციით, პირველწყაროსის მომწველობით, ამ ლაშქრობაში დავით სოსლანიც მონაწილეობდა უა ისინი აშკარა წინააღმდეგობაში ვარდებიან (დავით სოსლანი მათი აზრით 1207 წ. გარდაიცვალა).

ქართულთა მიერ ირანში ლაშქრობის თარიღი ქართულ წყაროებში არ არის შემონახული. მისი თარიღის შესახებ ცნობას გვაწვდის იბნ ხალიქანი. იგი მოგვითხრობს ცნობილი სწავლულის იზ ად-დინის არბელაში დამკვიდრების შესახებ და ამბობს „ეს მოხდა, რამდენადაც ვიცი, 602 ან 603 წელს, მაგრამ იბნ ბატიში ამბობს, რომ ეს იყო 606 წელს. იმავე წელს ქართველები გაიმოგმარებენ და აიღეს მარანდი, ქალაქი დაქვემდებარებული აზერბაიჯანზე, არბელას მახლობლად; მათ გაძარცვეს იგი; ამოეღიტეს მცხოვრებთა ნაწილი და წაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენი“.¹⁴ როგორც ვხედავთ არც ამ ცნობაშია მოცემული ლაშქრობის გამოკვეთილი, ზუსტი თარიღი, თუმცა უპირატესობა უნდა მიენიჭოს იბნ ხალიქანის თარიღს (1205 წ. 18 აგვისტო — 1207 წ. 27 ივლისი), რომელიც წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით მხოლოდ კეთილსინდისიერებისათვის აღნიშნავს თავისი მასწავლებლის იბნ ბატიშის თარიღს (1209 წ. 6 ივლისი — 1210 წ. 24 ივნისი). თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის არგუმენტაცია იბნ ბატიშის თარიღის სასარგებლოდ არაღამაჟერებლად გვეჩვენება. ის ამბავი, რომ ამ მოვლენის დროს იბნ ხალიქანი დაბადებული არ იყო და იბნ ბატიში კი მოწიფული კაცი იყო, ცხადია, არაფერს ამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად უკრიტიკოდ უნდა ვაგვეთიანებინა ისტორიულ მოვლენათა ყოველგვარი თანაროული პირველწყაროს ცნობა, რაც ფაქტურად ისტორიული მეცნიერების უარყოფამდე მიგვიყვანს. ესეც რომ არ იყოს გაიზიხენით განსაკუთრებით კრიმინალისტიკაში ცნობილი პარადოქსი „თვითმხილველივით სცრუობს“.

„ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით დავით სოსლანი გარდაიცვალა ბასიანის ომის (1202 წ. 27 ივლისი)¹⁵ მომდევნო ხანაში. სხვა ქართული წყაროებით მას მონაწილეობა მიუღია ირანში ქართველთა ლაშქრობაში, რომლის ზუსტი თა-

რიდი ჩვენ არ ვიცით (იბნ ხალიქანის თარიღი 1205—1207 წწ.)

ორიოდ სტყვიით შეგვებობთ თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის წერაში დამოწმებულ ნუმისმატიკურ მასალას. სტატიაში სავესები სამართლიანად არის შენიშნული, რომ თამარის გარდაცვალების თარიღის კომენტარებისას ნუმისმატიკური მასალისათვის ყურადღება არ მიმქცევიდა. არ ჰქონდა იგი გათვალისწინებული თამარის გარდაცვალების თარიღის დადგენისას ბ. სილაგაძესაც. უნდა ვიღიარო, რომ იმდენად დასაშვებად მიმაჩნდა გრაფიკული აღრევა ქართული ასომთავრული „ა“-სა („ა“) და „ა“-ს („ა“) შორის, რომ ვენდო პრაოდ. ს. კვაბაძეს; მიმაჩნდა, რომ დადასტურებულია თამარის „უზ“ ქორონიკონით (407 წ. + 780 = 1187 წ.) მოჭრილი მონეტები.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკური კაბინეტის ფონდებში საგანგებოდ შევამოწმე თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატიაში 1210 წლით დათარიღებული თამარ მეფის მონეტები. მართლაც დადასტურდა, რომ ქართული ფულის ძირითად ფონდში: №№ 125, 129, 142, 149, 157, 1883, 1872, 1880, 4174, 4179 მონეტები; განძების და ცალკეული აღმოჩენების ფონდის №№ 7716, 7721, 7729, 7730, 7747, 7750, 7752 მონეტები მოჭრილია თამარ მეფის სახელით და დათარიღებულია ქორონიკონი „ულ“-ით, ანუ 1210 წლით (420+780).¹⁶

ამავე დროს ნუმისმატიკური მასალით მეფის ზეობის ზედა საზღვრის განსაზღვრის უხერხულობას აღნიშნავენ სტატიის ავტორებიც: „სამონეტო საქმის ისტორია — მათი სამართლიანი შენიშვნით, იცნობა შემთხვევებს, როდესაც მონეტა იჭრება გარდაცვლილი ან ტახტიდან ჩამოვლებული მონარქის სახელით“.¹⁷ ლაპარაკობს რა ბარდავში აღმოჩენილ IX საუკუნის დირჰემებზე, მუსლიმანური მონეტების კლასიფიკაციაზე საერთოდ, ცნობილი ნუმისმატიკ. ვახოშვიდი აღნიშნავს, რომ კრიტიკულ დამოკლებულებას მოითხოვენ საერთოდ ანონიმური მონეტები, ან მონეტები, რომლებზედაც საერთოდ არ არის აღნიშნული ხალიფას სახელი, ან რომლებზედაც აღნიშნულია არა მმართველი ხალიფას, არამედ მისი წინამორბედის სახელი.¹⁸

ამრიგად, საქართველოს მეზობელ სამყაროში თამარ მეფის ხანამდე უკვე დადასტურებული იყო ფაქტები იმისა, რომ მონეტაზე სახელმწიფოს მეთაურის სახელი აღნიშნული იყო მისი გარდაცვალების შემდგომაც. საკუთრივ ქართული ნუმისმატიკა საერთოდ არ არის განვითარებული ყველა პერიოდის მონეტების სიუხვით.

ჯუშუბარ ოდიშელი
ქართული ისტორიული ძეგლების
ერთი საბითბი



მეფის გარდაცვალების შემდგომ მისი სახელით მოჭრილი მონეტები თითქოს არც XI-XII სს. ქართულ ნუმიზმატიკაშია დადასტურებული, მაგრამ სჩანს, რომ აღნიშნული მოვლენის პრეტენდენტს წარმოადგენს სწორედ თამარ მეფის 1210 წლის მონეტები.

დიდი და სახელგანთქმული მეფის გარდაცვალების შემდგომ ყოველთვის თავს იჩენდა ხოლმე სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება. ისტორიული პირველწყაროები მოგვითხრობენ ლაშას არაყარ მდგომარეობაზე მისი მეფობის დასაწყისში. ლაშას მდგომარეობას აღბათ აზრთულდება, მის პოზიციებს ასუსტებდა, დადასტურებული ფაქტი მისი რინდებთან კავშირისა, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს, ათაბაგის ჭარბად აღზევება, ის რომ ლაშა-გიორგიმ, საქართველოს მეფემ განძის ბრძოლაში დაშვებულ მეცდომისათვის, მიუხედავად ბრძოლაში გამარჯვებისა, დიდებულებს დამამცირებელი ბოდინი მოუხადა.¹⁹ დასასრულს როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული მიხედვით — დროინდელი მემკვიდრის ცნობით მეფობის დასაწყისში მოკიდებულა ჯერ კიდევ მისი მშობლის სიცოცხლიდან, ლაშა-გიორგი ივანე ათაბაგისა და ზაქარია მხარგრძელობის მხრუნველობისა და შესაბამისად მათი ვაჟუნის ქვემოთ. ასეთ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, ლაშა-გიორგის მეფობაში მოჭრილი ყოფილიყო მისი სახელგანთქმული მეფის მონეტები, მითუმეტეს, რომ ისტორიული თუ ხალხური ტრადიციით თამარ მეფე საკმაოდ თავისებური პიროვნებაა. ხშირად მას საქართველოში ისეთი მოვლენები, ფაქტები მიეწერებოდა, რომლებთანაც ახალგაზრდასა და სავსებით უნაყოფო თამარს (უამარავი თამარის ციხე და სხვ.).

მსოფლიო ნუმიზმატიკაში უამრავი მაგალითია სახელმწიფოს განსვენებული მეთაურის სახელით მონეტების მოჭრისა. მოგვიანებით ეს მოვლენა ქალაქის ფულზეც ვაგრძელდა და დაკანონდა კიდევ. ამდენად მხოლოდ ნუმიზმატიკური მასალით რომელიმე ისტორიული პირის, მეფის, ცხოვრების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის (terminum post quem non) დადგენა საერთოდ შეუძლებელია. უხეშ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ დოლარების მიხედვით არაყარ არკვევს ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრების ქრონოლოგიას. ნუმიზმატიკური მასალით მით უმეტეს არ შეიძლება მეფის ზეობის, კონკრეტულ შემთხვევაში თამარ მეფის ზეობის, ზედა საზღვრის დადგენა, იმ დროს როდესაც ნუმიზმატიკური მონეტების გამოშვების ცნობებს იძლევიან ნარატიული პირველწყაროები.

უნდა ვიგულისხმობთ, რომ 1210 წელი საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში შეეხამებოდა ლაშა-გიორგის მეფობის სტაბილიზაციის მომენტს, მისი მდგომარეობის განმტკიცებას; ვინაიდან ამ თარიღით დადასტურებულია მისი

არასწორი ქედვის სპილენძის მონეტები სწორი ფორმის სპილენძის უნიკალური მონეტა, რომლის თარიღს ე. პახომოვი და დ. კაპანაძე პიჯის 606 წლით, ანუ 1209—1210 წწ. განსაზღვრავენ.²⁰

ფეოდალიზმის განვითარება კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გულისხმობს. საქართველოში ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები, მწვავედ ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის, ტახტის შენარჩუნებისათვის. XI საუკუნიდან საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ე. წ. თანამოსაყდრეობა — მამის და შვილის თანამეფობა. მმართველი მეფე მისსავე სიცოცხლეში იძულებულია რეალურად ხელისუფლების გარანტია შეუქმნას თავის მემკვიდრეს (დემეტრე—გიორგი; გიორგი—თამარი). ქართული ნარატიული და ეპიგრაფიკული პირველწყაროებით, სომხური ისტორიული ცნობებით სრულიად უდაოდ არის დადასტურებული თამარ მეფისა და მისი ვაჟის „ჯავახთ უფლის“ — ლაშა გიორგის, იგივე ლაშას თანამოსაყდრეობა (გუნია — ყაღის წარწერა, ბეთანიის ეკლესიის მხატვრობა და სხვ.). სავარაუდოა, რომ 1192/3 წწ. დაბადებული ლაშა-გიორგი გვირგვინისანი ღვთის თანამოსაყდრე ვახდა მისი მამის, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდგომ, დაახლოებით 1204—1205 წწ.²¹ სწორედ ამ პერიოდში იქმნებოდა იგი ეპითაღმწერლის ცნობით 13 წლის.²²

1206 წელს პროკომარის სურბ ნინოს ნამონასტრალის სომხური ეპიგრაფიკული ძეგლითაც ლაშა-გიორგი მეფეა. „წელსა 655 (=1206) მეფობისა ლაშასი და ამირსპასალარობასა ზაქარისი და ძისა მისისა შაჰნუშაჰის და ძმისა მისისა ივანესი, მე მამა სამეფულ და სხვა თანამაია ჩვენთა ადვანუნეთ ეკლესია პატრონთა ჩვენთა დღეგრძელობისათვის მოსახსენებლად სულთა ჩვენთა და მშობელთა ჩვენთა“...²³ წარწერა მრავალჯერ იყო ამოკითხული და გამოცემული. ლ. ალიშინისა და კ. კოსტანიანის ეპოქალაქული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მას შეცდომით მარმეტის წარწერას უწოდებენ. შეცდომა თავის უქანასწავლ გამოკვლევაში გაასწორა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (პროკომარის ძროხეგის ხეობაშია, მარმეტი — ახურანის).

ძირითად საბუთად იმისა, რომ თამარი 1210 წელს გარდაიცვალა შ. დარჩაველს თავის გამოკვლევაში მოყვანილი აქვს პალატის 1210 წლის სომხური წარწერა. მისი აზრით, პალატის წარწერა თამარის გარდაცვალების თარიღად 1210 წელს აცხადებს²⁴ წარწერაში ვკითხულობთ, რომ იგი ამოიკვეთა „მეფეთა მეფის გიორგის, დიდი მეფის თამარის ძის კურთხევის წელს“²⁵, მაგრამ თამარის გარდაცვალებაზე იქ ერთივე არ არის დაძრული.

უნდა გავიმეორებოთ, თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებას, რომე-



ლიც შეიქმნა ლაშას მმართველობის დასაწყისში, რის შესახებ ზემოთაც იყო ლაპარაკი და რაც ესოღენ ნათლად, დეტალურად აქვს გადმოცემული ქართველ ეპოქადაღმწერელს (საქართველოს უმაღლესი ეპისკოპოსი, ათაბაგის ქარბად აღზევება და სხვ.) აზაფერია ვასაყირბი იმაში, რომ დედის სიცოცხლეშივე მეფე-კურთხეულ ლაშას მხოლოდ 1210 წლისათვის განმტკიცებია თავისი შერყეული პოზიციება და ხელმოკრედ მეფედგურთხევისათვის მოედგა. ნათლად არის ნაჩვენები, რომ ახალგაზრდა მეფის მცდელობას, რომ „განეშორებინა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისანი“. ე. ი. განთავისუფლებულიყო მზრუნველობა — მეურვეობისაგან, თავადთა მხარე მკაცრი პორტუსტი გამოუწვევია („არა ათავს ვიდებთო, ეტყოდეს, შესნა შეფედ ყოფასა“).²⁵ მეფეს შორალის პოზიციებიდანაც შეუტეეს.

რაც შეეხება ლაშას, უკვე მეფედგურთხეული თანამოსაყდრის, ხელმოკრედ მეფედ კურთხევის, ცნობილია, რომ ეს არ არის პრეცედენტი. გამწვავებული შინაჯალბორები შროლის ვითარებაში ამ დროისათვის ეს არის ტახტის დაკავების დაკანონებული ნორმა (ხელმოკრედ კურთხნენ მეფედ გიორგი III, თამარ მეფე).

თამარ მეფის ვარდაცვალების თარიღის დასადგენად **თ. ნატროშვილისა** და **გ. ჯაფარიძის** გამოკვლევებში ცალკეა გამოყოფილი ე. წ. ეპისტოლური მასალა. საქმე ეხება ქართულ ისტორიოგრაფიაში კარვად ცნობილ წერილს ფრანკ რაინდის დე ბუასი, რომელიც ვაგზანის უკიდულა ბუნსონის ეპისკოპოსის ამედე დე ტრემესსადმი. ავტორები ეყრდნობიან წერილის ქართულ თარგმანს, რომელიც გამოქვეყნებულია **ზ. ავალიშვილის** მიერ, იცნობენ წერილის ყველა მეცნიერულ გამოცემას.²⁷ გამოკვლევის ავტორების მოსაზრებანი ამ წერილის მეცნიერული შეფასების, მისი გამოცემების, მასში აღნიშნული ისტორიული მომენტების გააზრების თვალსაჩინოთ უნდაოდ მნიშვნელოვანია და რეალური შემეცნებითი ღირებულება გააჩნიათ. მაგრამ თამარ მეფის ვარდაცვალების თარიღის დასადგენად, პირდაპირი ცნობების არსებობის ვითარებაში, ამ უთარღო წერილს, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად ათარიღებს, არ შეიძლება მიენიშოს გადამწვეტი, უპირატესი მნიშვნელობა. აქვე უნდა დავძინო, რამდენადაც დე ბუას წერილში თამარი გარდაცვლილადაა მოხსენებული, **თ. ნატროშვილი** და **გ. ჯაფარიძე** წერილის დათარიღებისას, სამწუხაროდ, კარბ ტენდენციას იჩენენ, როგორც წერილის თარიღი გადააცილონ 1210 წელს. ამის თვალსაჩინო მაგალითია მათ მიერ **ზ. ავალიშვილის** თარგმანის ერთი ადგილის გასწორების მცდელობა, ამ ადგილის ინტერპრეტაცია განვიხილოთ ეს მომენტი.

ცნობილია, რომ დე ბუას წერილს **ზ. ავალიშვილი** ათარიღებდა, იმის მიხედვით, რომ მასში

ნათქვამია „იერუსალიმის სამეფოს ბაბილონის სულთანთან დაზავება აქესო და ანტიოქიის თავრომაც ამ ბაბილონის სულთანთან ზავი შეკრაო“.²⁸ იერუსალიმისა და აიუბიანთა სამეფოებს შორის დადებული ცნობილი საზავო ხელშეკრულებებისა (1204-1210; 1211-1217 წწ.) და „ბაბილონის სულთანთან“ აღ ადილთან ანტიოქიის სამთავროს მიერ დადებული ზავის (1207 წ. ზაფხულში) თარიღების შეჭერების საფუძველზე **ზ. ავალიშვილი** ასკვნისა, რომ წერილი დაწერილია 1207—1208 წწ.²⁹ თ. ნატროშვილი, **გ. ჯაფარიძე** მიიჩნიეს, რომ დე ბუა „ბაბილონის სულთანთან“ ანტიოქიის სამთავროს მიერ დადებულ ხანგრძლივ დაზავებაზე კი არ ლაპარაკობს, როგორც ეს თავის თარგმანში გავებული აქვს **ზ. ავალიშვილს**, არამედ დიდი ხნის წინათ დადებულ ზავზე. მათი აზრით 1207 წ. ანტიოქია — ბაბილონის შორის დადებული ზავი 1208—1209 წწ. ვერ იქნებოდა დიდი ხნის წინათ დადებული ზავი; 1210 წ. იმრ განახლდა და ამდენად წერილში 1211—1217 წწ. დაზავება იგულისხმება. ამდენად დე ბუას წერილი 1211 წ. ან მის შემდგომ არის დაწერილი.³⁰

უპირველესად ყოვლისა ხანგრძლივი, გამუდმებული ჯვაროსნული ომების ვითარებაში დაზავების ერთ-ერთი წელი, ომით ვაბეზრებულნი კაცისათვის, სულაც არ არის მცირე დრო. ამდენად 1207 წლის ზაფხულში დადებული ზავის შესახებ უკვე იმავე წლის დამლევს, ან მითუმეტეს, მომდევნო წელს სრულიად თავისუფლად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ზავი დიდი ხნის წინ უაიღო. ამასთან აღბათ არ იყო საჭირო აკად. ს. ყაზხიშვილის და დოც. ს. რავეიის ავტორიტეტების მოშველლება დასადასტურებლად იმისა, რომ „per longum tempus“ ქართულად ითარგმნება, როგორც „დიდი ხნის განმავლობაში“. ასეთი თარგმანი დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში დადებული დაზავება, არის ხანგრძლივი დაზავება, როგორც ეს მართებულად უთარგმნია **ზ. ავალიშვილი** და არა დიდი ხნის წინათ დადებული დაზავება, როგორც ამას მიიჩნევენ **თ. ნატროშვილი** და **გ. ჯაფარიძე**.³¹

უპირატებლოდ მიიჩნიათ **თ. ნატროშვილისა** და **გ. ჯაფარიძის** დე ბუას წერილის ს. კაცაბინისული (1209 წ.) და **ბ. სილაგაძის** ულული (1208-1209 წწ.) დათარიღება. რაც მომდინარეობს იქიდან, რომ წერილში დე ბუა ამბობს, საქართველოს მეფე 16 წლის არისო (1192/3 + 16 = 1208, 1209). **თ. ნატროშვილს** და **გ. ჯაფარიძეს** მიიჩნიათ, რომ სირია-პალესტინაში მყოფ ფრანგ რაინდს საეჭვოა ქართველთა

ჯუმაგარ ოღიშვილი
ქართული ისტორიული ჟურნალი
მედი სპეციალისტი

⁵ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, № 2, გვ. 188—189.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369^ა, 24.

⁷ ქართლის ცხოვრება, 1959, II, გვ. 150.

⁸ Вардан великий. Всеобщая история. 1861 წ. ემინის გამოცემა, გვ. 171.

⁹ მცირე ქრონიკები, 1968 წ. გვ. 25, № 24, კომენტარი 26.

¹⁰ იქვე, გვ. 26, № 5, კომენტარი 26.

¹¹ იქვე, გვ. 28, № 32, კომენტარი 26.

¹² ს. კაკაბაძე ამ მომენტის საეჭვო ახსნას გუთავაზობს. რამდენადაც ოთხშაბათი იყო 1207 წლის 17 იანვარი, იგი ამბობს, რომ დღე წინა — ზღის ქვეყნებში თითქოს წინაღობის საღამოდან იანგარიშებოდა და ამდენად „ოთხშაბათი 18 იანვარი ხსენებულ წელს ნოშნავს 17 იანვარს საღამოდან“. იხ. სარგის კაკაბაძე, „რუსთაველი და მისი ეფუხისტუაოსანი“, თბილისი, 1966, გვ. 229.

¹³ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, № 1, გვ. 156—157.

¹⁴ იქვე, გვ. 156.

¹⁵ იხ. გ. ალასანია, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის, „მაცნე“, I, 1975, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

¹⁶ გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებ ნუმისმატებს ი. ჭალაღანიას, თ. აბრამიშვილს. თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ 1210 წლით დათარიღებული მონეტებიდან ქართული ფულის ძირითადი ფონდის № 123, 1834, 1856, 1873 ქრონიკონი „ულ“ არ იკითხება. განძებისა და ცალკეული აღმოჩენების ფონდის № 7718 — თარიღი საერთოდ არ იკითხება № 7728 — თარიღის ადგილი გაჭეკულია დამოთ. თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატიაში ფონდების სახელწოდებანი აღრეულია.

¹⁷ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, მაცნე, № 1, გვ. 160.

¹⁸ Е. А. Пахомов, Монеты Азербайджана, вып. IV, Баку, 1913 г., 149.

¹⁹ იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 152^{ა-ბ}; გვ. 153—154.

²⁰ იხ. Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 101, დ. კაკაბაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 79.

²¹ იხ. ა. ვამერელიძე, ბასიანის ომის თარიღი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1965, გვ. 242—257; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტ. ზოგიერთი საკითხი; კრებულები — საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 118—119, გვ. 125 შენიშვნა 79.

²² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

²³ ლ. მელქისეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 103, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1964 წ., გვ. 325—326.

²⁴ შ. დარჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152

²⁵ იქვე.

²⁶ ქართლის ცხოვრება, II, 155.

²⁷ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „მაცნე“ № 2, გვ. 168, შენიშვნა I.

²⁸ ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო წარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 139.

²⁹ იქვე, გვ. 141.

³⁰ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, „მაცნე“ № 2, გვ. 173—174.

³¹ იქვე.

³² იქვე, გვ. 170—171.

³³ იქვე, გვ. 169.

³⁴ იქვე, გვ. 187.

³⁵ იქვე, გვ. 169.

³⁶ რ. კიცნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, „მეცნიერება“, თბილისი, 1975, გვ. 129—132.

³⁷ მცირე ქრონიკები, ტ. I, შეადგინა ვ. ჰაკობიანი, ერევანი, 1951, გვ. 37 (სომხურ ენაზე).



„სულიერი პართოზა“

(ბარონტი შიშოვის შემოქმედებითი ასპექტები)

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს მსოფლიო ლიტერატურული რუკის განსაზღვრა წარმოადგენს. ცნებამ „მსოფლიო ლიტერატურა“, რასაც გოეთეს მიაკუთვნებენ (Weltliteratur), მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე უდიდესი ტრანსფორმაცია განიცადა.

ამასთანავე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის ამ ტერმინის შინაარსის განსაზღვრამ აზრთა ისეთი სხვადასხვაობა წარმოშვა, რომ ის ერთგვარ ლაბირინთს დამსგავსა. ლიტერატურული მსოფლიო კი ამ ლაბირინთიდან თავის დასაღწევად „პარიდესს ძაფის“ ძიებაში იმ უპარავ შეხების წერტილს პოულობს, რომლებშიც თანხვედბოდა საუკუნეთა ნაპირები.

ეროვნული ლიტერატურის მიმართება მსოფლიო ლიტერატურისადმი არც მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისათვის იყო უცხო. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეს და ვაჟა ფშაველას ეროვნული ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სწორედ „საზოგადოებრივი ტიპის“ შექმნა და „კაცობრიობის საღაროში საკუთარი თანხის შეტანა“ მიაჩნდათ.

ესთეტიკური აზრის ექსპორტ-იმპორტი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ურთიერთკავშირებს შორის, რომელიც სხვადასხვა ერებს ერთმანეთთან აახლოვებს და ერთიგვარისათვის გასაგებს ხდის. ალბათ, „ქებათა ქებისა“ და ფსალმუნების კითხვა უფრო ამძაფრებდა დასაყრდენ და აღმოსავლეთ საქრისტიანოს რელიგიურ გრძნობებს, ვიდრე ყველა ჭვაროსნული ომი ერთად. ვოლტერის სიტყვამ ერთნაირი ძალით შეარყია როგორც ბუბონების, ასევე რომანოვების იმპერია. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი იტალიელებმა „დეკამერონში“

ათ საღამოში გაითამაშეს. შექსპირმა თავისი ტიტანური ვნებებით დამუხტული ძველი დროის ქრონიკებით დედამიწის ორივე პოლუსს შორის მცხოვრებ ყველა მოაზროვნე ადამიანს გაამეორებინა მარადიული კითხვა: „ყოფნა-არყოფნა?“. ლორდი ბაირონის კეთილშობილური სულის ღადაღისი მწუხარე ბინდად ჩამოწვა ევროპის კონტინენტზე და ბარათაშვილის მერანის თავგანწირულ ქენებაში ჰპოვა გამოსავალი. კაცობრიობის გონებისა და ფიქრთა დაპყრობაში ვაცილებით ძლიერი აღმოჩნდნენ „ფერნეს პატრიარქი“, „ეპიმარელი ბრძენი“ თუ „იასნაია პოლიანას გენიოსი“, ვიდრე ყველა აუსტერლიცი და ვატერლოო, იმიტომ რომ, როგორც გერონტი ქიქოძე ამბობს, „ენა უფრო ბასრი იარაღი აღმოჩნდა, ვიდრე შუბი ან ხმალი იყო და პოეზიამ შესძლო ის, რაც ვერ შეძლო ვერც თოფმა, ვერც ზარბაზნმა“, იმიტომ, რომ „კაცობრიობას ხშირად სჭირდება ასეთი ადამიანების მოვლენება, კაცობრიობას ფრთები სჭირდება, ორი დიდი ფრთა, რათა ცხოვრების პროზა, გვირუკი სინამდვილე შალღი პერსპექტივიდან დაინახოს...“.

მსოფლიო ლიტერატურის სულიერი თუ ინტელექტუალური ერთიანობის დამდგენ ერთ-ერთ საშუალებას ლიტერატურულ ურთერთობათა შესწავლა წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს საკუთარი, ეროვნული ლიტერატურის განხილვას ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში (თუ კი ის ამის საშუალებას იძლევა), და ეროვნულ მწერლობაში უცხო ლიტერატურის შემოჭრას, რომლის ერთ-ერთ მთავარ მეკავშირეს როლს თარგმანი ასრულებს.

თანამედროვე ლიტერატურის მსოფლიო ამოცანების დონეზე ამალვების შესაძლებლობას გერონტი ქიქოძე ხედავს ამ ეროვნულ ლიტე-



რატურათა კონტაქტების გაღრმავებაში. ამასთანავე, გ. ქიქოძეს აუცილებლად მიანიჭა კრიტიკული კვლევისას თავისებური „კომპარატივისტიკა“ საშუალების გამოყენება, სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა შორის პარალელურად გაგება და ამ გზით ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის ეროვნულ-ესთეტიკური თავისებურების დადგენა. ამ შეხედულების საფუძველს ილუსტრაციას თავად გ. ქიქოძის კრიტიკული და მთარგმნელობითი პრაქტიკა იძლევა.

გ. ქიქოძის მრავალ წერილში იგრძნობა ტენდენცია ქართული ლიტერატურის საკითხების განხილვისა ზოგად ევროპულ თუ ზოგად კულტურულ კონტექსტში. ეს იჩივია ახსენება, რომ როგორც ვლ. მაკუფარიანი აღნიშნავს, „საქართველო მას წარმოადგენს როგორც მსოფლიო კულტურის, საკაცობრიო ცივილიზაციის წრეში მოქმედი, შემოქმედი ქვეყანა“. სწორედ ამ კუთხით აქვს მას დანახული მრავალი ლიტერატურული მოვლენა, ამ თვალსაზრისით — შესწავლილი და დაწერილი თავისი საუკეთესო წერილები: „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, „გურამიშვილი“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „რომანტიკოსთა თაობა“, „ძველი იბერიელებს ფსიქოლოგიიდან“ და მრავალი სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით უცხოური მწერლობისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილ წერილებში, მისი მხატვრული ინტერესები ყოველთვის ქართული მწერლის პოზიციიდან გამოდინარებენ. ჯერ კიდევ 1909 წ. კაბუჯოხისდროინდელ ერთ-ერთ წერილში გ. ქიქოძე აღნიშნავდა: „მე როდენს შეეხებე როგორც ქართველმა მწერალმა. მე მისი ხელოვნების პრობლემები ჩვენს სამშობლოს პრობლემებს დაეკავშირებ. მე მისი შემოქმედება ჩემი საკუთარი მსოფლმხედველობის თვალსაზრისით გაფარნიე. ამგვარად როდენისთვის ჯერ არავეს შეუხედავს“. გ. ქიქოძე თავისი პოზიციის ერთგული დარჩა. ქართული მწერლის მსოფლმხედველობის პრიზმაში გაატარა მან ვოლტერი, სტენდალი, ბალზაკი, დედი. ეს წერილები, უპირველეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით არის საინტერესო. „მისი კლამი ქართული ენის სტიქიაში დაიბადა“, ამბობს გ. ქიქოძის შესახებ სიმონ ჩიქოვანი. ჩვენ დაუფრთხვბლით, ქართული აზროვნების სტიქიაში. არა მარტო იმიტომ, რომ მისი სულიერი მისწრაფებისა და ინტერესთა სფეროს მასშტაბირობის მიუხედავად, მისი შემოქმედების საფუძველთა საფუძველად რჩება ქართული შემოქმედებითი პოტენციის აღმოჩენა იმ დიდ ეროვნულ ერთეობაში, რომელიც ყველაზე მკაფიოდ სიტყვაკანმულ მწერლობაში გამოვლინდა. არამედ იმიტომაც, რომ ასეთი ესთეტიკური თუ ეთიკური სისტემის შექმნა შეეძლო მხოლოდ მწერალს, რომელსაც სისხ-

ში აქვს გამჭლარი თავისი ხალხის კულტურული ტრადიციები, ძველი იბერიელებიდან დაწყებული „კლასიკური კულტურის მზის დიმიტამდე“ — „ვეფხისტყაოსნამდე“, „ვის-რაამინიდან“ — „ალექსანდრე ნეველსამდე“. მისი ყველა წერილი ქართული აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს.

1909 წ. გ. ქიქოძე წერდა: „არსებობს სულიერი ურთიერთობა კულტურული ცაცობრიობისა, სულ სხვა პრინციპზე აშენებული, ელდრე მატერიალური ურთიერთობა, თუმცა მასზე უფრო მჭიდრო და გავლენიანი; მატერიალური ინტერესები მხოლოდ სივრცის და დროის ენობოდ შემოფარულული წრის საზღვრებში აკავშირებენ, სულიერი ინტერესები კი ჰქმნიან სივრცისა და დროის შემოფარული საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სულიერ ერთობას. იქ ბრძოლა და წინააღმდეგობაა, ამ განსხვავებულ ეროვნულ ძალთა სრული პარაზონია, ცაცობრიობის განვითარება არის სულიერებელი ზრდა ამ სულიერი ერთობისა. ეროვნებაში ჰქრებთან და თან მოაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა, ის კი რაც მათ ნიქსა და თავისებურებას შეუქმნია დაადი და გენიოსური, სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებულ საუნჯედ რჩება მსოფლიო კონებრე სალაროში, ამ ნაყოფიერებას საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება ცაცობრიობის განვითარების ფაქტორად“.

დღეს, როდესაც სულ უფრო და უფრო ფართოვდება „სულიერი ურთიერთობის“ საზღვრები, შეუძლებელი ხდება რომელიმე ერის სულიერი შემოქმედების იზოლირებული, ვანეეებული განხილვა. ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროს პრაქტიკულებრივმა გაფართოებამ გლობალური ხასიათი მიიღო და იგი სულ ახალ პრობლემებს აყენებს ლიტერატურის მკვლევართა წინაშე. გ. ქიქოძის კრიტიკულ ნაზრეკში თავს იჩენს ის ტენდენციები, რომლებიც თანამედროვე შედარებით — ტიპოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით არაერთ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის. რა თქმა უნდა, ეს მეთოდი მის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული და გაფორმებული სახით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მისი წერილების ერთ-ერთ მთავარ მიზანს ან ამოცანას განსაზღვრული საკითხისადმი ასეთი მიდგომა წარმოადგენს.

მიზეზი კვესელავა წერილში „ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთობის შესახებ“ აღნიშნავს, რომ „თხუთმეტსაუკუნეიან ქართული მწერლობა იძლევა იმის უფლებასა და საფუძველს ეთიკურად, რომ მსოფლიო ლიტერატურის ამ დიდი სამსჯავროს წი-

მანია ზიზილიუზვილი
„სულშიბრი მართობა“



ნაშე, სხვა ერებთან ერთად, ისიც ღირსეულად წარსდგება, თანაც არა მხოლოდ თავისი განვითარების რომელიმე ეტაპში, არამედ იმ თავიდან ამ თავამდე, როცა ლიტერატურის განვითარების საშუალება არსებობდა... იგი, თავის საწყის პერიოდშივე ახა მართო ქრისტიანული სამყაროს ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში დგას, არამედ თავისი განსაკუთრებული ადგილიც უჭირავს მასში. სწორედ ეს არის ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი მოდელთაგანი...

ამ მოდელთი განხილვას გვირგვინი ქიქოძე ქართული ლიტერატურის რიგ საკითხებს. მთავარი ამოსავალი წერტილი ყოველი ერის სულიერი ქმედების სარბიელზე — ეს არის ეროვნული გენია. თავისი თვალსაზრისი გ. ქიქოძეს ასე აქვს წარმოდგენილი: „ყოველი ეს-თეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელსაყრელია, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ესთეტიკურ კულტურას“. ეს არის ძირითადი დებულება, რომელსაც ემაჯობა გ. ქიქოძის შემოქმედება.

ქართულ-ევროპული კავშირითგანთავისებების დაძვინის ცდა გ. ქიქოძის შემოქმედებაში უპირველეს ყოვლისა იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ მისი აზრით, მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის მთავარი მამოძრავებელი იმპულსები ყოველთვის იყო ევროპისაკენ სულიერი ხილის გადების სურვილი. „თუ შესაძლებელია ორიოდ სიტყვაში გადმოვიცხადო ქართული ერის კოლორიტული და ტრავიკული ისტორიის დედაპირი, — აღნიშნავს გ. ქიქოძე, შეიძლება ითქვას, რომ გრანდიოზული სოციალური ქარტეხილების პერიოდში, როდესაც მისი არსებობის საკითხი სასწორზე იდგა, ქართველი ერი ინსტიტუტურად თუ შეგნებულად იმ ძალებისაკენ მიიღრტოდა, რომელნიც ახალობედნენ და აწესრიგებდნენ დაქსაქსულ ან ერთ წერტილზე გაყინულ კაცობრიობას: ელინებისა და რომაელებისაკენ კლასიკურ პერიოდში, ბიზანტიელებისა და ჯერონებისაკენ საშუალო საუკუნეებში, ბოლოს რუსეთისაკენ ახალ ეპოქაში. ამრიგად, ერთი მტკიცე ჯაჭვი აერთებს იბერიის და კოლხიდის სახელმწიფოების ლეგენდარულ ფუძემდებლებს — ვახტანგ გორგასალანსა, დავით აღმაშენებელსა, თეიმურაზ პირველსა, ვახტანგ მეექვსესა, ერეკლე მეორესა და იმ პოლიტიკურ მეთაურებს, რომელნიც ქართველმა ერმა მეცხრამეტე საუკუნეში წარმოშვა“.

აღსანიშნავია, რომ გ. ქიქოძემ ერთ-ერთმა პირველმა იხმარა ქართული კულტურის მიმართ ტერმინი „რენესანსი“. 1915 წ. გამოქვეყნებულ წერილში, რომლის პათოსი ქართული ხელოვნების რენესანსული ხასიათის დასა-

ბუთების ცდისაკენ არის მიმართული, ისევე ნიშნავს: „ყოველი მხგავსება გავლენის შემწეობით როდი იხსენება, არცებობს იდეათა და ფორმათა პარალელუზმი, რომელსაც კულტურულ პირობათა ანალოგია ბადებს“. ასეთი ანალოგია, როგორც წესი, გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მსგავსი ისტორიული კონტექსტით. სწორედ „კულტურულ პირობათა“ ასეთი ანალოგიაა შექმნა ქართული კლასიკური მწერლობის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ეფესისტყაოსანი“, ასეთი ნაწარმოების დაბადება ქართულ სამყაროში კანონზომიერი იყო, „ზაგარტ მეოთხის, დავით აღმაშენებლის და გიორგი მესამის ქრონიკები, იოანე პეტრიწონელისა და ეფრემ მცირეს ფილოსოფიური და ფილოლოგიური კვლევა-ძიებანი, შავთელისა და ჩახრუხაძის ობეძე, შოთა რუსთაველის „ეფესისტყაოსანი“, შემდეგ ბეთანიის, ყინწისის, უბისის ფრესკები, ნამდვილი რენესანსის სულითა გამსჭვალული. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების შორიანე ქართველი საზოგადოება შეიძლება თავისი განებრივი ინტერესებით და თავისი კულტურული დონით უფრო ახლოს იდგეს მეოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების განთლებულ ფლორენციელებთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ტლანქ დასავლეთ ევროპულ ჯვაროსნებთან“.

აღსანიშნავია, რომ გ. ქიქოძე „ეფესისტყაოსანს“ განიხილავს მთლიანად ქართული კულტურის კომპლექსში, როგორც ამ კომპლექსის გვირგვინს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ეფესისტყაოსანს“ ის აღარებს არა მხოლოდ ყველა იმ ძირითად კომპონენტს, რომელმაც განაპირობა მისი შექმნა, როგორც ამ ცალკეული ელემენტების ერთობლიობის უმაღლესი და უზენაესი გამოვლინება ფილოსოფიიდან დაწყებული მხატვრობამდე, არამედ ის ქართული ერის ამ უდიდეს იდეოლოგიურ ფაქტორსა და საყრდენს უპირისპირებს მთელ იმდროინდელ დასავლურ სამყაროს, რომელიც ამ შედარების ფონზე, გ. ქიქოძის აზრით, ფერმკრთალად და ულინდამოდ გამოიყურება. წერილში „შოთა რუსთაველი“ გ. ქიქოძე სიყვარულის რუსთაველურ გაგებას უპირისპირებს რუსთაველის თანამედროვე დასავლური ეპოსის „ტრისტანისა და იზოლდას“ სიყვარულის კონცეფციას. ის სწერს: „შეიძლება საგნებისა და აღმანიების ღრმა ცოდნა ისე არსად სჩანდეს, როგორც სიყვარულის გნების ასახვაში“. გაიხსენათ, როგორ ხატავს სიყვარულის პირველ გაღვიძებას, მაგალითად, მისი უფროსი თანამედროვე ფრანგი ტრევერი, „ტრისტანისა და იზოლდას“ ავტორი. ტრისტანისა და იზოლდას საბედისწერო სიყვარული, რომელიც მათი დაღუპვით მთავრდება, ჯადოქრობის შედეგია: ის გამოწვეულია შე-



ლოცვილი სასმელით, რომელიც ქალ-ვაჟმა, სრულიად შემთხვევით, ერთად დალია. თუ იზოლდას სიყვარულის საშალა ტრისტანთან კი არა, მარტო მუფესთან ერთად დაელია, როგორც თავდამპირველად დედამისის მიერ იყო განზრახული, ეს ახალგაზრდა ქალი მუდამ თავისი კანონიერი ქმრის ერთგული იქნებოდა და ტრისტანს არ გაუმჯიფრებებოდა. სიყვარულის წარმოშობის ასეთი გავება დღეს სრულიად უცხოა ჩვენთვის“.

ჩვენი ვერ დავეთანხმებით ავტორს ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულის ასეთ ინტერპრეტაციაში. რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ამდლებულ, განსაღ სიყვარულთან შედარებით ფრანგი ტრუვერის გმირები თავიანთ სასიყვარულო ნებნაში თითქმის ავადმყოფურად გამოიყურებიან, მაგრამ არც ის უნდა დადგინდეთ, რომ ეს არის ქრისტიანული სამყაროს პირველი რომანი — აღუღტერი, რომლის ავტორი ალბათ იძულებული გახდა ერთგვარი ლიტერატურული ფანდისათვის მიემართა და ტრისტანისა და იზოლდას სიყვარულის გაღებება მისტიკური ძალისათვის მიეწერა. ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით ეს არც თუ ისე ძნელი გასაგებია, მითუმეტეს თუ გავისინებთ როგორი აღმფრთხილები შეხვდა შეიღობულ საუკუნის შემდეგ იგივე ფრანგული საზოგადოება მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ უბრწყინველეს რომანს „ქალბატონი ბოვარის“. გარდა ამისა, ისიც ხომ ფაქტია, რომ „ტრისტანის“ ავტორი რანდოისის აპოლოგეტი იყო და კარგად ესმოდა ის დანაშაული, რომელიც ვასალმა ჩაიდინა თავისი სუხერენის წინაშე. „ტრისტანისა და იზოლდას“ ავტორსაც აქვს სიყვარულისა და მეგობრობის ისეთი კონცეფცია, რომლის გამოც ის წინეტი ერთ-ერთ უპოპულარესი მთელს ლიტერატურულ სამყაროში. რა თქმა უნდა, ეს კონცეფცია განსხვავებულია და არა რუსთაველური, მაგრამ ექვსგარეშეა, რომ გენიალური შემოქმედების ნაყოფია.

რუსთაველის შემდგომი საუკუნეებში საშინელო კატასტროფა თითქმის მთელი ჩვენი ეროვნული კულტურა იმსხვერპლა. დაირღვა სულიერი კავშირი ევროპულ სამყაროსთან. „მი რკინის საღრებინდან თავის დაღწევა, რომელშიც საქართველო მოექცა ბაღდადის ხალიფატისა და განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის ალბის შემდეგ, პირველად იმავე ნაციონალური ტენდენციის მწერლებმა სცადეს და შეიძლება ითქვას, რომ პირველი თერჯდალულები: არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, დავით გურამიშვილი, ანტონ I და სხვანი არიან“ (გ. ქიქოძე). ამ პირველი „თერჯდალულების“ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ხელახლა იჩინა თავი ევროპულ მწერლობასთან დაახლოების ტენ-

დენციამ, რომელიც მომდევნო საუკუნეებში გაღრმავდა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დასრულებული სახე მიიღო. „ბარათაშვილი, — აღნიშნავს გ. ქიქოძე, — პირველი ქართველი მოცეკვლია ძლიერი ინდივიდუალიზმისა, დალია და ტრაგიკული პიროვნებისა, რომელიც თავისი დანიშნულებას ხატავს არა არსებობის გაყინვასა და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფერებაში დაუსრულებლობაში და მარადისობაში“. თავის მოუსვენარ ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენიოსური ინდივიდუალობა, დალი „მე“, რათა შემდეგ ამავე „მე“-ში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმხრივობა დაენახებინა“.

გ. ქიქოძის წერილი „რომანტიკოსთა თაობა“ ქართული ლიტერატურის ზოგად ევროპულ კონტექსტში განხილვის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. თუ ერთის მხრივ გ. ქიქოძე ისეთი განსხვავებული ხასიათების, პოლიტიკური მრწამსების, ბიოგრაფიების, მსოფლმეტრონების პოეტთა შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და ვ. ორბელიანი, წარმოაჩინა ქართველ რომანტიკოსთა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა, ამოსხნა მათი შემოქმედების ერთიანობის ისტორიული ხასიათი, მეორეს მხრივ, გამოხატა თავისი პოზიცია ქართული რომანტიზმის ევროპულთან მიმართების საკითხთან დაკავშირებით. „... ასეთი მსგავსება უფრო იდეათა პარალელიზმით აიხსნება, ვიდრე პარადიპირი წაბამულობით... ყოველ დიდ ეპოქას თავისი ზოგადი სული აქვს, რომელიც იმორჩილებს შემოქმედ პიროვნებას. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, რომელიც „განათლებლის ეპოქისა“ და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის იმედების ვაცურებას მოჰყვია, მსოფლიო გოდებისა და უსაზღვრო ძიების ეპოქა იყო, და მგრძნობიარე ადამიანები ჰყვრებდნენ ერთად ისუნთქავდნენ რომანტიკულ იდეებსა და სახეებს. მთელი თაობა შეე მერანზე იქა და ზედის საზღვრის გადალახვას ლამობდა. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ინგლისელ ბაირონსა, ფრანგ შატობრიანსა, გერმანელ ნოვლისსა, რუს ლერმონტოვსა, პოლონელ მიცეკვიჩსა და ჩვენს ბარათაშვილს შორის რაღაც იდენტუალი, ძნელად გამოსათქმელი ნათესაობა არსებობს“.

ასეთია ის ზოგადი მონახაზი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეული ეტაპებისა, რომელსაც გ. ქიქოძე ევროპულ კონტექსტში განხილავს. მიუხედავად იმისა, რომ გერონტი ქიქოძე თავის წერილებში არაერთ საკვანძო საკითხს შეხვო. ყველაზე ფართოდ მეცხრამე-

მანი ბიზნილიშვილი
„სულიერი მართობა“

ტე საუკუნეა წარმოდგენილი. მისთვის მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა არა მარტო იმით არის საინტერესო, რომ ამ საუკუნემ აზროვნებას და ესთეტიკის ასალი სფეროები შექმნა, არამედ იმიტომ, რომ ეს მასში პოეზიის აგრეთვე ხნაობრივ, მოქალაქეობრივ იდეალებსაც. ამ მხრივ ქართველ სამოციანელთა ცხოვრება მისთვის მისაბამ მავალით წარმოადგენდა. ისინი მას შუა საუკუნეებს იმ ფუნატიკოს ისტატებად წარმოედგინა, რომელთაც თავიანთი ნახევრად ასკეტური ცხოვრება ერთადერთ მისწავლას, სამშობლოს სამსახურს ქონდათ დაქვემდებარებული. ამ „სამსხვერპლსაზე“ ყველაზე მკაფიოდ ილია ჭავჭავაძის ფიგურა მოსჩანს: 1609 წ. „განდევლითან“ დავაყმარებით გ. ქიქოძე სწერდა: „პირველად ქართულ პოეზიაში, ქრისტიანულში იდეაში ქედი მოიხარა ჰუმანიტარული იდეალის წინაშე, რომელმაც ცალმხრივ ასკეტობას, ასკეტურ წმინდანობას და უპირდაპირა იდეა ყოველ მხრივ, პარმონიულად განვითარებული კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულება დასაბა არა მხოლოდ საიქით ცხოვრებისათვის, არამედ აქვეყნიური არსებობის გარდაქცევა მოქმედების მიზნად და საბრძოლვედ. ეს იდეა ჰუმანიტარული იდეალი იყო შეიქმნა ი. ჭავჭავაძის ნ. ბარათაშვილითან და წაბთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ლიტერატურულ მიმდინარეობასთან“.

გ. ქიქოძის განსაკუთრებული ინტერესი მეცხრამეტე საუკუნის მიმართ მარტო ქართული მწერლობით არ ვანისაზღვრება. აღსანიშნავია, კრიტიკის მეთოდისა და დანიშნულების განსჯისტარაში, მან განსაკუთრებული ყურნეღობა სწორედ გასული საუკუნის კრიტიკას, კერძოდ ფრანგულ კრიტიკას მიაჩნია. XIX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურულ კრიტიკაში ხუთ ძირითად მიმართულებას გამოჰყოფს: ჰუმანიტარული, სოციალდოგიურ, ევოლუციურ, იმპრესიონისტულსა და ფსიქოლოგიურს. მათგან პირველს ის გამოარჩევს, როგორც ლიტერატურის თვალსაზრისით ნეგატიურ მოვლენას პუბლიცისტური კრიტიკის ანტითვისს გ. ქიქოძე ხედავს ესთეტიკური კრიტიკის სასტიკმაში.

მისი აზრით ამ სასტიკმა მთავრდებება სოციალდოგიური, ევოლუციური, ფსიქოლოგიური და იმპრესიონისტული მიმართულებანი. გ. ქიქოძის შემოქმედებით პრაქტიკა არც ერთი ამ მიმართულების ზუსტ რეალიზაციას არ წარმოადგენს. იგი თვითველა მათგანის პოზიტიურ მხარეთა შექალება-განსოვადებისაკენ მისწრაფის, თუმცა მისი სიმბათია გარყვეულად, ფსიქოლოგიურ-იმპრესიონისტული მიმართულებებისაკენ იხრება.

გ. ქიქოძის ამ ხაზის გარძელებას წარმოადგენს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. „თუ მართალია მწერლის სტილი, წერის მა-

ნერა ავტორის სულოერი ცხოვრების სხვაობა და მისი ხასიათის უშუალო გამოხასილი, მაშინ გერონტი ქიქოძის ნაწერები ამ შეხედულებათა დამადასტურებელი კლასიკური მაგალითია. მისი თავისუფალი, ლიდი და გამჭვირვალე სამწერლო მეტყველება, მკითხველთან თითქოს მეგობრული კლითი წამოწყვეთლო საუბარი, ნათლად გამოხატავდა ავტორის სულის მიდრეკილებას, ფიქრების წყობას და ხასიათის შინაგან მელოდიურობას. გერონტი ქიქოძის მომხმარებელი ქართული მის სულში მამდებელი წონასწორობის და ხასიათში შემსუსული ზომიერების გამოხატველი იყო... გერონტი ქიქოძემ უცხოური მწერლობის მრავალი შედეგები ბრწყინვალედ თარგმნა და ყველა თვისი თარგმანი ქართული სიტყვაკავშირული მწერლობის ორგანულ კომპონენტად აქცია. როგორც ჩვენს ძველ მწერლობაში „ვისრამიანის“ ქართულად გადმოკეთებულმა გაამდიდრა და ახალი ფურცელი გადამალა ქართულ მხატვრულ პერიოდაში, ისე გერონტი ქიქოძემ „წიგნი ტრისტანისა და იზოლდას“ თარგმანით ახალი ბრწყინვალემა შეტანა მშობლიურ მწერლობაში, სიტყვის შესანიშნავმა არტიკულამ ტრისტანისა და იზოლდას“ წიგნს თარგმანის იერი ააშორა და იგი ქართული მხატვრული აზროვნების საუწყვედ გახდა. ამ წიგნის მთარგმნელიც ქართული სიტყვის მეტაბრე და მესილუმე გახდა“ (სიმონ ჩიქოვიანი).

შუა საუკუნეების ამ უმწვენიერესი ლეგენდის გარდა, გერონტი ქიქოძემ ქართული თარგმნით ლიტერატურის საუწყვეს შემატა მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთის ლიტერატურული პრესტიჟის განმსაზღვრელი და აზროვნების გამოხატველი ოთხი შედეგთა „წიგნი და შვი“ და „შაქრანის ტყავი“. აგრეთვე მისივე თარგმანების მეშვეობით გაცნო ქართველ მკითხველს „ვალონის ოტებული საწრო პანას“ ტრატარენ ტარაკონელის ავტორის, ალფონს დოდეს ნათელ პროვანსული იუმორით გამოხარ წიგნს „წერალები ჩემი წიქვილიდან“, პრისპერ მერიმეს „კლარა ვაზულის“ თეატრსა და ვერაპული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პერსონაჟს ლონ ეუენს, მასვე გავრცელების ფრანგული ნოველის ყანრის ერთ-ერთი საუწყვესო ნაწარმოების მერიმეს „ამტეო ფალკონეს“ თარგმანაც. მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული კლასიკური ლიტერატურა ამდრეველა აგრეთვე სტენდალის „იტალიური ქრონიკების“ და ბალზაის „სასაცილო მოთხრობების“ რამდენიმე ნაწარმოები, აგრეთვე ანატოლ ფრანსის გვიანდელი პერიოდის რომანი „დმერტეხის სწყურიათ“.

გერონტი ქიქოძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურით არის შემოხაზულ-

რული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამავე პერიოდის რუსული პროზის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოების ლტონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ქართულ თარგმანზე მას მიერ არის შესრულებული.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ გ. ქიქოძის ლიტერატურულ ინტერესთა სფერო მეტაბრულ საუკუნით შემოფარგლით, მითუმეტეს, რომ მისი საუკეთესო წერილების პათოსი სწორედ ახალი საქართველოს მწერლობისავე არის მიმართული, მაგრამ წინა საუკუნის კულტურულ მონაპოვართა გააზრება და მათი მხატვრული ინტერპრეტაცია, მის როგორც ორიგინალურ, ისევე მთარგმნელობით მოღვაწეობაში, გ. ქიქოძის შაბლონდების ერთ-ერთ საკვანძო მომენტად წარმოვიდგება. და ამას აღსატურებს მისი შემოქმედების ამ ორა მხარის, ნათარგმნი ძეგლებისა და ორიგინალური ნაბრევების ორგანული კავშირი. ქართულმა კრიტიკამ და ლიტერატურათმცოდნეობამ, მართალია ძალზედ მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ კვლადიციური წერხლებით, გ. ქიქოძის თარგმანის კლასიკის ადვილი მიუჩინა ივანე მაჩაბლის გვერდით. ვიგი ვაჩიჩილაძე წიგნი „თარგმანის თეორიის შესავალი“, სადაც ცალკე თავად არის გამოყოფილი გ. ქიქოძის მთარგმნელობითი პრაქტიკა, წერს: „თანამედროვე ქართული თარგმანის უმნიშვნელოვანეს მოვლედ უნდა მივიჩნიოთ გერონტი ქიქოძის თარგმანები. ამ თარგმანთა მნიშვნელობა სცილდება თარგმანის ხელაგნების ვიწრო ვაგების ფარგლებს, ისევე როგორც მის მონდა ივანე მაჩაბლის შემთხვევაში. აქ ჩვენ საქმე გვაქვს თანამედროვე საერთაშალო ლიტერატურო სტილის განვითარებასთან, ყოველ შემთხვევაში, ამ პროცესის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ორგანულ ფორმასთან, რომელიც შეიცავს ქართული სალიტერატურო მეტყველების შედგენილი განვითარების მდიდარ შესაძლებლობებს. ნოვატორთა ლიტერატურული ექსპერიმენტების აციოტაქში, რასაც იწვევდა ახალი ლიტერატურული სამყაროს ძიება და აღმოჩენები, გ. ქიქოძის სტილმა შეინარჩუნა ადამიანის და საზოგადოების ღრმად მცოდნე მკვებრეტლის ოლიმპიური სიმშვიდე. საერთა ორიგინალურ ნაწერებში, უმთავრესად წერხლებში, რომლებიც დაწერილია ესეის ქანისათვის და მახასიათებელი სანახევროდ მხატვრული სტილით, გ. ქიქოძემ ჩამოაყალიბა საკუთარი სტილი, რომელიც საფუძვლად დაედო მის მთარგმნელობით მეთოდსაც.“

ძნელი წარმოსადგენია ერთმანეთისაგან უფრო განსხვავებული ნაწარმოებები, როგორც მსოფლმეგობრების, ისევე სტილის თვალსაზრისით, როგორც სტენდალის „წითელი და შავი“ და ალფონს დოდეს „შეპილები ჩემი წესქევილიდან“, ან ბალზაის „შავრენის ტყავი“ და

მერიმეს „მატეო ფალკონეა“. აქ გვინდა აღვნიშნოთ კორნეი ლეოვსკის სიტყვები, რომლებიც თანამედროვეობა ერთ-ერთი ბრწყინვალე მთარგმნელის ზაბოლოცკის მიმართ არის თქმული: «Вообще трудно представить себе поэта, которого он не смог бы перевести с таким же совершенством. Разнообразие стилей его не смущало. Каждый стиль был одинаково близок ему. Подобное искусство доступно лишь большим мастерам перевода, таким, которые обладают драгоценной особенностью преодолевать своего эго и артистически перевоплощаться в переводимого автора. Здесь требуется не только талантливость, но и особая гибкость, пластичность, «общезнательность ума». ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლება ვაიმეოროთ გ. ქიქოძის მიმართაც. მისი მთარგმნელობითი მეთოდისათვის სწორედ ეს «Общезнательность ума» და არტისტული ვარდასხვის უნარია დამახასიათებელი, რის შედეგადაც მის ერთნაირად შესწევს უნარი გამოსახოს როგორც თვით სორელის დრამის, ისევე მხიარული პროვანსული ლეგენდების არა მარტო აზრობრივი, არამედ უზუსტესი სტილისტური ნიუანსებიც კი.

გერონტი ქიქოძის მთარგმნელობითი პრაქტიკის გასაუბად მისივე წერილი „ივანე მაჩაბელი“ უნდა მივიჩნიოთ. ამ წერილში გ. ქიქოძის თვალსაზრისი ორი კითხვის პასუხს შეიცავს: რა როლს ანიჭებდა ის თარგმანს და როგორი თარგმანი მიიჩნდა მას თარგმანის დონის განმსაზღვრელად. თარგმანის როლის თაობაზე მშობლიურ ლიტერატურაში გ. ქიქოძე წერს: „ზოგიერთი მთარგმნელი ერთგული ლიტერატურის განვითარებაში გამაყუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეოთქმებზე საუკუნეში საფრანგეთის მეფეების ეზოს მოძღვარმა ეს ამიომ ბერძნულიდან ფრანგულად გადააარგმნა პლუტარქეს „სახელოვანი ადამიანების ცხოვრებანი“ და ლონგუსის რომანი „დაფნისი და ქლოე“. ამ თარგმანების წყალობით ეს ამიომ ფრანსუა რაბლესა, მიშელ მონტენის და ბლეს პასკალის გვერდით ფრანგული პროზის ფუძემდებლად ითვლება. ცნობილია, რა დიდი როლი შეასრულა ფარსუდან გორგანელის რომანის „ვისრამიანის“ თარგმანმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ცნობილია, აგრეთვე, რომ გერმანული პროზის ისტორია, არსებითად ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანული თარგმანიდან იწყება“. ხოლო თვის გ. ქიქოძის მთარგმნელობითი პრაქტიკაში სწორედ ის ძირითადი პრინციპია განსორცილებული, რაც ივანე მაჩაბლის შექსპირულ თარგმანებში. ... მაჩაბელი ყოველთვის ხუსტად

მანა ზიზილიშვილი
„სულიერი მართობა“



არ მისდევს ორიგინალის ტექსტს. მაგრამ ესაა ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი. არსად მკითხველი არ გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს. ის ფიქრობს, შექსპირი თავის ტრაგედებს ალბათ სწორედ ასე დასწერდა, თუ ის ქართველი ყოფილიყო“.

თანამედროვე სრულფასოვან თარგმანს საფუძვლად ედებოდა რეალისტური თარგმანის ცნება. რეალისტურ მეთოდში ივულისხმება მსოფლიოს მხატვრული სინამდვილის, მწერლის მსოფმხედველობის და მეთოდის, სტილის ყოველმხრივი შესწავლა და დედნის ასახვა აზრისა და სტილის სახეების, ხასიათების, მათი გარემოცვის გადმოცემის გზით. „დედნის სინამდვილის რეალისტურ ასახვაში, — წერს გივი ვაჩეჩილაძე, ვგულისხმობთ მხატვრის (მთარგმნელის) ინდივიდუალურ მანერის უნარჩუნებასაც და დედნისადმი მთარგმნელის დამოკიდებულებას გარკვეულ ტენდენციასაც, როგორც ორიგინალურ რეალისტურ ლიტერატურაში ხდება ხოლმე“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული კლასიკური მწერლობის ის ნიმუშები, რომლებიც გ. ქიქოძემ თარგმნა, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მსოფლმხედველობის ისევე მათი გამოხატვის სტილისტური საშუალებებით. მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების ფრანგულ პროზაში ხდება ნამდვილი რევოლუცია, რაც დაკავშირებულია რეალისტური მეთოდის გაპარკებასთან. პროზის სტილი მკვეთარად რთულდება, და ეს დაკავშირებულია მხატვრული შინაარსის გაფართოებასთან, ლიტერატურაში ახალი მასალის შეჭრასთან. „მასში, — აწერს ფრანგული სტილისტიკის ერთ-ერთი ფეოტიკტული საბჭოთა მკვლევარი ეტიენდი, — ჩართულია არა მხოლოდ მშვენიერი ან საშინელი, არამედ ცხოვრებასეული პროზის ფართო სფეროც, რომელიც აღარ შეიძლება განიმარტოს ძველი ესთეტიკური ხერხებით“. ქრება საერთო სტილის ცნება, რამელიც აერთიანებდა კლასიციზმის, განმანათლებლების, სენტიმენტალიზმის, რომანტიზმის წარმომადგენლებს, ლიტერატურაში შემოდის ინდივიდუალური სტილი. ე. დნეროვი სწორედ აღნიშნავს: „რეალისტურ ხელოვნებაში მხატვარს აღარ აწევია მძიმე ტვირთად ერთიანი სტილის საერთო აუცილებლობა. პირიქით, მრავალი სტილის განსხვავება და მათი ყველაზე განსაკუთრებულ სინაარსთან, უხსნის შემოქმედელ ფორმის ცვალებადობის, მოქნილობის კანონებს“. იქმნება ცალკეული მწერლების სტილი — ბალზაის, სტენდალის, მერიმეს, ფლობერის, დოდეს, ზოლას, მოპასანის, ფრანსის სტილისტურ სისტემები. თვითუფლ მათგანში თავისებურად შეეფარდება ავტორი და პერსონაჟები, ლი-

ტერატურული ნორმა და ხალხური მკვლევარებისა და ა. შ. პროზა სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. ფლობერიდან დაწყებული იქმნება მკვეთრი ტენდენცია, თხოზის ობიექტი შეიცვალოს ამ ობიექტის პირდაპირი ჩვენებით და ამგვარად შეიქმნას უაღრესად ობიექტური თხოზობა.

ჩვენ არ მოგვყავს სათანადო ადგილები დედანიდან და თარგმანიდან. შევეცდებით მხოლოდ ზოგადად დავასიათოთ სტენდალის „წითელისა და შავის“ და ბალზაის „შარგენის ტყავის“ სტილური თავისებურებანი და მათი გადმოტანის ადეკვატური საშუალებანა ქართულ თარგმანში.

ცნობილი ფრანგი მკვლევარი ჟან პრევი ასე ახასიათებს სტენდალის სტილს: „...ის ამბობს (სტენდალი მ. ბ.), რომ ნამდვილი დენდი აღარ ფიქრობს თავის ტუალეტზე მას შემდეგ, რაც ის დასრულებულია. ლიტერატურის სფეროშიც იგივე ხდება. რაც უფრო ეუფლება ოსტატობას, მით უფრო ნაკლებად ფიქრობს წესებასა და სიძნელეებზე. ოცდაათი წლის დიძაბული მუშაობის შემდეგ მან მოიპოვა უფლება იყოს იმპროვიზატორი, რადგან შეუძლია წეროს ერთი შტრიხით. ის ნელ-ნელა იმუშავებდა მკვიდროდ წერის უნარს, ბელოს პროზა — ეს თვით მისი განხორციელებაა. ყველაზე დახვეწილი სტილი მისი ჩვეული ინტონაცია გახდა. ორიგინალითა უკვე აღარ არის მიზანი, ის თვით მასშია“.

სტენდალის ტექსტი ერთი შეხედვით მართე თხოზობას წარმოადგენს. მასში არ არის სტატიური აღწერილობითი ფრაზები. ავტორისეულ კომენტარს შევყავართ ერთგვარ „შინაგანს ქვედადნაში“. ავტორისეული კომენტარი მოციქულია დამოუკიდებელი ტექსტითაც — პერსონაჟთა ფიქრების სახით. ფრანსის გარკვეულ ადგილი დაილოცს უქიარავს. მაგრამ პერსონაჟთა რეპლიკები მათი სულიერი მოძრაობის ადეკვატური არ არის. ეს „ორმხრივი დიალოგ“ იყო სტენდალის ერთ-ერთი უდიდესი მხატვრული აღმოჩენა. შემადგომი ან აღმოჩენით ფართოდ სარგებლობდნენ უახლესი დროის მწერლები — ტოლსტოი, მეტერლინიკი, მოპასანი, ჩეხოვი, ხემინგუეი. ბოლო დროს სულ უფრო მტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ სტენდალი ყველაზე თანამედროვე მკვერამეტე საუკუნის მწერალთაგან. ილია ერენბურგი სწერს: „რომანის, როგორც ადამიანური ხასიათების ჭეშმარიტი გახსნის გავებით, თხოზობის რიტმით, წერის მშრალი და ამავე დროს დრამატული სტილით, სტენდალი ახლოა XIX საუკუნის მწერლებთან“.

თხოზობის მაქსიმალური სინუსტისა და დამაჯერებლობისადმი სწრაფვა სტენდალის თანამიმდევრული ანტირომანტიკული სტილისტური სისტემის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ელ-

ტენტი. თუ ერთ დროს სტენდალმა რომანტიკოსად გამოაცხადა თავი, „წითელისა და შავის“ სტილი პოლემიკას წარმოადგენს რომანტიზმთან. ავტორი ამაშელებს გმირების მამოძრავებელ მოტივებს და აშენებს თხრობის რეალისტურ სიუჟეტს, რომელიც სოციალურ კონფლიქტზეა დაფუძნებული. ამასთან, მისი სტილის ყველა მხარე ანტირომანტიკულია. თუ რომანტიკოსებთან სკარბოზს ემოციური შეფასება, გამოხატული თხრობის პათეტური ტონით, ეპითეტებით, სტენდალთან არ არის არავითარი ემოციური შეფასებები, არავითარი რიტორიკა, ეპითეტებიც კი. სიტყვები ნახშირია პარადპირი, თითქმის „ტერმინოლოგიკი“ მნიშვნელობით. რომანტიკოსები ცდილობენ აირჩიონ ყველაზე გამომსახველი სიტყვა სინონიმური მწკრივიდან, რომ სიტყვა იყოს აღუკავტური არა მოვლენის, არამედ ავტორის ან გმირის დამოკიდებულების ამ მოვლენისადმი. სტენდალი არჩევს ნატურალურ, საქმიან, მოვლენის აღუკავტურ სიტყვას. მისთვის მთავარია სიზუსტე, ის თითქმის არ ცდილობს სინონიმების გამოყენებას და მორაგებელიც, რომელსაც აგრეთვე ვერ დაემატებოდა ლექსიკის სიღარიბეში, ზუსტად იცავს ამ პრინციპს. ეს სრულდებათუ არ ნიშნავს იმას რომ სტენდალი ცდილობს სტილისტი იყო, არამედ იმას, რომ მისი სტილის სისტემაში კეთილშობიანების, ლექსიკური მრავალფეროვნებისა და საერთოდ ყოველგვარი გარეგანი მომენტები არავითარ როლს არ თამაშობს. სტენდალის ფრაზა მოკლეა, ენერგიული და დინამიური. მას აქვს თავისი მიზანსწრაფული მოძრაობის რიტმი.

თარგმანში სტენდალის სტილისტიკური სისტემის ყველა ზემოქმედება პრინციპი ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული უღრესად ლაქონიური, ექსპრესული, ამავე დროს ყოველგვარ პათეტულ მოკლებული დინამიური ფრაზებით. ქართული მთარგმნელი არაჩვეულებრივად ოსტატობით, ყოველგვარი „პირფერობის“ გარეშე, სტენდალის ერთი შეხედვით უფრო იყო სიტყვას შესაფერის ინტონაციას უტყვის მშობლიურ ენაში და თავისი აბსოლუტური სიმართლე წყალობით მას ისეთ ხმოვანებას ანიჭებს, რომ „წითელიც და შავიც“ და „იტალიური ქრონიკებიც“ ქართულ ენაზე იკითხება ისე, როგორც სტენდალი დასწერდა „თუ ის ქართველი ყოფილიყო“. საიდუმლო დიდნისადმი არაჩვეულებრივ ერთგულად, მაგრამ ერთგულად არა ქვეშევრდომისა, არამედ თანასწორუფლებით შემოქმედისა.

ღვს უკვე მწელია ლიტერატურის იმ ვრცელი სისი ჩამოთვლა, რომელიც სტენდალის შემოქმედებას ეხება. ამ დიდ ლიტერატურაში გერმანულ ქიქოძის წერილს „სტენდალი“ ერთ-ერთი მოკრძალებული ადგილი უჭირავს, თუმცა მას არც აქვს პრეტენზია ამომწურავი

პასოზი ვასცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც სტენდალის შემოქმედებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ, ჩვენი აზრით, იშვიათად უთქვამს ვინმეს „წითელისა და შავის“ გმირების მიმართ ასეთი სიზუსტით: „ისინი არა რევოლუციის შუა აღმოცენებული საზოგადოების შეილება არიან, ამიტომ მათ აქვთ ყველა ის თვისება, რაც განვლულბოლო ვულკანის ძირში ამოსულ მცენარეებს აქვთ“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ქიქოძის წერილის მიზანს არ წარმოადგენს სტენდალის შემოქმედების ყოველმხრივი განხილვა. ეს არის ოსტატურად დაწერილი პორტრეტი, რომელშიც აწირი ბეილის პიროვნული ხასიათის ჩვენებასთან ერთად წარმოდგენილია მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების მაქსიმუმი, ის რთული და წინააღმდეგობრივი გზა, რომელიც განვლილ მწერალმა და რაც მთავარია, წერილში ნათლად არის გამოკვეთილი გერმანიის ქიქოძის პოზიკია დიდი ფრანგი მწერლის მიმართ, რამაც განაპირობა მისი შედეგების „წითელისა და შავის“ და „იტალიური ქრონიკების“ თარგმანს.

„შავრენის ტყავი“ და „შუანებმა“ ბალზაკი საფრანგეთის უპირველეს მოაზროვნეთა რიგებში ჩააყენა. ამ ნაწარმოებებით დაიწყო „ადამიანთა კომედიის“ ავტორის მსოფლიო დიდება. „რა მორალი გამოიწვიანარეობს, მაგალითად, მისი მთავარი ფილოსოფიური არმანის „შავრენის ტყავიდან“ — აღნიშნავს გ. ქიქოძე — რადავალ დე ვილენტენი უცაბედად მდლდარი და წარჩინებული ხდება მისტიკური ძალის შემოქმობით. მის ყველაფერი შეუძლია იყოს, თვით ხელისუფლება, თვით უმწვენიერესი ქალის სიყვარული, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ აღწევს. ის ეთიშება საზოგადოებას, რადაც ზეკაცად, ან უკეთ, არაკაცად იქცევა. მას ეჩვენება, რომ სამყარო სდნარ არსებობს, მის არსებაში ჩაინჭა, სიცოცხლე მისთვის მოსაწყენი ხდება, როგორც ის მოსაწყენი უნდა იყოს განმარტოებული ბიბლიური ფიგურისათვის... რით მთავრდება ბოლოს ამ ეგოცენტრისტი სოლოფისტიკის რადავალ ვალენტინის ცხოვრება? ის საკმელ-სასმელის მიმღებ და მომწველბელ მანქანად იქცევა, ფიგურული მღვიძრებიდან ნახევარ ძილში გადადის, ნახევარ ძილიდან — სიკვდილში...“

რომანის სტილისტიკურ საფუძველს ქმნის კონტრასტებისა და ანტითეზის პრინციპი. ყოველი დაპირისპირება გაძლიერებულია მკვეთარი ეპითეტებითა და მეტაფორებით. ძირითადი მხატვრული ბერბები — აქ არის მეტაფორა. ბალზაკს რომანის დასაწყისში გმირი შემოჰყავს პარიზის ერთ-ერთ სამოხრინეში, ის საიდუმ-

მანა ბიბლიოთეკილი
„სულიბიბი მირიბა“



ლოცვის ბურუსით არის გარემოცული და სწორედ ეს განაპირობებს სტილისტურ ავებულუბას. ვალენტინის პორტრეტს ბალზაი „საიდუმლოებათა რომანის“ კანონების მიხედვით ავებს, ამ შემთხვევაში შას რამდენიმე თვალსაზრისი მოაქვს, გააჩნია ვისი თვალებით უყურებს ის თავის გმირს. რა თქმა უნდა, ბალზაი მის სახელსაც არ ახსენებს. ის პირველად რომანის 35-ე გვერდზე ჩნდება. საიდუმლოებებით მოცული ქაბუცი სინონიმებით არის წარმოდგენილი: ახალგაზრდა კაცი, ახლადმოსული, უცხო და ა. შ.

შემდგომ ბალზაი რაველს ახსიათებს მოთამაშეებთან დაპირისპირების გზით. ყოველი შედეგება — დაპირისპირება გაძლიერებული პიპერბოლურ-ემოციური დახასიათებებით, ყოველ ახალ შედარებას თან სდევს ახალი ლექსიკის შემოტანაც. ბალზაის პროზის ლექსიკური სიმდიდრე პირველ რიგში ასახავს ობიექტზე მრავალ შეხედულებათა მოყვანით განისაზღვრება, რადგან ყოველ ახალ შეხედულებას თან სდევს შესაბამისი ლექსიკაც. გმირის გარეგნული და ფსიქოლოგიური დახასიათება მოცემულია ბალზაისათვის დამახასიათებელი მანერით — ზოგადი ცნებებით. ყურადღებას იპყრობს განყენებული არსებითი სახელების სიმრავლე, რომელიც მთელ ტექსტს მიყვება: „სიბარლული, სიპაათია, უშიდობა, ვნება, გენია, ირონია, მისტერია, ცოდვა, სიბნელე, სიმათლე, არყოფნა, არსებობა და სხვა“. საქმე იმაშია, რომ ბალზაი მეცნიერის, ფილოსოფოსის პოზიციებზე დგას, რომელიც ანალიზებს მხატვრის შეხედულებას, განყენებული ცნების გვერდით ის ყოველთვის მაქსიმალურად ემოციურ სახეს ხედავს. აქედან — მეტაფორების, განსაკუთრებით მკვეთრი ეპითეტების სიმრავლე, რაც თარგმანში მაქსიმალური სისუსტით არის ვადმოცემული.

თარგმანის ლექსიკა ძალზე მდიდარია და ემოციური. ყოველი სიტყვა თარგმანში სინონიმური მწკრივის ყველაზე გამოხატველი, იმ აზრობრივი თუ მხატვრული ნიუანსით არის შეფერილი, როგორც დედანში. გ. ქიქოძის ისე გადმოაქვს მთელი მხატვრული ქსოვილი, მთელი სტილისტური დერბი ნაწარმოებისა, რომ არსად, არც ერთ ფრაზაში არ არის დაკარგული ის ძირითადი ნეჯე, რომელიც ნაწარმოების განწყობილებას ქმნის. ამასთან, გ. ქიქოძე იხედება რა ფრანგულ ტექსტში, აზროვნებს მხოლოდ და მხოლოდ ქართულად. ქართულ ენაზე შექმნილია ტოლფასოვანი სურათი. „შაგრენის ტყაი“ საუკეთესო ნათარგმნი ნაწარმოებია ქართულ ენაზე. იგი მკითხველს სასუალებას აძლევს გაეცნოს არა მარტო მო-

აზროვნე ბალზაის, არამედ ბალზაის-მხატვრის რომლის შემოქმედებით ინდივიდუალურ ჩვენმა მთარგმნელმა შედითხვენილ ზუსტად გაიაზრა და გამოხატა არა მარტო სიტყვის, აზრის, სახისა და ემოციის სახით, არამედ მთელი იმ კონკრეტულობით, რაც ყოველი სიტყვის იქით იკითხება, გამომსახველი საშუალებების და სიტყვის მრავალფეროვნებისა და მრავალმნიშვნელობის შემოქმედებით, ანუ იგანაქაშინის გამოთქმა რომ ეხმაროთ, გ. ქიქოძემ „შაგრენის ტყაი“ „საკუთარ ეროვნულ ტანსაცმელში წარმოგვიდგინა“.

წერილი „ბალზაი“ გერონტი ქიქოძე სწერდა: „... მას შეუძლია ერთ სახის ნაოჭში, ერთ აღმადვირ გამოხატვაში, აღმადვირის მთელი ტრავგადი დანახოს, ნიუარის ხმაურში ოკენების ქარიშხლის დმუილი მოისმინოს, ერთ ყვეგილში ბუნების სტიქიონური ძალა იგრძნოს... ის უტყუარი ინტიციით გრძნობდა, ის იყო არსებითი და რა იყო შემთხვევითი აღმადვირება და სავნებში, და მის ლოგიკურ გონებას წესრიგი შექმონდა გარეგანი მოვლენების ქაოსში. ერთი სიტყვით, ბალზაი გენიოსი შემოქმედა იყო, რომელიც ქვეს ზოლში ცოცხალი სტეული ნაქოვნებს ხედავს, ხოლო თაბაშირსა და თახშის ცხოველყოფილ სულს მერწავს...“ ასეთი დამოკიდებულება „აღმადვირის კომპილის“ ავტორისადმი, რომელიც გორკის, შექსპირთან და ტოლსტოისთან ერთად, იმ უკუდავ მოწმუნტად მიიჩნდა, რაც კაცობრიობამ თავის თავს აუგო, წარმოადგენს სწორედ იმ საფუძველს, რის შედეგადაც ეზიარა ქართველი მკითხველი „შაგრენის ტყავს“.

წერილი ბალზაზე, ძივე როგორც მისი „გოლტერი“ და „სტენდალი“ გ. ქიქოძემ 1955 წელს დასწერა. ეს იყო მისი შემოქმედების ბოლო პერიოდი, რომელსაც ჩვენი კრიტიკოსის გონებაში ყველა მოვლენამ „დაკრისტალეზული“, „განწყენილი“ სახე მიიღო აქაც. მისი ფიქრი კვლავ დასტრიალებს იმ მადლ, ნატაღე და ნათაღე ხელოვნებას, რომლის ერთხელი „ტრუბადური“ იყო იგი მარადეამს. გზა „როდენიდან“ — ბალზაკამდე“, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ წინააღმდეგობას შეიცავს, მაინც თანაბარია, თუ მისი სხტრეულების სფეროს ვავითვალისწინებთ. ამ სახტრეუზე ელავენ ისეთი სახელები, როგორებიცაა: რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვჟაჟ, შექსპირი, ვოლტერი, სტენდალი, ბალზაკი, ჰაინე, გრიბოედოვი, როდენი, ან ფუნციი და მრავალი სხვა. გერონტი ქიქოძე ამ მაღალი ხელოვნების „აღმსარებელი“ დარჩა ბოლომდე.



სიყვარული ერთ ქვეყანას საუბრად

არიან მწერლები, რომლებიც იმდენად ზოგადად წერენ, რომ მათი სიტყვის ოკეანედან ერთი წვეთის ციმციმიც არ გამახსოვრდება. (და პირქვეთ) არიან მწერლები, რომლებიც იმდენად კონკრეტულად წერენ, რომ უაღრეს განზოგადობას აღწევენ. ასეთი მწერალია ალექსანდრე კალანდაძე. ასეა დაწერილი მისი ბოლო რომანი.

ამიტომ თავს უფლებას მიეცემა და აღარ ვალაპარაკებ თითოეულ გმირზე ცალ-ცალკე. (ისინი საკმაოდ კარგად გვამახსოვრდებიან) არც სიუჟეტურ პარტას მივყვებით და არც ქრონოლოგიურ სისუსტეს დავიცავ.

...ცისანა და მამუკა არ შეჩერებულან. ქნულმა თავი წამოსწია და გაკვირვებით გააყოლა თვალი. წყენა კი არ ეტყობოდა, არამედ გაკვირვება, რომ მისი სიღამაზე ვერ შეინიშნეს და მოუფერებლად ჩაუარეს. რა იცოდა იმ დროს, რომ ეს გულგრილი გამველებები მთელს სამყაროს ეფერებოდნენ და შეხპაროდნენ თავიანთ გულში*.

(ალ. კალანდაძე ნაწყვეტი რომანიდან — „მწვანე შტო“).

„ეს ბევრეფი რწმენა და სიყვარული ელო აღმათ ქვეყანასაც საფუძვლად და ამიტომაც გაეძლო, ამიტომაც არ ინგრეოდა“.

(ოთარ კილაძე. ნაწყვეტი რომანიდან — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“).

ორი აბსოლუტურად სხვადასხვა ტემპერამენტისა და ხელწერის მქონე შემოქმედნი. ორი სხვადასხვა ეპოქა, სამყარო. სხვადასხვა ანტურაჟი. ოღონდ სიყვარულს სჭირდება ანტურაჟი? არა. ეს გრძნობა ჰერსა და ციფერბლატს ვერ ეტობს. იგი კარგავს დროსა და სივრცის შეგრძნებას და მარადიულობაში გადადის. ოღონდ ეს კია — მილიონში ერთი სიყვარული თუ გადურჩება ცხოვრებას საღი, შეურყეველი, პირველყოფილი.

დანარჩენებს თვითონ ეწონათ, ვარჩევთ, ვამძიმებთ, ვფრიტავთ, ვაჭრობთ და ვინადგურებთ, და ხელთ რომ აღარათვები შეგვჩვენება თავს ვაწუგებებთ, რომ ეს გრძნობა არ არცხობს, არ არსებულა. ჩუმიად ვიღვინებთ — „ქარის მოტანა“ ქარი წაიღებს — „ქარს კიდევ ერთხელ გადავაბრალბებთ“.

გვიან, ძალიან გვიან ნათდება სული. ისე ნათდება, მის უამრავ სარდაფებში ადგილი აღარ რჩება ჩრდილის და ვრილის. თოვლივით ჩუმიად შემოაღის სვედი. ისე მოეხუტვითი სასწორს ვე-

ლარ ვიკავებთ ხელში. ვახედავ სარკმელს — ცას ჩამოვიკვირბს. ფიზიკური სიჭაბუნისა და სიბერის უამს სავანგებოდ ბავშვდენა სული. ფაქიზდება და უაღრესად მგოქნილია. უნაგარო ხდება. და ჩვენც ფედურთა შევაქულებია ვოცნებობთ სივრცეზე... ეს შერამდენედ ვნანობთ — თავის დროზე როგორც აღვებლებს რად არ დაეღუსით სიყვარულს წაალი.

პატარა მივწერს სიყვარულს წასწრეს (თუკი სიყვარულზე წასწრება შეიძლება) და უნაო ქირქილით ერთბაშად წაუბილწებს ყველაზე სითუთი გრძნობა. უბოდიშოდ წაიღვეს საყვარელი გოგო. წაართვეს და ამით მის მამაკაცურ თავმოყვარეობას აყვარეს პატედი. ამ წუთებში დაიბადა სწორედ ეს ყზბადღეველი კომპლექსი. მერე ბიჭთან ერთად მისი არასრულწასონებას შეგრძნებაც იზრდებოდა.

რას არ ეცადა, სად არ იარა, რა არ ნახა. ცოლიც შეირთო, შვილიც გაიჩინა. არა და არ იქნა საშველი. სულ ის გოგო სტკიოდა. სულ ის გოგო აკლდა. ბევრეფიში გამბიურებული კაცობაში ახლო მისვლას ვეღარ უზბდავდა უკვე შემაგ ქალს. სხვის ცუდქალობას თავს აბრალებდა — ვერ ვიარინდე, ვერ ვუპატრონეო. გულს ვეღარავფერს უღებდა. ხელოვანი ხელოსნად ექცა. ცხოვრების ბოლოს კი შეახანსგადაცილებულმა ისევ იმ ბავშვობისდროინდელ მღვიმეს მიამურა ორნი რომ თამაშობდნენ. ვერა და ვერ ჩაერთა ვაზრდილი სხეული ერთი ციქვან თავშესაფარში. და დარჩა კაცს ქვეყნის დასანახათ გრძელი ფეხები ვარეთ. სული კი მიინც იმ უხილავ სამყაროს დაუბრუნდა, პირველყოფილ ბავშვურ გამოქვავულს.

იქნებ ეს პარალელი უადგილო ეჩვენოს ვინმეს. ამ წუთას მოგახსენებთ. „ქვეყანა ორი ბავშვის, გოგოსა და ბიჭის რწმენისა და სიყვარულის მხრებზე იდგათ“ — რომ ამბობს ოთარ კილაძე თავის ულამაზეს რომანში, ამით ხომ იმას გულისხმობს რომ რწმენა და სიყვარული თავისი არსით მუდამ უახაკია, მუდამ ბავშვური, მუდამ წმინდაა.

რომან „მწვანე შტოში“ მამუკა და ცისანა თითქმის ის ვაზრდილი გოგო ბიჭია ერთად არა. ისინი ცალ-ცალკე თამაშობდნენ და ცალ-ცალკე ვადარჩენიონი გაიღვიდნენ ბავშვობისდროინდელი მღვიმედან. ქნება ამის გამოც შერჩათ ასაკში შესულებს ის დღი სიყვარულის ნიჭი ბავშვებს რომ ვაჩინათ მხოლოდ. ეს წყვილი სწორედ ის ბედნიერი გამოჩაკლი-



სია, რომელზედაც მოვახსენეთ უკვე. ცხოვრება მათ სხვა გამოქვაბულს, სხვა ჭრბოლებს უშვალდებდა. არა და საოცარია გობრომიძეების ოჯახში როგორ გადარჩა, გაიზარდა ასეთი არსება.

ამ რომანში ხელოვანი არ იქცა ხელოსნად. მთელი წიგნი ზომ ამისთვის ბრძოლას შეეწირა. მაინც უჩვეულოდ ამაღლებულ, გამოუთქმელ სევდას გიტოვებს ეს უაღრესად მიწიერი ტკივილებით სავსე რომანი. გამარჯვების სევდას. რამდენჯერ გაილია, რამდენჯერ დაიბრუნა ბოროტისაგან კეთილი. იმ პატარა ბიჭვით მამუქასაც რამდენჯერ დაუბრუნეს პტივისაყარი, დასახიჩრება. მთელი წიგნი ისეა დაწერილი, რომ სულიერ ხარჭვასთან ერთად ცხადად იგრძნობა ადამიანის ფიზიკური განადგურებაც.

მაგრამ იობისეულ მოთმენას, რომელსაც დიდი რწმენა განაპირობებს, თავისი გააქვს. ამ რწმენასაც ისევე უთქმელად ატარებს მამუქა ტარსანიძე, როგორც ომისდროინდელ უამრავ იარსის მისი ახალგაზრდა სხეულს.

დიდებული შენიშვნა აქვს ერთ ადვილას მწერალს:

„გახსენდა, რომ ზოგიერთები კიდევ დასცილდნენ ამ უსაზღვრო ოპტიმიზმისთვის. რა იცოდნენ, რომ ეს მზამზარეული ოპტიმიზმი არ იყო“. „მზამზარეული ოპტიმიზმი!“ — ესაა ალ. კალანდაძის მიერ ზემოთხსენებული ზუსტად და დართულად დაძვინილი ფრაზა, რომლის მიღმაც წიგნებზე, სიუჟეტულზე, სამხედრო სიახლემოლო დაგეგმვებზე დათენებული ამდენი ღამეა ჩაწოლილი.

შემოქმედ კაცს გააჩნია ხეიბარი ან ავად მყოფი ადამიანის ბაღალი იქვე. იქვე რომ ისე ბუნებრივად, ისე რატუნყოფილად ვერაა ყოველდღიურობაში ჩაბმული, როგორც სხვები. ისე ადვილად ვერც იციანის — და ვერც სიტყვებს ფლანგავს დანარჩენებით.

მარტოობის თემა, ვაუცხოება, განსაკუთრებით მძაფრად აღიქვა ჩვენმა საუკუნემ. კარამ-ზინის ეპოქაში მარტოობა, თვითმკვლელობა იქობამდე სენტინელტალური იყო, რომ სიკვდილი იოლდებოდა, არც რომანტიკოსებს უჭირდათ ამ მსრბე მანცდამაინც, მათი არტიტული ბუნების საოცარი თანაზიარი და უერთგულესი ძმა იყო მწვენიე პეიზაჟი — მიუწვდომელი მთვარი.

შემთხვევითი არც პაპა გაბრიელის სიტყვებია რომანში: „ამდენი ვაი რა ვქნა და ვაი რა მემეველება ჩემს სიცოცხლეს არ გამიგონაო“ — ახალგაზრდებს რომ ეუბნებოდა. აქაც ზუსტადაა დაჭერილი სათქმელი. ეს ტრაჟიკულად ქცეული (ბანალური) შეცხადება არაა შემთხვევითი. რადიკალიზად ვაუბრდოვო თაობა სიტყვა. ვაუბრდოვად გრძნობა. ამ „ვასო“ აღბათ უდიდესი მწუხარების ვაშს თუ კითხოდა ქართული კაცი. ვაჟაკი მამინაც მოთმენდა. ახლა, ისევ პაპა გაბრიელის სიტყვებით:

„უმაღლესში ვერ მოეწოები — ვი რეკომენდებ... ოქროს საათს ვერ იყიდი — უკანა მუშაობა...“

მამუქა ტარსანიძის სიმარტოვეც არაა მხოლოდ და მხოლოდ ხელოვანი კაცის სულით ობლობა. ამ ობლობას რა უჭირს. ეს სიმარტოვე თუნდაც იმიტომ ღირს, რომ დიდ ტკივილს დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაც მოაქვს. ამ სიმარტოვით „ციხფერი კანკო“ აავო ბიჭმა (რომანში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ადგილია „ციხფერი კანკო“ ავტორობასთან გამოთხოვების სცენა). ამ სიმარტოვით იქმნება ყველაფერი დიდებული და ძლიერი.

ძნელი და საშიში ის მეორე სიმარტოვეა, რომელშიაც მამუქა ტარსანიძე ყოველდღე იბრძება და იხარჩება.

როგორც ზღაბებში, ასევე ამ რომანშიც ხედმიწვევით გამოკვეთილადაა შექმნილი ორი ძალა, ბოროტი და კეთილი ძალა. უფიქრობად, სიბრბიყემდე მისული ქართული დილტანტაზმი და დიდი ცოდნით, ნიჭიერებითა და ენერგიით მიღწეული ქართული სიღრმე. ნუ შეგვე-შინდება და ვუწოდოთ ამას ქართული, რომელიც თავის მსრბე ქართული ბუნებისათვის დამახასიათებელ, უაღრესად ტიპიურ ფრაზას შობს რომანში: „რამდენს მუშაობს ეს შობელ-ძალი“ (მთავარი გმირის მიმართა სიტყვებით ნათქვამი). ეს ის მკითხარე ფრაზაა, რომელიც თითქოს და უმნიშვნელო დეტალით, ასე კარგათ განაზოგადა ილია ქაჯვაძემ და დსცინა დარეჯანიეულ ამგვარ დამღუბველ მოცალეობას — ქართული თავიდან სახლში, მინის მაგიერ გაქონილ ქალადღე მოცლილ კენინას ნემსიწვევით რომ ამოიჩხელიტა „დათვი ხეზედ როგორ ვავა იეანანინაო“...

რომანის დიდ ღირსებად უნდა ჩითვალოს ის, რომ საყარო, რომლის ყველაზე აქტიური წარმომადგენელი ქალბატონი სალომეა, არა მარტო მკაცრი ცინიზმითაა აღწერილი, არამედ მინიშნებულია მისი ძალა, მისი მუდმივობა... ანიტომ საპასუხოდ მეტბივი სიფხიზოდ, მედმივი მზადყოფნა და ბრძოლაა საჭირო.

ამ ბრძოლაში მარტო არაა მამუქა. მის გვერდით კეთილი ადამიანებიც არიან, მაგრამ ყველაზე დიდი გულშემატკივარი მისივე მეუღლეა. გამარჯვებდა მამუქა, ეს ქალი რომ არ ჰყოლოდა გვერდით?

იქნებ ზედმეტად დიდი მისა დაეაქისრე მათ სიყვარულს. იქნებ მამუქა იმდენად ძლიერი, იმდენად მთლიანი, იმდენად მიზნიანი პიროვნებაა, რომ იგი მარცხ გამარჯვებდა. ვინ იცის, მაგრამ თავად ალ. კალანდაძე ზომ ამ სიტყვებით ამთავრებს რომანს:

„...უთქვენოდ არაფერი არ არსებობს ქვეყნად. დედაც, მეუღლაც, დაო და შვილი! შენ ხარ ყველაფრის ფუფე, ბიძგი და შთამაგონებელი, მრჩეველი და თანამებრძოლი, მთარველი და გულშემატკივარი. დაუსრულებელ ტანჯვად იქცეოდა უშენოდ გზა ცხოვრებისა“.

„ციცქის“ ანკეტი

რედაქციის სპან

„რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ — წერდა ამ ოთხმოცი წლის წინ ილია ჭავჭავაძე.

„გვაქვს კი კრიტიკა?“ — როცა მწერალი ამ რიტორიკულ შეკითხვას დასვამს, იგულისხმება, რომ მისი შემოქმედება შეუფასებელი თუ დაუფასებელი დარჩენიან. დიასი ასე ფიქრობს მწერალთა ერთი ნაწილი, და ეს მომენტი კარგად არის შენიშნული თვით ჩვენი ანკეტების მონაწილე მწერლების მიერაც (ბ. ხარანაული), მაგრამ ყველა მწერალი როდის ფიქრობს ასე. მაგალითად, ვინ დაიფიქრებს, რომ ასე ფიქრობდა დიდი ილია არადა, იგი სწორედ ასე წერდა ამ ოთხმოციოდ წლის წინ: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. ეს უკვე კრიტიკა იყო. ესე იგი, კრიტიკა არსებობდა. მაგრამ მისით უკმაყოფილონი იყვნენ.

ასეა ახლაც. წამით რომ წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს ქართული კრიტიკული აზროვნების ის შედეგები, რომლებიც ასე გვამაყვება, თვით წინამდებარე ანკეტები ჩვენი მოწინავე მწერლებისა გამოდგებოდა ამის მეტყველ საბუთად, რომ კრიტიკა გვაქვს! და თუ ბევრი მათგანის ნაწერიდან ისევ გამოსკვივის შემოფთობება — რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვსო, — ამას თავისი გასაგები მიზეზი აქვს: ჩვენი კრიტიკით უკმაყოფილონი არიან. ესეც არ იყო, ეტყობა, ოპოზიცია „მწერალი — კრიტიკოსი“ მარადიული ფენომენია.

ამიტომაც, რომ ყოველთვის, როცა კრიტიკაზე ლაპარაკობს, მწერალი გულისხმობს უჩინარ ოპონენტს, ებრძვის, ედავება, ეკამათება მას. ამ კამათში კი ტონი, ცხადია, პოლემიკურად გამაფრებელია. ასეა ჩვენს შემთხვევაშიაც, და მაინც, დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ დასტამბული ანკეტების ტონი დიდად განსხვავდება ამჟამინდელიასგან. აღინდელი რიტორიკული შეკითხვა „გვაქვს კი კრიტიკა?“ ახლა შეცვლილია აღიარებით, რომ ქართული კრიტიკა ქართული მწერლობის დონეზე დგას, მისი ტოლფასი და ფარდია, და ამ აზრს გამოთქვამენ გამოკითხულთაგან ყველაზე „აგრესიულად“ განწყობილნი. რა თქმა უნდა, ისეც რჩება კრიტიკის მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა.

რომელიც გნებავთ მწერლობა უდავო წარმატებად მიითვისილა თავის რიგებში კრიტიკოსთა ისეთ არმიას, როგორიც საქართველოს ჰყავს. კრიტიკას, რომელიც უანასყენელი ხამიოდ წლის მანძილზე ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში დამკვიდრდა, არ შეიძლება ახახვა არ ეპოვა ჩვენს ლიტერატურულ ყოფაში, და ეს ასეც მოხდა, ამის საბუთად გამოდგება თუნდაც წინამდებარე ანკეტები — იგი კარგად ახასიათებს არა მარტო ჩვენს მწერალთა ფართო ინტერესებსა და უკომპრომისოდ მუშაობის სურვილს, არამედ ლაპარაკობს იმაზეც, თუ როგორ გამაფრდა ამ ბოლო დროს კრიტიკული პათოსი.

მაგრამ რაკი ვახსენეთ ოპოზიცია „მწერალი—კრიტიკოსი“, რედაქციამ, თუკი იგი აღნიშნულ თემაზე კომპარატივებს ეძიებს, უსათუოდ უნდა გაიფოს მეორე ოპონენტის თვალსაზრისიც.

ამიტომ ჩვენი მომდევნო ანკეტები, შესაბამისი კითხვებით, ჩვენს კრიტიკოსებს დაუგზავნებათ.

ეჭვი არაა, მკითხველი ინტერესით მოუსმენს ჩვენს გამოჩენილ კრიტიკოსებს.

უფრნალ „ცისკრის“ 1968 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნდა ქართულ მწერალთა ანკეტება (ნოდარ დუმბაძე, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყოფიანი, დემნა შენგელაია, ნოდარ წულუეისკირი, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ჯავახიძე).

ანკეტებში ქართული მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატები პასუხობდნენ რედაქციის მიერ დასმულ შემდეგ კითხვებზე:

1) თვლით თუ არა დამაკმაყოფილებლად ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელ დონეს? რა მიგაჩნიათ მის ღირსებად, რა კიდევ — ნაკლად?

2) რა აზრისა ხართ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობის საკითხზე?

3) პირადად თქვენი შემოქმედებისა თუ რომელიმე ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი წერილებიდან და სტატიებიდან რომელი უფრო მოგეწონათ? რომელი არ მოგეწონათ და რატომ?

4) საერთოდ, როგორა გაქვთ წარმოდგენილი კრიტიკის განვითარებისა და შემდგომი წინსვლის გზები? რა არის, თქვენი აზრით, საჭირო იმისთვის, რომ კრიტიკული აზრი მეტ ზემოქმედებას ახდენდეს ლიტერატურულ ცხოვრებაზე?

ცნობილ ქართველ მწერალთა ანკეტებს, რომელთა უმეტესობა მწვავე კრიტიკული პათოსით გამოირჩეოდა, ჩვენი ფართო საზოგადოებრივობა ცხოველი ინტერესით შეხვდა. მაშინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა დრო იყო, და ზოგჯერ ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში არსებულ მანკიერებათა მხილება, ერთის მხრივ, და კრიტიკის იარაღის აღწვისაკენ მოწოდება, მეორეს მხრივ, ცხადია, გულზე მაღამოდ ვერ მოეცხებოდა. მას მერე ბერძმა წყალმა ჩაიარა. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარმა სასიკეთო ძვრებმა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებასაც შესაფერისი ცვალი დაინია. თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, აგრეთვე ცნობილი დადგენილება სკკ ცკ-ისა კრიტიკის განვითარების შესახებ — ესაა ახალი ბასრი იარაღი ჩვენი მწერლობის ხელში, რომლითაც იგი დაუნდობლად ამხილებს და ებრძვის ყოველივე წამორჩენილს, რუტინულს, ჩვენი კომუნისტური მორალისადმი შეუფერებელს, ცხოვრების ღვინისური წესისათვის უცხოსა და მიუღებელს. ამ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი საზოგადოება საერთოდ, და ჩვენი მწერლობა კერძოდ, ეწყეიან საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უკვე მოიტანა პირველი დამამიედებელი ნაყოფი. ამის შესახებ ჩვენს ხალხს კარგად მოეხსენება. რაც შეეხება ჩვენს კრიტიკას, ამ ხნის მანძილზე ჩვენს მწერლობას შეემატა საჯანგებო ლიტერატურული აღმანახი „კრიტიკა“, რომლის პირველ ნომრებს მკითხველები გასაგებო ინტერესით შეხვდნენ.

ყოველივე შემოთქმულადან გამომდინარე, უფრნალი „ცისკარი“ კვლავ მიმართავს ჩვენს გამოჩენილ მწერლებს იმავე კითხვებით, ამასთან ანკეტებს ემატება კიდევ ერთი კითხვა:

5) რა შეიცვალა, თქვენი აზრით, ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე? საქმარისხად მიგაჩნიათ თუ არა ის ღონისძიებანი, რომელიც ჩვენს მწერლობაში გატარდა კრიტიკის შესახებ ცნობილი დადგენილების შესაბამისად?

რა აზრისა ბრძანდებით აღმანახ „კრიტიკაზე“?

ლადო აბალონიანი

1. „ცისკრის“ მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში ყველაზე ძვილია უპასუხობრველ კითხვას.

ყველაფერი გემოვნებას საქმეა. გემოვნება კი ჩანს არა იმაში, რა არ გაქმყოფილებს, რა არ მოგწონს, არამედ, რა მოგწონს.

თანამედროვე ქართულ კრიტიკაში (უფროსი, საშუალო და უმცროსი თაო

ბის საუკეთესო წარმომადგენლების ბოლო წლების ნამოღვაწარადან ბევრი
რამ მომწონს, ასევე ბევრი რამ არ მომწონს. მაგრამ რომელია მაინც მისი დღე
ვანდელი სიმაღლის ორატორია?

სამიოდე წლის წინ ცალკე წიგნად გამოიცა (მიუტევებლად მცირე ტირა-
ჟით) თამაზ ჩხენკელის კრიტიკული ნაშრომი — „ტრაგიკული ნიღბები“. აი, რა
მომწონს!

თუ კრიტიკული ნაშრომი თავისთავად მხატვრული ნაწარმოები არ არის.
(დამოუკიდებელი, ორიგინალური ნააზრევი, შემოქმედებითი ტანჯვით მიღწე-
ული, აღმოჩენებით აღბეჭდილი ნაყოფი) თუ მას „შვინიდან“ არ ანათებს შთა-
გონების ცეცხლი, შეუძლებელია მან გული გაგიტბოს, სული გაგინათოს და მით
უშეტეს, ავაფორიაქოს.

რა მოხიბლული, რა აღტაცებული ვარ ხოლმე ზოგიერთი კრიტიკოსის ნი-
ჭით, ერთდროით, როცა მასთან ვსაუბრობ, როცა ვუსმენ, და რა შეძრწუნებუ-
ლი ვრჩები, როცა მის კრიტიკულ წერილს ვკითხულობ, მიკვირს და მწყინს, რა
ადვილად იმეტებს „წყალში გადასაყრელად“ ყველა თავის ღირსებას, არაგულწ-
რფელობით. მან ხომ არავისზე ნაკლებად არ იცის, რომ... მართალია, იმ ნაწარ-
მოებს, რომელსაც მიმოიხილავს, არ აკლია თითქმის არაფერი... დაწერილია ყვე-
ლა დღევანდელი მოთხოვნილების გათვალისწინებით, მაგრამ... მხატვრული ნა-
წარმოები არ არის. ყოველთვის მათცებდა და მათცებს გაუმართლებელ შედეგა-
თებზე, როგორც ოჩოფეხებზე შეყენებული ეს დამღუპველი უპრინციპობა,
რასაც ერთი შეხედვით ვერ უნდა გუთბდეს ვერც ნიჭი, ვერც ულტურა კრიტი-
კოსისა.

როდესაც ნიჭიერი კრიტიკოსი უპრინციპობა (უნიჭოს იარაღი მოუმარჯვე-
ბია) მან უნდა იცოდეს, რომ საბოლოოდ ეს იმ საქმის დაღატაკა, რომელსაც ემ-
სახურება. ვის, სად, როდის მოუბოგებია ერის სიყვარული მისი ინტერესების
დაღატაკის გზით?

დიდი კრიტიკოსი (ნიჭი, პრინციპულობა, გაბედულება), დიდი აშვიათობაა,
მისი „ტვირთი“ კი (შეგნება საკუთარი მისიისა) განუზომლად მძიმე. ამ სიმძიმის
ატანას, გაძლებას ყველა ასპექტში მაგარი „ხერხემალი“ სჭირდება; ჩვენი დი-
დად ნიჭიერი კრიტიკოსების „ხერხემალსაც“ კი ჯერჯერობით ადვილად ღუნავს
ისეთი სიმძიმის დაწოლა, როგორიცაა... თანამედრობის ბირი, თუ ვაგლენიანი
მწერალი, ძმანბობა, სიფრთხილით ნაკარნახევი „კეთილგონიერება“, ზოგჯერ
ბელიკოვის ფორმულამდე მისული. გადამდებ სენად იქცა რაღაც აუცილებლო-
ბად დაკანონებული განუკითხავი გუნდრუკის კმევა (ერთადერთი, რაშიაც ჯიუ-
ტად ეჯიბრებიან ერთმანეთს ყველა თაობის კრიტიკოსები) ზოგი მწერლის ცალ-
კეული ნაწარმოებისა თუ მთლიანი შემოქმედებისადმი. ეს ყველაფერი აუფასუ-
რებს (როცა ქება მიახლოვებითაც კი სინამდვილეს არ შეეფერება) ჩვენს კრი-
ტიკას, რყვნის კრიტიკოსებს, ხანგრძლივი, შემამოფოთებელი უნდობლობის
გრძნობით მსველაღვს მკითხველს, როგორც მწერლის, ისე კრიტიკოსის მიმართ.
მკითხველს ხომ მწერლობა სიწმინდის, გულწრფელობის, სამართლიანობის და
გაბედული ქომავის განსახიერებად მიაჩნია; და როგორ არ გაოცდეს, როგორ არ
დაეჭვდეს, როცა კრიტიკოსი ხშირად აბრეშუმით მოსავს იმ მწერალს, ვინც მხო-
ლოდ ჭვალის ღირსია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულუბრყვილობა იქნებოდა არა თუ დაჯერე-
ბა, იმის გაფიქრებაც კი, რომ ეს ყველაფერი კრიტიკოსებს ჩვენზე უკეთ არ მო-
ესხენებოდეთ. ამასთან ერთად ისიც აშკარაა, რომ ამგვარი გაუკუღმართების
მხრივ ყველაფერში კრიტიკოსებსაც არ მიუძღვით ბრალი თუ მწერალმა მიზ-
ნად დაისახა თანამედრობა „შეაშველოს“ თავის შემოქმედებას, (საამისო ოსტა-



ტობამ შესაშურ დონეს მიაღწია) სწყინს (მეტი რომ არა ვთქვათ) არა მარტო თუ გააკრიტიკე, არამედ ისიც, თუ სხვა აქე. კრიტიკა დიდხანია მოექცა ამ ცეცხლს შუა. მწარე გამოცდილება, სადაცაა დაგვარწმუნებს, რომ შეუძლებელია მწერალი ამ ვიფარებაში მწერლის ბედს წყვეტდეს (სადაც გინდა იყოს — კავშირში, გამომცემლობაში, რედაქციაში) რადგან ყველას სურს (ამას ველარაფერი ფარავს) თვითონ იყოს სხვაზე მეტად აღიარებულიც და დაფასებულიც, სულ ერთია, იმსახურებს თუ არა.

კრიტიკას იმ მხრივაც უჭირს, რომ მისი ავკარგის გამკითხავიც სანთლით საძებარია. მის ღირსებებს (რაც შერჩა) ჩვეულებრივ ვერ ამჩნევენ, და იქნება შავი ლაქის შთაბეჭდილება კრიტიკის ავტორიტეტის საზიანოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გავკრიტიკებ ჩვენი კრიტიკის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლის — სოსო სიგუას ერთ წერილს; სოსო სიგუა ჯერ მხოლოდ რამდენიმე წერილისა და ერთი წიგნის ავტორია. „მნათობში“ გამოქვეყნებულმა მისმა წერილმა „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“ არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვია. დავუშვათ, რომ მართლად იყვნენ მწვავე შენიშვნების ავტორები, მაგრამ არა მთავარში. მთავარი კი ის არის, რაც კრიტიკოსის ღირსებაა. მერე ვინ თქვა ამის შესახებ, და სწორედ იმის გვერდით, რაც ნაკლად იქნა მიჩნეული? ღირსების თვალსაზრისით სწორედ სოსო სიგუა მესახება დიდი შესაძლებლობის კრიტიკოსად, და ვფიქრობ, დიდხანს არ გვალოდინებს თავის შესაძლებლობათა ბოლომდე გამოსამკვლავებლად. ამის გარანტიას კი იძლევა სწორედ მის, აღნიშნულ წერილში გამოთქმული მრავალი მოსაზრება, ეჭვიშაღებულად ზუსტი ანალიზი ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებისა (არა ყველასი); კერძოდ, ეს შემიძლია დაწვრილებით ვთქვა წერილის იმ ნაწილზე, სადაც კრიტიკოსი ეხება ოთარ ჭილაძის რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ჩვენი წმინდა ვალია ნაკლზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად, ღირსების დანახვაც (უპირველეს ყოვლისა) და მისი ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქმა.

2. ამ საკითხზე ჯერჯერობით ორი აზრი არ არსებობს, არა მარტო ჩემთვის.

პროფესიონალური კრიტიკა გარკვეულ დონეს სწორედ მათი წყალობითაც ინარჩუნებდა დღემდე, და ინარჩუნებს დღესაც. უფრო მეტიც. მე პირადად გამიჭირდებოდა პროფესიონალი კრიტიკოსის დასახელება, რომელსაც ბალზაჯზე უკეთ გაერჩიოს, სტენდალის „პარმის სავანე“ (მერე და რა დროს! როცა კაციშვილს ჯერ კრინტი არ დაეძრა სტენდალზე, არც ერთ კრიტიკოსს ჯერ არ შეემჩნია ამხელა მწერალი); დოსტოვესკისა და თომას მანზე უკეთ გაერჩიოს ტოლსტოის „ანა კარენინა“; ანდრეი ბელიზე უკეთ გაერჩიოს გოგოლის შემოქმედება (კრიტიკული ნარკვევი — „გოგოლის ოსტატობა“); თამაზ ჭილაძეზე უკეთ გაერჩიოს დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (მცირე მოცულობის წერილში).

3. ის წერილები მომეწონა, რომლებიც დაწერილია მკითხველის, და არა მწერლის მისამართით, (რა ფასი, ან რა დღეგრძელობა უნდა ჰქონდეს მწერლის საამებლად, ან გასაბრაზებლად დაწერილ კრიტიკოსის წერილს) მწერალს მხოლოდ სიცოცხლის მოკლე მანძილზე ესმის კრიტიკოსის ნათქვამი, მკითხველს კი ასეული წლები მანძილზე. ამიტომაც კრიტიკოსისათვის ერთადერთი სწორი მისამართი — მკითხველია, და არა მწერალი; მცდარი „მისამართებით“ კი სავსეა დღევანდელი ქართული კრიტიკული ლიტერატურა. ამ მხრივ ზოგი ჩვენი კრიტიკოსი დაემსგავსა თიხის ახალ ჰურჭულს, ისე გაუთავებლად „გასდის“ გველენიანი მწერლის ნაწარმოების „მოსარწყავი“ წყალი (და ლიტერატურის დასატბორავი).

4. იდეალური შემთხვევა — გენიოსის დაბადება ამ ქანრში. სხვა შემთხვევაში, როგორც ყოველთვის ხდება — ნახევრად ევოლუციური გზით — ახალ თაობის მოსვლა, ახალი სახელების დამკვიდრება, ახალი პრინციპებისა და ღირებულებების მომარჯვება, ცხოვრებისა და ლიტერატურის გარკვეულ მოთხოვნებთან შესაბამისად.

5. მხოლოდ ის შეიძლება შეიცვალოს, ახლით რასაც შეეღვევი. რას შეეღვივნენ ჩვენი კრიტიკოსები კრიტიკის შესახებ ცნობილი დადგენილების შემდეგ? რასაც დადგენილება გმობდა, ვისაც ის ყველაზე მეტად ენებოდა, ზომ არ უცდიათ მათ გადაექციათ იგი „ქანგაბადის ბალიშად“ დღეისათვის, რომ ხვალ ისევ იმ ჰაერით ესუნთქათ, რომელიც დადგენილებამდე „გაუღენთილი“ იყო ზერელობით, დაუსაბუთებელი კომპლიმენტებით, შემრიგებლური დამოკიდებულებით იდეურ-მხატვრული წუნისადმი, სუბიექტივიზმით, ძმობიური და ჯგუფური მიკერძოებით. მე მგონია, ეს მდგომარეობა არ არის შესწავლილი და გაანალიზებული კონკრეტული მასალით.

თუ რა ცვლილება მოხდა, ის ყველაზე მკაფიოდ კიდევაც აისახა ალმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე და თავად ეს ალმანახი არის იმ ცნობილი დადგენილებიდან გამომდინარე ყველაზე თვალსაჩინო ღონისძიება, რომელიც ჯერჯერობით განხორციელდა.

ალმანახ „კრიტიკის“ დაარსება მოვლენადაც კი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში. მისი მსგავსი რამ აქამდე არა გვექონია. „კრიტიკა“ ჯერჯერობით ალმანახია და სწორედ ალმანახის შესაძლებლობის ფარგლებში ახერხებს გასწიოს ფრიად სასარგებლო სამსახური, მაგრამ ალბათ არასაკმარისი, არა იმდენად საგრძნობი და არა იმდენად ქმედითი, რადგან მის ნომრებს შორის დროის საკმაოდ დიდი ინტერვალია. გვჯერა, ეს ყველაფერა დროთა ვითარებაში ახალ კალაპოტში ჩადგება და „კრიტიკა“ მთელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების აქტიურად წარმმართველ ძალად იქცევა. მარტო ის გარემოება, რომ ამ სახის ალმანახის გარეშეც კი ველარ წარმოვიდგენია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, ბერს ლაპარაკობს მის დონესა და მნიშვნელობაზე. თანდათანობით „კრიტიკაც“ დასძლევს ჯერ კიდევ შემორჩენილი რევერანსისა და დუმილის ფორმებს ზოგი მწერლის მიმართ. მის ფურცლებზე სხვა სიკეთესთან ერთად ალბათ ვიხილავთ არა მარტო ჩვენი კრიტიკოსების უფრო მაღალი დეურ, პრინციპულობით გამორჩეულ სტატიებს, არამედ სხვა ერების მონაპოვარსაც ამ ქანრში, რაც საერთოდ აამაღლებდა არა მარტო ჩვენი კრიტიკოსების პასუხისმგებლობას, არამედ თვით მკითხველის მომთხოვნელობის დონეს.

ბუშკინი გვარწმუნებს состояние критики само по себе показывает степень образованности всей литературы. როგორც ხედავთ, კრიტიკის დონე განსაკუთრებული ზრუნვის ღირსი ყოფილა ეროვნული ლიტერატურის თავმოყვარეობისა და ინტერესის თვალსაზრისით.



რეკავა ჯაფარიძე

მოსაზრებები თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, რომლებიც თავის დროზე თქვენს ანკეტის პასუხად გამოვთქვი, დღესაც საგულლისმოდ მიმაჩნია. დინტერესებული მკითხველი ამ პასუხებს ჩემი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების წიგნის „აწონილი სიტყვის“ მეორე გამოცემაშიაც იპოვნის და აქ აღარ გავიმეორებ.

ჩემი პასუხები მკაცრი და კატეგორიული იყო. ამან, სამწუხაროდ, ბევრი

ის ადამიანი გააღიზიანა და განაწყენა, ვისაც ცხოვრების მიზნად ლიტერატურულ კრიტიკაში მუშაობა განუზრახავს და გარკვეული ნაბიჯებიც გადაუდგამს ამ მიმართულებით, თუმცა კონკრეტულად ესა თუ ის კრიტიკოსი პასუხებში ნაგულსხმები არ იყო. გაღიზიანება და განაწყენება იმით გამოიხატა, რომ ზოგიერთმა მათგანმა ჩემთან ანგარიშის გასწორება განიზრახა. ასე, მაგალითად, ამ ერთი თუ ორი წლის წინათ საქართველოს ერთ-ერთ სოლიდურ ბეჭდვით ორგანოში მე წავიკითხე საკმაოდ სახელიანი ქართული კრიტიკოსის მიმოხილვითი წერილი თანამედროვე ქართულ პროზაზე, სადაც ყველა ჩემი ნაწარმოები, თვით ჩემი სახელი და გვარიც კი გვერდავლილი აღმოჩნდა.

არ ვიცი, რამდენად ეხმარება ამგვარი წერილები ჭეშმარიტების ძიებას და სწორი, პირუთენელი აზრის ჩამოყალიბებას თანამედროვე ლიტერატურის მდგომარეობაზე და ძალთა თანაფარდობაზე ლიტერატურაში. თუ მომავალშიც ასე ვაგრძელებდა, მე კი არა მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ასე არ ვაგრძელებდა, რასაკვირველია, წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება თვით კრიტიკა, ვინაიდან მწერლები, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობენ და წერენ ამის თაობაზე ზოგიერთი კრიტიკოსები, თავის საქმეს მაინც აკეთებენ, ქმნიან ახალ ნაწარმოებებს და ის, რაც პატიოსნად და მიუღდომლად არ შეფასებულა დღეს, შეფასდება ხვალ, ზეგ, თუნდაც ორმოცდაათი და ასი წლის შემდეგ. მწერალს, თუ ის ნამდვილი მწერალია და მისი ნიჭისა და სინდისიერებისა მკითხველს სჯერა, არსად ეჩქარება, მან კარგად იცის, რომ აჩქარებითა სოფელი არავის მოუტამია.

ვინაიდან რედაქციის მიერ განმეორებით შემოთავაზებულ ოთხ კითხვაზე მე უკვე ადრე გავეცი პასუხი და დღეს დასამატებელი ან შესაცვლელი არაფერი მაქვს, შევეცდები მეხუთე კითხვაში წამოჭრილ საკითხებს შევებო, მაგრამ სანამ ამას ვიზამდე, უკვე ნათქვამს ერთ რამეს მაინც დავუმატებ.

ჩემი ადრინდელი პასუხები თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე ოდნავადაც არ გულისხმობს იმას, თითქოს ქართული კრიტიკული აზროვნება ნიჭიერ ლიტერატორთა ნაკლებობას განიცდიდეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩემს პასუხებს ნაკლები სიცხარე ექნებოდა. აბა, რაზე უნდა ვაცხარდე, თუკი ვაცი კეთილსინდისიერად ცდილობს და მისი ნიჭის თუ ინტელექტუალური განვითარების დონე მეტის საშუალებას არ იძლევა? ჩემს, როგორც მწერლისა და მშობლიური ლიტერატურის პატრიოტს, გულისტკივლს ის იწვევს, რომ დღეს საქართველოში მოღვაწეობენ უაღრესად ნიჭიერი, ღრმად ერუდირებული, უტყუარი ლიტერატურული აღღოთი და გემოვნებით აღჭურვილი კრიტიკოსები ყველა თაობისა, მაგრამ კრიტიკა კი მაინც არ არის ის, რაც უნდა იყოს — ჩვენი ლიტერატურის პირუთენელი სარკე, მისი პატიოსანი მეგზური და წარმმართველი.

იქნებ ამის მიზეზი სადაც სხვაგან ვეძიოთ? იქნებ აქ რაღაც ბევრად უფრო რთული ტექნიკური მოქმედებს, ვიდრე ჩვენ გვგონია და ქაღალდსა და მეღაწის სულ ტყუილად ვხარჯავთ?

ჩემი ღრმა რწმენით, არავითარი სხვა მიზეზი ლიტერატურული კრიტიკის არასახარბიელო მდგომარეობაში არ არსებობს. ამის მიზეზია არასაკმაო ერთგულება, არასაკმაო სიყვარული არჩეული საქმისა, არასაკმაო პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი აზრის წინაშე. იქნებ არასაკმაო მომთხოვნელობაც თვით საზოგადოების მხრივ? აბა ვინ, რომელი კრიტიკოსი ან მწერალი გაკიცხულა იმისათვის, რომ დაუმსახურებელი დადნის გვირგვინით შეამკო ამა თუ იმ მწერლის საექვო ღირსების ნაწარმოები, ვინ გაუწითლებიათ და სად იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ტალანტით აღბეჭდილ, თუნდაც ნაკლოვან ნაწარმოებს დაუმსახურებლად, მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩირქი მოსცხო? არაინი! რჩება შთაბეჭდი-

ლება, რომ საზოგადოებისათვის სულ ერთია, ვინ რას დასწერს, ვინ რას მოიწოდებს და ვინ რას დაიწუნებს.

შორს რომ არ წავიდეთ და ლიტერატურის ისტორიის მტკვარი არ დავაყენო, ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ ასე არ იყო. საზოგადოება დაუყოვნებლივ რეაგირებას ახდენდა ამა თუ იმ კატეგორიულ აზრზე, რომლითაც ლიტერატურულ ქმნილებას აფასებდნენ. დღეს რად დავკარგეთ ეს მომთხოვნელობა? რად ავუშვით ასე ორთაყვირები და თვითდინებას რად მივუხდეთ?

უკეთესი იქნება, თუ რესპუბლიკაში ბოლო დროს მომხდარ სასიკეთო ძვრებს ფხიზელი თვალით შევაფასებთ და იმას, რაც ითქმის საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მექანიკურად არ მივაწერთ ჩვენს ლიტერატურას, კერძოდ, ლიტერატურულ კრიტიკას. შესაბამისი ძვრები ჯერ ლიტერატურაში არ ჩანს, არ ჩანს ის არც ლიტერატურულ კრიტიკაში. როცა გამოჩნდება, მოდით, მაშინ ვილაპარაკოთ. თითო-ორლა ლექსი და ნარკვევი ლიტერატურაში ამინდს ვერ შექმნის.

რა აზრისა ვარ აღმანახ „კრიტიკაზე“? აღმანახი „კრიტიკა“ სხვა ვალაქტიკაში როდი გამოდის. იგი ჩვენი მწერლობის ორგანოა და იგივე გასაჭირი ადგას, რაც სხვა ლიტერატურულ ორგანოებს. კრიტიკის აღმანახი, ამას გარდა, კიდევ ექვსი-შვიდიც რომ დავაწესოთ, არსებითად მდგომარეობა მაინც არ შეიცვლება. „კრიტიკა“ ახალი ტრიბუნაა. მადლობის მეტი რა გვეთქმის იმათ მიმართ, ვინც ეს ტრიბუნა გაგვიჩინა, მაგრამ, საუბედუროდ, საკითხს ტრიბუნა არ წყვეტს. საკითხს წყვეტს ორატორი, რომელიც ამ ტრიბუნაზე უნდა ავიდეს და მართალი სიტყვა წარმოთქვას.

კრიტიკა, როგორც ლიტერატურული მოღვაწეობის ყველა სხვა დარგი, ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. ერთადერთი, ვისაც ხელეწილება წინ წასწიოს კრიტიკა, კრიტიკული აზროვნება, ეს გახლავთ თვით შემოქმედი კრიტიკოსი. მაგრამ როდესაც ამას ვამბობთ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საზოგადოების მხრივ კონტროლი და მკაცრი მომთხოვნელობა ის ობიექტური ძალაა, რომელიც განსაზღვრავს კრიტიკის ობიექტურობას და პარუთვნელობას.

საკითხთა წრეს შორს მივყავართ. ვინაიდან დაწესებული რეგლამენტი მეტის საშუალებას არ იძლევა, მე ამით შემოვიფარგლები.



ლია სტურუა

1. წინა წლებთან შედარებით ქართული სალიტერატურო კრიტიკა, რა თქმა უნდა, აღმავლობას განიცდის. ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა ადგილობრივმა, ეროვნულმა საჭიროებამ, თუმცა კრიტიკის აღმავლობა დღეს გლობალური მოვლენაა. „კრიტიკის ბუმი“ ევროპაში იძლევა კრიტიკისა და ხელოვნების ურთიერთობის ასეთ პარადოქსალურ ფორმულირებას: „კრიტიკა კონფლიქტშია შემოქმედებასთან“ და აქცევს მას დასავლეთის ლიტერატურის-მცოდნეობის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ტენდენციად. უამრავი განმტოების არსებობის ფაქტი (სტრუქტურალიზმი, „ახალი კრიტიკა“, ფენომენოლოგია, ეკზისტენციალიზმი, ნეოფროიდიზმი და სხვ.) კრიტიკის განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მეტყველებს, ვეთანხმებით ჩვენ მათ თუ არა (ძნელია დაეთანხმო „წმინდა კრიტიკის“ მოთხოვნილებას ხელოვნებისაგან, ლიტერატურისგან სრული იზოლაციის შესახებ).

ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ კრიტიკა ჩამორჩა ლიტერატურას, ვერ ასახავს ყველა იმ საინტერესო ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს მხატვრულ

პრაქტიკაში. დასავლეთში მიამჩნიათ, რომ ამ ბოლო ათწლეულში ძალზედ ჩამორჩება ლიტერატურა, კრიტიკა კი პროგრესირებს საოცარი სისწრაფით. (ეს, რა თქმა უნდა, „წმინდა“ კრიტიკოსების სუბიექტური აზრია).

აქედან გამომდინარე, ალბათ უფრო დამაკმაყოფილებელია, რომ არსებობდეს საინტერესო ლიტერატურა, ხოლო კრიტიკამ ვერ მოასწოროს ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ფაქტის ფიქსირება და ანალიზი და სულ რაღაცას ველოდეთ და მოვითხოვდეთ მისგან.

დღევანდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკის ღირსებად მიმჩნია მისი ქრესტომათიული შარავანდელის გაფერმკრთალება. კლასიკოსების მიმართ გაჩნდა ანალიტური მიდგომა, კრიტიკული თვალი, რომელმაც შეცვალა ემოციური, ეკზალტირებული საწყისი მათ შემოქმედებასთან დამოკიდებულებაში. გარდაცვლილი კლასიკოსების შემოქმედებაზე მრავალჯერ და უფრო კარგად დაწერილის განმეორებას შეეზიარა თამამი, სახიფათო და ერთგვარად უმადური საქმე თანამედროვე მწერლობაზე წერისა (რთული წინააღმდეგობანი, დაუდგენელი კრიტერიუმები, ახალი ფორმა, დროით შემოსაზღვრული თუ ჭეშმარიტი ნოვატორობა და სხვ.)

როდესაც კრიტიკოსი წერს მწერალზე, რომელზედაც მანამდე არაფერი არ დაწერილა, ის ფონს ვერ გავა ერთდროის, მოჩვენებითი ინტელექტუალიზმის ხარჯზე. აქ უკვე საჭიროა პოზიცია, ხოლო საკუთარი პოზიცია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შემოქმედ კრიტიკოსს.

სამწუხაროდ, შემოქმედ კრიტიკოსს (მოვლენა შედარებით იშვიათი) ხშირად ურევვენ ერთდროულ ინტელიგენტ კრიტიკოსში (სიმპტომატური მოვლენა), რომლის ეკლექტიკური კეკლუცობა თავბრუს ახვევს მკითხველს და მთავარი — კრიტიკოსის პოზიცია ყოველსშემძლე ლოკოსის მიღმა რჩება.

როდესაც მატულობს რიცხვი შემოქმედი კრიტიკოსებისა, პასიური კრიტიკა გადადის თავის უმაღლეს ფორმაში — აქტიურ კრიტიკაში, რაც ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა სალიტერატურო კრიტიკისა.

ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს, ჩემის აზრით, საკმაოდ კოლორიტული, უფრო სწორედ, ეკზოტიკური ელფერი ახლავს. კრიტიკოსის სუბიექტურობას ზოგჯერ განაპირობებს სუფრის, „სალონის“ ინერცია, რომლის დაუწერელი კოდექსის მიხედვით კრიტიკოსის მოღვაწეობა გრაფიკულად წრის ფორმით შეიძლება გამოიხატოს: კრიტიკოსს არა აქვს მორალური უფლება ნეგატიური აზრი გამოთქვას თავისი მეგობრის (კარგი ნაცნობის) №-ის შემოქმედებაზე, არაეთიკური საქციელია ისიც, თუ თავის სტატიაში ჩამოთვლილი საინტერესო მწერლების გვერდით არ მოიხსენიებს №-ს, დაბოლოს, კრიტიკოსი ვერ წერს წერილს მწერალზე, რომელიც მას ობიექტურად მოსწონს, მაგრამ №-ს და მთელ სალონს, მასთან დაკავშირებულს, არ სიამოვნებს ამ მწერლის წარმატება.

კრიტიკოსი დგას დილემის წინაშე: ან-ან: ან დაწერს ობიექტურ სტატიას საინტერესო მწერალზე, რომელიც მხოლოდ დროში შეფასდება, ან დაკარგავს მეგობრების ჯგუფს, მეგობრებს კი 30 წლის მერე იშვიათად კარგავენ ან იძენენ. (ამგვარად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მარტო უნიკო, ნაცრისფერი შემოქმედების წახალისებასა და პროპაგანდასთან, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედების უგულვებლყოფასთან). წრე იკვრება. წრის შიგნით დარჩნენ კრიტიკოსი *Arbiter elegantiarum* და მის მიერ ლიტერატურაში შემოყვანილი მწერლები, დანარჩენები წრის გარეთ. ასე ორ ბანაკად იყოფა ჩვენი ლიტერატურა გამოუცდელი მკითხველის თვალში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ამ მოვლენასაც, ისევე, როგორც სხვა

ხარვეზებს, გამოეცხადა ბრძოლა და ამ მხრივაც მნიშვნელოვან წარმატებებს მი-
აღწია ჩვენმა კრიტიკამ.

2. სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეუ-
ობა მე პირადად სასურველად მიმაჩნია. მაგრამ აქ გათვალისწინებული უნდა
იყოს ერთი ფაქტი: არ არსებობს ორი ერთნაირი პოეტი, რასაკვირველია, თუ
მხედველობაში არ მივიღებთ ეპიგონებს და ამ შემთხვევაშიც იდენტურობაზე
ლაპარაკი შეუძლებელია. როდესაც პოეტი ან მწერალი კითხულობს მეორის
ნაწარმოებს, მას, შეუძლებელია წინააღმდეგობის გრძნობა არ გაუჩნდეს. შე-
მოქმედება რთული პროცესია. მასში ხდება ნაკლოვანის კომპენსაცია, შემოქ-
მედის შევსება პარაზონულ მთლიანობამდე. ხელოვნებაში ამგვარად სუბლიმი-
რებული ადამიანის სული და ფიზიკა შეუძლებელია გავდეს მეორისას. ამიტომ
წინააღმდეგობის გრძნობა, რომელიც ერთ ავტორს უჩნდება მეორესთან შეხე-
ბისას, სრულიად ბუნებრივია, წინააღმდეგობა არ გაუჩნდება ადამიანს, რომელ-
საც არა აქვს საკუთარი პოეტური სამყარო. სწორედ ამ მიზეზების გამო შემოქ-
მედს უნდა ეყოს საკუთარი ტალანტის ძალა, ობიექტურად მოეწონოს მეორის
ნაწარმოები და ტაქტის გრძნობა, არ მოახვიოს მას თავისი სუბიექტური აზრი
და მით უფრო, არ აქციოს იგი კრიტერიუმად ხელოვნებაში.

3. ჩემს შემოქმედებაზე დაწერილი წერილები (თ. ჩხენკელი, გ. მალულარია,
გ. კანკავა, ს. სიგუა, ა. ნიკოლეიშვილი) მომწონს თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ
ისინი (ამ წერილების ავტორები) საინტერესო შემოქმედნი არიან.

4. უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პასიური კრიტი-
კა, ჩაკეტილია თავისთავში, ღირებულება და მასშტაბი შეიძლება ჰქონდეს მხო-
ლოდ აქტიურ კრიტიკას. გარდა ამისა, შემოქმედ კრიტიკას გააჩნია ერთი წმინდა
მოვალეობა. ხელოვანი გამოირჩევა ზეაწეული მგრძნობიარობით. ის ასოციაცი-
ებით და სახეებით აზროვნებს. მკითხველს ხშირად სჭირდება ათეული წლები და
ზოგჯერ საუუენეც, რომ გაიგოს და შეაფასოს ხელოვნების დიდი ნაწარმოები.
ამ დროს ფასდაუდებელი და შეუცვლელია კრიტიკოსის როლი. მას შეუძლია
თავისი ინტუიციის, განათლებისა და ინტელექტის წყალობით ხელმისაწვდომი
და გასაგები გახადოს მკითხველისათვის ხელოვნების ნაწარმოები.

პოეტი მ. სვეტლოვი წერდა: „ხალხს აწუხებს ესთეტიკური წყურვილი და
ის ხშირად სვამს მღვრიე წყალსაც“.

ფართო მკითხველს აინტერესებს სიუჟეტი, ფორმა მისთვის უფრო რთული
ფენომენია. მითუმეტეს, რომ ახალ ფორმას ძნელად ეგუება არა მარტო ფართო
მკითხველი, არამედ ზოგჯერ პროფესიონალიც. სალიტერატურო კრიტიკის ერთ-
ერთი მიზანია ხალხის ესთეტიკური დონის ამაღლება, რასაც, პირველ რიგში
აფერხებენ სტერეოტიპები. დვილად მისაწვდომობის, მომხიბლავი სიუჟეტური
შაბლონის გამო ისინი იქცევიან ფართო მკითხველის კუთვნილებად, ნულამდე
დაყავთ მისი ესთეტიკური დონე, ხოლო ჭეშმარიტ ნოვატორულ მწერლობას
ვიწრო წრის კუთვნილებად აქცევენ. ამდენად, აშკარაა სტერეოტიპის ანტიხალ-
ხური ბუნება. როდესაც კრიტიკა ძირითადად შემოქმედებითი გახდება, როცა
ის დაეხმარება ფართო მკითხველს გაარჩოს წმინდა წყალი მღვრიესგან და ად-
მიანური შესაძლებლობის ფარგლებში შეაფასებს ლიტერატურას ობიექტური
კრიტერიუმების მიხედვით, ის, რა თქმა უნდა, მეტ შემოქმედებას მოახდენს
ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

5. ამ კითხვაზე პასუხი, ფაქტიურად, ზემოთ არის გაცემული. პარტიის
ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვანი
ცვლილებები მოხდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში: პასიურმა კრიტიკამ
ადვილი დაუთმო აქტიურ, მეზობოლ კრიტიკას. სუბიექტური კრიტერიუმები

ხელოვნებაში, რომლებიც საწყისს იღებენ კრიტიკოსის არა სულიერ, ინტელექტუალურ წყობაში, არამედ ყოფით სფეროში, ძნელად და მტკივნეულად. მაგრამ მაინც იცვლებიან ობიექტური კრიტერიუმებით, კრიტიკაში გაძლიერდა შემოქმედებითი ელემენტი, რადგან ხელოვნების ნაწარმოების სწორი შეფასება და ანალიზი ძალუძს მხოლოდ შემოქმედებით კრიტიკას. აღმანახი „კრიტიკა“ ხელს უწყობს ამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესის მიმდინარეობას, რადგან ამ აღმანახის გამოსვლამდე ქართველ კრიტიკოსებს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონდათ.



მუხრან მაჭავარიანი

ცნობილია:

ყოველ შედეგს აქვს თავისი მიზეზი.

თავის მხრივ, — ყოველი მიზეზი გარკვეული მიზეზის შედეგია და ყოველი შედეგი, — გარკვეული შედეგის მიზეზი.

ყოველთვის, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ მხოლოდ შედეგზე და ამ შედეგის უშუალო მიზეზზე: არასოდეს ხმას არ ვიღებთ არსებული შედეგის მიზეზის მიზეზზე.

მაგალითად, ჩვენ ვამბობთ:

ჩვენი კრიტიკის დონე დაბალია!

რატომ?

იმიტომ რომ, კრიტიკას აკლია პრინციპულობა!

და, ჩვენ აქ ვჩერდებით, აღარ მივდივართ ამას იქით.

კი, ბატონო, გავიგეთ, რომ ჩვენი კრიტიკის დონე დაბალია, ისიც გასაგებია, რომ ამ დაბალი დონის მიზეზი უპრინციპობაა!

მაგრამ... რაა ამ მიზეზის მიზეზი?!

ე. ი. რითაა გამოწვეული ეს უპრინციპობა?!

აი, ჩვენ როცა ლაპარაკს დავიწყებთ აქედან, — საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება!

ვინც უნდა იცოდეს, — იცის:

მხატვრული ლიტერატურის დონეს განსაზღვრავს მხატვრული გამოსახვის საშუალებათა ხარისხი.

კრიტიკის დონეს, — მხატვრული გამოსახვის საშუალებათა ხარისხის შეფასების ხარისხი.

კრიტიკის რა დონეზე, მხატვრული ხარისხის შეფასების რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არ არსებობს თვით შეფასება, მხატვრული ხარისხის შეფასება?!

შეფასება ის კი არაა, თქვა: ეს კარგია, ეს — ცუდი!

არა!

— კარგია?!

— რატომ?!

— ცუდია?!

— რატომ?!

როცა ამას იტყვი, — აი, ესაა შეფასება!

მაღალკვალიფიციურ კრიტიკას თავის დღეში ვერ შექმნის გულბრძოლი ტერატორი!

შოლოდ მხატვრული სიტყვის ქეშმარიტ ოსტატთა (და, არა ფინანთა) მიერ ერთმანეთის შემოქმედებაზე გულახდილი წერა, — ასწევს თანამედროვე კრიტიკის ერთობ დაბალ დონეს!



ლადო მრეალაშვილი

ბასუსი შურნალ „ცისპრინს“ კითხვაზე

1. სანამდე ქართული კრიტიკის დროშაზე ეწერება: „ღმერთმა ერთი რით აცხონოს თუ მეორე არ წაწყვიდაო,“ მის დონეზე ლაპარაკი ზედმეტია. მისი ღირსება რაოდენობაა, ნაკლი — უღირსობა.

2. დიდებული აზრისა. ოდონდ ეს მონაწილეობა არც ძმაბიჭური უნდა იყოს, არც ვინმესთვის თვალში ნაცრის შესაყრელად ნაკარნახევი, არც ანგარიშის გასასწორებლად და არც „რბილსაგარძლიანთა“ კეთილგანწყობებს მოსაპოვებლად.

3. ნოდარ ჩხეიძის ერთადერთი წერილი „იკალთოელ ბიჭებზე“... პატიოსანი კაცი იყო ნოდარ ჩხეიძე. და, სხვათაშორის, არც თუ ისე გაცივებული დაგონი, როცა მისი წერილების წიგნში კრიტიკოსთა გარკვეულმა ჯგუფმა თუ ამ წიგნის შემდგენელმა მხოლოდ და მხოლოდ სწორედ ეს წერილი არ შეიტანა. და კიდევ ალექსანდრე კალანდაძის წერილი „ყაბახზე“. თუმცა კი უნდა ვიღიარო, ცოტა ნაჩქარეობის ბეჭედი დაჰკრავს შიგადაშოგ. მომეწონა მათი პირუთენელობისათვის, რადგან ისინი ვინმეს საქებ-საგინებლად არ არი გამიზნული.

არ მომეწონა აკაკი ბაქრაძის წერილი ამავე „ყაბახზე“. ეს იყო წინასწარ ტენდენციურად ჩაფიქრებული, რომლის იქით ამ წიგნის შექმნის გამო გაღიზიანებული კაცი იდგა. მისთვის გამანადგურებელი პასუხის გაცემა შეიძლებოდა და მე დღესაც ვნანობ, რომ ყურიც არ გამიპარტყუნებია. კრიტიკოსთა შორის ეს კაცი მაინც ერთ-ერთ ყველაზე პატიოსან და პირუთენელ კაცად მიმაჩნია.

4. ქართულ კრიტიკას ჰყავს თავისი ნებეირნი. „ნებეირის“ ცალმის ყოველ მონასვამს შედევრად აცხადებს ქართული კრიტიკა. მის ბედურის ოდენა ნაკლანჭარს დინოზავრის ნაკვალევობას შესწამებს ხშირად. იგი ჯერ იმას ბერავს, რაც შიგ არი, ხოლო მერე იმასაც აღმოაჩენს, რაც შიგ არ არი და ავტორის თავში არც გაჰკანანებულა. და ხდება ასე: ადრე სხვათაგან ბევრად უკეთ ნათქვამი და გადაღებული თემა და აზრი, რომელიც საკმაოდ მკლე ლექსიკური საბურველით მიერთმევა წიგნის ბაზარს, ქართულ კრიტიკას ფარზე აჰყავს გულუბრყვილო მკითხველის თვალწინ. ამ ბედურის ნაკვალევის ჩხრეკისას კრიტიკოსებს ბევრჯერ ჩაეარდნიათ ფეხი ხარის ნაფხურში, მაგრამ ვერ შეუშინებიათ. აი, ამ „ვერშემწნევისა“ და მევან და მევან მწერალთადმი იეზუიტური ღუმილის „დიდ პოლიტიკასაც“ ადგას ქართული კრიტიკა. (და, სამწუხაროდ, ჩვენი ავკარგის განმკითხავნი ამ ხმაურის მიხედვით აფასებენ ჩვენს ნაციონალურს). ქართულ კრიტიკას სამ კატეგორიად ჰყავს დაყოფილი ქართული მწერლობა:

1. მწერლები, რომელთა გაკრიტიკება და მოთხრო-გაპამბულება შეიძლება.
2. მწერლები, რომელთა სახელსაც ტაბუ აქვს დადებული და მათი მხოლოდ ხოტბა-დიდება შეიძლება.

3. მწერლები, რომლებზედაც უნდა დღემდე, თითქოს მათი წიგნები არც არსებობდნენ, ანდა ერთი-ორი უფერული, მოვალეობის მოხდის გამო დაწერილი წერილითა თუ რეცენზიით შემოიფარგლო.

ამიტომ, და სწორედ ამიტომ, სანამდე ქართული კრიტიკა მკითხველისა და საზოგადოების გაცუცურაკებას არ მოეშვება, მისი განვითარების გზებზე ლაპარაკი წყლის ნაყვა იქნება. ხოლო, თუ უნდა, რომ მისი აზრი ლიტერატურულ ცხოვრებაზე ზემოქმედებდეს, ისწავლოს სიმართლის თქმა.

5. ვფიქრობ არაფერი არ შეცვლილა. დადგენილებები და ღონისძიებანი კრიტიკას ვერაფერს შესძენს. კრიტიკოსი დაზგა არ არის, კარგი ოსტატის მოსვლის შემდეგ წუნი მიატოვოს და მაღალი ხარისხის პროდუქცია მოგვეცეს. დღევანდელი კრიტიკოსი წარსული დღეებისაგან არი ფორმირებული. ისეთი კრიტიკოსები, როგორსაც ვსაჭიროებთ, უნდა აღიზარდნენ. აღზრდას კი წლები უნდა.

აღმანახი „კრიტიკა“ მოვლასა და რუდუნებას საჭიროებს. ზოგიერთ ახალბედა ავტორს, რომელსაც სიმართლით უნდა სიარული და პატიოსნად იტყვის თავის აზრს რომელიმე მოდურ მწერალსა თუ „რბილსავერძლიანის“ „გახმაურებულ“ ნაწარმოებზე, პირში ნუ ვეცემით და ნუ ვუჩაჩქუნებთ თავში გაკრიტიკებულის საამებლად მაშინაც კი, როცა კარტოფილის აპრობაციაზეა ლაპარაკი...



ბესიკ ხარანაშლი

1. ყველამ იცის, რომ სალიტერატურო კრიტიკა მოწოდებულია წინ უხეზვებდეს ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს, განაზოგადებდეს მათ და გზებს უსახავდეს მწერლობას. ჩვენს თანამედროვე კრიტიკას, რა თქმა უნდა. შეგნებული აქვს თავისი ეს დიდი მოვალეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მხოლოდ ლიტერატურული ფაქტების აღნიშვნით, რეცენზირებით კმაყოფილდება. უფრო მეტიც, ბევრმა კრიტიკოსმა სახელი მოიხვეჭა მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურზე, მდარე ლიტერატურულ მასალაზე ან ავტორიტეტულ მწერალზე „გაბედული“ რეცენზიებით. ცხადია, ნეგატიურზე წერა საჭიროა, გაბედულებაც აუცილებელია, მაგრამ, ჯერ ერთი, სუსტ წიგნებზე ჩვენში იშვიათად არსებობს ხოლმე ორი აზრი, ამას გარდა, სუსტი წიგნი ლიტერატურა არ არის, ლიტერატურის კრიტიკოსმა კი არ უნდა დაივიწყოს ის სპეციფიკა, რასაც მის პროფესიას სიტყვა „ლიტერატურული“ ანიჭებს. ეს სიტყვა კრიტიკოსს ავალებს თავის ნაწერებში გამოავლინოს ემოციური, ინტელექტუალური და სუფიერი სიმდიდრე, არა თუ მხოლოდ იმით მოახდინოს ეფექტი, რომ კუთხეში მოიმწყვდოს რომელიმე სუსტი ნაწარმოები და თავისი ძლევა მოსილება დაგვანახოს (კრიტიკოსის ნიჭიერება, რა თქმა უნდა, აქაც შეღავნდება, მაგრამ მხოლოდ ამ მხრივ თუ დასპეციალდა, შორს ვერ წავა). ერთი სიტყვით, იმისი თქმა მინდა, რომ კრიტიკოსის შემოქმედებაში მე უნდა ვხედავდე უპირველი ყოვლისა ჭეშმარიტ ლიტერატორს. კრიტიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამაღლებული უნდა იყოს. უმჯობესია, როდესაც კრიტიკოსის ძალები რომელიმე მწერლის შემოქმედების ან რაიმე ლიტერატურული მოვლენის ანალიზსა და დაძლევაში იხარჯება. ზღვა მასალა ჩვენი ლიტერატურის წარსულისა უცდის კრიტიკოსს. განა ვინმეს დღეს შეხვედრია კრიტიკოსის მიერ ახლად აღმოჩენილი და თუნდაც ახლებურად გამოვლენილი კლასიკოსი? განა დღევანდელ ახალ-

გაზრდობას აქვს წიგნი, რომელშიც ქართული პოეზიის გენეზისსა და განვითარებას ამოიკითხავს? და ეს მაშინ, როდესაც ამდენი პრეტენზიები არსებობს ქართული ლექსის ბუნების ცოდნაზე!

როგორი დამოკიდებულება გვაქვს მწერლებს კრიტიკასთან? ზოგიერთები ხშირ შემთხვევაში დაბლა აყენებენ მას, მაგრამ იქვე ლებულობენ საპასუხო დარტყმას. მოიგებს კი მწერლობის გულს როდისმე კრიტიკა? რა გვინდა? რას მოვითხოვთ? კრიტიკისადმი წაყენებულ მაღალ პრეტენზიებს ჩვენი ქვენა ზრახვები ხომ არ ეფარება? „სათავისო კრიტიკა“ გვინდა? ვაკრიტიკებთ რა დღევანდელი კრიტიკის დონეს, იმის იმედი ხომ არ გვაქვს, რომ მარსიდან ჩამოყვანილი მიუკერძოებელი და ყოველმხრივ სრულყოფილი კრიტიკოსი ჩვენი მწერლობის კარგა მოზრდილ ნაწილს კალმებს არ დაგვაყრევინებს? ჩვენს გულშიც ჩაიხეილოთ!

ჩვენ დღეს გვყავს მაღალნიჭიერი, ფართო ინტელექტუალურ-ემოციური საწიერის კრიტიკოსები. მათი მოტყუება ძნელია, თუმცა თვითონ ხშირად განგებ იტყუებენ თავს, შეღავათებსაც ბევრს გვაძლევენ და თვალსაც განგებ ხუჭავენ.

2. ბედნიერია ვერი, რომლის დიდი მწერალი — კრიტიკოსიც არის. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე, ასეთები იყვნენ მაქსიმ გორკი და ანატოლ ფრანსი, თომას მანი და თომას ელიოტი.

თუ მწერალი ლიტერატურულ კრიტიკაშიც იმუშავებს და შესძლებს ისე განაწილოს თავისი მორალური და გონებრივი ძალები, რომ საკუთარ შემოქმედებას ზიანი არ მიაყენოს, მაშინ ასეთი მწერლის კრიტიკაში მუშათა მისასალმებელია. ხოლო თუ მწერალი კრიტიკოსის იარაღით აღიჭურვება იმ მიზნით, რომ საკუთარ შემოქმედებას დარაჯად დაუდგეს და მეტი ბრძოლისუნარიანობა და გამავლობა შესძინოს, მაშინ ეს იმ მწერლის საქმეა და გზის დალოცვა აღარ სჭირდება.

3. კრიტიკაში ჯერჯერობით იღბლიანად ვთვლი თავს. ჩემს შემოქმედებაზე წერილები დაწერეს და სიხარული განმაცდევინეს. მ. ფოცხიშვილმა, ს. ხუციშვილმა, თამაზ ჩხენკელმა, გურამ ასათიანმა, გ. მალულარიამ, ს. სიგუამ. ისე კი მწერალს და, მითუმეტეს ახალგაზრდას, ვუსურვებდი, რომ ნაკლებ აეფროთაქმებინოს კრიტიკის ავ თუ კარგ გამოხმაურებას. მახსენდება ლევ ტოლსტოის სიტყვები: „თუ მხატვარი კრიტიკოსის ნაზრევში თავისი შემოქმედების ანარეკლს დაუწყებს ძებნას, ის სასოწარკვეთილებამდე მივა“. ლევ ტოლსტოის ეს სიტყვები უფრო ჩემს მეგობარ კრიტიკოსებთან მხიარული ინტრიგის ჩამოსაგდებად მოვიყვანე, ვიდრე იმისათვის, რათა აღმენიშნა, რომ ჩემთვის მეტად სასიამოვნო კრიტიკულ გამოხმაურებაში ზოგი რამ ისე არ არის გავებული, როგორც მე მქონდა ჩაფიქრებული.

4. ამ კითხვამ ფანტასტიკის სამყაროში გადამისროლა.

5. რალაც ისე მახსოვს, რომ ერთხანს ამბობდნენ, ჩვენში კრიტიკა დაჩაგრულიაო. მე ასე არ მგონია. კრიტიკოსის ავტორიტეტი ჩვენში თავისივე რანგის მწერლის ავტორიტეტს თუ არ აღემატება, არაფრით არ ჩამორჩება.

კრიტიკოსი ყველასათვის სასურველია, დიდისთვისაც და პატარისთვისაც, მაგრამ ზოგჯერ, სულმოკლეობის გამო, ბევრი ჩვენგანი მწვავედ განცდის „სათავისო კრიტიკის“ უქონლობას, დაეძებს კრიტიკოსს და თუ თანამდებობის პირიც არის, იოლად იბირებს თავისი შემოქმედების მესაყვირეს.

კრიტიკა უნდა იყოს ობიექტური და წინგამხედავი. სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში მართლაც ამ თვისებების ქონა-არქონის მიხედვით ფასდება ჩვენში კრიტიკოსი; კრიტიკა უფრო მობილური, ქმედითი გახდა, ამაღლდა დონე კრიტიკული აზროვნებისა.

მრავალ მიზეზთა გამო გიბასუხებთ მხოლოდ და მხოლოდ იმ შეკითხვაზე რომელიც კონკრეტულად ჩემს შემოქმედებას შეეხება.

ნემს შემოქმედებაზე მიანიცდამაინტ ბევრი არ დაწერილა და არც იყო ალბათ საჭირო.

ერთ წერილზე კი სავანგებოდ უნდა შეეჩერდე. ერთმა კრიტიკოსმა თავის შიმონილვით წერილში სასტიკად გააკრიტიკა ჩემი მოთხრობა „ბარკლავი დე ტოლის სიზმრები“. დამწამა, თიქოს დავცინოდი სამამულო ომის მონაწილეებს, ხოლო ყურნალ „ციცკას“ ამ მოთხრობის გამოქვეყნება „იდეოლოგიურ ჩაყარდა“ ჩაუთვალა.

ეს წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს მისწერეს წერილები ჩვენმა ცნობილმა ადამიანებმა, გენერლებმა და სამხედრო მოღვაწეებმა — თუ როგორ გადაყალბე და პაროდულად წარმოესახე ომის მონაწილის, სტალინგრადის გმირის, დიმიტრი ბარკალაის ცხოვრება.

„ზარია ვოსტოკამ“ თანდათან იმძლავრა და რამდენიმე თვის შემდეგ უფრო ავტორიტეტული წერილიც დაბეჭდა „ბარკლავი დე ტოლისა“ და სხვა ამგვარი მოთხრობებისა და რომანების წინააღმდეგ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ წარმოება-დაწესებულებებში კრებებზე ამუშავებდნენ ამ მოთხრობას.

სინამდვილეში კი დასამუშავებელი „ბარკლავი დე ტოლის სიზმრები“ არაფერი სჭირდა, მოთხრობაში სამამულო ომის მონაწილეებს კი არ დავცინოდი, ვიცავდი. დავცინოდი იმ დროს რესპუბლიკაში გაბატონებულ თავაშვებულობას, პროტექციონიზმს, დამყაყებულ ატმოსფეროს.

მოთხრობის შინაარსი მოკლედ ასეთია: სტალინგრადის გმირი დიმიტრი ბარკალაია მთავრობის მიერ ყურადღებით გარემოსილია, მას დიდი პენსია აქვს, კარგი ოჯახი, მაგრამ ატყობს, რომ მისი თანამედროვენი, ამხანაგებიც კი ისე არ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ როგორც ჭეშმარიტი კომუნისტები და ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. საქმე იქამდეა მისული, — ადამიანს ტარანის ყიდვა რომ უნდოდეს, უსათუოდ პროტექტორი სჭირდება, უპროტექციოდ ტარანსაც ვერ იშოვის. სტალინგრადის გმირს, ვეჟაკსა და წესიერ ადამიანს ეთაკილება ტარანისათვის ნაცნობების შეწუხება. მეგობარი კი მოსვენებას არ აძლევს, უმტკიცებს, რომ ტარანის შოვნა სხვანაირად თბილისში შეუძლებელია. ტარანს რესპუბლიკაში ერთი კაცი ანაწილებს. დიმიტრი ბარკალაის უარს ვერ ეტყვიან, თუ ვინმეს რამეს თხოვს, მაგრამ ეს უწევს გზით სიარული აწუხებს, ეს ჭანჭალეიშვილები, სორდიები, თათიეშვილები და მისთანები ნერვებს უშლიან — მათ დაარქვეს ბარკლავი დე ტოლი... იმიტომაც გაუუკუღმართდა საზმრები და სიზმარში სწორედ ტარანთან ბრძოლაში მოკვდა.

განა ამ მოთხრობაში მე დიმიტრი ბარკალაის დავცინი? დიმიტრი ბარკალაია სასაცილო მდგომარეობაშია ჩაყარდნილი, სწორედ იმიტომ რომ ის ნამდვილი კომუნისტია და წესიერი ადამიანი, გარშემო კი ახვევიან მექრთამეება, კომპანატორები, პროტექციის მოყვარულები, ბიუროკრატები, აი, ეს არის ამ მოთხრობის პათოსი. ცხადია, „ზარია ვოსტოკას“ ყოფილ თანამშრომლებს არ მოეწონებოდათ ეს მოთხრობა, როგორც ვიცით, ამ რედაქციაში მექრთამე ქრთამის აღების დროს დაიჭირეს საკუთარ კაბინეტში.

პარტიის თბილისის კომიტეტშიც არ იყო მაშინ ჯანსაღი ატმოსფერო და
რა გასაკვირია, ჩემი მოთხოვნა დამუშავებინათ. სამაგიეროდ, კომიტეტის მუ
შაობაზე ისტორიული დადგენილება მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ძირფესვიანად შეცვალა არა მარტო
თბილისის კომიტეტის, რესპუბლიკის ცხოვრება.

ხომ ბევრი ტყუოდა იმ პატარა მოთხოვნის წინაშე, ეს ამბავი დღესაც არა
აქვს შეგნებული ზოგიერთს.

ის აღამიანები, ვინც მაშინ მწერლობას სიმართლის თქმის უფლებას არ
აძლევდნენ, დღესაც საკმაოდ მაღალ სკამებზე სხედან და, ვითომც აქ არაფე-
რიათ, კვლავაც ჰკუთას გვარიგებენ, არც სინდიდის ქენჯნა აწუხებთ და არც არა-
ფერი.

„რას გვასწავლის ეს მოთხოვნა“... — მიკიციანებდნენ მაშინ, „რატომ მწე-
რალი არ გადაყლაპა ტარანშა“...

ეს მოთხოვნა იმას გვასწავლიდა მაშინ. 1967 წელს, რასაც დღეს გვასწა-
ვლის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, კერძოდ
— არ შეიძლება სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრობდე და პატიოსანი
მშრომელი აღამიანი, სამამულო ომის გმირი, ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ
პროტექციის გარეშე ტარანის შოვნა არ შეეძლოს, აი, რატომ ვერ გადაყლაპა
მწერალი ტარანშა და ვერც გადაყლაპავს.

გასაკვირი ის კი არ არის, რომ ჩემი კრიტიკოსები შეცდნენ. ასეთი რამ
სამწუხაროდ, ხდება ჩვენს ლიტერატურაში. გასაკვირია ის მოთმინება, სიმტკი-
ცე და შეუწყველობა, რაც ჟურნალმა „ცისკარმა“ გამოიჩინა ამ პაექრობაში.
სწორედ შესაშური პარტიული პრინციპულობითა და ობიექტურობით არც გაზეთ
„ზარია ვოსტოკას“, არც გაზეთ „თბილისს“ და არც სხვა ავტორიტეტულ და-
წესებულებებს შეეპუა, ბოლომდე დაიცვა თავისი პოზიცია.

რამდენი დრო, რამდენი ქალაქი, რამდენი ნერვების გლეჯა დაგვჭირდა
ამ აბსურდული ბრძოლისათვის.

ახლა ვიკითხოთ ვის სამსახურში იდგა მაშინ ჩვენი კრიტიკა? ვის ემსახუ-
რებოდნენ ნებსით თუ უნებლიეთ ჩემი კრიტიკოსები და მათი თანამოაზ-
რეები?..

თავში საცემი სწორედ ის გახლავთ, რომ ისინი ავი განზრახვით არ მოქმე-
დებდნენ. მიზნად პარტიისა და მთავრობის ერთგულებას ისახავდნენ. ვითომ
იდეოლოგიურად მტკიცე პოზიცია ეკავათ და ლიტერატურის პარტიულობას და
ხალხურობას მასწავლიდნენ.

ჩვენს მწერლობას დღეს სხვა მანკიც აწუხებს: შეიქმნა ერთგვარი „ემშაკი
კრიტიკოსის“ „ემშაკი მწერლის“ ტიპი. ისინი ყველა დროსა და ვარემოში თავს
კარგად გრძობენ. ახალგაზრდები მათ ბაძავენ კიდევ, მოსწონთ მათი „ოსტა-
ტური ემშაკობა“.

ემშაკი, ქვეშევეშა, მატყუარა მწერალი ნუთუ მართლა სჭირდება ჩვენს
საზოგადოებას?... მატყუარა მაინც მატყუარაა ოსტატი იქნება თუ არაოსტატი.
მატყუარა მწერლებს არასოდეს არაფერი შეუქმნიათ ღრმა და მნიშვნელოვანი.
ზნეობრივად შერყეული მწერლობა სხვას ვერ ასწავლის ზნეობას.

ასეთი იყო ჩვენი კრიტიკული აზრი 1967 წელს და ასეთია დღესაც 1976 წ.

ცვლილება შეეხო რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, კრი-
ტიკა კი ჯიუტად დგას ერთ ადგილზე.



ქურნალის რედაქციამ დააყენა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი და საკულისხმოდ საკითხი კრიტიკისა და ლიტერატურის, მწერლისა და კრიტიკის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს პარტიის წარმმართველი მითითებები ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა არ ძალმიძს და ამისათვის თავიდანვე გთხოვთ პატივს, მაგრამ მათ შორის ორი საკითხი დიდი ხანია განსაკუთრებით მინტერესებს. სწორედ ამის შესახებ მინდა გავუზიარო მკითხველს პირადი მოსაზრებები, ვინდლო ვინმემ ახალი კუთხით მოიხილოს განსახილველი პრობლემა ან სხვა რამ ახალ ფიქრებს მიეცეს დასაბამი.

მაშ ასე — მართებს თუ არა მხატვრული სიტყვის ოსტატს ჩაერიოს ლიტერატურული კრიტიკის სფეროში, გამოვიდეს კრიტიკოსის სახელით?

ჩემი აზრით, ყველა მადლცხებული ხელოვანი უნდა იყოს და ვალდებული იყოს არა მარტო მხატვრულ ფასეულობათა შემოქმედი, არამედ ლიტერატურის კრიტიკოსიც, თეორეტიკოსიცა და ისტორიკოსიც. ეს კატეგორიული თეზისი მთავანმა მწერალმა და კრიტიკოსმა ჩვენებ დილექტანტიზმისაკენ მოწოდებადაც კი ჩამითვალოს, მაგრამ, არა მგონია, სწორი იყვნენ. ღმერთმა ამოროს მწერალს დილექტანტიზმი თავის საქმეში, მარტო ლიტერატურა კი არა, ლიტერატურული მეცნიერებაც ხომ ღვიძლი საქმეა მწერლისათვის, პროფესიულ შესაძლებლობათა და ცოდნის საქმეა. რაოდენ სასირცხვილოა მწერლისათვის, თუ იგი ჭეროვან პატივს მიაგებს თავის ხელობას, ვერ ერკვეოდეს ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის უფაქიზეს ხვეულებში, ლიტერატურისა, მთელი სიცოცხლე რომ შეაღია. რაც შეეხება დიდი ტრადიციების მქონე ლიტერატურას ყველა გამოჩენილი მწერალი როდი წერს კრიტიკულ წერილებს, ისტორიულ-ლიტერატურულსა და თეორიულ გამოკვლევას. ეს არც არის საჭირო, მაგრამ ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს მწერალი, სპეციალურად რომ არასოდეს შეხებია ლიტერატურის კრიტიკის, თეორიისა და ისტორიის პრობლემებს, არ იყოს მზად გამოსასვლელად; არ ჰქონდეს აუცილებელი ცოდნა ან ნაწარმოების კრიტიკული ანალიზის, ისტორიულ-ლიტერატურული და თეორიული მსჯელობის უნარი. დიდი მხატვრები ასეთი გამოსვლებისაგან თავს, ალბათ, იმიტომ იკავებენ, რომ მოცლა არა აქვთ, ან კიდევ ამას საჭიროება არ მოითხოვს: ამქვეყნად იმდენი ინსტიტუტია ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების კვლევით დაინტერესებული, იმდენი პროფესიული ლიტერატურის კრიტიკოსია, რომ მწერალს აქვს უფლება და შესაძლებლობა მთელი დრო თავისი უშუალო შემოქმედებითი მიზნით გამოიყენოს. სწორედ ამგვარი ვითარებაა ყველა განვითარებულ ლიტერატურაში, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურაშიც. მაგრამ აქაც, არც თუ იშვიათად, სიტყვის წარმოჩინებული ოსტატები შესაშური ნაჭიერებით მოიხილავენ ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებს, ხოლო ლაკონიური, მაგრამ ზუსტი კრიტიკული შენიშვნები ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების თაობაზე ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთავანი პროფესიული კრიტიკოსის ვრცელი დასაბუთება.

ყველას ახსოვს, თუ რა ფართო იყო გიორგი ლეონიძის ისტორიულ-ლიტერატურული ერუდიცია, რა დახვეწილი და ფაქიზი კრიტიკული გემოვნებით არჩევდა ლექსებს სიმონ ჩიქოვანი. მათგან განსხვავებით ქართული ლექსის ისეთი სწორუპოვარი ოსტატი, როგორც გალაკტიონ ტაბიძეა, ისეთ ჯადოსნურ ძალად შესახება, თავად ბუნებამ რომ დაუწესა სიტყვაში გაცხადებული მუსიკისა და პოეზიის შექმნა.

მით უფრო დაუფიქრია ჩემთვის მასთან ერთადერთი საუბარი. ცხინვალში ოსურ ენაზე გამოვიდა მისი ლირიკული ლექსების პატარა კრებული. ალბათ, ამის გამო იგი ეწვია ცხინვალს და უკან თბილისში მატარებლით გამოემგზავრა. ღმერთმა ინება და ჩვენ ერთ ვაგონში მოვხვდით. გალაკტიონი ერთთავად დუმდა, ღრმა ფიქრებს წაეღო და მე არ მინდოდა შეკითხვებით შემეწუხებინა. მაგრამ მერე თავად მკითხა, ოსურად თუ კითხულობთ? როდესაც დავუდასტურე, მთხოვა ხმამალა წამეკითხა რამდენიმე ლექსი მისი ამ წიგნიდან. შემდეგ ოსური ლექსწყობით დაინტერესდა, ყურადღებით მომისმინა და თვითონ დაიწყო ლაპარაკი ქართულ ლექსზე. ლაპარაკობდა უპირატესად რუსთაველის ლექსის ხასიათზე, შაირის რიტმსა და მუსიკაზე, მის რიტმულ პაუზებზე, „ოქროს კვეთზე“, რაზედაც მანამდე არაფერი გამეგონა, თუმცა ლექსთწყობის საკითხებზე არა ერთი წიგნი წამეკითხა. ილაპარაკა იმაზეც, თუ რა ვარიაციები ჰქონდა რუსთაველის ლექსს ქართულ პოეზიაში, აღნიშნა აკაკი წერეთლის ზოგიერთი ლექსური ფორმის სიახლოვე შაირთან. „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ — ძნელი ყოფილა ჭალარა“, — გალაკტიონის ფიქრით, ორ ლექსად გაყოფილი შაირის გვიანი ვარიანტია. პოეტი ლაპარაკობდა დიწხად, დიდი პაუზებით, თითქო ხმამალა ფიქრობსო და მე ყველაფერი ვერ გავიგე და დავისხომე, მაგრამ ოციოდე წლის შემდეგ, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სსდომაზე მოვისმინე აკადემიკოს გიორგი წერეთლის ბრწყინვალე მოხსენება რუსთაველის ლექსის რიტმისა და მეტრის თაობაზე და მაშინვე მომავონდა გალაკტიონის ნაუბარი. გ. წერეთლის მოხსენებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე გამოჩენილ მეცნიერებზე და იგი ნამდვილ აღმოჩენად შერაცხეს ფილოლოგიურ მეცნიერებაში. მე კი უფრო სხვა რამ მენიშნა: გალაკტიონის ნააზრევი რუსთაველის ლექსის თაობაზე თითქმის მთლიანად ემთხვეოდა აკადემიურ გამოკვლევას. ცხადია, პოეტის მსჯელობას მხარს არ უმაგრებდა აკადემიკოსის მიერ მოხმობილი შეუვალი და უმდიდრესი არგუმენტაცია, მაგრამ დიდმა გალაკტიონმა გამოჩენილ მეცნიერებამდე ადრე გაითვისა ეს იდეები და დაკვირვებები. მას აქეთ კიდევ უფრო განმითქიცდა აზრი, რომ სიტყვის ჭეშმარიტმა ოსტატმა, როგორც წესი, იცის ლიტერატურაზე ყველაფერი, რასაც მეცნიერები ადასტურებენ და კიდევ ბევრი რამ, ლიტერატურული მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი რომ რჩება, ოსტატი — არის დიდი ნიჭი და გარჯა და, საკუთარი ხელოვნების, მისი ისტორიის, თეორიისა და თანამედროვე პრაქტიკის ღრმა ცოდნა. სწორედ ეს სამკომპონენტი იძლევა ოსტატის მაღალი წოდების უფლებას.

და კიდევ: ოსტატი — მხოლოდ დიდი ნიჭი და მხვნელ-მთესველის თანდაყოლილი შრომისმოყვარეობა კი არა, მხოლოდ თავისი ხელოვნების ყოველმხრივი ცოდნა კი არა, იმ ხელოვნების ბედობისათვის უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, რომელსაც თავად ემსახურება. და ეს პასუხისმგებლობის გრძნობა აიძულებს მას თქვას თავისი სიტყვა ხელოვნების განვითარების მძიმე, შემობრუნების მომენტებში. ჩემი გაგებით, სწორედ ამ გრძნობამ უკარნახა იოჰანეს ბეჰერს დაეწერა წიგნი „პოეზიის დასაცავად“, რომელშიც ბრწყინვალედ გამომკვლავნდა მისი შესაშური ისტორიულ-ლიტერატურული ერთეულიცა, ღრმა თეორიული აზროვნება და პოეტური არსებობის ურთულესი სტრუქტურის მრავალფეროვანი ნიუანსების ფაქიზი შეგრძნება.

უდავოა, როდესაც ხელოვანს ეწერება, მან, პირველ ყოვლისა, ხელოვნების ნაწარმოები უნდა შექმნას. მაგრამ მხატვარს ისეთი დღეებიც დაუდგება, როდესაც ძალზე უჭირს წერა ან სერთოდ ვერ წერს. და სწორედ ამ დროს იგი უიქრობს თავის ხელოვნებაზე, მის ბედზე, ისტორიისა და შინაგან კანონზომი-

ერებაზე. სწორედ ამ დროს ოსტატმა უნდა გაიაზროს, დაიცვას თავისი ხელოვნება. დაიცვას იგი მდარე მწერლებისა და კრიტიკოსების ხელყოფისაგან, საცნაურყობს იგი შედარებით გარემდგომათვის.

სხვა ლიტერატორებისას ვერას ვეტყვით, მაგრამ ჩემდათავად მუდამ ვულისყურით ვეითხულობ მხატვრული სიტყვის ოსტატთა კრიტიკულ გამოხატულებებს. ისტორიულ-ლიტერატურულ ესეებს და თეორიულ ნაფიქრალ-ნაახრებს. რა ფორმითაც უნდა ჩაერთონ ისინი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში. მათ შორის კრიტიკულ ჟანრშიც, ყოველთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი, სასურველი და აუცილებელი იქნება.

ახლა მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ ქართული და საკავშირო კრიტიკის თაობაზე.

კრიტიკოსი ჩემს წარმოდგენაში იგივე მწერალი, იგივე ხელოვნების მუშაკია, მაგრამ მისი სულიერი პოტენციალი თავს იჩენს არა ლექსებსა და ნოველებში, დრამებსა და რომანებში, არამედ კრიტიკულ წერილებში, ესეებში, ცხოვრებასა და ლიტერატურულ პროცესზე მსჯელობაში.

ამ კუთხით თუ შევხედავთ ჩვენს კრიტიკას, ადვილად შევამჩნევთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები ხანდახან (გულახდილად თუ ვიტყვით, თავიანთი ნაწარმოებების უმრავლესობაში) იქცევიან თანამედროვე ლიტერატურისათვის სოციოლოგიურად და ესთეტიკურად კომენტარების შემდგენლებად. და სწორედ ამ დროს კარგავენ ყველაზე ძვირფასს: შექმნან საკუთარი სამყარო, სამყარო, რომელიც აღსავსე იქნება ფაქტებით თანდართულ სოციალურ, ეთიკურ, ესთეტიკურ და ფსიქოლოგიურ სინამდვილეზე.

წარსულის დიდი კრიტიკოსების კითხვისას, უპირველეს ყოვლისა, გოცებს მათი აზროვნების ინტენსიურობა არა მარტო გასაანალიზებელი ნაწარმოების თაობაზე, არამედ ცხოვრებაზე, თანამედროვეობაზე, ეროვნულ ხასიათზე, რომლის განსაზღვრული თვისებები მხატვრის ნიჭმა და წარმოსახვის უნარმა ესოდენ ხელშესახებად გამოკვეთა. სიტყვის ოსტატთა კრიტიკული წერილები მაშინაც შეიძლება წაიკითხო, როდესაც მათი ესთეტიკური კომენტარები დიდი ხანია დაძლიეს შემდგომმა მკვლევარებმა და კრიტიკოსებმა. სიტყვის ოსტატთა კრიტიკული ნაწარმოებები იმდენად კომენტარებით კი არ არის საინტერესო, რამდენადაც ადამიანური ცხოვრების სულ სხვადასხვა გამოვლინებისა და საზოგადოებრივი თანადროულობის ღრმა, თავისთავადი გაგებით. კრიტიკული აზროვნების მხოლოდ კლასიკური კი არა, უბრალოდ წარსულის ნიჭიერი კრიტიკოსები, უწინარეს ყოვლისა, ფართოდ დამაზონის მთაზროვნეები იყვნენ, განაბევრ ჩვენ კრიტიკოსზე იტყვი ამასვე? მათ შორის ნიჭიერი კი ცოტა როდია.

სულ ადვილია ჩემი პრეტენზიების სიმართლეში დარწმუნება, თუ წაიკითხავთ ნებისმიერ წერილს შენთვის უცნობი ნაწარმოების თაობაზე; მალე ნათელი გახდება, რომ იგი არ იწვევს არავითარ გრძობასა და ფიქრს. მიზეზი სულ უბრალოა: წერილი ყოველმხრივ არ მოიცავს სინამდვილეს, ხოლო მისი მსჯელობის საგანი — კონკრეტული ნაწარმოები შენთვის უცნობია. ჩვენი კრიტიკის ყველაზე სუსტი ადგილი, ჩემი ვარაუდით, წმინდა ლიტერატურულ პრობლემაშია წარმოებული ჩაკეტვა, წმინდა მხატვრული პრობლემატიკით შემოზღუდვა. მე არ ძალმიძს ამის ახსნა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენი კრიტიკული ნაწარმოებები მხოლოდ კრიტიკოსებისათვის, ლიტერატურათმცოდნეთა და ნაწილობრივ მწერლებისათვის არის საინტერესო, მაგრამ უბრალო მკითხველს იგი არაფერს ეუბნება. მისი გაცოცხლება მარტოდენ მძლავრ თავისთავად აზროვნებას თუ ძალუძს, მაგრამ რას იზამ, თუ ეს ღმერთს მათთვის არ მოუშადალბა.

მწერალი გამუდმებით სინამდვილესთან ურთიერთობაშია — იქნება ეს სოციალური, ზოგადოებრივი, ყოფითა, ზნეობრივი თუ ფსიქოლოგიური სინამდვილე. იგი თვალყურს ადევნებს, ანალიზებს, დაბოლოს ანზოგადოებს თავის დაკვირვებებს, სინამდვილეზე საკუთარ აზრს კონკრეტული იერსახეებით ხსნის. ახლა იგი კრიტიკოსისაგან მოელის შემხვედრ აზროვნების ნაკადს და არა მხოლოდ თავისი ნაწარმოების სპეციალურ კომენტარს. და როდესაც კრიტიკულ წერილში არ ჩანს თვითმყოფი აზროვნების შემხვედრი ნაკადი, მაშინ საკუთარი თხზულებების გამო დაწერილი სტატიების წაკითხვაც კი მოსაწყენია. ქება-დიდება თუ განქიქება უადრესად პრიმიტიულია და მთლიანად მოცემულ ნაწარმოებებზეა დამოკიდებული. მწერლისა და კრიტიკოსის შეხვედრა მე ორი მოაზროვნის მძაფრ, მკაფიო დიალოგად მესახება, სულერთია, პოლემიკური იქნება დიალოგი თუ მეგობრული. როდესაც კრიტიკოსი მხოლოდ განმარტავს მწერალს, იგი თევზის ტანზე აკრულ კიბორჩხალას მაგონებს. საითაც თევზი გაცურავს, კიბოც იქითაგან გაუტეგს, თავისი არაფერი აქვს, არც მოქმედების არც, არც სათქმელი და არც მტერ-მოყვარე.

იმსავვე ვუბრუნდები, რითაც დაეიწყე: კრიტიკოსმა უნდა შექმნას საკუთარი სამყარო, გამსჭვალული რომ იქნება თავისუფალი აზროვნების, ფიქრის, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის, შემდეგ კი ლიტერატურის გამო. უამისოდ არ არსებობს ნამდვილი კრიტიკა, არის მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების მეტნაკლებად ნიჟიერად დაწერილი კომენტარი. ცხადია, ესეც კარგია, რაკი ყოველი საქმე თავადაა სიყუთე, მაგრამ ჭეშმარიტი კრიტიკისათვის ეს როდი კმარა! განა კრიტიკას სხვანაირად კრიტიკულ აზროვნებას არ ვუწოდებთ?

დაბოლოს ჩვენი კრიტიკოსებისათვის აი რა მიხდოდა მეთქვა: მეტი ელვარება, მეტი სიმძაფრე და თავისთავადობა სჭირდება აზროვნებას!

რეზოლუციური

სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელ დონეს დღევანდელი ლიტერატურა განსაზღვრავს. კრიტიკა მეტ-ნაკლებად ალბათ ყოველთვის შეესატყვისებოდა იმ ლიტერატურას, რომელსაც ემსახურებოდა იგი. თუკი არსებობს ქართული ლიტერატურა, არსებობს ქართული კრიტიკაც. ახდენს თუ არა დღევანდელი კრიტიკული აზროვნება არსებით ვაგლენას დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებზე! მე მგონი, — ვერა. არა ვარ დარწმუნებული, რომ ლიტერატურული კრიტიკა საერთოდ, რომელიმე ეპოქაში, რომელიმე ერის ისტორიაში, ასრულებდა ამ მოვალეობას. უფრო მეტიც, სალიტერატურო კრიტიკა, ჩემის აზრით, საესეებით სწორად და ობიექტურად ვერასოდეს ვერ აფასებდა მისი თანამედროვე ლიტერატურის დონეს, მისი თანამედროვე მწერლების შესაძლებლობებს, ტალანტს და უნარს. იგი ხშირად შეგნებულად, ხან შეუგნებლად, ნებსით თუ უნებლიეთ ჩქმალავდა ჭეშმარიტ შემოქმედებას, ადიდებდა მედროვეებს, იოლად რომ იხვეჭდნენ სახელს და დიდებას სიცოცხლეშივე. ეს ალბათ ბუნებრივიცაა, რადგან ლიტერატურული პროცესების, ჭეშმარიტი მწერლების შეფასებას სჭირდება დრო, დისტანცია. ამიტომაც მართებს კრიტიკოსს, ყველაფერთან ერთად, დიდი სიფრთხილე და თავდაპერილობა.

ქართული სალიტერატურო კრიტიკა, თავისი დონით — ვიმეორებ: დონით — ტოლფასოვანია ქართული ლიტერატურისა, მაგრამ, თავისთავად, ეს ცოტას ნიშნავს.

ქართველი კრიტიკოსები ჭერჭერობით მიინც მწერლებთან და სხვადასხვა

ინსტანციებთან პირადი ურთიერთობის გარკვევას ანდომებენ მეტ დროს და ეე-
რგიას, ვიდრე ლიტერატურას. თანამდებობისადმი მორჩილება, ურთიერთსარ-
გებლიანობის, მამებლობის, ძმაცაცობის, წვრილმანი ანგარიშსწორების ტენდენ-
ციები, სამწუხაროდ, ძალიან თვალსაჩინოდ, თვალშისაცემად არის წარმოჩენი-
ლი დღევანდელ კრიტიკოსთა მოღვაწეობაში. მიუხედავად ამისა, აქა-იქ მაინც
გამოჩნდება ხოლმე მწვავე კრიტიკული წერილი თუ სტატია, სადაც პირდაპირ-
ობით, გულახდილად, ობიექტურად არის განხილული მწერლის შემოქმედე-
ბა, მაგრამ წერილი ისეთი ნერვიული ტონითაა დაწერილი, თითქოს ავტორს თა-
ვი გაუწიარავს და არა ჯერა, სწორად შეაფასებს თუ არა ამ გამირობას შთაშო-
მავლობა. ასეთი წერილები მკითხველი საზოგადოების დაინტერესებს, სათანა-
დო რეაქციას იწვევს, თვით კრიტიკის ობიექტი კი გაოგნებულია. რა დავუშა-
ვეო, იმეორებს კრიტიკოსის მისამართით და ამ ფაქტის მიზეზს მის შემოქმედე-
ბაში კი არ ეძებს, არამედ არკვევს რისთვის, რის გამო, ვისი დავალებით თუ მი-
თითებით დაწერეს და დაბეჭდეს ეს წერილი. სხვათაშორის, ეს რეაქციაც გა-
მართლებულია ზოგჯერ, რადგან მწერალი აშკარად ხედავს, რომ სხვები „დაუს-
ჯელნი“ დარჩენილან და უმრავლესობა კი სულაც უჭიათ და უდიდებით იმი-
სათვის, რისთვისაც მას ავინებენ. შეიძლება სხვა მიზეზთა შორის ამის გამოც
ჩვენს ლიტერატურაში წარმოიშვა ხელშეუხებელ მწერალთა კატეგორია, რომ-
ლებზედაც მხოლოდ კარგი იწერება და თუ სადმე რომელიმე „თავდადებუ-
ლის“ და „თავგანწირულის“ წერილი ან შენიშვნა გამოჩნდა, შურისგებას, კერ-
ძო შემთხვევას, გაუგებრობასაც კი მიაკუთვნებენ და კრიტიკოსს მარტო და-
ტოვებენ ხოლმე. ამის შემხედვარე უჩინ-მედლო, ყურადღების გარეშე დარჩე-
ნილი მწერლები კრიტიკისაგან ხსნას თანამდებობაში, მფარველების ძიებაში და
„ხელშეუხებელთა“ ბანაკში გადაბარებაში ეძებენ და არა თავიანთი შემოქმე-
დების ზრდასა და ოსტატობაში.

ჩვენ უდაოდ გვყავს ნიჭიერი, ერუდირებული კრიტიკოსები. ქართული
კრიტიკის დონე და შესაძლებლობა მაღალია და გვწამს, რომ იგი თანდათან
დაძლევს იმ ნაკლს, რისი დაძლევაც ობიექტურად შესაძლებელია.

რა მიმართა ქართული კრიტიკის ნაკლად, უდიდეს ნაკლად? — არავულ-
წრფელობა.

რა შეიცვალა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში უკანასკნელი წლების
მიმძილზე? პრინციპულად არაფერა.



აღმკმა გოგუა

1. ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურა ერთი მთლიანი ორგანიზმია, მთელის
ყოფა კი კარგად მეტყველებს შემადგენელი ნაწილების ყოფაზე და პირიქით.
თანამედროვე ქართული კრიტიკის მდგომარეობა, ერთი მხრივ, იმაზე ლაპარა-
კობს, რომ მას „არხვევენ“ განვითარებული ლიტერატურის შორეული ჰორიზონ-
ტები, რომელზედაც ზემოქმედებენ თანადროულობის „მაგნიტური ძალები“, მე-
ორე მხრივ კი, თვით იგი, ქართული კრიტიკა თანამედროვე კრიტიკული აზროვ-
ნების მწვერვალებს რომ მიაღწია და ამ „მაგნიტური ძალების“ ნაწილაკი გახდა,
თავად ახდენს გავლენას მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად მხოლოდ გურამ ასათიანის ნაშრომები
იკმარებდა, ამ ბოლო დროს რომ გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ პრესაში
(„დრუჟბა ნაროდოვ“, „გოპროსი ლიტერატური“).

თანამედროვე ქართული კრიტიკის კიდევ ერთი დიდი ღირსება ისაა, რომ

ყოველი მისი საუკეთესო გამოვლინება, თანდართული ლიტერატურული პროცესებისა და მოვლენების მისეული შეფასება ერთგულობის სულით არის აღბეჭდილი.

თანამედროვე საბჭოთა კრიტიკის, მათ შორის ქართული კრიტიკის თითქმის ყველა ნაკლოვანებას ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ იგი ვერა და ვერ გათავისუფლდა შეფასების ინერციისაგან, ყოველისმომხმენი, ყოველისმიმტევებელი „ობიექტივიზმისაგან“, რომელიც ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების ნიველირებისაკენ გვეწევა.

2. ლიტერატურულ კრიტიკაში სიტყვის ოსტატების, მწერლების მონაწილეობა უბრალოდ აუცილებელია. ამით იქმნება თავად ხელოვნების თანყოფნის არსებობის ვითარება, საერთო კრიტიკული პროცესი იძენს განსაკუთრებულ უტყუარობას. მწერლის კრიტიკული სიტყვა მთელი კრიტიკული კომპლექსის მოუცილებელი კომპონენტია. ეს ესმარება კრიტიკას არ დასწევს, ნებისთ თუ უნებლიეთ თავი აარიდოს, გაეპატიოს კონკრეტულ ლიტერატურულ ანალიზს, ხანდახან კი კონკრეტულად გასაანალიზებელ ნაწარმოებს. განა მართლმხატვრულ ლიტერატურაში არსებობს „ყოფიერებას გამიჯნული გონება“.

მწერალთა კრიტიკული გამოვლის ჩინებულ ფორმად დიალოგი მიმაჩნია. ეს ფორმა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დამუშავებული, ჯერ კიდევ მთლიანად არ წარმოჩინებულა ყველა მისი შესაძლებლობა, მაგრამ უდავოდ, დიდი მომავალი აქვს.

3. მომეწონა რუსი კრიტიკოსის ვ. კოჩინოვის მიერ ა. გრიგორიანთან კრიტიკული დიალოგისა ზოგიერთი აფხაზი ლიტერატორის, მათ შორის ჩემი მისამართით გამოთქმული მოსაზრებები („სტილური მრავალფეროვნების სათავეებთან“, „დრუჟბა ნაროდოვ“, № 8). ხოლო ჩემი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიებიდან ყველაზე საინტერესოდ მეჩვენება ვ. წვინარიასა და ს. ზუხბას მიერ ჩემი წიგნის „მთამშენიერის“ გამო დაწერილი წერილები. მათ შორის მეტად ღრმა და საფუძვლიანია ახალგაზრდა, ნიჭიერი აფხაზი კრიტიკოსის ვ. წვინარიას ერთი წერილი. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ სტატიას უდავოდ პროფესიულ დირსებასთან ერთად ზოგიერთი ნაკლიცა აქვს. ამის თავიდათავი მიზეზი ისაა, რომ კრიტიკოსი ხშირად ძალზე შორდება კონკრეტული საუბრის ობიექტს და მას მრუდუდ სარკეში წარმოგვიდგენს.

4. ამ შემთხვევაში ცოდვად არ ჩაგვეთვლება გავიმეოროთ: კრიტიკას მართებს ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდეს ინერციისაგან, რომლითაც მხატვრულ ლიტერატურაზე მეტად იყო შებოჭილი. ნამდვილი კრიტიკა საბოლოოდ უნდა გაემიჯნოს ისეთ კრიტიკას, რომელიც ეწევა ლიტერატურული მოვლენებისა და სახელების ნიველირებას, ჰყოფს მწერლებს, ლიტერატურულ პროცესებსა და ნაწარმოებებს ნებისმიერი თვისების მიხედვით, მაგრამ არა ავდებს ჭეშმარიტ ნიჭსა და მხატვრულ ღირებულებას.

ნამდვილი კრიტიკის სული მხატვრის მაღალი ზნეობა, მოუსყიდველი სინდისი უნდა იყოს. კრიტიკამ, კერძოდ, არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი მხოლოდ კალმოსნებისათვის კი არა, მკითხველისთვისაც არსებობს, რომ ერთ-ერთი მისი მთავარი ამოცანა გემოვნების აღზრდაა (ცხადია, დიდაქტიკისა და სენტენციების გარეშე), იგი მოწოდებულია დიაცვას ლიტერატურა უგემოვნებობის მხრივ ხელყოფისაგან, გამოარჩიოს ლიტერატურა არალიტერატურისაგან, დროის მოსაყლაგ საკითხავ მასალისგან.

5. უკანასკნელ წლებში კრიტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებს, რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების გასაჯანსაღებლად გაწეული ნაყოფიერი მუშაობის წყალობით სასიკეთოდ შეიცვალა ვი-

თარება თვით კრიტიკის დარგშიც. თუმცა კრიტიკას ჯერ კიდევ მართებს გადაღ-
ვას ვადამწყვეტი ნაბიჯი, რათა დაძლიოს ტყუილის ყოველგვარი გამოვლინება.
უპასუხისმგებლო შემწყნარებლობა, ინერციით შეფასება, გახდეს უფრო დამა-
ჯრებელი და მტკიცედ დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი საზოგადოებრივ და
ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ალმანახ „კრიტიკას“ რაც შეეხება, უმოკლეს ხანში ტყუილუბრალოდ რო-
დი დამსახურა მან მეთხველი საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა. ეს
დიდი ინტერესი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გააზრდება. ალმანახის
მიერ აღებული გეზი იმის საწინდარია, რომ მის ფურცლებზე ღირსეულად აი-
სახება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კრიტიკული ცხოვრება, იგი მთელი
რესპუბლიკის კრიტიკული აზრის გამომხატველი გახდება.



რედაქციის დანართი

შაკმაყოფილებს, თუ არა, ქართული სალიტერატურო კრიტიკის დღევანდ-
ელი დონე?

რ ა თქმა უნდა, არ შაკმაყოფილებს. ადამიანი ვარ და არავითარი „უკვე მიღ-
წეული“ არ შაკმაყოფილებს.

რა მიმართა მის ღირსებად ან ნაკლად?

ღირსებად — მაძიებლური ჩაფიქრებულობა, თითქმის ყველა რომ მიხვდა.
მწერლობისთვის დიდი ვერაფერი კამერტონია ყელის ძარღვების იმედით აღზე-
ვებულთა იდაყვების ქვეშ აჭრიკინებული ტრიბუნა.

ნაკლი: მეტისმეტსაც ნუ ვიზამთ. ნუ ჩავსხდებით იუველირის ვიწრო ბუდ-
რუგანებში და ნუ შევიარადლებით მხოლოდდამხოლოდ ლუბებით. ნუ დავკმა-
ყოფილებით მარტოდენ საერთაშორისო სტანდარტების ჩვენს პროდუქციებზე
მოზომებით. მეტჯერ და მეტჯერ გავიდეთ გარეთ: ჩვენი თვალთ ვნახოთ, საი-
დან და როგორ ამოიღება ის მადანი, რომლითაც ჩვენ მიერ დამადასასმელი
ნივთები მზადდება. საკუთარი თითისწვევებით შევივარდნოთ ჰირანხელის
მომცემი მიწა, ხეები, ბალახები, — ბრძენთა ბრძენნი ისინი არიან და შეუძ-
ლებელია სასიკეთოდ არ შემოგვაშველონ ხელი.

მართალი ბრძანებაა: ჩვენი კრიტიკა ხშირად არის ხოლმე „სუბიექტურიც“.
ტკივილებამდე სასაცილოა, მაგრამ რას ვიზამთ, — ეს „სუბიექტურობა“ უმე-
ტესად „ობიექტური მიზეზებით არის ვანპირობებული“, ქართველები ყველა
ერთმანეთის ნათესავ-მოკეთე და კარის მეზობლები ვართ, თანაც ქვეყნის ესთე-
ტიკოსებიც ვართ, მაშასადამე... მაგრამ ეს რიცხობრივი სიმცირე იმის საშუალე-
ბასაც ხომ გვაძლევს, რომ ყველაფერი ვიცოდეთ ერთმანეთისა — დაფარულიც
და შეფარულიც. ჩვენ ყოველთვის მშვენივრად ვიცით, სად რა ხასიათის ვადას-
რასთან გვაქვს საქმე, შესანიშნავ დასკვნებსაც ვაკეთებთ, და თუ ვინმეს თავი
ისე უჭირავს, ქვეყანას აჩვენებს, ეს ასე არ არისო, მით უარესი მისთვის.

რა აზრის ვარ სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა
მონაწილეობაზე?

როცა მწერლები სხვა მწერლების ნაწარმოებებს არჩევენ? ამაზე ვერაფერს
მოვახსენებთ. საზოგადოდ კი, სიტყვა „კრიტიკის“ ფართო გაგების შემთხვევაში,
მერიდება, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩემი საყვარელი კრიტიკოსები ისევე მხატვრუ-
ლი სიტყვის ოსტატები არიან. ვის აღარ უთქვამს, მწერალს დიდი მოთმინება
და გამბედაობა სჭირდებაო, მაგრამ ასე? «После тех высоких требований,

которые поставил своим мастерством Мопассан. трудно работать. но ботать все же надо, особенно нам, русским, и в работе надо быть смелым. Есть большие собаки и есть маленькие собаки, но маленькие не должны смущаться существованием больших: все обязаны лаять — и лаять тем голосом, какой господь бог дал. (ჩეხოვის ნათქვამი ბუნინთან).

პირველი რიგის ოსტატებსაც რომ თავი დავანებოთ. ამოუწურავად საინტერესონი არიან მათ ქვემოთ მდგარიც. წაგიკითხავთ მ. პრიშვინის «Незабудки?» ანდა, სულაც და სულაც, ჩვენი მეგობრების წერილები — გ. შატბერაშვილის «გურამ რჩეულიშვილი» და ტ. ჭანტურიას «დღეს ჩემი დაბადების დღეა?» პირადად მე — ბევრი და ბევრი წამაკითხოს ღმერთმა ასეთები.

ჩემი შემოქმედებისა თუ რომელიმე ნაწარმოებისადმი მიძღვნილი წერილებიდან და სტატიებიდან, რომელი უფრო მომეწონა? რომელი არ მომეწონა და რატომ?

ჩემი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილებიდან აკ. ბაქრაძის წერილი მომწონს, რომელიც „საღამო ხანის ჩანაწერებს“ ერთვის ბოლოსიტყვაობად. მაგრამ ისეთი კონკრეტული, სასარგებლო რჩევა მაინც არავის მოუცია, როგორც გ. შატბერაშვილმა მომცა. მან ჩემს ადრეულ მოთხრობებზე („ბუდურუგანაში“, „ჩურჩხელები“, „ხაშორის ზღაპარი“ და სხვა) მითხრა: ძირითადი ნაწილი ნაფოტივით მსუბუქად ტიფტიფებს ვრცელ შესავალსა და ფინალს შორის. მუდამ ნათელი მოსავედეს ბატონი ვიორჯის სახელს!

ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ერთი კრიტიკოსის შენიშვნაც. იმ კრიტიკოსის აზრით, მე ნაკლებად ვიცნობ ქალაქს, და ამის დასასაბუთებლად შემდეგი ფაქტი მოჰქონდა. მე მეწერა: „ლამარა ჯუმბერს მკლავზე ხელს უჭერდა, ფრჩხილებს ასობდა და გამომწვევი ღიმილით უყურებდა, აბა, ვატყინე თუ არაო“. კრიტიკოსი განმმარტავდა: „ასეთი ექსტი ქალიშვილისათვის (ქალაქელი ქალიშვილისათვის. რ. ი.) ტლანქია და შეუფერებელი“.

რა არის საჭირო, რომ კრიტიკული აზრი მეტ შემოქმედებას ახდენდეს ლიტერატურაზე?

კრიტიკამ საკუთარ სისხლად და ხორცად უნდა მიიღოს მწერლობა. უნდა ვძლიოთ თავს და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის არ უნდა ვიკითხოთ წიგნი. უნდა ვწეროთ არამარტო ღრმავაროვნად, არამედ მოხდენილადაც. უნდა ვიზრუნოთ კრიტიკის მკითხველთა მოზიდვისთვისაც.



ქრისტიანი გააფორმა დ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება: მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი სავტორის
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. შვ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზას — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 99-17-68.

გადაეცა ასაწყობად 24X1-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/X11-75 წ., ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 4273. უფ 02136. ტირაჟი 31.000.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 ლაზ.


საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236